

# გვიანი



№ 33 14/8/2014 ფასი 1 ლ



„ეპროტულ  
სიტყვებს  
ვსწავლობ“

მურატ  
ილდირიძის  
ექსკლუზიური  
ინტერვიუ  
გვ. 30

ეთა თოფურიას  
მატამორეფობა გვ. 24

თურქი მსახიობი ქართულ  
კლიპში გადაიღოს

რობორ  
გადაიქცა  
თელევი გოგო  
ვულგარულ  
ოომლარად



„პლაზის  
ლიტერატურა“

რა უნდა ვიპითხოთ  
ჩლვაჩე ყოფილისას გვ. 22



პვრისმაგვარ ფილმი  
გაკრული, ნაფამაბი  
ბავშვის ამბავი

„ეპიმარამა დალუკას  
რეიტ შვილი“

„3 თვე განცრევის უფლებას  
არ აძლევონ“ გვ. 35




Q | A | Z ჩემი რჩეული

獅 | 虎 | 猪 მსოფლიო

ჩამი ლოდინი  
ტელეკადი ათმომეული ტომი III

„გზის“ ამ ნომერთან ერთად!



შემდეგი ლევ ტოლსტოი  
ტომი IV

ISSN 1987 - 5029



ფსიქოტრონები იარალი და აღამიანის  
ფსიქიკაზე ზემოქმედის სხვადასხვა მათონი

9 771 987 502 009

# ფლუკოლი სილიფი

100 მლ

ა-ზენი საცისული  
სილიფი მუქაშინი!

- ♥ მახიება
- ♥ მრია, დალიცია
- ♥ თავის ფილიფი
- ♥ ხველება, ყიღის ფილიფი
- ♥ ჩხვირის ღორგოვანის  
შეაშვანა
- ♥ სინუსის დაჭავირებული  
ფილიფი

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას, გვერდითო  
მოყვენების შესახებ დეტალური ინფორმაციის  
მისაღებად მიმართეთ ეკიბანს.

**Nabros** Pharma Pvt. Ltd.  
მთავარი მუშავე და მომსახურებული სამსახური საქართველო  
სამართლებრივი ვაკ „კონცენტრირებული“  
ტელ: 223 63 25



# დოლარები

ერთარების ძაღლა ამარშებს  
უკედანაირ ფაივიცე!

## ე ა ა მ ა რ ც ხ ე თ :

- თავის ფაივიცე
- სფომაფორმიური ფაივიცე
- მანსტრუალური ფაივიცე
- სახსრების ფაივიცე
- შეცემა
- სამორტელი ფრამვებისმან  
მამოვევული ფაივიცე
- რაიონული, ართობი,  
ბურსიტი რევალფიზმი

ტაბლეტი N 10



## მეღი 20 მმ

- მსუბუკართობი
- მიზანი, იმპაზი
- ფაივიცე კუთხით და სახსრებში
- საყრდენ მამოძრევებელი აკარატის  
ფრამვები



**Nabros**  
Pharma Pvt. Ltd.

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას, გვერდითო  
მოყვენების შესახებ დეტალური ინფორმაციის  
მისაღებად მიმართეთ ეკიბანს.

მთავარი მუშავე და მომსახურებული სამსახური  
საქართველო  
სამართლებრივი ვაკ „კონცენტრირებული“  
ტელ: 223 63 25

# ისტორიანი

საუკეთესო ისტორიანის მთხოვთა შურნალი!

ჩიხო წელისი  
ბოლვაზობი



ჩიხო წელისი  
RICO CREDIT

იპოთეკური სესხები (თბილისში, ჩესტავში,  
ქუთასში, ბათუმში) ბინების და მინის  
უზრუნველყოფით, უვერაზე მოქნილი პირობებით

ემსახი, ცვრალი **2%** თვალი

ჩესტავი 0341220030

გორი 2292929 (1701)

ქუთასი 0431262128

ბათუმი 0422242929





ქვეყანა



## 30ს გულგრილობას ეწირება მზგავრთა ინტერესები?

„კონფიცირების სისტემის ჩართვა გარკვეულ ხარჯთანაა დაკავშირებული, მაგრამ ზაფხულის დადგომასთან ერთად, მძღოლებს გეგმა შეუმცირებს... თუ მძღოლი მგზავრის მოთხოვნის შემდეგ არ ჩართავს კონდიციონერს და „ცხელ ხაზზე“ შემოვა ზარი, მის ნინაალმდევ გატარდება შესაბამისი სანქცია: თუ ეს პირველი შემთხვევაა, გაფრთხილებას მიიღებს...“

8



გახა  
მიეიაშვილი  
საპუთარ  
ნაკლსა და  
შეცდომები  
„მოვიგონე  
მ 08 ე 80,  
რომ  
კონფლიქტური  
სიტუაცია  
შეგვერდნა“

20



სახე



## ქურდობისთვის დასტილი რატი დურგლიშვილი

„დედოს დღე“ ახლოვდებოდა... მაღაზიაში დედასთნ ერთად ვიყავი, როცა ქალის ნივთები მოვიპარე. „დედის დღის“ დადგომას ველილი. დღესასწაულზე დედას საჩუქრი მივართვი. მკითხეს, — ნივთებს საიდან გაქვსო? თავიდან დავმალე, რომ მოვიპარე, მაგრამ საბოლოოდ, ვერ მოვიტყევ და ვაღიარე. სასტიკად დამსაჯეს. ხელი მომკიდეს და იმ დღესვე მაღაზიაში „მიმიტანეს...“

28

№ 33  
14-20 აგვისტო, 2014  
ფასი 1 ლარი

გვიანი

- |  |    |
|--|----|
| ■ მინიატიურები   | 5  |
| გვასწავლეთ „გაპრავება“, მისტერ მაკექინ!                                |    |
| ■ ერთი მინის შვილები   | 6  |
| ■ საგოგადოება  | 8  |
| ვის გულგრილობას ეწირება მგზავრთა ინტერესები?                           |    |
| ■ თემიდა   | 9  |
| ოლეგ მელნიკოვი ალაპარაკდა  |    |
| ■ პროტესტი   | 11 |
| ქართველი სტუდენტები დაფინანსებას ითხოვენ                               |    |
| ■ რეპორტაჟი  | 13 |
| „არ მესროლოთ, თქვენიანი ვარ“ ანუ როგორ მოხვდა 2 „ტრუპი“ ჩემს მანქანაში |    |
| ■ სამართალი  | 16 |
| პატიმრები ციხეებში ე.ნ. მაყურებლების არსებობაზე ალაპარაკდნენ           |    |
| ■ იგანი  | 18 |
| ანა ჰაკუი — ქართველი „კარმენი“ გათხოვდა                                |    |
| ■ დაუსრულებელი ნინადადება  | 20 |
| კახა მიქიაშვილი საკუთარ ნაკლსა და შეცდომებზე                           |    |
| ■ თემა   | 22 |
| „პლაჟის ლიტერატურა“  |    |
| ■ მეტამორფოზები  | 24 |
| ქეთა თოფურია მოსკოვში წასვლამდე და შემდეგ...                           |    |
| ■ ნარმატების ფორმულა   | 27 |
| რაში გამოადგა ნინი წიკლაურს მებრძოლი ხასიათი                           |    |

Q ჭ შ  
獅 ქ ჩ:  
Psi ჭ:


ჩახი  
რჩახი  
ესოფეი

## ჩემი რჩეული მსოფლიო


ლევ ტოლსტოი

### ათონომეულში შედის

- I — კავკასიური მოთხოვები
- II — V „ომი და მშვიდობა“
- VI — VII „ალდგომა“
- VIII — IX „ანა კარენინა“
- X მოთხოვებები




<b>■ პირველი</b>	28
ქურდობისთვის დასჯილი რატი დურგლიშვილი	
<b>■ ქველმოქმედება</b>	30
მურატ ილდირიმის ექსკლუზიური ინტერვიუ	
<b>■ გადასაღები მოედანი</b>	33
„პალიტრამედიის“ ჟურნალისტი ახალ ამპლუაში	
<b>■ ტკიზოლი</b>	35
ჯვარისმაგვარ ფიცარზე გაკრული, ნანამები ბავშვის ამბავი	
<b>■ SOS</b>	38
კლინიკა, რომელსაც ფულის გამოძალვაში ადანშაულებენ	
<b>■ სულის სიმტკიცე</b>	40
უსინათლო გოგონას საოცარი თავგადასავალი	
<b>■ სიტუაცია</b>	42
ქუჩის ბაზრობების კლიენტები...	
<b>■ თავისეფალი თემა</b>	43
ისტორიების ქალბატონის ხანმოკლე ცხოვრება და უცნობი ფურცლები	
<b>■ რომანი</b>	46
სახიფათო სურვილები (გაგრძელება)	
<b>■ დოკუმენტური პროგრამა</b>	50
ვლადიმირ ჭუტინი: „გერმანელი“ კრემლში (გაგრძელება)	
<b>■ ერადიტი</b>	52
მოდაში შემოსული ავტორები და წიგნები	
<b>■ ტაქარი</b>	54
რატომ ინება უფალმა ადამიანთა წინაშე ღვთაებრივი დიდების წარმოჩენა	
<b>■ ნარმატები</b>	56
ავლანეთში დაჭრილი ჯარისკაცის მსოფლიო რეკორდი	
<b>■ შეუცნობელი</b>	58
ფსიქორომული იარაღი, „გამძაფრებული სიცარიელე“ და ადამიანის ფსიქიკურე ზემოქმედების სხვადასხვა მეთოდი	
<b>■ გემოვნება</b>	60
ერთი სუფთა ლექსის და მტვრიანი რემონტის ამბავი	
<b>■ სიტყვის კონკრეტურობა</b>	62
<b>■ დედაქალაქი</b>	63
თბილისი ისტორიული მნიშვნელობის ლვინის ქარხანა განახლდება	
<b>■ ქართული სპორტის ლეგენდები</b>	64
ქართველებს გამარჯვების რწმენა ათენის ოლიმპიადამ დაუბრუნა	
<b>■ ფესტივალი</b>	67
შეხვედრა რიჩარდ გირთან	
<b>■ კოდი</b>	69
ცნობილი ცაციები და მათი ცხოვრების სტილი	
<b>■ გეგმილები</b>	72
<b>■ მობილი-გაცი</b>	75
<b>■ პსტროლოგი</b>	79
<b>■ გასართობი</b>	80
<b>■ სკანზორდი</b>	82



## ავლანეთში დაჭრილი ჯარისკაცის მსოფლიო რეკორდი

„სახლს ვამოწმებდით, როცა ხელნაკეთი ნაღმი აფეთქდა. გონება არ დაიკარგავს, მაგრამ მივხვდი, სერიოზული დაზიანება მივიღება... ორი წლის განმავლობაში თავდაუზოგავად ვვარჯიშობდი და რეკორდის დამყარების დღე სპეციალურად დავამთხვევი აუეთქმების თარიღს, სპეციალურად ვავის დასამტკიცებლად, რომ მას შემდეგ ჩემს ცხოვრებაში უარესობისკენ არავერი შეცვლილა“.

56



## ანა ჰაუკი – ქართველი „პარმენი“ გათხოვდა

„ამ ბობოძ „დამიჭირა“ და მაგნიტიზო მიმიგიდა“

18

საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „გზა“  
გამოისავით ვართ ერთხელ, ესთვანათობით  
გაზით „პარმის აალიტრის“ დავათხავა

უკრაинი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.  
რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის აფტორის აზრს.

მთავარი რედაქტორი: ზურაბ აპაშიძე

მთ. რედაქტორის მოადგილები: ლიკა ქაჯაია, მარი ჯაფარიძე  
მენეჯერი: გიორგი ბაბუციძე

დიზაინი: ლაშა გიორგაძე  
კომპიუტერული უზრუნველყოფა:  
ირმა ლიპარტელიანი, რეზო თხილიშვილი

„პალიტრამედიის“ ცხელი ხაზი: (+995 32) 219 60 13; (+995 32) 219 60 53  
ელ.ფოსტა: contact@palitra.ge

მისამართი: თბილისი, იოსებიძის ქ. 49; ელ.ფოსტა: gza@palitra.ge  
სარეკლამო განყოფილება: (+995 32) 237 78 07; (+995 32) 238 78 70



დაიგენდა  
სტამბა  
კოლორი

# გვასწავლეთ „გაპრავება“, მისტერ მაკეტი!

## შესავლის მაზიარ

აჟა, „გასრულდა ესე ამბავი“ შვებულებისა და მე, თბილისის მერი, თბილისის საერგბულოს ზოგიერთი დეპუტატი, ჯონ მაკეტინი ძმაკაცებითურთ, მელნიკოვის საქმის პროკურორი, მისი (უფრო ზუსტად — „ნაცმობრაობის“) ადვოკატები და ჩვენი პრემიერ-მინისტრის მავანი რეფერენტი („პრადვინუტებისთვისაც“) რომ გასაგები იყოს — „სპირინატერი“) ერთდროულად შევუდექით საქმეს.

ოღონდ, ამ ჩამოთვლილთაგან, ვფიქრობ, ველაზე კარგად მე გასრულებ ჩემს მოვალეობას, ახლა ამ „პროგოგაციით“ რომ ვცდილობ, მათი ნათევამ-ნაკეთები შეცდომისა თუ სისულელის ახსნას.

ჰო, კიდევ ერთი: ალბათ დაგდალეთ ტრაბახით, ხშირად რომ ვამბობ, — ეს ხომ წინასწარ ვიგარაუდე-მეტე, მაგრამ ფაქტებს რა ვუყოთ? ხომ ყოფილა საჭირო „მაკეტინ, კარლ ბილდტ ენდ კომპანისთვის“ კარგი და წესიერი ახსნა-განმარტება, თუ რატომ უნდა დაიჭირონ სააკაშვილი და არა — ასეთი არგუმენტი — „თქვენ არავინ გეკითხებათ, ეგ ყველამ იცის!“

საკრებულოს დეპუტატი რომ ვახსენე, იმით დავიწყებ — ალეკო ელიასაშვილს ვგულისხმობდა. ჩამოიარა თავისი სამაჟორიტარდეპუტატო უბანი, გამგებელიც იახლა და რომელ მშენებლობას თუ სამშენებლო ორმოსაც ხელი დაადო, ერთი კახელი კინოპერსონაჟის პერიოდაზირება რომ მოვახდინოთ, — „რომელსაც ხელი დედო, ყველას წითელი ენოთი!“ კარგია, იქნება ასე მაინც დაემსგავსოს რამეს ეს ჩვენი ნალამაზქალაქარი და ყველა მხარში ამოვუდებით ჩვენს ყოფილ კოლეგას, მაგრამ მაგ ამბავში საპროვოკატორი რა იყომ? — იკითხაგთ. „რა“ კი არა, — „ვინ“. ვინ და, სწორედ ის გამგებელი, მასთან ინტერვიუ ყველა არხმა გადმოსცა და ისე შემეცოდა... „მაჟორიტარ დეპუტატან ერთად შემოვიარეთ უბანი და აუცილებლად მივიღებთ მასთან კონსულტაციოთ, შესაბამის გადაწყვეტილებას“, — ამას გარკვევით და გასაგებად ამბობდა, მაგრამ სახე ზე კიდევ უფრო გარკვევით და გასაგებად, სხვა რამ ენერა: „მე ჩემი ბედის დედა ვატრე, თბილისის დანარჩენ ცხრა რაიონში ყველა შაჟორიტარი „ოცნებიდან“ არის, რაღა მე შემხვდა ეს გიუი...“

ამასობაში, თბილისის მერიც შეუდგა მუშაობას და კარგი ინიციატივითაც შეუდგა — მოქალაქეებს შეხვდა. დამიჯერეთ, კარგად ვიცნობ მაგ კაცს და დარწმუნებული ვარ, ბევრ კეთილ საქმეს გააკეთებს, მაგრამ როგორც წინასარჩევნო ბრძოლისას (ოთუ ზპირი რომ დაისვეს კამპანია და ერთი წესიერი ბილბორდი ვერ დაუმზადეს, ახლა მაინც ჩამოხსნა!), ამჯერადაც გუნდმა „ვერ გაუქაჩა“: სამსახურში მივდიოდი და ჩემი თვალით ვნახე (მერასთან ახლოს არის ჩვენი რედაქცია), როგორ მოაპრუნა ექიმმა იმ ქვეყნიდან ჭყლეტაში მოყოლილი ქალბატონი. შევტერდი და ჩემს იქ ყოფნაში კიდევ ორჯერ გამოიძახეს „სასწრაფო დახმარება!“ იყო წყევლა-კრულვა და ვაი-ვიში. ცუდია ეს, ძალიან ცუდი. რა ვართ ეს ქართველები — როგორ გვეხერხება ყველა კარგი ნამოწყების ჩანეხვება... კიდევ ერთი ასეთი იალლში და აუცილებლად გაუშვით სამსახურიდან ის ვერშემსრულებლები, ბატონო დავით, ვისა ახლობლებიც უნდა იყვნენ. ძალიან გთხოვთ.



ჰო, იმ თახსირ მელნიკოვა და მის დამცველებს რაც შეეხება: ზენოლას ვერ გაუძლოო. არ ვიცი, ვერავის დავუდგები თავდებად, მით უმეტეს — იმ შსს-სა და პროკურატურის თანამშრომლებს, სადაც დიდწილად ისევ მაგ მელნიკოვის დროინდელები მუშაობენ, მაგრამ ზენოლაზე ვინც ლაპარაკობს, ერთ კითხვაზე მიპასუხოს (გაცემული ვარ, რომ ორი დღე, არც ერთმა ჩემმა კოლეგამ არ ჰყითხა იმ ადვოკატ კახიძესა და სხვებს, მწყაზარი სახით რომ გვაცოდებენ ამ მკვლელს): ვთქვათ, ახლა ზენოლა იყო, მაგრამ პატიმარ შელნიკოვს მერაბიშვილის შს-დან მთელი პატიმრობის მანძილზე რატომ ერიცხებოდა სრული ხელფასი ბარათზე? ჰა? მიპასუხეთ და, „თქვენებ გადმოვალ“.

სხვათა შორის, სააკაშვილის დამცველებსაც, გლობალურ პოლიტიკასა და საქართველოს საერთაშორისო საფრთხეებზე რომ ლაპარაკობენ სააკაშვილის ბრალდებასთან და კავშირებით (სად ერეკლე და სად — მიშა), მარტივ კითხვას დავუსვამდი: მისტერ მაკეტინ, ჯერ იმის დედა ვატირე, ვინც თქვენ მოგატყუათ, რომ მიშა იმიტომ გადავირჩიეთ, პუტინი რომ გვინდოდა მერე კიდევ, ერთრამეს გატყვით: აი, ერთი უბრალო ქართველი მოქალაქე ამბობს, რომ მისი შვილი ძალიან ნიჭიერია, სააკაშვილის შვილზე ნიჭიერი (იქნება არც არის, მაგრამ არავის შეუმონებია) და წელინადში რამდენიმეათას დასდოლარიან ამერიკულ სკოლაში ვერ ატარა, ფული არ ჰქონდა. უმცროსმა სააკაშვილმა იარა, რადგან სახელმწიფო დაცვის სამსახურმა ანუ ქვეყნის ბიუჯეტმა ჩუმად, ჩვენგან, ამ ბიუჯეტის პატრონებისაგან მალულად გადაუხადა ფული. ანუ, მოიპარა ფული და თავის ოჯახს მოახმარა, მისტერ მაკეტინ, აი, საბუთება, ინებეთ, გადარიცხვები და ყველა-ფერი. რა ვენათ, სერ? მოდი, ასე გავაკეთოთ: თქვენ უელში მაპი გაფინანსებეთ, 10 წელი რომ გვაპოლებთ, და ჩვენ მიშას სამუდამი პრეზენტაციად ავარჩევთ, ოლონდ ამ გადარიცხვების „გაპრავებაც“ გვასწავლეთ. რა? არ გამოვა? მხოლოდ იმიტომ არ უნდა დავიჭიროთ, რომ თქვენი და კარლ ბილდტის ძმაცადა? ააა... ჰორო... მაშინ კარგად იყავით!

აი, ასე უნდა მიგეწერათ, ბატონო პრემიერ-მინისტროდა, ქალაქის მერის არ იყოს, თქვენც გასაშვები გყავთ „კაპ მინისტერ“ ერთი კაცი — სპირიატერი. მე ამიყვანეთ, არ იქნება თქვენთან ურიგო ხელფასი.

P.S.

სხვაც ბევრია სათქმელი, მაგრამ თვითრეკლა-მით უნდა დაგასარულო: რამდენიმევირიანი პაუზის შემდეგ, „რადიო-პალიტრა“-ზე (FM 103.9) და „პალიტრა.ტვ“-ზე კვლავ განახლდა „პროგოგატორის“ პირდაპირი ეთერი. გვიყურეთ, გვისმინეთ, დაგვირეკეთ და იქ ვისაუბროთ, „ლაივში“. ახალი სეზონიდან „პალიტრა.ტვ“-ს დიდი გეგმები და თქვენი იმედი აქვს.

პროვოკატორი



## ქვეყანა

22 წლის წინ, 14 აგვისტოს აფხაზეთში პირველი ტყვია გაცარდა... მაშინ ბევრს ეგონა, სიტუაცია მაღლევე ჩაწერარდებოდა და ყველაფერი დასრულდებოდა, მაგრამ აფხაზეთში ომი დაიწყო. მას შემდეგ ვისმენთ ტრაგიულ შედეგებზე, ერთ დღეში მტრად ქცეულ ქართველ და აფხაზ მოყვარეებზე, მეგობრებსა და მეზობლებზე. თუმცა, ხშირად ეს სიტყვებიც ისმის: რომ არა პოლიტიკა, ჩვენ გასაყიფური რა ვექონდათ?

როგორ მნიშვნელობდა აფხაზეთში საომარი სიტუაცია, ამაზე ორივე მხარეს დღესაც განსხვავებული მოსაზრება აქვს, თუმცა, ომი როგორც ქართველების-თვის, ისე აფხაზების-თვის, ტრაგედია.

### ლეიტ ჰაპსაპირი

ნუგზარ აზრის, აფხაზეთის დე ფაქტო პარლამენტის ყოფილი ვიცე-სპიკერი, „ერთიანი აფხაზეთის“ პოლიტიკაში მდივანი:

— რამდენიმე დღის წინ, აფხაზეთის სახელმწიფო მოღვაწეს, თანამედროვე აფხაზეთის სახელმწიფოს დამფუძნებელს, ვლადისლავ არძინბას 69 წელი შეუსრულდებოდა. ეს ადამიანი თავისი მსოფლიშედველობითა და ცხოვრების წესით, ქართველი საზოგადოების თვის მტერია, ჩვენთვის კი — აფხაზეთის სახელმწიფოს სიმბოლო... 90-იან წლებში, პატარა აფხაზეთმა იპრძოლა და დაიბრუნა ის, რაც საუკუნეების წინ დაკარგა, ყველაზე მნიშვნელოვანი — თავისუფლება. საქართველომ აუცილებლად უნდა აღიაროს პატარა აფხაზეთთან ომის შედეგები და ხელი მოაწეროს შეთანხმებას მშვიდობის შესახებ. სხვანაირად არაფერი გამოვა. ჩვენ არ ვართ ოუცაპირებული ტეროტორია, როგორც ამას პატარა ზაქარეიშვილი და დანარჩენი ქართველი პოლიტიკოსები დაუღალვად იმპორტები, ჩვენ ცალკე სახელმწიფო ვართ. სულ მაღლე საპრეზიდენტო არჩევნები ტარდება და ქვეყანა ცხოვრების კიდევ ერთ ახალ ეტაპს შეუდგება. დროა, საქართველოშევას ილუზიებს — აფხაზეთი მის შემადგენლობაში არასდროს დაბრუნდება. სანამ ქართული მხარე სიმართლეს თვალებში არ ჩახედვს, ვერც სარკინიგზო მმოსვლა აღდგება და ვერც სხვა ტიპის კომუნიკაციები. კარგი იქნება, თუ ქართველი

# „ოროა, საქართველო შეეშვას ილუზიებს“

**„ვაკირებ, ძველი ურთიერთობები განვახალო“**



ქართველების დიდი ნაწილი აუიტირებული პოლიტიკოსების გავლენის ქვეშ მოექცა

საზოგადოება 90-იანი წლების პრესას გაეცნობა, რომელიც პირდაპირ მიზან-მიმართულად ანადგურებდა იმ ადამიანურ, ქართულ-აფხაზურ საუკუნოვან ურთიერთობებს, რომელზეც ახლანდელი ქართველი საზოგადოება ასე თბილად საუბრობს, რაც ძალიან კარგია. დარწმუნებული ვარ, ქართველების დიდი ნაწილი აუგიტირებული პილიტიკოსების გავლენის ქვეშ მოექცა. რათემა უნდა, ამ საქმეში ლომის წილი შეიტანა ქართულმა პრესამაც: დარწმუნებული და ბევრი მათგანი, ქართველი მეცნიერი თუ საზოგადო მოღვაწე, ვინც მაშინ ამ დემაგოგიას ეწეოდა, ახლაც ცოცხალია და საინტერესოა, რა პასუხი აქვთ იმ პუბლიკაციის აცტორებს თავიანთ ნამუშევრებზე ახლა? ის, რაც მოხდა, გარდაუკალი იყო. აფხაზეთს ჰყავს და-ლუპული და დღემდე ცოცხალი ეროვნული გმირები, რომლებმაც სიცოცხლე და ჯანმრთელობა შესწირეს სამშობლოს. მათ ვერავინ ეტყვის, რომ შეცდომა იყო ყველაფერი... აფხაზეთი, რუსეთის დახმარებით, წინ მიდის. ჩვენ შევძლით და სისხლის ღვრის გარეშე შევცალეთ ხელისუფლება. დიახ, პატარა აფხაზეთს ჯერ კიდევ უამრავი პრობლემა აქვს, განსაკუთრებით, სოციალურ და ეკონომიკურ სფეროებში, მაგრამ 24 აგვისტოს ვადამდელი საპრეზიდენტო არჩევნები

იმართება და იმედი გვაქვს, აფხაზი ერი სწორ არჩევანს გააკეთებს.

გურამ ოდიშარის, მწერალი, კონფლიქტის ზონაში მცხოვრებ მოქალაქეებთან დაკავშირებულ საკითხებში პრემიერ-მინისტრის მრჩეველი:

— წლების შემდეგ მცც ხშირად მიფიქრია, შესაძლებელი იყო თუ არა მი პირველი ტყვიის თავიდან აცილება, რომელსაც მოჰყოვა მომ... წლების განმავლობაში ვმონაწილეობდი ქართულ-აფხაზურ დიალოგში და სოხუმში ჩასვლა ვერ შევარ, ბევრი მათგანი, ქართველი მეცნიერი თუ საზოგადო მოღვაწე, ვინც მაშინ ამ დემაგოგიას ეწეოდა, ახლაც ცოცხალია და საინტერესოა, რა პასუხი აქვთ იმ პუბლიკაციის აცტორებს თავიანთ ნამუშევრებზე ახლა? ის, რაც მოხდა, გარდაუკალი იყო. აფხაზეთს ჰყავს და-ლუპული და დღემდე ცოცხალი ეროვნული გმირები, რომლებმაც სიცოცხლე და ჯანმრთელობა შესწირეს სამშობლოს. მათ ვერავინ ეტყვის, რომ შეცდომა იყო ყველაფერი... აფხაზეთი, რუსეთის დახმარებით, წინ მიდის. ჩვენ შევძლით და სისხლის ღვრის გარეშე შევცალეთ ხელისუფლება. დიახ, პატარა აფხაზეთს ჯერ კიდევ უამრავი პრობლემა აქვს, განსაკუთრებით, სოციალურ და ეკონომიკურ სფეროებში, მაგრამ 24 აგვისტოს ვადამდელი საპრეზიდენტო არჩევნები



საუკუნეების განმავლობაში ნაშენებ ურთიერთობებს, ეპლესია-მონასტრებს, სახელმწიფოებრივ აზროვნებას, ასე ერთი ხელის მოსმით ვერ გადაგუსვამდით ხაზს

ვძელი... 2003 წლიდან ჩავდიოდი სოხუმში და აქტიური ურთიერთობა მქონდა აფხაზებთან, ჩემს ძველ მეგობრებთან და ნაცონობებთან. ერთ რამეში დავრჩმუნდა: ომი ყველასთვის ტრაგედია იყო... რაც შეეხება 90-იან წლებში აფხაზეთში არსებულ ვითარებას, ყოველთვის, მაშინაც და შემდეგაც ვამბობდი: ქართველებსა და აფხაზებს და ქართველებსა და ოსებს შორის დიალოგი რომ არ



საქართველომ აუცილებლად  
უნდა აღიაროს პატარა  
აფხაზეთთან ომის შედეგები

განწყვეტილიყო, ტყვია არ გავარდებოდა. მაშინ სოხუმში, საზოგადოებრივ ურნალ „ლიხნის“ მთავარი რედაქტორი ვიყავი და მისი საშუალებითაც ვამბიობდი: არ შეიძლება დიალიგის შეწყვეტა, თორემ „კალამინიოვი“ ან „მაკაროვი“ „ალაპარაკდებიან-მეტექი“. ასეც მოხდა. სამწევაროა, მაგრამ სინამდვილეა, რომ მაშინ ქართველებსა და აფხაზებს არ გვყავდა ისეთი თავკაცები, რომლებიც პასუხისმგებლობას საკუთარ თავზე აიღებდნენ და გადაწყვეტილებას ცივი გონიერი, ემოციის გარეშე მიღებდნენ. იმ მდიმე პერიოდში, რომელსაც მონსტრი საბჭოთა კავშირი ინგრედი, ასეთი ლიდერის არსებობა ორივე მხარისთვის სასაცოცხლოდ აუცილებელი იყო. მაშინ უფრო ფრთხილად რომ გვემოქმედა, სისხლი არ დაიღვრებოდა.

— თუმცა, რა თქმა უნდა, არსებობს გლობალური პოლიტიკა, რომელსაც ამ ომის გასამართლებლად ხშირად იშველიერება...

— დიახ, მაგრამ იმის კვალდაკვალ, ჩვენი შეცდომებიც არ უნდა დაგვაცინებულებები იყო. იყო საქმე, რომელიც ჩვენ და აფხაზებს ერთმანეთში უნდა მოგვევარებინა და მესამე ძალისთვის ჩარცევის უფლება არ უნდა მიგვეცა. ჩემთვის ძალიან მტკიცნული იყო ადამიანური და კულტურული ურთიერთობების განწყვე-

ტა, რაც ომამდე და ომის დროს მოხდა.

— ქართველი სპეციალისტები ხშირად ამ ურთიერთობების განწყვეტასაც დიდ პოლიტიკას აბრალებენ, ბატონი გურამი...

— დიახ, როგორც უკვე აღვნიშნე, დიდი პოლიტიკა ყოველთვის ახდენდა გავლენას ცალკეულ ურთიერთობებზე. რუსეთის ფაქტორი, რა თქმა უნდა, ძალიან მიშვნებოლოვანია, მაგრამ უაქტია, რომ ჩვენც, ორივე მხარე შევუქმნით საფუძველი. სხვანაირად საუკუნეების განმავლობაში ნაშენებ ურთიერთობებს, ეკლესია-მონასტრებს, სახელმწიფოებრივ აზროვნებას, ასე ერთი ხელის მოსმით ვერ გადავუსვამდით ხაზს. რაც შეეხება 14 აგვისტოს, მოვლენები ისე ვითარდებოდა, რომ შეიძლება ითქვას, ეს მოსალოდნელიც იყო. როდესაც რუსეთის დანამაულზე ვსაუბრობთ, არც ქართულ-აფხაზური ფაქტორები უნდა დაგვაცინებენ. შეგვეძლო, ეს სისხლის ლვრა აგვეცილებინა თავიდან.

— „ზღვა, რომელიც შორის“ — ეს პიესა იყო ერთ-ერთი პირველი გზავნილი, რომელმაც ქართველებსა და აფხაზებს შორის ურთიერთობების აღდგენის იმედი გააჩინა... იქნება გაისხენოთ, რა გამოხმაურება მოჰყვა მას აფხაზეთში.

— ჩემთვის დიდი ბედნიერება იყო გვინალურ რეჟისორთან, თემურ ჩხეიძესთან მუშაობა. მან არაერთხელ აღნიშნა, — „ზღვა, რომელიც შორის“ ჩემთვის მხოლოდ სპეციალი არ არისო. შემდგომ, სხვადასხვა მიზეზის გამო, მსახიობთა დასი, რომელიც ამ სპეციალში თამაშობდა, დაიშალა. ამის ერთ-ერთი მიზეზი ის იყო, რომ ნინა ხელისუფლებიდან ერთ-ერთ პოლიტიკოსს არ უნდოდა მსგავსი სპეციალები, სადაც ქართულ-აფხაზური ურთიერთობები ამ კუთხით იქნებოდა დანახული. 17 ნების მეტია, რაც ქართულ-აფხაზურ მოლაპარაკებში ვარ ჩართული და კარგდ ვიცი, რა პრეტენზიები აქვთ აფხაზებს ჩვენ მიმართ და ჩვენ — მათ მიმართ. გადაწყვეტილი იყო, რომ ეს სპეციალი სოხუმის თეატრში უნდა ჩევენებნათ, მაგრამ სხვადასხვა ფაქტორის გამო, ვერმოხერხდა. მიტომაც, დაახლოებით 100 დისტაციაში ჩაინირა და ამ სახით გავრცელდა მაშინდელ აფხაზეთში. ვიცი, რომ ამ სპეციალის აფხაზეთის უნივერსიტეტში აჩვენებდნენ და მუდმივი განხილვის საგანი იყო. „ზღვა, რომელიც შორიათი“ იწყებოდა საერთაშორისო შეხვედრები, ამით იწყებდნენ საუბარს ქართულ-აფხაზურ კონფლიქტზე და მისი ჩვენების შემდეგ, დიალიგი გვიადვილდებოდა. პიესაში, სოხუმში ჩასულ ქართველს ოთხი აფხაზი ესაუბრება და ისინი თავიანთ სათქმელს ბოლომ

დე ამბობენ. სწორედ ეს გაუკვირდათ აფხაზებს, — ამას თბილისში უყურესდა გულთან ახლოს მიიტანესო?!

— აფხაზეთში ბოლოს როდის იყავით?

— სამი წლის წინ და მივხვდი, რომ ამ სპეციალის საშუალებით ბევრი აფხაზი მეგობარი შევიძინებ. ერთმა ქალბატონმა მითხრა, — თქვენ ორივე მხარის ტრაგედია თანაბრად ნარმოაჩინეთ და ამით აფხაზი საზოგადოების სიმპათია დაიმსახურეთო. ასევე მითხრეს, რომ ჩემი წიგნი, „პრეზიდენტის კატა“ ეროვნული ბიბლიოთეკის კატალოგში შეიტანეს. ამ და სხვა ფაქტებმა კიდევ ერთხელ დამარტინუნა, რომ კულტურა და ხელოვნება არის ის ენა, რომელსაც კონფლიქტის მოგვარების საკითხში ალტერნატივა არ აქვს.

— აფხაზეთისა და ე.ნ. სამხრეთის კონფლიქტების საკითხებში პრემიერ-მინისტრის მრჩეველი ხართ. როგორია თქვენი სამომავლო გეგმები?

— დავიწყოთ იქიდან, რომ პაატა ზაქარეისვილმა ამ მიმართულებით უკვე ბევრი საქმე გააკეთა. ამ საკითხზე მუშაობა დანაბრლულ ველზე მუშაობას ჰყავს: მიინვე წინ და არ იცი, რა დროს „აფეთქდები“ ... რაც შეეხება სამომავლო გეგმებს, გაპირებს, ძველი ურთიერთობები განვახალო. მომინებს ურთიერთობა როგორც აფხაზებთან, ისე თებთანც გარკვეული დროის შემდეგ, მექნება ჩემი გეგმები, რომელსაც პრემიერს ჩარვუდგენ. სამწუხაროდ, წინა ხელისუფლება ასეთ რაღაცებს არაფრად დაგიდევდათ. ერთ ამბავს მოგიყვებით: როდესაც ერგენის ბაზობა გააუქმეს, მე და ჩემმა მეგობრებმა მაშინდელ პრეზიდენტს მივწერეთ, რომ ეს ძალიან დიდი შეცდომა და დანამაული იყო, რადგან იქ ქართველები და ოსები ერთმანეთს ხედებოდნენ და ამ ბაზრობის გადაკეტვა ყველას დააბარალებდა, მაგრამ ჩვენი რჩევა ყურად არავინ იღონ.

## პარალელური სახესართა პრობლემები

კუქსაროვის, თსტეფანიძის, თსტეფანიშვილის, თსტეფანოვის, რევაზ გამარჯვებულის ართორიზის, ანკილოვიზურის სპონსორისტების, პოდაგრული ართორიზის, პოდაგრული ბაზობის შემთხვევაში, მეტ და ჩემმა მეგობრებმა მაშინდელ პრეზიდენტს მივწერეთ, რომ ეს ძალიან დიდი შეცდომა და დანამაული იყო, რადგან იქ ქართველები და ოსები ერთმანეთს ხედებოდნენ და ამ ბაზრობის გადაკეტვა ყველას დააბარალებდა, მაგრამ ჩვენი რჩევა ყურად არავინ იღონ.

მეტურნალური სახესართა პრობლემების შემთხვევაში, მეტ და ჩემმა მეგობრებმა მაშინდელ პრეზიდენტს მივწერეთ, რომ ეს ძალიან დიდი შეცდომა და დანამაული იყო, რადგან იქ ქართველები და ოსები ერთმანეთს ხედებოდნენ და ამ ბაზრობის გადაკეტვა ყველას დააბარალებდა, მაგრამ ჩვენი რჩევა ყურად არავინ იღონ.

**ტელ: 599 91-37-65 ქ-60: ევთა თორი**

# მოგზაურობა „მარშრუტების“ ქალაქში ანუ რა სარგებლობა მოაქვს კონფიციონერს...

პაპანაქება სიცხეში ალბათ ძნელი წარმოსადგენია იმაზე უფრო უსია-მოვნო რამ, ვიდრე ჩვენებური სამარშ-რუტო ტაქსია. „მარშრუტები“ — ასე მონათლეს მგზავრებმა სატრანსპორტო საშუალება, რომელიც ზაფხულობით ძალიან ჰქონდას გაზის კამერას: მგზავრები, რომლებსაც გაუმართლათ, სხედან, მაგრამ ნანილი ფეხზე დგას და ლამის 40-გრადუსიან სიცხეს შესაბური მოთ-მინებით უძლებს, მძლოლი კი, ცოცხალი თავით, კონდიციონერს არ რთავს. საბრალო მგზავრები ხომ იტანჯებიან, მაგრამ უნდა ვალიაროთ, რომ მძლოლიც არანაკლებ იტანჯება. ასეთ თუ ისე, ფაქტია, რომ ზაფხულით თითქმის მიიჩნეუა, ჩვენ კი — სამარშრუტო ტაქსებში დაპირებულ კონდიციონებს ვერ ვეღიარეთ. მანც რატომ არ რთავენ ქართველი მძლოლები კონდიციონერებს? — ამ საკითხის გარკვევა არანაკლებ რთული აღმოჩნდა, ვიდრე სახლით გაჭიდილი „მარშრუტები“ მგზავრობა:

## ხათუნა ჩიმომიტი

ინგა მელიძები, დიასახლისი:

— სამარშრუტო ტაქსით ხშირად ესარგებლივ. დილა-სალამის არაუგავს, მაგრამ დღის საათებში „მარშრუტები“ მგზავრობას მტერსაც არ უესურვებს: სიცხე, ბუღლი, ამას ისიც ემატება, რომ მძლოლი ცდილობს, რაც შეიძლება მეტი მგზავრი მოაგროვოს და ამის გამო წამდაუნუმ აჩერებს. რამდენიმე მგზავრი ყველთვის ფეხზე დგას, რჩველი ყველა წუხს და გალიზიზებულია... და ეს მაშინ, როცა „თბილისის მიკროავტობუსი“ კომ-ფორტულ მგზავრობასა და საუკეთესო პირობებს გვპირდებოდა. მძლოლს კონდიციონერის ჩართვას მოსთხოვ და ისე გიბდვერს, მეორედ ასეთი რამის თქმას ველარც გაუბედავ. თუ „გაგიმართლა“ და უფრო „თამამი“ მძლოლი შეეცვდა, შეიძლება, ერთი კარგი, მამაპაპური გინებაც დაიმსახურო. ეტყობა, ამ ხალხს

30ს გულგრილობას ენირება მგზავრთა ინტერესები?



ძნელია ამ სიცხეში უკონდიციონეროდ ჭდომა, მაგრამ ისედაც ბევრი ხარჯი მაქს

ავინწყდება, რომ მგზავრობაში 80 თეთრს ვიხდით, ეს კი — არც ისე მცირე თანხა.

თავის გასამართლებელი არგუმენტები არ ელევათ მძლოლებაც. აი, რა გვითხრა ერთ-ერთმა მათვანძა:

— აბა, ერთი, ჩვენს გაჭირვებაზეც დანერეთ. მგზავრს რა ენაღვლება — ამოვა, ფულს გადაიხდის და თავისი გზით მიიდის. ჩვენ ვიკითხოთ, აურაცხელი პრობლემა რომ გვაქვს ამ „მარშრუტების“ გამო. დღეში 15-16 საათს გზუშაობ, ყოველდღიურ გეგმასაც ვიხდი და „მარშრუტების“ რემონტიც მიჩნევს. ჩემთვისაც ძნელია ამ სიცხეში უკონდიციონეროდ ჭდომა, მაგრამ ისედაც ბევრი ხარჯი მაქს, ამას კონდიციონერის ხარჯიც ემატება. ამიტომ, თურმომელი მგზავრი არ მთხოვს, მირჩევნია, სულ არ ჩართო.

მძლოლების თქმით, ბევრ „მარშრუტების“ კონდიციონერის სისტემა მომზღვდის და სწორედ ამიტომ ვერ ხერხდება ამ სერვისით სარგებლობა: „ათიდან 8 მიუროავტობუს კონდიციონერის სისტემა

წელს. 1931 წლიდან კი — პირველი ფანჯრის კონდიციონერიც გაჩნდა. 1961 წლიდან, როდესაც იაპონურმა კომპანია Toshiba-მ პირველად დაიწყო კონდიციონერების სერიული წარმოება, ამ ტიპის კლიმატური დანადგარების პოპულარობას უზრუნველყოფდა. თანამედროვე კონდიციონერი გაცილებით ნატიფი და კომფორტული მოწყობილობაა, ვიდრე მისი შორეული „წინაპრები“.

გაფუჭებული აქვს. სისტემის გამართვა „თბილისის მიკროავტობუსს“ ევალება, მაგრამ კომპანიაში მისთვის თავს დიდად არ ინუხებენ. ჩვენ ისედაც დადგი გეგმა გაგაქს ყოველდღიურად, ამას ემატება სამარშრუტო ტაქსის მოვლის ხარჯებიც. ასე რომ, კონდიციონების სისტემაზეც ჩვენ ნამდვილად ვერ ვიზრუნებთო, — ამბობენ ისინი.

ლავრენტი ალანია, ტრანსპორტის პროფესიონელი:

— მძლოლმა კონდიციონერი მხოლოდ ორ შემთხვევაში შეიძლება, არ ჩართოს: თუ ის გაუმართავია ან მოკლე მარშრუტებზე გადასცემს მგზავრები. ამ შემთხვევაში კონდიციონების სისტემის ჩართვას აზრიარ აქვს. მოკლე მარშრუტის გავლისას კარი ყველა გაჩერებაზე იღება და ხალხი წარმარა ადი-ჩადის. ასეთ დროს მნიშვნელობა არ აქვს, ჩართულია თუ არა „მარშრუტები“ კონდიციონერი, მაგრამ თუ მძლოლს დიდი გზა აქვს გასავლელი, მაშინ აუცილებლად უნდა ჩართოს. თუ სიცხე განუხებთ, უნდა უთხროთ, მოითხოვოთ ის, რაც გეკუთვნით.

კომპანია „თბილისის მიკროავტობუსსაც“ დაუკუავშირდით. საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის წარმომადგენელმა, ელენე ხაჭაპურიძე ჩვენთან საუბრისას თქვა:

— ყვითელ მიკროავტობუსებში კონდიციონების სისტემის გამართვას ჩვენი კომპანია უზრუნველყოფს. მიკროავტობუსებში კონდიციონების სისტემა

# ოლეგ მალიკოვი ალაპარაკო

მიეცემა თუ არა თაგო სალაყაიძა პასუხისმგებელი?

თბილისის საქალაქო სასამართლოში ყოფილმა ძალოვანმა, ოლეგ მელნიკოვმა სკანდალური ჩვენება მისცა და სანდრო გირგვლიანის საქმის დღემდე გაუმაურებელ დეტალებზე ისაუბრა.

შეგახსენებთ: ინტერპოლით ძებნილი მელნიკოვი 2012 წლის 7 დეკემბერს ქალაქ კიევში დაკავევს. თითქმის ერთი ნელი დასჭირდა ქართულ მხარეს, პროცედურების გასავლელად და 2013 წლის 21 სექტემბერს მოხდა მისი საქართველოში ექსტრადიცია. მელნიკოვი მას მერე სასჯელადსრულების დაწესებულებაშია მოთავსებული და განაჩენს ელოდება.

## თემა ხურცილავა

მელნიკოვს სანდრო გირგვლიანის მკველობის საქმეზე ბრალი აქვს ნარდების თავისუფლების უკანონო აღკვეთაში განეული დახმარებისთვის ასამართლებები. ამ საქმესთან ერთად, კიდევ ერთი ბრალდება ნაუყენებს. დანამაული გირგვლიანისა და ბუხაძის გატაცებამდე 3 თვით ადრე, 2005 წლის 5 ოქტომბერს, თბილისში მოხდა. მაშინაც ოქროყანის სასაფლაოზე, კუდ-ის მაღალჩინოსნებმა ორი მეგობარი — ვამებს აბულაშვილი და კახა დაბრუნდაშვილი აიყვანეს და იქ ანამეს. თბილისის საქალაქო სასამართლო გირგვლიანი-ბუხაძის საქმესთან ერთად, აბულაშვილი-დაბრუნდაშვილის საქმესაც განიხილა. ამ ორ ეპიზოდის გაერთიანება მოხდა პროექტურულში, რადგან საქმის ხელნერა ერთი და იგივეა და თითქმის ერთი და იგივე პირები ფიგურირებენ... ამ ეპიზოდში აქვს ბრალი ნარდებილი კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის მეცნიერებულ სამართველოს ყოფილ უფროს ვალერიან გეტრეველს და დაუსწრებლად ასამართლებენ დათა ახალაის.

გირგვლიანის საქმის ყველა ეპიზოდში მიმდინარეობით არ და ამიტომ უჭირთ დამატებითი ხარჯის გაწევა.

— მძღოლები ამბობენ, რომ მათ

დიდი ყველდღიური გადასახადი აქვთ

და ამიტომ უჭირთ დამატებითი ხარჯის გაწევა.

— მართალია, კონდიცირების სის-

ტემის ჩართვა გარუეულ ხარჯთანაა

დაკავშირებული, მაგრამ ზაფხულის

დაგვომასთან ერთად, მძღოლებს გეგმა

შეუმცირეს. ეს მათ აძლევს საშუალებას,

კონდიცირებასთან დაკავშირებული

ხარჯები დაფარავს. სხვათა შორის,

„ცხელ ხაზზე“ შემოსული ზარების

დახმარებით უფრო მეტი შემთხვევა

დაფიქსირდა და ზოგიერთ ხაზზე მდგო-

მარება აშკარად გამოსწორდა.

როგორც კომპანიაში აცხადებენ,

ყველა მძღოლი ვალდებულია, კონდი-

ციონერი ჩართოს. „თბილისის მიერავ-

ტობუს“ თხოვნით მიმართავს ყველა

მგზავრს, რომ თუ მძღოლი კონდიციო-

ნერის ჩართვაზე უარს იტყვის, ჩანსერონ

იმ მიერავტობუსის სანომრე ნიშანი

და მანანოდონ კომპანიას. ამის შემდეგ

შესაბამის ზომებს მიიღებენ.



გირგვლიანის საქმის ყველა ეპიზოდში მელნიკოვი თავს დამნაშავედ ცნობს

ჩვენება მეტრეველის წინააღმდეგაც არის მიმართული, ის ვეღარ განახორციელებს მელნიკოვის დაცვას.

სხდომა შეწყდა, ოლეგ მელნიკოვის დაკითხვა კი სასამართლოში 18 აგვისტოს განახლდება. როგორც ჩანს, არანაკლებ მნიშვნელოვანი იქნება მისი

## განაცხა 5-დან 18 ჯ-ელა თვაზი გასევება 3-დან 5-ე ჯ-ელა თვაზი

მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტის, ვარჯიშისა და აჭრილებების გარეშე. რეკლამირებულ მაღაწუსამცველი სუსამინის სამართლო, წესითვების ნივთებრძებას და მუშა-ნაწლავი. ორგანიზმი იწმინდება ძრავებისგან, სისხლმრღვები-ტოლესტინინისაგან. ძოლერება მუნიციპალიტეტი, კათი ხელმა ახალგაზრდა, კლასტრისტები სასურველ წონაზე და სტანდარტულ შემთხუება მას.

ასევე სამჯელოების ზრდა სწრაფად და უპიტურად. კურსით 3-ში მომატებით 25 წლამდე, ეფექტურია გენეტიკური სიდაზღვის დროსაც გენურალობა მცველობული ქვლის მაგებები მნირალებისა და ვიტამინების ნაკრებით+ვარჯიშებით. პორტატიმანის შენულება ინდივიდუალურია, გამეორება შეგიძლიათ სასურველ შეღამდე-უსაზრებზე 0-ია. შედეგები 100%-იანი.

**ტელ:** 577 29-37-41, 247-58-83  
**ქ-ნი მარიამ**

შემდგომი დაკითხვა, თუმცა, მან უკვე აღიარა, რომ დათა ახალაიას ბრძანებით მოქმედებდა.

ოლეგ მელნიკოვი აცხადებს, რომ გირგვლიანის მკვლელობის შემდეგ, დათა ახალაია ზურაბ ადეიშვილთან და მიხეილ სააკაშვილთან ერთად გეგმავდა, როგორ მიეჩუმათ ებინათ სკანდალური საქმე და როგორ ჩატარდა საზოგადოების პროტესტი. მისი მტკიცებით, სწორედ ხელისუფლების ჩინოვნიკებმა ერთად შეიმუშავეს 4 პოლიციელის დაკავების გეგმა. მისი განცხადებით, მაღალიჩინოსნები შეთანხმდნენ, შესამინისტროს ოთხ თანამშრომელს დაკავებდნენ და შემდევ პრეზიდენტი შეწყალებით გათავისუფლებდნენ.

სასამართლო პროცესზე თაკო სალაყაიაც იყო ნახსენები: მელნიკოვის განცხადებით, სწორედ სალაყაიამ სთხოვა ახალაიას, გირგვლიანის საქმეში დახმარება.

**მელნიკოვის ჩვენებიდან (სტილი დაცულია):**

...ვისხედით მაგიდასთან „შარდენ ბარში“. თაკო სალაყაიამ უთხრა დათა ახალაიას, გოგოს დახმარება სჭირდება (იგულისხმება სანდოროს მეგობარი გოგო, რომელიც გვერდით მაგდასთან იჯდა). რამდენიმე ხანში დათა ახალაიამ დაიწყო სადღაც რეკვა. ხან თავისი ტელეცონით რეკვავდა, ხან დონაძის ტელეფონით. სწორედ თაკოს თხოვნით დაავალა დათამ თანამშრომლებს ბუხაძისა და გირგვლიანის ნაყვანა. მეც მაჩვენა, ორი ბიჭი იჯდა გვერდით მაგიდასთან და ეს პირები დააკავეო. მერე გავიგე, რომ გია აღანიასთან და ვალერიან მეტრეველთან რეკავდა...

ამის შემდეგ მელნიკოვმა გაიხსნა, თუროგორ ცდილობდნენ საზოგადოებრივი პროტესტის ჩატარებას მაღალიჩინოსნები:

— მითხრა, საჭესთან დაჯექიო და



მელნიკოვმა ცოტა ხნის შინ უარი თქვა იმაზეც, რომ მე ის დამეცვა

მეც დავჯექი. ჩემს გვერდზე მანქანაში ჩაჯდა გია აღანიასა და სოსო თოფურიძე. ახალაიმ მითხრა, გენპროკურატურაში ნავსულიყავი და მეც იქ მანქანით შევედი ეზოში. ჩვენ მანქანაში დავვრჩით, ის კი ავიდა ზევით. თქვა, რომ ადეიშვილთან მიდიოდა. ერთი საათი გაგრძელდა მისი იქ ყოფნა და რომ ჩამოვიდა, გია აღანიას უთხრა, — გია, შენ უნდა ჩავიდე ციხეში. შემდეგ მომიბრუნდა და მითხრა, — შავნა ბადაზე წადიო. პრეზიდენტის რეზიდენციაში წავედით ყველანი ერთად. იქ რომ მივედით, მანქანა შესასვლელთან გავაჩერეთ. დათას იქ სხვა მანქანა ელოდებოდა და ის გადაჯდა მეორე მანქანაში. ჩვენ ველოდებოდით მის დაბრუნებას. ის მარტო წავიდა და დაახლოებით ერთი საათის შემდეგ გამოვიდა. მანქანაში გვითხრა: — ასე მითხრეს, არ ინერვიულო, ყველაფერი კარგად იქნება, პატარა სასჯელებს მოგისჯიან და მაშინვე შეგინყალებთ პრეზიდენტი. პრეზიდენტს უთქამს, ჩასხდნენ ციხეში და მე დავვებმარებიო.

ბრალდებული იმასაც ამბობს, რომ დათა ახალაიამ მაშინ წინასარდანერილი ჩვენება გადასცა მას კაბინეტში; ამ ფაქტს ესწრებოდნენ თაკო სალაყაია და გურამ დონაძე. იქვე მოაწერინეს ხელი ჩვენებაზე და ეს ჩვენება წიკითხა სასამართლოზე.

ბრალდებული მტკიცებით, მიუხედავად იმისა, რომ ოფიციალურად გათავისუფლებული იყო სამსახურიდან, პლასტიკურ ბარათზე ხელფასი მაინც ყოველთვე ერიცხებოდა. თურმე მას ხელისუფლების შეცვლამდე ხელფასს უხდიდნენ და ამ თანხით მისი ოჯახის წევრები სარგებლობდნენ.

მელნიკოვმა კიდევ ერთი დანაშაული გაიხსნა: როგორც ჩანს, ოქროყანა კუდ-ის მაღალიჩინოსნებისთვის საქმის გასარჩევი ადგილი იყო ბრალდებული ორმშენება, რომ 2005 წლის ოქტომბერში მართლა სცემეს კუდ-ის ჩინოსნებმა კიდევ თრ ახალგაზრდას. „იმიტომ სცემეს, რომ დათას მიაყენეს შეურაცხყოფა. მაშინაც მანქანის საჭესთან მე ვიჯექი, დათა ჩვემს მანქანაში იჯდა და ავედით. იქ ოქროყანაში რამდენიმე ხანში მარივიდა სამი მანქანა. საუბრიდან მართლა სცემეს კუდ-ის ჩინოსნებმა კიდევ თრ ახალგაზრდას.“

თავად ბრალდებული მტკიცებით თავს უდანაშაულოდ მიიჩნევს.

მალხაზ ველიჯანაშვილი კარგა ხანია, ოლეგ მელნიკოვსა და ვალერიან მტკიცების იცავს. მას არ სურს, დღეს მელნიკოვის სკანდალურ ჩვენებაზე განმარტების გაკეთება.

მალხაზ ველიჯანაშვილი:

— მე რა განცხადებაც უნდა გავაკეთო, ეს ან ერთა, ან მეორე ბრალდებულის ინტერესების საზიანოდ იქნება და ამიტომ კომიტეტარისაგან თავს შევივავებ. ეთიკის კოდექსი არ მაძლევს უფლებას, რომელიმე ჩემი დასაცავის საზიანო განცხადება გავაკეთო. რაც შეეხება მელნიკოვის განცხადებას, ეს არ იყო ჩემთვის სიახლე, ამის მოლოდინი მქონდა, რომ ასე იქნებოდა. თუ ყურადღებით გადახედავთ ჩემს ადრინდელ განცხადებებს, მიხვდებით, რომ ამაზე მინიშნებებს ვაკეთებდი. მელნიკოვის პროკურატურა სთავაზობდა თანამშრომლობას. შეგიძლიათ, გადახედოთ წინ სასამართლო სხდომაზე მის მიერ გაკეთებულ განცხადებასაც. მელნიკოვი მაშინ აცხადებდა, რომ მასზე ზენოლახორციელდებოდა, რომ დედისა და შეილის დაჭერით ემუქრებოდნენ, რომ ციხეში ჰყავდათ დედამისი. ეს განცხადება ზენოლის შედეგად გააკეთა თუ არა, ამაზე კომენტარს ვერ გავაკეთებ. მელნიკოვმა ცოტა ხნის წინ უარი თქვა იმაზეც, რომ მე ის დამეცვა. ესეც აჩენს კითხვებს. მართალია, მეტრეველს სურს, გიყო მისი ადვოკატი, მაგრამ მას მერე, რაც მელნიკოვმა დააწყო მის წინააღმდეგ ჩვენების მიცემა, მე არ მაქს უფლება, მეტრეველიც ავიცვა. პირდაპირ არის ჩანაწერი, თუ ინტერესი ეწნააღმდეგება იმ პარის ინტერესებს, ვისაც ვიცავდი ადრე ან ახლა ვიცავ, არ შემიღლა, პირი დავიცვა.

მელნიკოვის სკანდალურ ჩვენებას კუდ-ის ყოფილი ხელმძღვანელის, დათა ახალაიას ადვოკატი ირაკლი ზეკარეიშვილიც გამოეხმაურა. მისი მტკიცებით, ოლეგ მელნიკოვმა ყოფილი მაღალიჩინობის ინტერესების წინააღმდეგ ცრუ ჩვენება პროკურორების ზენოლის შედეგად მისცა. ამ ჩვენების სანაცვლოდ მელნიკოვს სასჯელის შემცირებას დაპირიდნენ.

ირაკლი ზაბარიევიშვილი:

— ამ ჩვენებას თავდაყირა არა-ფერი დაუყენება. მელნიკოვმა ცრუ ჩვენება მისცა. მის მიმართ საქართველოს პროკურატურა ახორციელებდა უპრეცედენტო ზენოლას და საბოლოოდ, მცირე სასჯელის დაპირიდნებით დაიყოლის, რომ მიეცა ცრუ ჩვენება. მელნიკოვთან ციხეში შედეგი და პირებას ადლევნდნენ. როგორც ჩანს, მცირე სასჯელის დაპირიდნენ.

ბრალდებული მელნიკოვის დაკითხვა 18 აგვისტოს განახლდება. ვნახოთ, როგორ განვითარდება მოვლენები და კიდევ რა ახალი დეტალი გამოიკვეთება ამ საქმეში.

# რა „დააშავეს“ მომავალია ბაკალავრებმა?

რატომ შემთხვევაში უცხოეთში სწავლის მოსურნე სტუდენტებს პონქურსში მონაცილების უფლება?

2014 წლის გაზაფხულამდე ნიჭიერ სტუდენტებს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროგრამის — „ცოდნის კარის“ ფარგლებში, საზღვარგარეთ სწავლისთვის საჭირო დაფინანსების მოპოვება შეეძლოთ. ამ პროექტის ფარგლებში წელს მხოლოდ 9 სტუდენტი დაფინანსდა და ბევრს მონაცილების უფლებაც კი არ მიეცა. გაზაფხულზე ეს პროექტი დაიხურა და პრემიერ-მინისტრის ინიციატივით, „განათლების საერთაშორისო ცენტრი“ შეიქმნა. ცენტრმა წლეულს კონკურსის წესით, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებზე 78 სტუდენტის განათლება დააფინანსა. ისინი მსოფლიოს წამყვან უნივერსიტეტებში ისწავლიან.

კონკურსები უკვე დასრულდა და ცოტა ხანში სტუდენტთა ნაწილის პროტესტი გაისმა. ისინი დაფინანსებასთან დაკავშირდული საკითხების გაუმჯობესებულებაზე აღაპარა კდნენ.



საქართველოში დღემდე თითქმის შეუძლებელია ხარისხიანი განათლების მიღება

## თემა სურცილება

ილია არონია აშშ-ის, კერძოდ — სენტ-ჯონსის უნივერსიტეტის ფილოსოფიის, პოლიტიკის, კლასიკისა და მათემატიკური მეცნიერებების ფაკულტეტის მეორე კურსის სტუდენტია. ამერიკული უნივერსიტეტი მის სწავლას 90%-ით აფინანსებს. როცა შეიტყო, სახელმწიფო ნიჭიერი სტუდენტების სწავლას აფინანსებდა, იმედოვანი გაუჩნდა, რომ მისი სწავლის დარჩენილ 10%-საც სახელმწიფოდააფინანსებდა, მაგრამ იმდევნი გაუცრუვდა. ილია ამბობს, რომ კონკურსში მონაცილეობის უფლებაც კი არ მისცეს.

### ილია არონია:

— ძალიან გამიხარდა, როცა შევიტყვე, რომ სახელმწიფომ მიაჰცია ყურადღება ამსაკითხს. ჩვენდა სამწერაოდ, საქართველოში დღემდე თითქმის შეუძლებელია ხარისხიანი განათლების მიღება, ამიტომ გადავწიტე ქვეყნიდან ნასვლა. მე და ჩემი თანატოლები ვფიქრობთ, კონკურსი „ცოდნის კარ“ ხარვეზებით ჩატარდა. კონკურსი გამოცხადება დასასაბუთებლად ითხოვდა ჩემი აზრით, არაპროფესიონალურია. მიღები კომისია კონკურსანტების ნიჭიერების დასასაბუთებლად ითხოვდა ჩემი აზრით, არასერიოზულ დოკუმენტებს, მაგალითად: თუ აპლიკანტს არ ექნებოდა მათემატიკურ კონკურსში — „პითაგორა“ გამარჯვებისა ან მონაცილეობის სიგელი, საბუთების მიღებაზე უარს ეუბნებოდნენ. ის, რომ კონკურსანტს რამდენიმე უმაღლესი სასწავლებლიდან პეტენციების დასტური არცუა ისე მცირე დაფინანსებით, ვფიქრობ, უნდა ყოფილიყო წარმატებისა და ნიჭიერების განმსაზღვრებლიდან და არა — „პითაგორას“ კონკურსში მონაცილეობა. უცხოეთის უნივერსიტეტებში ძალზე როულია დაფინანსების მოპოვება. თუ არ ხარ წარმატებული

2 დეკემბრიდან 28 თებერვლამდე — ეს ის პერიოდია, როცა აბიტურიენტებს მხოლოდ საბუთები აქვთ გაგზავნილი მსოფლიოს სხვადასხვა სასწავლებელში და იქიდან პასუხებს ელოდებიან. გამოცხადებული კონკურსის ვადებში ვერანარიად ვერ ექნებოდა ვერც ერთ აბიტურიენტს ხელი პასუხი, რომ ის ჩარიცხულია, ეს კი კონკურსის პირველი ეტაპის ერთ-ერთი უპირობო მოთხოვნა იყო. ამ ვადებში ამ კონკურსის გამოცხადება ვფიქრობ, არაპროფესიონალურია. მიღები კომისია კონკურსანტების ნიჭიერების დასასაბუთებლად ითხოვდა ჩემი აზრით, არასერიოზულ დოკუმენტებს, მაგალითად: თუ აპლიკანტს არ ექნებოდა მათემატიკურ კონკურსში — „პითაგორა“ გამარჯვებისა ან მონაცილეობის სიგელი, საბუთების მიღებაზე უარს ეუბნებოდნენ. ის, რომ კონკურსანტს რამდენიმე უმაღლესი სასწავლებლიდან პეტენციების დასტური არცუა ისე მცირე დაფინანსებით, ვფიქრობ, უნდა ყოფილიყო წარმატებისა და ნიჭიერების განმსაზღვრებლიდან და არა — „პითაგორას“ კონკურსში მონაცილეობა. უცხოეთის უნივერსიტეტებში ძალზე როულია დაფინანსების უფლებაზე, გამოყლებები და დაგრძნოსტრიქა უფასოა, ანინიტურობა და შედეგები გარსტირებულია.

და გამორჩეული, იმ ასიათასობით კონკურსნტის გვერდით შენთვის შემოთავაზების გაკეთებას ერთი სიგელის გამო არავინ გადაწყვეტს. კონკურსში მონაცილეობის კიდევ ერთი მოთხოვნის მიხედვით, კონკურსანტს ჩაბარებული უნდა ჰქონოდა პრიორიტეტულად გამოცხადებულ უცხოეთის საგანმანათლებლო დანესტებულებაში შეთავაზებული ჩამონათვალიდან. პირდაპირ მინდა ალვინიშვილი, რომ სამინისტროს მიერ შემოთავაზებული სია ყველაზე

## ეკაციალობა ეპაკაბეგისათვის

პოტენციის დაქვეითება, პრისტატიტიტი, ადნობის, სმირი შარდვა, შარდვის შეკვაცილებია, უნებლივი შარდვა, წვა-ტკივილი შარდვისას, ორგანიზმის წმენდა ვირუსული და მიკრობული ინფექციებისაგან, ასევე ალერგიოლიზმისა და ნარცისისაგან გათვალისწილება, დამრიცდებულების სწავლი მოხსნა, წერვული სისტემის მოწესრიგება, წევროზი, უძილობა, აგრესია, მშები, აკვატებები. ღვიძლის ფუნქციის აღდგენა, კუჭ-ნაწლავის ნებაშერი პრობლემის მოწესრიგება, შეკრინოლობა მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე, გამოყლებები და დაგრძნოსტრიქა უფასოა, ანინიტურობა და შედეგები გარსტირებულია.

**ტელ: 555 60-67-29 ეპივი ეპივი**

**218-14-90 ლოისი**

**მის: დ. აღმახვისელის №154 (მცავი რიცხვი)**

დიდ პრობლემას წარმოადგენდა: სამინისტროს არ განუმარტავს, რატომ იყო ეს უნივერსიტეტების პრიორიტეტული, რა ნიშნით, რა კრიტერიუმით და რამდენად იყო მორგვეული იმ მიზანს, რომლის გამოც სახელმწიფომ გადაწყვიტა დაეფინანსებინა ქართველი სტუდენტების სწავლა საზღვარგარეთ. ამ სიაში რატომდღაც ვერ მოხვდა ჩემი უნივერსიტეტი, ამიტომ მონანილეობა ვერ მივიღები კონკურსში. ამგვარად, სიის გარეთ დარჩა არაერთი კარგი უმაღლესი სასწავლებელი, რომლის განათლების ხარისხი და რესურსი არაფრით ჩამოუვარდება შემოთავაზებულს. პირადად მე ვსწავლობ ერთ-ერთ ისეთ სასწავლებელში, რომელიც სიძველით მესამეა მსოფლიოში და სწავლის მეთოდოლოგითა და ხარისხით ჰარვარდსაც კი უსწრებს. აქვე დავძერ: ისე გამოაცხადეს კონკურსი, არც გაურკვევათ, რომელ სასწავლებლებში სწავლობენ საქართველოს მოქალაქეები, რომელზეა მოთხოვნა, რომელი იღებს და აფინანსებს ჩემს სტუდენტებს უფრო ხშირად. არადა, მსგავსი ინფორმაციის დამუშავება დაეხმარებოდათ, უფრო ობიექტური, სამართლიანი და მიზანთან მიახლოებული კონკურსი ჩაეტარებინათ. ყველაზე დდი, „შავილაქა“, რაც ამ კონკურსს ახლდა, ჩემი აზრით, ის იყო, რომ კონკურსის პროცესი და შედეგები სრულიად გაუმჯობერვალება. ეს ეჭვებელი აყენებს ამ კონკურსის ობიექტურობას. ამის გამო, განათლების სამინისტროს კონკურსის ბიუჯეტისა და შედეგების შესახებ ინფორმაცია ვთხოვთ. სამინისტრომ გვიპასუხა, რომ 2014 წელს „ცოდნის კარის“ პროგრამის ბიუჯეტი იყო 7 მილიონი ლარი, აქედან, ბაკალავრიატის დაფინანსებაზე მხოლოდ 3 მილიონ 609 ათასი დაიხარჯა. უცნობია, როგორ განანილდა დარჩენილი თანხა. ამასთანავე საყურადღებოა, რომ ეს 3 მილიონ ლარზე მეტი თანხა განანილდა მხოლოდ 9 სტუდენტზე — ე. ი. თითოეულზე საშუალოდ, 401 ათასი ლარი, რაც



3 მილიონ ლარზე მეტი თანხა  
განაწილდა მხოლოდ 9 სტუდენტზე

ოთხელიანი საბაკალავრო პროგრამის საშუალო საფასურის ტოლფასია. გვიჩნდება სრულად ლოგიკური კითხვა: რატომ დაფინანსდა ნაწილი სრულად მაშინ, როცა კონკურსანტთა ერთი ნაწილი ითხოვდა სწავლის 10-15%-იან დაფინანსებას? არაერთმა მათგანმა, იმის გამო, რომ დაფინანსება ვერ მიიღო და ოჯახი ვერ ეხმარება, სწავლა შეწყვიტა. ეს ხომ დაკარგული რესურსია ჩემი ქვეყნის საზოგადოების მიხედვით, რატომ მეზღვულია ამ კონკურსში მონაწილეობის უფლება? ეს რომ ვინმეს ჩემთვის აესნა, შეიძლება, არ გამჩნოდა ამხელა პროტესტი, მაგრამ პასუხი ვერ მივიღება.

უკვე ცნობილია — ახალშექმნილი „განათლების საერთოინირის ცენტრი“ ბაკალავრიატის სტუდენტებს საერთოდ არ დააფინანსებს. ამ ფაქტს ამერიკული აკადემიის მე-12 კლასის მოსწავლე დავით ტივილდიანი აპროტესტებს:

— ვითხოვთ, ადგენ ბაკალავრიატის დაფინანსება. პროფესიონალი კადრების მომზადება ორ წელინადში ვერ მოხდება. ეს უფრო რეალურია, როცა სტუდენტი ბაკალავრიატიდან ინყებს ხარისხიანი განათლების მიღებას. მხოლოდ მაგისტრებისა და დოქტორანტების დაფინანსებით, ვთქიქრობ, ეს რესურსი შეიძლება დაიკარგოს. უცხოური, მით უმეტეს — ამერიკული და ბრიტანული განათლების სისტემა ძირიულად განსხვავდება ქართულისგან და სპეციფიკურ აზროვნების კულტურას, უნარ-ჩევებსა და ტესტირების კრიტერიუმებს ეფუძნება. იმ მოსწავლისთვის, ვისაც საქართველოში აქვს მიღებული ბაკალავრიატი, ამ განსხვავებულ კრიტერიუმებთან და სტილთან შეგუება დროს მოითხოვს. სამაგისტროს ორი წლიდან სტუდენტები შეიძლება, 6 თვე თვითგამორკვევასა და სააზროვნო კლიმატთან მიჩვევას მოანდომოს. უცხოური მიღებული ბაკალავრიატის შემთხვევაში კი ეს პროცესი საგრძნობლად მარტივდება. სამაგისტრო ან სადოქტორო განათლებისთვის ნამსვლელ სტუდენტს უცხოეთში ამ დონეზე დაფინანსების მოპოვების გაცილებით მეტი შანსია აქვს. შესაბამისად, ბაკალავრიატის დასაფინანსებლად დღეს გაღებული თანხა ნიშნავს, რომ ოთხი წლის შემდეგ სახელმწიფოს ამ სტუდენტის სამაგისტრო განათლების დასაფინანსებლად ნაკლები თანხის გაღება მოუწევს.

ნინო ჭელიძე, „განათლების საერთოშორისო ცენტრის“ ხელმძღვანელი:

— „ცოდნის კარი“ ცალკე პროგრამა იყო და მან დაასრულა მუშაობა. ჩემი ცენტრი არ არის მისი სამართლებრმეტი არაფეროვანი გვაქვს საერთო

ამ პროგრამასთან და ამიტომ მათ საქმიანობაზე ვერაფერს გეტყვით. ჩვენ გვაქვს სხვა ტიპის დაფინანსების სისტემა, შერჩევაც სხვაგარად ხდება. ცენტრისთვის მნიშვნელოვანია ისეთი სტუდენტების დაფინანსება, რომლებაც სახელმწიფოს დახმარების გარეშე უცხოეთის ძვირად ღირებულ უნივერსიტეტებში სწავლის საშუალება არ ექნებოდათ. მიზანია, რაც შეიძლება მეტი კვალიფიციური ადამიანი დაბრუნდეს სახელმწიფო სექტორში სამუშაოდ. მაგისტრანტები და დოქტორანტები სტირანების საჯარო სექტორს შეუფეხებელი მართვისთვის. ბაკალავრი შეიძლება არ გახდეს მაგისტრი. პრიორიტეტულ სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებს შორისაა: სამართალი, აგრარული მეცნიერებები, ინჟინერია და ტექნოლოგიები, ზუსტი და საბუნების მეტყველობი (სიცოცხლის შემსწავლელი) მეცნიერებები, გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვა, ჯანდაცვა და სამედიცინო მიმართულებები, ურბანული განვითარება, არქიტექტურა, რესტავრაცია და კონსერვაცია, სოციალური მეცნიერებები, თავდაცვა და უსაფრთხოება, ხელოვნება და ჰუმანიტარული მეცნიერებები, ბიზნესის ადმინისტრირება.

— სტუდენტები აპროტესტებნ იმას, რომ ბაკალავრების დაფინანსება შეწყდა. რატომ გადაწყდა ასე?

— არც ერთი სახელმწიფო არ გამოყოფს თანხებს ბაკალავრებისთვის. არ არის აუცილებელი უცხოეთში სწავლა. საბაკალავრო პროგრამები „ილაუზი“, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში უკვე ისეთი ხარისხის ცოდნას იძლევა, რომელზედაც განათლების ბევრი ექსპერტი ამბობს, რომ არ საჭიროებს უცხოეთში ამ ცოდნის გალობრავებას; ანუ კარგი ხარისხის ბაკალავრები მიზანდება და ეს არის ერთი მიზანი, რატომაც არ ვაფინანსებთ ბაკალავრებს. მეორე მიზანის არის, რომ მართვაში ჩასაბმელად, მაგისტრი გვიტორდება. ეს ჩვენი გადამზღვეულების ჯიბებიდან წარმოადგენდა თანხებიანი და გვითხოვთ, ადგენ ბაკალავრიატის დაფინანსებაზე მხოლოდ 3 მილიონ 609 ათასი დაიხარჯა. უცნობია, როგორ განანილდა მხოლოდ 9 სტუდენტზე — ე. ი. თითოეულზე საშუალოდ, 401 ათასი ლარი, რაც

— სტუდენტები ამბობენ, რომ ბაკალავრების დაფინანსება შეწყდა. რატომ გადაწყდა ასე?

— არც ერთი სახელმწიფო არ გამოყოფს თანხებს ბაკალავრებისთვის. არ არის აუცილებელი უცხოეთში სწავლა. საბაკალავრო პროგრამები „ილაუზი“, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში უკვე ისეთი ხარისხის ცოდნას იძლევა, რომელზედაც განათლების ბევრი ამბობების შემთხვევაში კი ეს პროცესი საგრძნობლად მარტივდება. სამაგისტრო ან სადოქტორო განათლებისთვის ნამსვლელ სტუდენტს უცხოეთში ამ დონეზე დაფინანსების მოპოვების გაცილებით მეტი შანსია აქვს. შესაბამისად, ბაკალავრიატის დასაფინანსებლად დღეს გაღებული თანხა ნიშნავს, რომ ოთხი წლის შემდეგ სახელმწიფოს ამ სტუდენტის სამაგისტრო განათლების დასაფინანსებლად ნაკლები თანხის გაღება მოუწევს.

— სტუდენტები ამბობენ, რომ ბაკალავრების დაფინანსება შეწყდა. რატომ გადაწყდა ასე?

— არც ერთი სახელმწიფო არ გამოყოფს თანხებს ბაკალავრებისთვის. არ არის აუცილებელი უცხოეთში სწავლა. საბაკალავრო პროგრამები „ილაუზი“, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში უკვე ისეთი ხარისხის ცოდნას იძლევა, რომელზედაც განათლების ბევრი ამბობების შემთხვევაში კი ეს პროცესი საგრძნობლად მარტივდება. სამაგისტრო ან სადოქტორო განათლებისთვის ნამსვლელ სტუდენტს უცხოეთში ამ დონეზე დაფინანსების მოპოვების გაცილებით მეტი შანსია აქვს. შესაბამისად, ბაკალავრიატის დასაფინანსებლად დღეს გაღებული თანხა ნიშნავს, რომ ოთხი წლის შემდეგ სახელმწიფოს ამ სტუდენტის სამაგისტრო განათლების დასაფინანსებლად ნაკლები თანხის გაღება მოუწევს.

— ვერც ამ კრიტიკას მივიღებთ. კრიტიკიუმებიც და პროცესიც გამჭვირვალე იყო. თუ სტუდენტი დაფინანსებას ვერ მიიღებს, ცენტრი მას აუხსნის, რატომ დაინუნეს მისი აპლიკაცია. ადამიანმა უნდა იცოდეს, კონკრეტუ-

## „არ მესროლოთ, თქვენიანი ვარ“ ანუ როგორ მოხვდა 2 „ტრუკი“ ჩემს მანქანაში

ეიზი ინტერიერი რეალისტური არ არის, სადაც

„გზის“ წინა ნომერში ქიზიყში მოგზაურობის შესახებ გიყვებოლით და იქ გავჩერდი, როდესაც მირზანში, ფირზაში სახლ-მუზეუმში მივედი. მუზეუმს საკმაოდ დიდი ტერიტორია უკავია. ამიტომ, ჭიშკართან მისულმა ვერავის გავაგონე ჩემი ხმა, თვითნებურად გავაღე კარი და დაღმართზე დავეშვი. მუზეუმს რომ მიყუახლოვდი, დაცის თანამშრომლები ჩემი მანქანის დანახვაზე გარეთ გამოეფინენ.

მარი ჰაფარიძე

— არ მესროლოთ, თქვენიანი ვარ, — მანქანიდან გადმოვედი, ხელები ავნიერ და გავუღიმე.

— როგორ გეკადვრებათ?! მობრძანდით, სტუმარი ლვითისააო, — მითხრეს, — ქიზიყელები იუმორს უცებ ხვდებან.

მუზეუმის თანამშრომლებსაც თავად დაურეავს, რომლებიც მოშორებით, სახლ-მუზეუმში აფარებდნენ თავს ზაფხულის სიცხეს.

რომ არ დაგაბნიოთ, გეტყვით, რომ ტერიტორიაზე არის ერთი მიზრდილი, კაპიტალური შენობა (რომელთანაც მე მივედი), სადაც მხატვრის ნამუშევრებია დაცული, და კარგა მოშორებით — მომცრო სოფლის სახლი დგას, რომელიც სახლ-მუზეუმი გახლავთ.

მუზეუმის სქელი რკინის კარი გააღეს და შემოქმედის საოცარ სამყარომი აღმოვჩნდი. ჩემმა მეგზურმა ქალაგატონმა მითხრა, — ნახატების უმეტესობა ორიგინალია, მაგრამ ჩემს თვალს თუ ვენდობი, პირიქით მომეჩვნევა. ნახატების უმეტესობა ისე პრიალებს, რომ მხატვრობაში სრულიად გაუცნობიერებელი ადამიანიც კი მიხვდება, რომ ფოტოა და არა — მხატვრის მიერ შექმნილი ტილო. როდესაც ამის შესახებ კითხვა დაგვივი, მუზეუმის დირექტორთან გასაუბრება მირჩიეს. მოგვიანებით, სილნალში კი ასეთი ამბავი შევიტყვე: ნიკალას ნამუშევრები მიხეილ სააკაშვილმა სილნალში გადმოატანინა, ვითომ მუზეუმში უნდა გამოეფინათ; ახლა კი აღარც აქა და აღარც მირზანში, სად გაქრა, არავინ იცისო.

ჭორაობასავით კი გამომდის, მა-



ნიკალას ახდენილი ოცნება



პიგასოს მიერ დახატული ნიკალა

გრამ ახლა რეპორტაჟს ვწერ და არა — საგამოძიებო მასალას. ამიტომ თავს უფლებას ვაძლევ, რაც მოვისმინე და საკუთარი თვალით ვნახე, ის

### ეკურნალობა

ახლი ქართული ფარმაცევტული კომპანია, უძველესი სატაძრო-სამონასტრო მცენარეული რეკაბიტურით გვჭრნალობით: ფინრიაზი, ვეზემა, სოკო, გულ-სისხლძარღვთა, კუჭ-ნაწლავის (კენჭები, ღვიძლის უჯრედების რეგენერაცია, პეპა-ტიტები), შარდ-სასქესი (იმპოტენცია, სქესიბრივი ლოროლვას მიმატება, აღენომა, კნიჭები და სხვა), სასუნთქო სისტემა, ძვალ-სასხსროვანი (სასახსრე სითხის აღდევნა, დიაბეტი, მარილები, ნიკრისის ქარი), ნერვული, უძილობა, კლიმატერიული სინდრომი, აღვიპოლიზი (პრეპარატების ფარულად შერევა საკვებში), სიგარეტის გადაგდება. მოგემ-სახურებან არაფესიონალი ექიმები

**592 25-38-26, 557 14-22-36**

ჩანერა რეალისტი

კარავარი ესელუზი იური. უნიკალური და გარემონტირებული შემთხვევით.



საამაყო მოსწავლეები  
აღუზრდია, რომელთაგან ბევრი  
— პედაგოგივით, ჩემპიონია

გადმოგცეთ.

ნიკალას ოცნება ყოფილა, რომ დიდი, მრგვალი მაგიდა ჰქონოდა, რომლის გარშემოც ახლობელ ადამინებს შემოსხამდა და მათთან ერთად ჩაის დალევდა. ეს ოცნება, მართალია, სიკვდილის შემდეგ და ისიც მუზეუმში, მაგრამ — მაინც აუხდა. დარბაზის შუაგულში ნიკალას ახდენილი ოცნებაა, რომელიც სიმყუდროვის შეგრძნებას გიქმნის.

ამავე სოფელში კიდევ ერთი თვითნასწავლი მხატვრის — ბელა ლოპჯანიძის ოჯახში აღმოჩნდი. მართალია,



ბელა ლოპჯანიძის ნახატი —  
ნიკო გომელაური

ბელა სახლში არ დამხვდა, მაგრამ მისმა მშობლებმა შეიღის ნამუშევრები სიამაყით გამაცნეს. მართლაც საოცარი ნახატები ვნახხე. თქვენც გთავაზობთ ერთ-ერთ მათგანს და შეაფასეთ.

მირზანიდან სიღნაღმში გავემგზავრე. სიყვარულის ქალაქზე ლაპარაკით თავს არ შეგაწყენთ, რადგან ისედაც ბევრი გსმენიათ და ალბათ უმეტესობას საკუთარი თვალითაც გინახავთ.

ქალაქის ცენტრში, სკვერში 2 მამაკაცი შევნიშნე და გავესაუბრე.

ერთ-ერთი მათგანი მერიის სპორტის განყოფილების უფროსი, შოთა ბეჭაშვილი აღმოჩნდა. ის სამჭიდში მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი, ორჯერ — ევროპის თასას მფლობელი, საბჭოთა კავშირის ხუთგზის ჩემპიონი, მსოფლიოსა და ევროპის რეკორდდასმენი გახლავთ.

არა, ბედი ნამდვილად მწყალობს (არა მარტო ასეთ სიტუაციებში). ნარმოიდგინეთ, ალალბედზე მიადგე ადამიანს, გაესაუბრო და ასეთი საინტერესო და ტიტულოვანი აღმოჩნდეს. ბატონი შოთა 58 წლის გახლავთ, ცოლი გვიან მოუყვანია და მცირენლოვანი შვილები ჰყავს. საამაყო მოსწავლეები აღუზრდია, რომელთაგან ბევრი — პედაგოგივით, ჩემპიონია.

მიუხედავად იმისა, რომ ქალაქი ტურისტებითა სავსე, სიღნაღელები ამით არ წუხდებია.

— ჩვენს ჩურჩხელებზე გიუდებიან, უთვალავს ყიდულობენ და იყვნენ, რას გვიძლიანი. უამრავ ბალტიისპირელს შეუძნია სახლი სიღნაღმში და იქაურები შიშობენ, რომ ცოტა ხანში შესაძლოა, ქიზიყელების გარეშე დარჩეს სიყვარულის ქალაქი.

— ალაზნისპირეთში ჩინელები მიწებს ყიდულობენ, ინდოელებმა კი დიდი ხნის წინ შეისყიდეს მიწის ნაკვეთები იაფად და შემდეგ ისევ თავიათ თანამემამუშებზე გაყიდეს ძვირად. ქართული მიწით ბიზნესი აინყვესო, წუხან ქიზიყელები.

სიღნაღდან სოფელ ჯუგანში წავედი. იქჩანერილ ინტერვიუებს „გზის“ მკითხველი უკვე გაეცნო. იქიდან წამოსულმა გზაზე მონაზონი შევნიშნე და მანქანა გავუჩერე.

მორჩილი ელისაბედი ენაწყლიანი, კარგი მოსაუბრე აღმოჩნდა და ჩემს ყველა კითხვას ხალისით უპასუხა.

— ღვთისადმი სამსახური უკვე საკმაოდ ზრდასრულ ასაკში, სრულიად შეგნებულად გადავწყვიტე. მანამდე უბრალოდ მორწმუნე ვიყავი, ეკლესიაში დავდიოდი, ვმარხულობდი... შემდეგ მომინდა, რომ მონასტერში წავსულიყვავი და არც ვნანობ.



იცით, რა მაგარი შეგრძნებაა,  
როცა მონაზვნის კაბას იცვამ?!

— მაგრამ ქალის პირველადი მოვალეობა ხომ დედობა? თქვენ კი საკუთარ თავს ამის შესაძლებლობა მოუსპეთ.

— მართალი ბრძანდებით, მაგრამ ადამიანის პირველადი მოვალეობა უფლის მიმართ სამსახურია. უფლის ნება იყო, რომ ასე მოვქცეულყოფავი.

— მანამდე როგორ ცხოვრობდით?  
— პიონერიც ვიყავი, კომკავშირელიც, სტუდენტობაც გამოვიარე და ჩვეულებრივი, საერო ცხოვრებით ვცხოვრობდი.

— შესაძლოა, მერქელობაა ჩემი მხრიდან, მაგრამ მაინც უნდა გეითხოთ: არ გინანიათ თქვენი არჩევანი?  
— არასოდეს მინანია. იცით, რა მაგარი შეგრძნებაა, როცა მონაზვნის კაბას იცვამ?! თვალებიდან ცრემლი თავისით მომდიოდა. ეს სიხარულის ცრემლი იყო, რომ ღირსი გავხდი, უფალს ვეშახურო.

— შეყვარებული თუ ყოფილხართ?  
— დიახ, შეყვარებული ვიყავი, შემდეგ დავშორდით ერთმანეთს. ურთიერთობა ვერავანებეთ. მის შემდეგ სიყვარული ალარ მიძებნია. ახლა კი უფალი მიყვარს და სიცოცხლის ბოლომდე მის სამსახურში ვიქნები.

ჩემი და ელისაბედის გზები წნორში გაიყარა. დედოფლის წყაროს კენგავეგმ-გზავრე. სანამ დედოფლის წყარომდე მიხვალ, წნორიდან რამდენიმე კილომეტრში დაუსახლებელი ადგილი უნდა გაიარო. ირგვლივ მხოლოდ ვენახებია. ერთ ადგილას, გასაყიდად გამოტანილი პომიდორი შევნიშნე, რომელიც ძალიან მიმზიდველად გამოიყურებოდა. გადავწყვიტე, მეყიდა. მანქნიდან

რომ გადმოვედი, მერე შევნიშნე, რომ იქვე უზარმაზარი პომიდვრის პლანტაცია იყო. 3 ახალგაზრდა მამაკაცი კლიენტის მოლოდინში ბანქოს თამაშობდა. ერთ-ერთი მათგანი ჩემივენ წამოვიდა. პომიდორი რომ შევიძინე, გადავწყვიტე, მათი ბიზნესის შესახებ გამომეკითხა.

გიორგი ლევაშვილს კი გაუკირდა, რომ ვუთხარი, უურნალისტი ვარ და რამდენიმე კითხვას დაგისვამთ-მეთქი, მაგრამ არ დაბრულდა. ჩვენი საუბარი მის მეგობრებს არ ესმოდათ, თუმცა, ინტერესით კი გვიყურებდნენ. ეტყობა, ვერ მიმსვდარიყვნენ, რაზე ვლაპარაკობდით ასე ხანგრძლივად.

— კი გენაცვალე, მკითხე, რაც გინდა, არაფერს დაგიმალავ. წელს მეგობრებთან ერთად გადავწყვიტე, მეურნეობისთვის მომეკიდა ხელი. 8 ათასი ძირი პომიდორი დავრგეთ. პირველი მოსავალი ავიღეთ და დღეს პირველად გამოვიტანეთ გასაყიდად.

— კლიენტი გყავთ?

— კი. ჯერ შუადღეა და უკვე 300 კილოგრამზე მეტი გავყიდეთ. ხვალის-თვის დიდი შეკვეთა გვაქვს, ბითუმად უნდა წაიღონ.

— მოსავალი ისეთია, როგორსაც ელოდით?

— კი, კარგად დაისხა. იმედია, ჩვენს იმედს გაამართებს.

— ალბათ შრომატევადია ეს საქმე, ხომ?

— ძალიან დამდლელია, მაგრამ უშრომლად არაფერი მოდის. როცა ჩენ დაჩვენიოჯახის წევრები ვერ ვერევით საქმეს, დღიურ მუშებს ვიმატებთ.

— ქართული ჯიშის პომიდორია?

— არა, ჰოლანდიურია, მაგრამ ჩვენს პირობებში ძალიან გაამართლა. ფაქტობრივად, გავრისეთ, მაგრამ ჯერჯერობით მოსავალს კარგი პირი უჩას.

გიორგის სურათების გადაღების უფლება ვთხოვე და თანხმობაც მივიღე. საამისოდ კი ლობის შიგნით შევედი, სადაც მისი მეგობრები ბანქოს თამაშს აგრძელებდნენ და თან ჩენ გვითვალთვალებდნენ. ფოტო მათც გადავუდე, შემდეგ პომიდვრის ძირთან ჩავიმუშლე და ფოტოაპარატი ავარიაკუნე.

ერთ კვალში ბოლომდე ცელოფანის ბილიკი იყო დაგებული და მიზეზი ვიკითხე.

გიორგი:

— სარწყავ წყალს ამ ცელოფანზე ვუშვებთ, რადგან კვალის თავში უკვე მორწყულია და მინა ზედმეტად არ უნდა გაისულოთოს. ასე კი წყალი ბო-



გარდისფერი პომიდორი კი ძალიან მიყვარს, მაგრამ მაგათ რომ ვენახის ბოლოში არ უნდა დაერგოთ, მაგას გაისად გაითვალისწინებენ

ლომდე ჩააღწევს.

— გიორ, ეგ გოგო ვენახი ბოლოი ჩაიყვანე, ვარდისფერი პომიდვრები რო გვაქ, ის ანახე და სურათებს გადაულებს, — უკბილოდ იხუმრა თუ გამეარშიყა ერთ-ერთი მათგანი.

გიორგიმ ცოტაუხერხულობა იგრძნო, მაგრამ ვერაფერი თქვა. ჩემში კი სვანმა „გაიღვიძა“ და ავტილპილდი: — მშვენიერი აზრია, მაგრამ თქვენც წამოდით და „ლაფატკები“ წამოიღეთ, დახმარება დამჭირდება-მეთქი, — ვუთხარი და არც ისე კეთილი ღიმილით შევხედე.

— და „ლაფატკები“ რად გინდა?

— რად მინდა და აი, წელან შენსავით რომ გამეუმრნენ, იმ 2 მამაკაცის „ტრუპი“ მაქვს მანქანის საბარგულში და „კაპ რაზ“ გადასამალად ადგილს ვეძებდი. 3 ორმოს ამოთხრას მარტო გიორგი ვერ შეძლებს.

— თუ 2 „ტრუპი“ გაქვს, 3 ორმო რად გინდა?

— შენი თავი მიათვალე?

— არა.

— ჰოდა, თუ მიათვლი, 3 „ტრუპი“ გამოვა.

გულიანად გაიცინეს და მეც წყენაშ გადამიარა. ჩემი წამოსვლის შემდეგ გიორგი რომ აუხსნიდა, კინ ვიყავი, რა მინდოდა და სურათები რისთვის გადავუდე, მერე კი ინანებდნენ ალბათ ასეთ უკბილო ხუმრობას, მაგრამ უკვე გვიანი რომ იქნებოდა, ამას თვითონაც კარგად მიხვდებოდნენ და ახლა უკვე თქვენც მიხვდით, ჩემ მეითხელო.

ამას, რაც ახლა გავაკეთე, „საქევენოდ გამოჭენება“ ჰქვია და ჩემი

ახლობლები სულ ერიდებიან ხოლმე, რომ ასეთ სიტუაციაში აღმოჩნდნენ. ჰოდა, ვარდისფერი პომიდორი კი ძალიან მიყვარს, მაგრამ მაგათ რომ ვენახის ბოლოში არ უნდა დაერგოთ, მაგას გაისად გაითვალისწინებენ.

მოკლედ, ჩემი ქიზიყური მივლინება უკვე დასასასულს მოუხსლოვდა. კარგი შთაბეჭდილებებით დაგბრუნდი და მომდევნო ნომერში გავაგრძელებ იქ მოპოვებული მასალების თქვენთვის გაცნობას. კერძოდ, ცნობილი მელინის, ზურა ბაკაშვილის (იგივე ნულლას) ცხოვრებისა და საოცარი თავგადასავლების შესახებ მოგიყვებით... მიუხედავად იმისა, რომ მის შესახებ უარიავი რამა ცნობილი, ბევრ ისეთ ამბავს შეიტყობთ, რომელიც აქამდე არსად თქმულა და მისი მეუღლის, ქალბატონი მარიამ (ზავრა) ყორლანაშვილისგან მოვისმინე.

## გამაკახების გაჯანსალების სახელი

ჰოტენციის დაქვეითება, პროსტატიტი, ადგნომა (ავთვისებიან გადაგარებაზეც!) შარდვის პრობლემების: წმირი და უნებლივი, შეკვება, შეუკავებლობა, წვა ქავილი, ტკივილი. გაწმენდა კირუსებისა და მიკრობებისაგნ. ასევე ალკოჰოლიზმისა და ნარკომანისგან სამუდამოდ, სწავად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, „ოთორი ცხელების“, წყვროზების, დეპრესიის, უძლილის, შამბის, აკვატერების, აგრესიულობის, ტვინში სისხლიომარაგების მოშლის მკურნლობა. კუჭ-ნაწლავის მოწერის რეაგირება, კოლიტი, ბასილი, ღვიძლის გაწმენდა, ფუნქციის აღდეგნა. გამოკლევები და დაგრისტიკა უახლესი აპარატურით (უფასო). ანონიმურობით. მყარი 100%-ანი შედევრი.

**მისამართი:** სართულის 142, I სართული, VI კაბინეტი  
**ტელ:** 599 90-54-78, 234-02-38 ერთი

# პატიმრები ციხეში ე.წ. მაყურებლების არსებობაზე აღაპარაკდნენ

თემა ხუცილება

„2011 წლის 21 ივნისიდან სასჯელს გლდანის მე-8 დაწესებულებაში ვიხდი. 2014 წლის 19 მარტს საკარანტინო ნაწილში ჩამიყვანეს, სადაც მოადგილები და ციხის თანამშრომლები დამხვდნენ. ვითხოვდი, რომ ჩემს დაბადების დღეზე საჭმლის შემოგზავნის უფლება მოეცათ. ამ დროს საკანში პატიმარი შემოათრის, ერთმა მაისურზე დაუწყო ჭიდილი, პატიმრმა ხელი გააშვებინა და პროტესტი გამოითქვა. ამის შემდეგ ის ჩემ თვალნინ „ფუქსში“ შეაგდეს და ცემა დაუწყეს... როდესაც ზ.მ. ჩემთან მოვიდა, ვუთხარი, — რატომ სცემთ ან რატომ მაყურებინებთ-მეთქი? არ მიპასუხა. ამის მერე ჩემს 52-ე საკანში დამაბრუნეს. 22 მარტს ჩემს მეუღლეს დავურეკე და ვუთხარი, — ვიწყებთ შიმშილობას, რადგან პატიმრებს ისევ სცემენ. თქვენც მოდით ციხესთან და დაიწყეთ შიმშილობა. დაურეკეთ ტელევიზიებს და რამე გვიშველეთ-მეთქი. ამ საუბრიდან დაახლოებით 15-20 წუთში კორპუსის უფროსი მოვიდა და მითხრა, — „კარანტინში“ წამოდიო. უარი ვუთხარი, რადგან ვიცოდი, იქრაც მელოდა. დაახლოებით 5-10 წუთში სხვა პირი, ი.ა. ამოვიდა, საკანში არ შემოსულა, გარეთ გამოდიო. არც მას გავყევი... 15 წუთში საკანის კარი გაიღო და ციხის თანამშრომლები შემოცვიდნენ. ცემით გაიყვანეს ჩემი თანასაკანელები. მხოლოდ ერთს არ დაარტყეს, რადგან

„ხელებით, ფეხებით და 2-ლიტრიანი წყლით სავსე ბოთლით მცემეს“



რომელ უსაფრთხოებაზეა საუბარი, როცა №2 დაწესებულებას ჰყავს ციხის მაყურებელი?

ის ინგუშეთის მოქალაქეება. მერე მარტო დარჩენილი მცემეს ხელებით, ფეხებითა და წყლით სავსე, 2-ლიტრიანი ბოთლით. შემდეგ „კარანტინში“ წამიყვანეს და სახეში რამდენჯერმე დამარტყეს. როცა ვიკითხე, სად მივყავდი, ერთმა დამცინავად მითხრა, — იქ მიმყავსარ, სადაც სიკვდილიანობა მომატებულია. ე.წ. „გარონგაში“ შემაგდეს და

ასე აღმოვჩნდი სასჯელაღსრულების II დაწესებულებაში, ქუთაისში. მას მერე აქ დაირღვა ჩემი უფლებები... არ დააფიქსირეს ჩემს სახესა და სხეულზე არსებული სილურჯეები, რომელიც გლდანის ციხეში მომაყენეს. საკანში შეყვანიდან 30 წუთში ე.წ. „კარმუშეკა“ გაიხსნა და ჩემთვის უცნობმა პირმა ხელი მომანერინა დოკუმენტზე, რომ არანაირი დაზიანება არ მქონდა. ისე ვიყავი დაშინებული, ხელი უსიტყვოდ მოვაწერე... როცა ვიკითხე გადმოყვანის მიზეზი, მითხრეს, რომ უსაფრთხოების მიზნით მოხდა ჩემი გადაყვანა ქუთაისში. რომელ უსაფრთხოებაზეა საუბარი, როცა 2 დაწესებულებას ჰყავს ციხის მაყურებელი? ასევე ყველა კორპუსში თავისი მაყურებელია, „პრაგულკასაც“ კი თავისი მაყურებელი ჰყავს. ასევე „ბალნიჩკას“ უყურებს ვინმე კ. ვითხოვდი აღმოსავლეთ საქართველოს რომელიმე დაწესებულებაში გადაყვანას, რადგან დასავლეთში არავინ მყავს მომკითხავი. უფროსს ვუთხარი, — თუ არ გადამიყვანთ, იძულებული ვიქენები, ქურდულ სამყაროს ვაგინო-მეთქი. ამ საუბრიდან მეორე დილით, ქვედა სართულიდან ამომძახეს, რომ თუ მსგავს რამეს ვიზამდი, სადმე გადამეყრებოდნენ და ნესს ამიგებდნენ. რომ ვიკითხე, ვინ მელაპარაკებოდა, მითხრეს, —

ხელჩანთის ორიგინალური,  
მინიატურული ჩამოსაკიდებელი



შურნალ „დი ქალი“ -ს აგვისთოს  
ნომრითან ერთად!

საპირო ასაკებელი ჩამოსაკიდებელის.



უკანი სავა  
კორპუსაც!

ჩამოსაკიდებელის ფასი : 4 ლარი  
სარნალის მიზანი : 7 ლარი

მაყურებლებმა შემოგითვალესო... ქუთაისის ციხეში მიდის ფულზე თამაში, გროვდება საერთო, ე.წ. „ობშიაკი“ და თამაშის დროს სხვა პატიმარს შეუძლია სხვა საკანში გადასვლა, რა თქმა უნდა, მაყურებლის მეშვეობით... 17 ივლისს პროტესტის ნიშანად ლურსმნით დავიჭიდებ ხელი და გამოვაცხადე შიმშილობა... თუ აქედან არ გადამოყვანენ, ყველაფერი ჩემი სიკვდილით დასრულდება. გთხოვთ, მიშველოთ და მომატებით ყურადღება. აქ შეიძლება, თვითმევლელისამდეც მიგიყვნონ“. ეს გახლვთ ფრაგმენტი პატიმარ ტრისტან ვასაძის იმ ახსნა-განმარტებიდან, რომელიც ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციას გაუზავნა. ოპერატიულად შევიდა საიას ადვოკატი ციხეში მოშიმშილე პატიმართან და დეტალები გამოკითხა.

კახა კოშორიძე, ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ხელმძღვანელი:

— კიდევ ერთი პატიმრის, შავლებ გურგენიძის მიერ მონოდებული ინფორმაცია შეიცავს სავარაუდოდ დანამატებულის ნიშნებს, გურგენიძე 2014 წლის 15 ივლისს, სასჯელადსრულების 8 დაწესებულებაში მოათავსეს. ახსნა-განმარტებაში უთითებს მე-8 დაწესებულების „ა“ კორპუსში მყოფ ორ პიროვნებაზე, რომლებსაც მისჯილი აქვთ უვადო თავისუფლების აღვეთა და სავარაუდოდ, წარმოადგენენ ე.წ. მაყურებლებს. მისი განმარტებით, აღნიშნული პირები, თემური და ოთარი, ზენოლას ახდენენ სხვა პატიმრებზე. დაწესებულების ტერიტორიაზე გადაადგილდებიან თავისუფლად, პატიმრებს სითხოვენ ტელეფონის ბარათს, სიგარეტისა და სხვადასხვა პროდუქტის ყიდვას. თუ რომელიმე არ შეასრულებს მითითებას, ოთარის ან თემურის მითითებით ადმინისტრაციის თანამშრომლებს ისინი სხვა კორპუსში გადაჰყავთ. შავლებ გურგენიძე ამბობს, რომ ისიც რამდენჯერმე გა განვითარებაში მოხარული და უფლებული მოთხოვნები შეესრულებინა. მისი განმარტებით, დასახელებულ პირებს მფარველობს 8 დაწესებულების დირექტორის მოადგილე უსაფრთხოების დარგში, ვინმე ილო. ამავე განცხადებაში გურგენიძე აღნიშნავს, რომ თუ პატიმარი ითხოვს ექიმთან შეხვედრას და ეძახის დაწესებულების თანამშრომლებს, ოთარი ან თემური აგინებენ მსჯავრდადებულს, უყვითიან... დასახელებული ფაქტები დაუყოვნებლივ შესწოვლას მოითხოვს. დაუშვებელია, სასჯელადსრულების დაწესებულებაში კონკრეტული პატიმრების მხრიდან გავლენის მოპოვე-

ბისადაციხის ადმინისტრაციის საქმიანობაში მათი ჩარევის პრაქტიკის არსებობა, მით უმეტეს, თუ ამის გამო სხვა პატიმრების უფლებები ირღვევა. საია მოუწოდებს საქართველოს მთავარპროცესურულებისა და სასჯელადსრულების პროცესის სამინისტროს, საკუთარი კომიტეტის დაწესებული შემთხვევაში მითითებული ინფორმაცია და ყველა შესაბამის პირს კანონით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა და ეკუთროვს. ციხეში პრობლემა რომ არის, ამაზე განცხადებები ჩვენს ორგანიზაციას ადრე გაუკეთებია და კონკრეტული ფაქტების შემთხვევაში მომავალშიც მოგვთხოვთ რეაგირებას.

სასჯელადსრულების სამინისტროს განცხადება:

„ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ პატიმრებზე დაყრდნობით, არაერთხელ გაავრცელა განცხადება VIII დაწესებულებაში მყოფი ე.წ. მაყურებლების სავარაუდო არსებობის შესახებ, რასაც არ ეთანხმებიან განცხადებაში დასახელებული მსჯავრდადებულებიდა სიმართლის დადგენას მოითხოვენ. დაწესებულებაში განთავსებული პატიმრების უკმაყოფილება გამოიწვია ამ განცხადებამ, რის შემდეგაც, 30-მდე წერილი გაეგზავნა როგორც საია-ს, ისე სახლხო დამცველის ოფისსა და სხვა ორგანიზაციებს, მაგრამ სამწუხაოროდ, საია არც ახლა და არც ადრე ამ წერილებით არ დაინტერესებულა. სასჯელადსრულების დეპარტამენტი მზად არის, გავრცელებული ინფორმაციიდან გამომდინარე, პასუხისმგებელი შეკითხებას. რაც შეეხება მსჯავრდადებულის ახსნა-განმარტებაში მოყვანილ ფაქტს, თითქოს ე.წ. მაყურებლები დაწესებულების ტერიტორიაზე თავისუფლად გადაადგილდებოან, არ შეიძლება სიმართლე იყოს, რადგან VIII დაწესებულება არის ნახევრად დაბურული ადგილი. დაწესებულების დებულებით, პატიმრები განთავსებული არიან საკანში და მათ მხოლოდ ერთსაათანი გასეირნების უფლება აქვთ. შეუძლებელია, პატიმრი თავისუფლად გადაადგილდებოდეს კორპუსიდან კორპუსში ან საკანიდან საკანში.

რაც შეეხება შავლებ გურგენიძესა და მის ერთ-ერთ თანასაკენელს, 20 დღის წინ, მათ ფიზიკური შეურაცხოფა მიაყენეს ორ თანასაკენელს, რომლებიც უცხოეთის მოქალაქეები არიან. პატიმრები დაუყოვნებლივ გადაიყვანეს სხვა საკანში, ხოლო საქმე გადაიგზავნა სასჯელადსრულებისა და პრობაციის სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტში. სწორედ ამ ფაქტის

გადასაფარავად და მის წინააღმდეგ აღძრული სისხლის სამართლის საქმის გასანეიტრალებლად დაიწყო გურგენიძემ აქტიურობა და განცხადების გაკეთება“.

კახა კოშორიძე:

— იმის ნაცვლად, რომ აქმოყვანილი ფაქტები მოეკვლიათ, სასჯელადსრულების სამინისტრომ გაავრცელა წერილი, თითქოს საია სიცრუის ტირა-ჟირებას ახდენს. სათანადო მოკვლევის გარეშე გაკეთებულმა ასეთმა განცხადებებმა შესაძლოა, ის თანამშრომლები წაახალისებს, რომლებიც მსგავს ფაქტებს სჩადიან. შავლებ გურგენიძეზე მუქარამა მას შემდეგაც განხორციელდა, რაც საზოგადოებას მისა განცხადება აცნობეს. ის აღნიშნავს, რომ 18 ივლისს შეხვდა სასჯელადსრულების დაწესებულების უფროისს მოადგილეს უსაფრთხოების დარგში ი.პ-ს, რომელმაც განუცხადა: — თუ არ გინდა აქედან გასვლა, გაგრძელესაია-ში საჩივრების წერაო. პატიმარი თავს უსაფრთხოდ არ გრძნობს. ვაცხადებ, ამ პატიმრებმა ჩვენს ადვოკატებს უშუალოდ მისცენ განმარტებები, იქვეა მინანერი, რომ ისინი თანახმა არიან, გასაჯაროვდეს ეს განცხადებები. ასევე ვისაუბრეთ ქუთაისის მეორე დაწესებულებაზე. ვგულისხმობ ტრისტან ვასაძის განცხადებას. ამაზე სასჯელადსრულების სამინისტროს პასუხი არ მოგვისმენია და დაველოდებით. მაყურებლების პრობლემა ძველი ხელისუფლების დროსაც არსებობდა და არსებობს დალესაც სახლის და სხვა საკითხია, რომ ახლა უფრო გამოჩნდენ, შეიძლება ამის მიზეზი ის იყოს, რომ ისეთი სიმკაცრე, რაც ადრე ყოველ დღეს არ არის ციხეში. ბევრრამეს, რაც პოზიტიური კეთდება, პოზიტიურად ვაფასებთ, მაგრამ ფაქტია, როცა პრობლემა არსებობს, ამას სჭირდება სათანადო რეაგირება და არა ფაქტების უარყოფა.

## სიგალეური ზრდის საუკათსო პროცესრამაში

სიმღერები ზრდა სწრაფად და ეფექტურად, კურსით 3-ში მომტკიცით 25 წლამდე ტელემ შემოგენერირებული არიან საკანში და მათ მხოლოდ ერთსაათანი გასეირნების უფლება აქვთ. შეუძლებელია, პატიმრი თავისუფლად გადაადგილდებოდეს კორპუსიდან კორპუსში ან საკანიდან საკანში.

განცხადებაში ამავე განცხადებაში გურგენიძე ამბობს, რომ შეუძლებებით, მადის რეგულირება, ცხმის აქტორულ წერი, პოზიტიურულ გურგენიძეს და მაგრამ ფაქტია, როცა პრობლემა არსებობს, ამას სჭირდება სათანადო რეაგირება და არა ფაქტების უარყოფა.

მისამართი 558 156-333 ეპოვ ნილი

218-46-08 (ოფიცი)

მისამართი აღმაშენებლივ №154 (მცხავე როისი)



სახე

# ანა ჭავჭავაძე – ქართველი „კარმენი“ გათხოვდა

„ამ გოგომ „დამიშირა“ და მაგნიტიზოთ მიმიზიდა“

მუსიკისა და დრამის თეატრის მსახიობი, ხუჭუჭა და წითელთმიანი ანა ალექსიშვილი ანა პაუკად იქცა — ნა აგვისტოს ის გერმანელ ჯერემიას პაუკზე გათხოვდა... წყვილმა ხელი გერმანიაში მოაწერა, ოჯახის შექმნა კი საფრანგეთში აღნიშნა... ამჟამად ახალდაქორნინებულება გერმანიაში იმყოფებიანა...

## ეთო ყორდანაშვილი

ანა:

— ქორნილი ვიწრო წრეში გადავიხადეთ. ჩვენი ქართველი მეგობრებისთვის კი გაისად, უფრო დიდი საქორნილო ცერემონია გვექნება.

— ჯერემიასი როგორ გაიცანი?

— შტუტგარტში მეგობართან ვიყავი. აგვისტოს შუა რიცხვებში, იქ ღვინის ფესტივალი ტარდება. ფესტივალზე შემთხვევით მოვხვდი: მეგობართან ერთად ვსეირნობდი. გასართობ ადგილს ვეძებდით. ერთ ადგილს ბევრ ადამიანს მოეყარათავი. დავინტერესდით, რა ხდებოდა... ფესტივალზე ცოცხალი მუსიკა უდერდა, ხალხი მღეროდა, ერთობოდა. ერთ-ერთ მაგიდასთან ოჯახი იჯდა. ვთხოვთ და მათთან ჩვენც ჩამოვსხედით (ახეთი საქციელი იქ მიღებულია). ამასობაში, 3 ბიჭი მოვიდა, მათ შორის — ჯერემიასი. უბრალოდ, ერთმანეთი გავიცანით... საქართველოში რომ დავბრუნდი, ერთმანეთს მესიჯებით ვეკონტაქტებოდით... შემდეგ ბუქარესტში, გასტროლზე გამგზავრებულს ჯეიმ სიურპრიზი მომიწყოდა და ჩემთან ჩამოვიდა. ნელ-ნელა ურთიერთობა განვითარდა. დეკემბერში ცოლობა მთხოვა, აგვისტოში კი ხელი მოვაწერეთ. ჩვენ შორის დიდი გრძნობა გაჩნდა და ამ ყველაფრის ახსნა

როთულია. ხომ იცით, სიყვარულმა დრო და ადგილი არ იცის.

— გაცნობიდან რამდენ ხანში დაქორნინდით?

— ერთ წელიწადში. ერთმანეთი შარშან, ზუსტად ამ დროს გავიცანით.

— ჯერემიასი რას საქმიანობს?

— სტუდენტია. ინჟინრის პროფესიას ეუფლება. სწავლას სექტემბრის შუა რიცხვებში ამთავრებს.

— სიყვარული როგორ აგისნა?

— თავად გერმანიაში იყო, მე კი — თბილისში. მითხრა, — ასეთი სიშორე ძალიან რთული ასატანია, რადგან ნელ-ნელა ვხვდები, რომ მიყვარდებიო... უცნაური იყო: ერთმანეთი ერთხელ, 2 საათით გვყავდა ნანახი. რეალურად, ერთმანეთს არც ვიცნობდით. არადა, ჩემ გამო, შორს გამოემგზავრა: ვუთხარი, რომ ბუქარესტში გასტროლი მქონდა (სპექტაკლი — „კარმენი“ „ნავილეთ“). — რა კარგიაო, — მიპასუხა. მოკლედ, იქ ჩამოვიდა და მომესალმა. მეც მივესალმე (იცინის)... შემდეგ მივხვდი, რომ ეს ის არის, ვინც მე მინდა.

— ცხოვრებას სად აპირებთ?

— ახლა ძირითადად, საბუთების მოგვარებით ვართ დაკავებული. ქართველებს ევროპაში დიდხანს ყოფნის უფლება არ გვაქვს. ქორნინების ვიზას ველოდები, შემდეგ კი მოვიფიქრებთ, რა და როგორ იქნება.



სიყვარულმა დრო და ადგილი არ იცის

— ჯერემიასი საქართველოში ნამყოფია?

— კი, ოთხჯერ.

ჯერემიასი:

— საქართველო ძალიან ლამაზი,

## „კარმენი“

თბილისის მუსიკისა და დრამის სახელმწიფო თეატრის და Moving Theatre-ის (დიდი ბრიტანეთი) ერთობლივი ნაწარმოები — ქორეო-დრამა „კარმენი“ ევროპავშირის განათლებისა და კულტურის პროექტი გახდავთ. საქართველოსთან ერთად, პროექტში რუმინეთი, საფრანგეთი და დიდი ბრიტანეთი მონაწილეობდა. სპექტაკლი კოტე ფურცელაძემ ბიზე-შეჩდრნის მუსიკის ფონზე დადგა. პროექტის



საინტერესო, განსხვავებული, სათავგადასავლო ქვეყანაა. ჩემთვის ყოველი დღე სიახლის მომტანი იყო...

ან:

— ბევრი ადგილი ვერ ვნახეთ, რადგან შეცებულებას რომ იდებდა, მე თეატრში, სპექტაკლებში ვთამაშობდი. ამიტომ ძირითადად, თბილისში ვიყავით. იგნისში რაჭაში წასკლა ძლივს მოვახერხეთ. მინდოდა, იქაურობა მეჩვენებინა. ლამის გაგიჯდა, ისე მოენონა. ამბობდა, — რა ლამაზიაო!

— ჯერემიას, ანამ ყველაზე მეტად როთ მოგხიბლათ?

— პირველად რომ დავინახე, ვიგრძენი, რომ „დაჭერილი“ ვიყავი. ანა ძალიან „გახსნილი“ პიროვნება გახლავთ. თავადაც ვერ მივხვდა, ისე „დამიჭირა“ და მაგნიტიფივთ მიმიზიდა.

— ოჯახის შექმნის პასუხისმგებლობა გაცნობიერებული გაქვთ?

ან:

— განსხვავებულს საერთოდ ვერაფერს ვგრძნობ. უბრალოდ, ახალ გარემოში ვცხოვრობ და ახალი „სახელი“ მქინა: ჯერემიასის გვარზე გადავედი — ახლა ანა ჰაუკი ვარ. არადა, ვინმეტ ასე რომ მომმართოს, შეიძლება, არც მიგხედო. ალბათ 1-2 წელი დამჭირდება შესაჩვევად. გერმანული საერთოდ არ ვიცი. სწავლაც რთულია, რადგან თუკი გერმანულად ლაპარაკი წამოვიწყე, ხვდებიან, რომ ეს ენა არ ვიცი და ინგლისურად მელაპარაკებიან.

— გვარის შეცვლა რატომ გადაწყვიტება?

— შემეძლო, ალექსიშვილი-ჰაუკი ვყოფილიყავი, მაგრამ გერმანულებისთვის ძალიან რთულად წარმოსათქმელია. „ჰაუკი“ ლამაზი გვარია. თან, ჯერ ძალიან ბედნიერი იყო, როცა ქორწინების სახლში ჩემი გადაწყვეტილების შესახებ შეიტყო. ჯობია, ოჯახის წევრებს საერთო გვარი ჰქონდეთ.

— ჯერემიასის მშობლებმა როგორ მიგიღეს?

— მამა გარდაცვლილი ჰყავს.

წარმომადგენლების მოთხოვნით, პრემიერა ლონდონში, 2012 წლის 23 სექტემბერს გაიმართა, თუმცა, მანამდე, უცხოელი სტუმრებისთვის, თბილისის საერთაშორისო თეატრალურ ფესტივალზე ერთი საჩვენებელი სპექტაკლი მოეწყო...

სპექტაკლში მონაწილეობდნენ: ანა ალექსიშვილი (კარმენი), ბაჩო ჩარჩიბაია (ხოსე), აჩიკო სოლოლაშვილი (ტორეადორი), გიორგი ტორიაშვილი (ლეიტენანტი)...

წაბლისფერთმიანმა ანა ალექსიშვილმა თმა წითლად სწორედ „კარმე-

დედამისი ამჟამად ესპანეთში ცხოვრობს. მას პირველად ნოებერში შევხვდი. საფრანგეთში ვიყავით. ძალიან ვნერვულობდი. ჯეის დედამ კარის ზღურბლს რომ გადმოაბიჯა, შემომხედა და გამიღიმა. ჩავეხუტე... მერე მითხრა, შენნაირი საყვარელი ადამიანი არასოდეს შემხვედრია (იცინის).

— შენს მშობლებს გერმანელი სიძე მოეწონათ?

— როცა ვთქვი, — გერმანელი ბიჭი მომწინს-მეთქი, დედა ანერვიულდა, — ის 9 მთას იქით არის, „როგორ აგიმანვერს წყალსაო“ (იცინის)? მისი მესმის... ახლა ძალიან ბედნიერია. ჯეი გაიცნი და მიხვდა, როგორი ადამიანიც არის. საერთოდ, მგონი, ჩვენზე უფროისი თაობის წარმომადგენლები იოლად ხვდებიან, ვინ როგორია, რადგან მეტი ცხოვრების სეული გამოცდილება აქვთ. ჯეი ძალიან ყურადღებიანია. უნდა, რომ ყველაფერი კარგად და ლამაზად იყოს. ყველაფერი იმაზე უკეთ მოხდა, ვიდრე ჩვენ გვეგონა. ჩემი მეუღლე ჩემებმაც შეიყვარეს. დედა მეუთხება, — როგორ ველაპარაკო? მამა ჯეის ქართულს ასწავლის, დედა (რომელიც რუსი ეროვნების გახლავთ) — რუსულს. ჯეი ორივე ენის ათვისებას ცდილობს. დედას ეუბნება, — „პრივეტ, მამაჩა“, მამაჩემს კი — გამარჯობა.

— გერმანული ცხოვრების სტილი მოერგე?

— ვერ ვიტყვი, რომ მოვერგე: ზაფხულია, ყველა დასასვენებლად მიდის. მინდოდა, სკოლაში, გერმანული ენის შესასწავლ კურსებზე შევსულიყავი, მაგრამ სკოლა დაკეტილია, სექტემბრადე ყველა ისვენებს. რაღაც საქმე როცა გაქვს, ასე თუ ისე, ცხოვრების სტილს იგებ, მაგრამ როცა სახლში ხარ და მხოლოდ იმაზე ფიქრობ, როგორ გაერთო, ამ ყველაფერისთვის ალლოს აღება რთულად... მეგობრები ძალიან მენატრებიან. თბი-

ლისში ყოფნისას ფაქტობრივად, დღე არ გადიოდა, რომ ისინა არ მენახა... ჯეი სამსახურში რომ მიდის, ცოტა ხნით სახლში მარტო ვრჩები. ასეთ დროს ვზივარ და ვცდილობ, გერმანული ენა დამოუკიდებლად ვისწავლო.

— ისე საუბრობ, მგონი, გერმანიაში დარჩენას აპირებ.

— თუ საქმე გამომიჩნდა, ალბათ დავრჩებით, რადგან ოჯახისთვის ეს უკეთესი იქნება. თბილისში რომ ჩამოვიდეთ, ჯეის სამსახურთან დაკავშირებული პრობლემები ექნება. ვნახოთ... გადაწყვეტილების მიღება მიჭირის. თან, ეს თვე მთლიანად ქორწილს და საბუთების მოწესრიგებას



ვალსი ვიცეპვეთ, შემდეგ საქორწილო ტორტი ერთად გაფლეონით

დავუთმეთ. ლამის სისხლის ანალიზიც მომთხოვეს.

— გერმანული ქორწილი განსხვავებულია?

— ხელის მოწერის შემდეგ, ვალსი ვიცეპვეთ, შემდეგ საქორწილო ტორტი ერთად გაფლეონით. საქართველოშიც ასე ხდება. სახლში შესვლისას ბრინჯი მოგვაყარეს. მგონი, ეს ტრადიცია ჩვენს ქვეყანაშიც არსებობს. მოკლედ, განსხვავებული არაფერია.

— ჯერემიასმა ქართული ცეკვა თუ იცის?

— ამისთვის არ გვეცალა, მაგრამ აუცილებლად ისწავლის. მკითხა კი-დეც, — ვალსის მსგავსი საქორწილო ცეკვა თუ გაქვთო? ვუპასუხე, — ცეკვა „ქართული“ უნდა შეასრულო-მე-თქი. შემპირდა, რომ აუცილებლად ისწავლის.

# პახა მიეიაშვილი საკუთარ ნაკლსა და შეცოდომებები

„თურქეთში სალომეს სიურარიზი დავახვედრო...“

„ვეცადე, გულწრფელი ყველიყიყავი“, — ამ სიტყვებით სრულდება მსახიობ კახა მიქეიაშვილთან ინტერვიუ. რამდენად გულწრფელი იყო, თავად განსაჯეთ. რა აღიზანებს ყველაზე მეტად, როდის კარგავს წინასწორობას, რის გამოა ბეჭნიერი და რას გააკეთებდა, ცხოვრებას თავიდან რომ იწყებდეს? — ამ ყველაფერს მის მიერ დასრულებული წინადადებებიდან შეიტყობთ, მანამდე კი — ცოტა რამ მსახიობის შემოქმედებითი ცხოვრების სიახლეებზე.

## თამანა კვირიკაშვილი

— მიუხედავად იმისა, რომ „თავის უფალ თეატრში“ სეზონი დამთავრდა, დასასევენებლად წასვლას ჯერჯერობით ვერ ვახერხებ. თეატრში თურქ რეჟისორს ველოდებით სპექტაკლის დასადგმელად როგორც მითხრეს, ჯაბა კილაქსა და მამუკა მუმლაქსთან ერთად უნდა ვითამაშო. მოგვიანებით, წარმოდგენის დადგმას ავთოვარსიმაშვილი აპირებს. წინ საინტერესოა მბები მელის.

— შემოთავაზება ფილმებიდან არ გაქვს?

— საზღვარგარეთ მცხოვრები ერთი ახალგაზრდა რეჟისორი დამიკავშირდა. მას უნდა, რომ შემოდგომიდან ფილმზე დააწყოს მუშაობა. სკენარიიქდანერა. ჯერ არ ვიცი, რაროლს ვთამაშებ. გაგიმხელთ, რომ დეტექტიური ქანის იქნება.

— დაბადების თარიღი...

— ...1980 წლის 11 ივნისი.

— ბავშვობაში მინდოდა გამოვსულიყავით...

— ...მსახიობი. მაშინდელი თაობისათვის ისეთი პოპულარული პროფესიები, როგორიც იყო პოლიციელი, მფრინავი, ტაქსის მძღოლი და ა.შ. ნაკლებად მიზიდავდა.

— ჩემზე ამბობენ...

— ...ახლობლები ამბობენ, — ფიცხი და ნერვიულიაო. მათ ვეთანასმები. ვფიქრობ, ეს ჩემი ნაკლია და ვცდილობ, გამოვასწორო. უცხოები ამბობენ, თითქოს უხეში და ცოტათი ამპარტავნი ვარ. მოგვიანებით, როცა ამ ადამიანებს ვუახლოვდები, მეუბნებან, — შენზე საერთოდ სხვაგვარი წარმოდგენა გვერნდაო. ერთმა მითხრა: თეატრში რომ მოდიხარ და ეზოში ხალხია, რაღაც ისე, სხვანაირად ჩაივლი ხოლმეო. მართალია, ვხედავ, იქ ადამიანები რომ სხედან, მაგრამ თუ არავის ვიცნობ, მათ მაინც, სათოთაოდ ხომ არ მოვიკითხავ? ჰოდა, ალბათ ასეთ დროს ისეთი გამო-

მეტყველება მაქვს, რომ ხალხს უხეში ვგონივარ.

— ჩემს წარმატებაში ყველაზე დიდი წლილი მიუძღვის...

— ჩემს პედაგოგ შალვა განერელიას. ეს ადამიანი რომ არ შემხვედროდა, არავინ იცის, დღეს სად ვიქებოდი, მოვინდომებდი თუ არა მსახობიას. მას ჩემს წარმატებაში უზარმაზარი წლილი მიუძღვის. ვფიქრობ, ამ ინტერვიუში მისი ხსენება კიდევ ბევრჯერ მომინევს. თეატრალურში სხვა ადამიანი მივედი და სარულიად განსხვავული წამოვედი. მასთან ურთიერთობა დიდი სკოლა და მუდმივად სახლისა აღმოჩენა იყო. თავად იყო ჩემთვის სამაგალითოდა მინდოდა, მისთვის სულ მოქსებინა: რეპეტიციაზე, მასთან სტუმრობისას, ქუჩაში შემთხვევით შეხვედრისას და მაშინაც, როცა ტრანსპორტამდე მივაცილებდი ხოლმე.

— ცხოვრებას თავიდან რომ ვიწყებდე...

— ...გამოვასწორებდი. ზუსტად ვიცი, სხვა პროფესიას არ ავირჩევდი. წაკლებად ვიზარმაცებდი და ბევრს წავიკითხავდი. ბებიას ფორტებიანზე რომ დავიავდი, იქიდან არ გამოვიდოდი. დღეს ძალიან დიდი სურვილი მაქვს, დაკვრა ვიცოდე.

— ბედნიერი ვარ, რომ...

— ...მყავს 2 არაჩეულებრივი შეილი და ახლობლები, რომლებიც ჯანმრთელად არიან. ბედნიერი ვარ, რომ როგორც მსახიობი, რეალიზებულივარ. ბედნიერი ვარ, რომ ცხოვრებამ ბევრ კარგ ადამიანს შემახვედრა. მხოლოდ პატრიარქთან მიახლება რად ლირს! უმეტეს შემთხვევაში, ადამიანს რაც აქვს, იმას ვერ აფასებს. მე კი მიმაჩნია, რომ ცხოვრებისგან გაცილებით მეტი მივიღე, ვიდრე ვიმსახურებდი.

— თვისება, რომელიც ჩემში ყველაზე მეტად მომწონს...

— ...საკუთარ თავზე ლაპარაკი იოლი არ ის. სამწუხაროდ, ხასიათში ცუდი თვისებები უფრო მეტი მაქვს, ვიდრე —



ხასიათში ცუდი თვისებები უფრო მეტი მაქვს, ვიდრე — კარგი

კარგი. მომწონს, რომ წყენის გულში ჩადება არ ვიცი. შურს არასდროს ვიძიებ. თუ გავაცნობირებ, რომდამნაშვევარ, ბოდიშის მოხდაც შემიძლია.

— თვისება, რომელიც არ მომწონს და ვცდილობ, გამოვასწორ...

— ...ეს სიფიცე და სიზარმაცეა. ბევრჯერ მიცდია ამის გადალახვა და მგონი, მცირედი წარმატებაც მაქვს. ვისთანაც სამართლიანად თუ უსამართლოდ გავითქმის ულვარ, ყველას საჯაროდ ვუხდი ბოდიშს. ეს უმეტესწილად ოჯახსა და თეატრში ხდება, განსაკუთრებით — ტენისურ პერსონალთან. იმდეა, ჩემთან ინტერვიუს მიმავალშიც ჩანს, მე კი გეტყვი, — ფიცხი ვიყავი და ეს სისუსტე დავიძლიერებთ.

— დაშვებულ შეცდომებს...

— ...ენანობ, ვაანალიზებ და ვცდილობ, გამოვასწორ.



შეიძლება, ისეთი კარგი მამა არ ვარ, როგორიც უნდა ვიყო

— ამ წუთში ძალიან მინდა ვიყო...

— ...კარგ კურორტზე, უცხოეთში. სიამოვნებით ვიქენებოდი ევროტურში. საერთოდ, მოგ ზაურობა ძალიან მიყვარას, ფრენაზე ვგიუდები. წელიწადის წებისმიერ დროს, წებისმიერ ქვეყანაში სიამოვნებით წავალ. იტალიაში არ ვარ ნამყოფიდა ძალიან მინდა იქნავლა. მგონია, ამ ქვეყანასთან რაღაც მაკავშირებს.

— წონასწორობიდან ჩემი გამოყვანა შეუძლია...

— ...უსამართლობასა და ტყუილს.

— მეზარება...

— ...ყველაფერი მეზარება. ეს თვისება რომ არა, ცხოვრებაში უფრო მეტის მილნევას შევძლებდი. თითქმის ყოველდღე 7 საათზე ვდები და შორიდან ჩანს, რომ შრომისმოყვარე ვარ.

— მე ვარ შეუძლებარი...

— ...ალბათ — მამა. შეიძლება, ისეთი კარგი მამა არ ვარ, როგორიც უნდა ვიყო. და კიდევ, სოციალურ ქსელში, საჯაროდ პოლიტიკურ მოვლენების შეფასებისგან ყოველთვის თავს ვიკავებ, მაგრამ არა მიმოტომ, რომ ჩემი აზრი არ გამარინა. უბრალოდ, ეს ჩემი სფერო არ არის; არ მგონია, კომპეტენტური ვიყო. პოლიტიკაზე მხოლოდ მეგობრების წრეში შეიძლება ვილაპარაკო.

— ცხოვრებას ვილამაზება...

— ...ჩემი საქმით. ერთფეროვნებასა და სტანდარტულობას ვერ ვიტან. ამ რუტინულ ცხოვრებაში ჩემი პროფესია ხელს მიწყობს იმაში, რომ რეალობა გავილამზო.

— სიყვარული ეს...

— ...ლმერთია, უზენასი განცდა. წებისმიერი რამ თუ სიყვარულით არ არის გაკეთებული, უნაყოფო და ფუჭია. სიყვარულით არის შექმნილი საძყარო, ადამიანი. თუ შენ არ გიყვარს ის, რასაც აკეთებ და ის, ვის გვერდითაც ცხოვრობ, მამინ ურთიერთობა ხელოვნური და ფუჭია. ქარი დაუბრავს და აღარ იქნება, გაქრება.

— როცა შეყვარებული ვარ...

— ...ვცდილობ, ვიყო ძალიან საინტე-

რესო. მიყვარს სიურპრიზები. სურველი მაქვს, რომ ადამიანს, რომელიც ჩემ გვერდით არის, მაქსიმლიური სიამოვნება მივანიჭი. შეიძლება, ადამიანს ის კონა ისე ლამაზად აწუქო, მთელი ცხოვრება დამახსოვრდეს. მახსოვს, ვიდრე დავჭირნინდგბოდით, სალომე თურქეთში საქმეზე მიდიოდა. გამგზავრებამდე სპეციალურად მოვიგონე მიზეზი სამისოდ, კინცვლიქტური სიტუაცია რომ შეგქმნოდა. გავითამშედა არ გავაცილე, არ ველაპარაკებოდი. თურქეთში რომ ჩავიდა და სასტუმროს ნომერში შევიდა, იქ სანოლზე სიურპრიზი დახვდა...

— გავრცელდა ხმა, რომ შენ და სალომე დაშორდით.

— ...არ ვადასტურებ. ნუმინტე, მაგრამ ამ თემაზე საუბარს არ ვაპირებ. პირად ცხოვრებაზელაპარაკდიდად არასადროს მყარებია, სალომეს — მით უმეტეს.

— გუფრთხილდები...

— ...იმიჯს, სახელს. ვცდილობ, რაიმე ისეთი არ გავაკეთო, რითაც შვილებს, ახლობლებს, ოჯახის წევრებს საფრთხეს შევუქმნი.

— დღემდე ვერაფრით ვისნავლე...

— ...საზარდაცვლოროგორ დავძლიოდა როგორ ვიყო უფრო მშვიდი. ვერ ვისნავლე ინგლისური ენა, არადა, მეცადინებისა ყოველ ორშაბათს ვიწყებ. ჩემი ოცნება იყო, დარამერი ვყოფილიყავი, მაგრამ ვერც დაკვრა ვისნავლე...

— არ მჩვევია...

— ...ლოთობა. ალკოჰოლს საერთოდ არ ვსამა. ასევე, არ მჩვევას საიდუმლოს გაცემა, ჭორაობა და ბილნისტყვაობა.

— ძალიან ბევრი ფული რომ მქონდეს...

— ...მსოფლიოს მოვიცლიდი. 17-სართულიან სახლს არ ავაშენებდი და 50 000-ლარიან ტელეფონს არ ვიყიდდი. კომფორტი მიყვარს, მაგრამ მილიარდერობა ხანდფილდა არ მინდა. მინდა, მქონდეს იმდენი, რამდენიც ნორმალუ-



ვცდილობ, ვიყო ძალიან საინტერესო. მიყვარს სიურპრიზები

რი ცხოვრებისთვის, კარგად დასვენებისთვის იქნება საჭირო. 3 სამსახურში ვმუშაობ, თავისუფალი დრო არ მაქვს და ანაზღაურებაც არ არის შესაბამისი.

— რამდენიც უნდა გადამიხადონ...


— ...პიროვნებრაფიაში არ ვითამაშებ; ვერ დავგმობჩემს სარწმუნოებას და არ გავაკეთებ იმას, რაც ჩემს ღირებულებებში არ ჯდება.

— დარიგება, რომელიც არასდროს დამაკიტებულება...

— ...შალვა განერელია გვეუბნებოდა: სცენაზე სათქმელის გარეშე არასდროს გახვიდეთო. ეს სიტყვები სულ მახსოვს. შალვა განერელიასთან ყველა მისი აღზრდილი ვალში ვართ.

— დაბოლოს, გეტყვით, რომ..

— ...ვეცადე ვყოფილიყავი გულწფელი. თუ ვინწმესთვის რაიმე მიწყენებია, გთხოვთ, მაპატიეთ. ■



ხელოვნების დამსახურებული მოლგანე შალვა განვირების დაიბადა 1931 წლის 19 იანვარს, ახალციხეში. 1957 წელს დაამთავრა საქართველოს შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრალური ინსტიტუტის სარეჟისორო ფაკულტეტით. მუშაობდა მოზარდ მაყურებელთა ქართულ და ჭიათურის თეატრებში, ასევე — საქართველოს რადიომაუნიკაბლობისა და ტელევიზიის სახელმწიფო კომიტეტის ტელესტუდიდაში.

1976-1996 წლებში განერელია მოზარდ მაყურებელთა ქართული თეატრის მთავარი რეჟისორი იყო, სადაც განახორციელა მნიშვნელოვანი რე-

ფორმა — თეატრი მკვეთრი მსოფლიმედველობის მქონე თანამედროვე ახალგაზრდულ თეატრად გარდაჯმნა. განერელიას სახელს უკავშირდება მოზარდ მაყურებელთა ქართული თეატრის შემოქმედებითი მიღწევების სახელმვანი პერიოდი, მისი მეამბოხე სპექტაკულების ხანგრძლივი ეპოქა. დადგმული აქვს 80-მდე წარმოდგენა.

1960 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე (გარდაიცვალა 81 წლის ასაკში) ეწეოდა პედაგოგიურ მოღვაწეობას თეატრალურ უნივერსიტეტში; 2009 წლიდან ხელმძღვანელობდა მაგისტრატთა ჯგუფს საშემსრულებლო ხელოვნებასა და დრამის რეჟისურაში.

# „პლაჟის ლიტერატურა“

ეფექტური ნამზეურის მიღების მოლოდინში, მზისგულზე წოლა, ცოტა არ იყოს, მოსაბეზრებელია. თუკი მოთმინება არ გყოფნით, გარუჯვის პროცესიც შესაძლოა, საინტერესო გახადოთ...

## ეთო ყორდანაშვილი

### „სქელტანიანი ლიტერატურის ცაკითხება მთაში ჯოგია“

მასთერი:

— პლაჟზე უურნალ-გაზეთების კითხვას რაც შეეხება, მხოლოდ ჩემს ინტერვიუებს თუ წავიკითხავ აზურნალ „გზას“ გადავხედავ ხოლმე. ყოფილა შემთხვევა, რომ პლაჟზე წიგნიც წამიკითხავს. სხვათა მორის, მოკლე, იაპონური მოთხრობები ძალიან კარგია. ყველას უურჩევ, რომ ზღვის სანაპიროზე წამოწლოლმა ვრცელი წანარმოებები არ წაიკითხოს. ჩემი აზრით, პლაჟს პატარა მოთხრობები უფრო „უყვარს“. პირადად მე, მზის სხივების მიღების პარალელურად, ძირითადად, „აიფონით“, ინტერნეტით ვერთობი და „ჩემებთან“ (გულშემატკიცვრებს გულსხმობს. — აფტ.) ვურთიერთობ.

— ლიტერატურული წანარმოების კითხვისას, წიგნი გირჩევნია თუ მისი ელექტრონული ვერსია?

— ელექტრონულ ვერსიას საერთოდ არ ვაღიარებ. მხოლოდ მაშინ ვიყენებ, როცა რაღაც ინფორმაცია მჭირდება. წიგნი სხვა კულტურაა. ფურცელს რომ გადაშლი, მისი სურნელი ცხოვრებასთანაც კი სხვაგვარ დამოკიდებულებას გიქმინის.

— პლაჟზე წაკითხულ წიგნს განსაკუთრებული „გემო“ აქვს?

— სხვათა შორის — კი. მაგალი-

თად, გურამ დოჩანაშვილის წიგნები მშვენიერ წასაკითხებია. მახსოვს, შარმანინ პლაჟზე ვეითხულობდი. წოდარ დუმბაძის წანარმოებებიც სასიამოვნოდ იკითხება. პლაჟზე ძალიან ფილოსოფიური წიგნების წაკითხვა არ მიყვარს. „გემოს“ რაც შეეხება, კარგი, მარილიან სიმინდის გემოს ჰგავს. ალბათ, პლაჟზე სიმინდი რომ იყდება, ამიტომ (იცინის)... ისე, ზღვის სანაპიროზე მეტად, მთა მიყვარს. აი, მთაში კი თუნდაც, დიდტანიანი ლიტერატურული წანარმოებების წაკითხვაც შესაძლებელია. ახლახან ყაზბეგში 2 დღით ვიყავი და დიდი ენერგია „ავერიბე“. მთა ადამიანს მყუდრო გარემოს უქმნის, კონცენტრაციაში ეხმარება და იქ წაკითხული წიგნი გამახსოვრდება კიდეც.

### „მზე, სითბო, ზღვასთან სიახლოვე მამშვიდებს“

სოფი სააკაშვილი:

— როცა პლაჟზე წევხარ და ისვენებ, ალბათ წიგნის კითხვასაც სხვანაირი „გემო“ აქვს, რადგან მზე, სითბო, ზღვასთან სიახლოვე გამშვიდებს.


### — პლაჟზე რა წაგითხაებ?

— შტეფან ცვაგის „უცნობი ქალის წერილი“. უფრო ხშირად, გასართობ უურნალებს ვეითხულობ, რომლებშიც თავის მოვლისა და მოდის შესახებ წერია. როცა მზისგულზე ვწევარ, ასე-თი რაღაცები უფრო მაინტერესებს,



ვცდილობ, ზედმეტად აღარ  
გადავიტვირთო

განსაკუთრებით — გარუჯვასთან დაკავშირებული რჩევები, რომ არ დავიწყა. საერთოდ, რომ გითხრა, — წიგნებს ხშირად ვკითხულობ-მეტქი, მოგატყუებ, რადგან უნივერსიტეტში სწავლის ჰერიოდში, ისედაც ბევრი ფილოსოფიისა და იდეოლოგიის წაკითხვა მიხდება. ჰოდა, დასვენების დროს არც მცალი და სურვილიც აღარ მაქსის, რომ დავვადე და სხვა ლიტერატურას გავცენო. ვცდილობ, ზედმეტად აღარ გადავიტვირთო.



მზებე მალე ვიწვები

„ადვილად წასაკითხი წიგნები პარჩ ზაგარს“ „მიგაღებინებს“  
მიშაპა ციცცაპი:

— რადგან ვერ ვირუჯები და მზებე მალე ვიწვები, პლაჟიდან წამოსვლას მალე ვცდილობ. შესაბამისად, იქ წიგნის წაკითხვას ვერც მოვასნებ. ძირითადად, „ესემესებს“ ვკითხულობ (იცინის)... ისე, დამინახავს, რომ წიგნსა თუ უურნალს ბევრი ადამიანი ფურცლავდა. წამზეურის მიღებას ბევრი დრო სჭირდება და ალბათ დრო ასე გაჰყავთ.

— თუ დაპირისებისაა, გარშემო მყოფებიძირითადად, რას კითხულობენ?

— ახლოს არ მიისულვარ, რომ მენახა, მაგრამ ჩემი აზრით, პლაჟზე უფრო მსუბუქი ლიტერატურაუნდა წაიკითხო. დასვენებისას დასაფიქრებელი და ღრმა ფილოსოფიური წანარმოებების წალება არა მგონია, კარგი აზრი იყოს. წოდარ დუმბაძის წანარმოებები და სხვა, ადვილად წასაკითხი წიგნები კარგი იქნება — დროს გაგაყვანიერი წანარმოებების წალება და კარგ „ზაგარსაც“, „მიგაღებინებს“... ახლა უფრო ხშირად, პლაჟზე მყოფებს უურსასმენები უკეთიათ და მუსიკას უსმენება.

— შენს მეულეს გარუჯვისას დრო როგორ გაჰყავს?

— ძირითადად, მუსიკას უსმენს და „ფეისბუკშია“ „შემძრალი“, თუ, რა თქმა უნდა, ინტერნეტი „იჭერს“.

„ზღვის სანაპიროზე რაიმეს წაკითხება მოტაურისად მეჩედება“  
სალომე კოკუავილი:

— გასარუჯვად იმდენ ხანს არ ვწვე-



დოჩანაშვილის წიგნები  
მშვენიერი წასაკითხია



ცურვა უფრო მიყვარს,  
ვიდრე — მზებე წოლა



მიჩელის „ქარწალებულნი“  
შევიძინე და უნდა წავიკითხო

ბილობაა. თან, დიდ ადგილსა არ იკავებს  
და კომფორტულია.

### „ალაზზე პითხეა მიზანებონილად არ მიმართია“

მერსი სულხანიშვილი:

— 2 კვირა თავისუფალი მაქვს. მარგა-  
რეტ მიჩელის „ქარწალებულნი“ შევიძინე  
და უნდა წავიკითხო.

— ზაფხულში წიგნებს პლაზზე კი-  
თხულობ?

— არა. თუ აგარაკზე, სახლში ან  
სასტუმროში ვარ, დილით (12 საათამდე)  
ვკითხულობ ხოლმე, მაგრამ პლაზზე  
წიგნის წასაკითხად არ ვჯდები.

— გარუჯვისას დრო როგორ გაგ-  
ყავს?

— მზეზე დიდხანს უაზროდ წოლის  
მოყვარულიარ ვარ. თუ კაუცილებლად  
ბუნებრივი ნამზეური მინდა, „აიპოდი“  
მიმაქვს, ყურსასმენებით მუსიკას ვუსმენ  
და ასე ვირუჯები. პლაზზე ძირითადად,  
მარტო არ მივდივარ. ჩემთან ერთად  
მეგობრები არიან და ვსაუბრობთ...  
აგარაკზე, აუზთან წიგნის წაკითხვა —  
გასაგებია, მაგრამ პლაზზე ამის გაკეთება  
მიზანშენონილად არ მიმართა.



ვედილობ, სულ ზღვაში ვიყო

### ვინ უნდა იკითხოს ზაფხულში გევრი

აჩირ სოლოლაშვილი:

— პლაზზე გასარუჯად არასოდეს  
ვწვები. ზღვა მიყვარს და ვცდილობ,  
სულ ზღვაში ვიყო. შესაბამისად, როცა  
შუადღისას წყლიდან ამოვდივარ და  
ვისვებ, მაშინ მსუბუქ ლიტერატურას  
ვკითხულობ, რომელიც დასვენებასთან  
ასოცირდება და გონების დაძაბვა არ



ულბეგის „ელემენტარული  
ნაწილაკები“ წავიკითხე

ბი, რომ რაღაც წავიკითხო. ცურვა  
უფრო მიყვარს, ვიდრე — მზებე წოლა.  
ჰოდა, დროის უმეტეს ნაწილს ზღვაში  
ვატარებ. წყლიდან ამოსული ვშრები,  
შემდეგ ისევ საცურაოდ ვპრუნდები და  
ა.შ. პლაზზე უზრნალიც კი არასოდეს  
გადამიღურულავს. საერთოდ, ზღვის  
სანაპიროზე რამეს წაკითხვა ცოტა  
უცნაურად მეჩვენება: მზე ისე ანათებს,  
რომ წაკითხვა ქილგის ქვეშ მყოფსაც კი  
არ შემიძლია, თუნდაც — პლაზზეტში.

### „გარუჯვისას ან გუსიკას ვუსხვ, ან ვკითხულობ“

ნინო მუხლაძე:

— ბუნებრივია, როცა ვირუჯები, ამ  
დროს ვიყვნებ და ან „ფლერში“ რაღა-  
ცას ვუსმენ, ან — ვკითხულობ. გარუჯ-  
ვისას სხვა რა უნდა გავაკეთო? შერსან  
უელპეის „ელემენტარული ნაწილაკე-  
ბი“ წავიკითხე. წელს რას წავიკითხავ,  
არ ვიცი. ისიც კი არ ვიცი, დასვენება  
რამდენ ხანს მომინევს... ალბათ, როცა  
ბარგის ჩაღაებას დავიწყებ, ინტერ-  
ნეტში ლიტერატურას გადავხედავ და  
ჩემს „იბუქზე“ რამეს „ჩავაგდებ“.

— ანუ წიგნის ელექტრონული ვერ-  
სიის წაკითხვას ამჯობინებ?

— ჰო, ეს უფრო მოსახერხებელია.  
„იბუქზი“ ჩემმა დამ მაჩუქა. როცა  
დასასვენებლად მიდიხარ და ისედაც  
უამრავი ბარგი მიგაქვს, წიგნის თრე-  
ვას, ელექტრონული ვერსია ჯობს.  
ადრე წიგნს ზოგჯერ ტელეფონში  
„ვწერდი“ ხოლმე, მაგრამ ტელეფონი  
მაინც თვალს დლის, „იბუქზი“ კი ამ  
მხრივ, ძალიან მოსახერხებელი მოწყო-

სტირდება. წელინადში მაქსიმუმ, 10 დღეს  
ვისვენებ. ამიტომ ასეთ დროს საკუთარ  
თავს ბოლომდერელაქსაციას ვუწყობ —  
ვცდილობ, საერთოდ არაფერი ვაკეთია.  
ვისაც ჩემსავით დატვირთული სამუშაო  
დღის რეზიტი აქვს, ზაფხულში ისეთი  
ლიტერატურის წაკითხვას ვურჩევ,  
რაც კარგ ხასიათზე დააყენებს, ხოლო  
ვინც არ მუშაობს და მთელი ცხოვრისა  
ისვენებს, ჯობია, ბევრი იკითხოს — ეს  
ნამდვილად არ აწყენს (ილიმის).

### „პითხეა დიდი სიამოვნებაა“

სოლო გელოვანი:

— ზღვის სანაპიროზე მყოფს წიგნისა  
თუ უურნალის კითხვა მიყვარს. თან,  
ზღვის სხმ მაშვიდებს. პლაზზე მუსიკის  
მოსმენაც ძალის მომზონს. სიმართლე  
გითხრათ, მზეზე დიდხანს ვეღარ ვწერ-  
დები, რადგან მწვევლი სხივებია. ძირითა-  
დად, ქოლგის ქვეშ ვარ.

— პლაზზე რა სახის ლიტერატურის  
წაკითხვას ამჯობინებ?

— გააჩნია, როგორ განწყობილებაზე  
ვარ. მაგალითად, ბოლოს პლაზზე ნოდარ  
დუმბაძის მოთხრობები წავიკითხე, რად-  
გან სახალისო განწყობილებას მიქმნიდა.  
ხმაური მაინც თავისას შერება, კითხვისას  
ადამიანსა ზრი გეფანტება. პლაზზე წიგნს  
ცოტა ხანს, მაქსიმუმ — 1 საათი ვკითხუ-  
ლობ. ეს პროცესი სიამოვნებას მგვრის.

— წიგნი გირჩევნია თუ მისი ელექ-  
ტრონული ვერსია?

— ბოლოდროს, ინტერნეტით ხშირად  
ვსარგებლობ — სიახლეებს ვათვალი-  
რებ, მაგრამ ლიტერატურულ ნაწარ-  
მოებს რაც შეხება, ელექტრონულ ვერ-  
სიას გემო ვერ გაუგე, წიგნი მირჩევნია.

— პლაზზე წასაკითხად რომელმე



ელექტრონულ ვერსიის გემო  
ვერ გავუგე

ნაწარმოები ხომ არ შეგირჩევა?

— ზოდარ დუმბაძის შემდეგ, მიხეილ  
ჯავახიშვილს „მივადექ“. რატომდაც, მინდა,  
ქართულილიტერატურას ელექტრონულ  
ვწვებით და ბავშვისაში წაკითხული აღვი-  
დებინო. ამჟამად, ზღვაზე ვისვენებ. ყველას  
ვურჩება, სანაპიროზე წიგნები წიგნისას —  
ზღვის ტაღლების სიახლოეს კითხვა დიდი  
სიამოვნებაა, თუ, რა თქმა უნდა, გარშემო  
მყოფებიარ ხმაურობენ.

# ეთა მოსკოვში ნასვლამდე და შემდეგ...



რამ შეცვალა მომღერალი, რომელიც ველბარულობას გაშრბოდა

ქეთა თოფურია ზოდიაქოთი ქალწულია, წლის მიხედვით — ვეფხვი. ამბობდა, რომ ასტროლოგის ნაკლებად სჯერა. მიზანდასახული გოგონა ყოველთვის ცდილობდა, დაწყებული საქმე აუცილებლად, პოლომდე მიეყვანა. წლების წინ, „გზისთვის“ მიცემულ ერთ-ერთ ინტერვიუში აღიარა, რომ ჯიუტია და თავი ასე იმართლა: — „ეს დედისერთებისთვის დამახასიათებელი თვისებაა. ასევე, ეჭვიანი ვარ. თუ ვინმე მომწოდით ხელში მყავს შეკლული. ჩემი მომავალი მეუღლე ამის გამო ძალიან უბედური იქნება“.

## მარეს ქონიშვილი

უცნობია, ანუ ებებს თუ არა ეჭვიანობით მეუღლეს — ლევ გეიბმანს, მაგრამ როგორც ამბობენ, წყვილს ერთმანეთი ძალიან უყვარს და ერთმანეთს ავსებენ. ცოტა ხნის წინ ქეთამრუსულ გამოცემას — ინტერვიუ მისცა, სადაც ურნალისტის მიერ დასმულ კითხვას: დაახლოებით ერთი წელია, რაც გათხოვდი. შევიძლია გვითხრა, რა შეიცვალა თქვენს ოჯახურ ცხოვრებაში? — ასე უპასუხა:



თუ ვინმე მომწონს, ეჭვიანობით ხელში მყავს შეკლული

— არაფერი შეცვლილა და ეს ძალიან კარგია. როდესაც იწყება ყოველდღიურობა, გარჩევები, ეს უკვე ძალიან ცუდია. ჩემთან ყველაფერი კარგადა. ისიც გასათვალისწინებელია, რომ ნაჩერევად არ დავქორნინებულვართ — 4 წლის განმავლობაში ვხვდებოდით ერთმანეთს და მე ისედაც ლევის ცოლი ვიყავი. უბრალოდ, მერე გადაწყვიტეთ, ამ ყველაფრისთვის ოფიციალური სახე მიგვეცა და ახლობებისთვის დღე-სასწაული მოგვეწყო.

— როგორ ფიქრობ, რა არის იმ პრო-

ბლემების მიზეზი, რომელიც ოჯახში ქორწინების შემდგომ იჩენს ხოლმე თავს?

— ასეთ დროს დამნაშავეა ორივე მხარე: ცოლიც და ქმარიც. ოჯახი — ეს იგივე სამსახურია; უნდა იშრომო ისე, როგორც ამას ყოველდღე სამსახურში აკეთებ. ეს როტული მეცნიერებაა და იმისთვის, რომ ყველაფერი კარგად იყოს, ძალისმევა არ უნდა დაიშურო. ყველაფერთან ერთად, ცოლ-ქმარმა გულწრფელობა უნდა შეინარჩუნოს.

— ლევს ქალიშვილი ჰყავს, რომელიც



მინდა, მსოფლიო დონის ვარსკვლავი გავხდე



ვედილობ, ძალიან დეკოლტერებული ტანსაცმელი ჩემს გარდერობში არ მოხვდეს



ჩემთვის რთული იყო თბილისში ყველაფრის მიტოვება

**შვეიცარიაში ცხოვრობს. მასთან დამე-  
გობრება მოახერხეთ?**

— დიახ, ჩვენ ძალიან კარგი ურთიერ-  
თობა გვაქვს. სონია ნიჭირი, ლამაზი  
გოგოა. სხვათა მორის, კარგად უკრავს  
ფორტეპიანოზე... როცა დასასვენე-  
ბლად მივდივართ, ისიც ჩვენთან ერთა-  
დაა. ერთად დავდივართ მაღაზიებში და  
ვურჩევ ხოლმე, რა იყოდოს. ვფიქრობ,  
15 წლისას გვერდით გჭირდება ადა-  
მიანი, რომელიც სწორ მიმართულებას  
მოგცემს.

— მისი გვერდით ყოფნისას არ გიჩნ-  
დებათ სურვილი, რომ საკუთარი შვილი  
გყავდეთ?

— გსურს დმიტრო გააცინო? — მაშინ  
მოყვევი შენი გეგმების შესახებ. მაგრამ  
ალბათ, უკვე დროა, ამაზე ვიფიქრო. მე  
უკვე მინდა მყავდეს შვილები.

დაახლოებით 10 წელია, რაც ქეთა  
საცხოვრებლად მოსკოვში გადავიდა, მა-  
ნამდე კი პოპულარული მომღერალი ქა-  
რთველ ურნალისტებსაც გვანებივრებ-  
და თავისი გულწრფელი ინტერესუებით.  
„გზის“ არქივიდან გთავაზობთ ამონარ-  
იდებს და თავად განსაჯეთ, თუ როგორი  
მეტამორფოზა განიცადა მომღერალის  
ამ 10 წლის განმავლობაში. ყველაზე  
მეტად კი მისი ერთი ფრაზა მომერთ-  
ნა: „ჩემს გარდერობში ვერ ნახავთ  
ზედმეტად დეკოლტირებულ სამოსს“, ა-  
რადა, მოგეხსენებათ, ნლევანდელი  
„იურმალის“ კონკურსზე სწორედ ქეთას  
დეკოლტებ „დაშოკა“ ამ კონკურსზე  
მყოფი საზოგადოება...

„რა მიხდება? — სპორტული სტილიც  
და კლასიკურიც. სცენაზე სპორტულის  
ჩაცმა გამაღიზიანებელია, ამიტომ ვარ-  
ჩევ კლასიკურს. ყველა ფერი მიხდება,

მაგრამ არ მიყვარს მყვირალა, „იარკი“  
ფერები. ვცდილობ, ძალიან მოღებული  
და დეკოლტირებული ტანსაცმელი ჩემს  
გარდერობში არ მოხვდეს. არ მინდა,  
უულგარული ვიყო“.

„ბევრი ამბობს, რომ მამაკაცის გა-  
რეგნობას მნიშვნელობას არ ანიჭებს,  
ჩემთვის კი ამას ძალზე დიდი მნიშვნე-  
ლობა აქვს. თუმცა, გემოვნება ხმირად  
მეცვლება. წინათ შავგვრემანი მამაკა-  
ცები მომზონდა, ახლა — ქერა. რაც შე-  
ეხება თვისებებს: უნდა იყოს თბილი და  
ერთგული, უნდა ვუყვარდე მეც და ჩემ  
გარშემო მყოფი ადამიანებიც. მის მა-  
ტერიალურ მხარეს დიდ ყურადღებას  
არ მივაქცევ, მაგრამ ოჯახის რჩენის  
საშუალება უნდა ჰქონდეს...“

„ვარ ერთგული და კარგი მეგობარი.  
ხშირად ვნატრობ ისეთი მეგობრის  
ყოლას, როგორიც თავად ვარ სხვების-  
თვის...“

„მშობლებიც და მეგობრებიც მსაყ-  
ვედურობენ, — ფანცარა ნუ ხარო, მე კი  
ჯერჯერობით, დაჭვივიანებას არ ვაპი-  
რებ. როცა ჩუმად ვზიგარ და სერიოზუ-  
ლი სახე მაქვს მიღებული, მეკითხებიან:  
რა გჭირს? რა მოგივიდაო? მეუბნებიან:  
ასეთს ვერ გიტანთო! გამოდის, რომ  
სერიოზული ქეთა არ მოსწონთ...“

„ეზოში სათამაშოდ რომ გავდიო-  
დი, ბავშვები შინ გარბოდნენ. ძალიან  
მიყვარდა გარაჟის თავზე ჯდომა და  
ბავშვების (ცემა. ასევე, „როლიკებით“  
სრიალი (ილიმის)…“

„სამღერა ჩემი ბავშვობის ოცნება  
არ ყოფილა. ბავშვობაში მინდოდა, სამ-  
შობიარო სახლში მემუშავა და უამრავი  
ჩივილი დაბადებულიყო ჩემს ხელში...“

„ძალიან პატარა ვიყავი. ჩემს მეზო-  
ბლად მუსიკის მასნავლებელი — ელზა  
ლელუაშვილი ცხოვრობდა. მის გასა-  
გონად მთელი ხმით ვმღეროდი. მაშინვე  
ვხვდებოდი, რომ სიმღერის გარეშე  
ვერ ვიცხოვრები. ქალბატონი ელზას  
სიმღერა — „გვეყვარება ერთმანეთი“  
მოგვიანებით მე და აჩი ფურცელაძემ  
ვიმღერეთ. წლების წინ საბავშვო-სა-  
მანეკენზო თეატრ-სტუდიაში მიმიწვია.




დაახლოებით 10 წელია, რაც ქეთა  
საცხოვრებლად მოსკოვში გადავიდა

ვმონანილებდი სილამაზის კონკურსში  
და გავხდი „მის მოღელი“ და „მის ტოპ-  
მოღელი 96“. ჩემმა დიზაინერმა იცოდა,  
რომ სიმღერა შემეძლო და მითხრა, —  
მოდი, ესპანური სიმღერა ჩანერეო.  
მიმიუგანეს ნაზიდუმბაძესთან და კარგი  
სიმღერა შემასწოლება. მერე ბათუმში  
მივდიოდით და საზაფხულოდ კიდევ ვ  
ჩანერე სიმღერა, რომელიც ოთარ ტა-  
ტიშვილმა დამინერადა სულ მალე, მისი  
მოსწავლე გავხდი. აქედან დაიწყო ჩემი  
მჭიდრო კავშირი მუსიკასთან...“

„რა მაღიზიანებს? — ალბათ ის, რომ  
ზოგიერთს დიდი წარმოდგენა აქვს

### ძეთა თოფურია „იურმალაში“ რეალიტიდაზე ალკოჰოლიტ გაომოცხადდა

ჯგუფ „ა-სტუდიოს“ სოლისტი ქეთა  
თოფურია იურმალაში მუსიკალურ  
კონკურს „ახალ ტალღაზე“, საკუთარი  
საკონცერტო ნორის რეპეტიციაზე,  
ალკოჰოლიტ ხელში მივიდა და ლუდით  
სავსე ბოთლი პაპარაცებისგან არც  
დაუმალავს. სცენასთან მდგარი ვარს-  
კვლავი ნელ-ნელა წრუპავდა სასმელს.



ხანდახან მართლაც ვარ მკაცრი,  
ზოგჯერ – ძალიან მკაცრიც




მოსკოვს ისე მივერვიე, ახლა ვერ  
წარმომიდგენია საკუთარი თავი  
სახვაგან

საკუთარ თავზე, სინამდვილეში კი დიდს  
არაფერს წარმოადგენ...“

„მინდა, მსოფლიო დონის გარსკვლა-  
ვი გაეხდე. ახლა მიწვევა მაქვს მოსკო-  
ვში. საერთოდ, ნელს იმდენი მიწვევა  
მქონდა, მგონი, რეკორდსმენი ვარ“.

„არ მიყვარს, როცა ჩემს ოთხში ვინდე  
დაუკითხავად შედის. მინდა, მქონდეს  
დიდი ოთახი. ძალიან მიყვარს სათამა-  
შოები. უამრავი თოვლინა მქონდა, ახლა  
კი უმეტესობა გავაჩერებე, ზოგიც ძალმა  
დამიგლოვა... როცა მარტო ვრჩები, რით  
ვერთობი? — ვუსმენ რუსულმუსიკას. მუ-  
სიკას ჩემი ხასიათის შეცვლა შეუძლია...“

ქეთას ერთ-ერთი ინტერვიუთი თუ  
ვიმსჯელებთ, ის არ მიიჩნევს თავს ტი-  
პურ ქართველ გოგოდ, ფიქრობს, რომ  
თავიდანვე ევროპეიზებული იყო და  
ცოტაარიყოს, შეძლილიც: „ყოველთვის  
პირდაპირ ვამბობდი სათქმელს. თუკი  
ვინმე მომწონდა, გრძნობებს არ ვმალა-  
ვდი. ყველა მეუძნებოდა, — „გაგიუდი?  
მამაკაცმა პირველმა უნდა გადადგას  
ნაბიჯი, ჯერ იმან უნდა დაგირეკოს“. ეს  
ჩემთვის ყოველთვის სულერთი  
იყო... ბევრი რატომლაც მიიჩნევს, რომ



შესახებ ჭორები მართლაც დადის...

— როდესაც ჩემს მეგობრებს ამის  
შესახებ ეკითხებან, მათ უბრალოდ,  
ეცინებათ. ისე, ხანდახან მართლაც  
ვარ მკაცრი, ზოგჯერ — ძალიან მკა-

## ეპთა თოფურიას დეკოლტემ იურმალა შოკში ჩააგდო

რუსული შოუბიზნესის ერთ-ერთი  
ყველაზე მოღური სახე ა'Studio-ს  
ქართველი სოლისტი თავისი იმიჯით  
მუდმივად აოცებს თაყვანის მცემლებს.  
25 ივნისს იურმალაში ალა პუგაჩივას  
შემოქმედებითა საღამო გაიმართა,  
რომელზეც ა'Studio-ც იყო მიჩვეული.  
ქეთა თოფურიას ჩატმულობამ კი ყვე-  
ლა მოლოდინს გადააჭარბა.

ქეთა თოფურია მეგობარი დიზაი-  
ნერების — ბესარიონისა და ალექ-

ცრიც კი, მაგრამ ჩემგან უსამართლოდ  
არავის მოხვდება.

— თუ გახსოვთ, რაზე ოცნებობ-  
დით, როდესაც თბილისში ჩემოდანს  
აღაგებდით?

— მაშინ 17 ნოემბერი. იქ მყავდა



მე უკვე მინდა მყავდეს შვილები

უამრავი მეგობარი და მქონდა კარიერა.  
არსადნასვლა არ მსურდადა არმინდოდა  
არაფერი ახლო, მაგრამ საკუთარ თავს  
ვუთხარი: „ახლა შენ ეს უნდა გააკეთო!“  
ვოცნებობდი იმაზე, რაც ახლა მაქვს!

— ანუ შეგიძლიათ, საკუთარ თავს  
ბეჭდიერი ადამიანი უწოდოთ?



ვოცნებობდი იმაზე, რაც ახლა მაქვს

— დიას. ყველას აქვს ცუდი დღეები,  
მაგრამ ეს ნორმალურია. ყოველთვის  
და ყველაფერი მხოლოდ სულელებს  
უხარისა, მე კი ბეჭნიერი ვარ.

# გულწრფელობა და დაუგარელი შრომა

რაში გამოადგა ნ060  
ნიკლაურს მებრძოლი  
ხასიათი

ნინი წიელაურის წარმატების ფორმულა ასეთია: იღბალი, დამოუკიდებლობა, მებრძოლი ხასიათი, დაუღლალავი შრომა და ახლის შექმნის სურვილი. ნინი ერთდროულად რამდენიმე ადგილას მუშაობს და იმდენდ დატვირთული დღის რეჟიმი აქვს, რომ ქალაქებარეთ გასვლას რამდენიმე დღითაც ვერ ახერხებს. სამაგიეროდ, სექტემბერს სამი აზალი სიმღერით შეხვდება...

## შორენა დაბაძე

— განათლების სამინისტროში ვმუშაობ და საღამობით რამდენიმე ადგილას ვმდერი. პარალელურად, სამსიმღერას ვამუშავებ: ერთი ლელა წურნუმიას, მეორე — გია მაჭარაშვილს, მესამე კი ანრი ჯოხაძეს ეკუთვნის. პირველ კლიას ანრის სიმღერაზე გადავიდებთ. გადავწყვიტე, სიმღერებზე მუშაობა ზაფხულში დავსარულო, რომ სექტემბრისთვის მსმენელს ახალი ნატურელები შევთავაზო.

— ახლახან ლევან ჯავახიშვილის ქორნილს დაესწარით...

— დიახ, არაჩეულებრივი, თანამედროვე ქორნილი იყო ულამაზესი გაფორმებით. გარდა იმისა, რომ ეს ლევანისა და მისი მეუღლის ზემომი იყო, თითოეულმა სტუმარმა საოცარი დრო გავატარეთ...

— პროექტმა — „ჯეოსტარი“ ძალიან ბევრი კარგი მომღერალი „დაგვიტოვა“, მაგრამ დროთა განმავლობაში, ბევრი მათგანი, მათ შორის — გამარჯვებულებიც სცენაზე აღარ ჩაანან. როგორ ფიქრობთ, რა არის ის საიდუმლო, რამაც ნინი წიელაური სცენას შეუნარჩუნა?

— ეს შეკითხვა ბევრს უჩინდება, ვფიქრობ, ამის მთავარი მიზეზი ის არის, რომ სცენაზე პირველი გამოსვლიდანვე მაყურებლის წინაშე აბსოლუტურად გულწრფელი ვარ. გარდა ამისა, მუდმივად ვმუშაობ, მსმენელსა და დაქირავებულს ახალ პროდუქტს ვთავაზობ. კონკურენცია მაღალია, თუ რიტმს არ აპყევი, ჩამორჩები.

— აღბათ, იღბლიანიც ხართ...

— ნამდვილად და ეს ბევრ სიტუაციაში მიგრძნია.

— ამბობთ, რომ შემოქმედების გზაზე ბავშვობიდან მარტო ხართ. მებრძოლი ხასიათი ამნაც ჩამოგიყალიბათ? თქვენი წარმატების ერთ-ერთი ფორმულა ესეც ხომ არ არის?

— ნამდვილად ასეა! თუნდაც, როცა




მაყურებლის წინაშე აბსოლუტურად გულწრფელი ვარ

სიმღერაზე ვმუშაობ, არ ვფიქრობ, რომ ვინმე დამხემარება. ყველანაირ პასუხისმგებლობას საკუთარ თავზე ვიღებ. თანაც, რასაც მარტო ვაკეთებ, უფრო „ჩემი“ და უფრო სასიამოვნოა, ხოლო რაც საზიაროდ გავაკეთე, ის საზიაროდვე დარჩა (ოლონდ, პედაგოგების დახმარებას არ ვგულისხმობ).

— ვინ არის ადამიანი, ვინც ნინი წიელაური აღმოაჩინა?

— მარინა ბერიძემ მიპოვა და აქედან დაინყო ყველაფერი. მადლობელი ვარ



ქალბატონი მარინასი და იმ გუნდის, რომელიც პროექტზე — „ჯეოსტარი“ მუშაობდა.

— პირადმა ცხოვრებამ თუ შეგიშალათხელიშემოქედებით საქმიანობაში?

— ვერ ვიტყვი, რომ შემიძლა, რადგან როცა საფრთხევიგრძენი, შევეცადე, დამემთავრებინა. თუ ადამიანს ჩემთან ურთიერთობა უნდა, იმის ახსნა არ უნდა სჭირდებოდეს, რამდენად მნიშვნელოვანია ჩემთვის სცენა, სიმღერა. ქართველ კაცებს დიდად არ სიამოვნებთ გოგო

ტელეწამყვანი თინა კანდელაკი ჯანსაღი ცხოვრების წესის მიმდევარია. მუდმივი ვარჯიშები და კვების სწორი რეჟიმი ვარსკვლავს ფორმის შენარჩუნებასა და პარამეტრების გაუმჯობესებაში ეხმარება.

„ინსტაგრამის“ საკუთარ გვერდზე თინამ აღიარა, რომ წონის კლებამ სიმვიდე დაუღლვია. მან გამოაქვეყნა ლიფტში გადაღებული ფოტო და დაწერა: „მეცნიერებმა დაამტკიცეს, რომ ადამიანებს, რომელიც საკუთარ თავს გამუდმებით ულებენ ფოტოებს, ფსიქიური პრობლემები აქვთ. აბა, სცადე და შეინარჩუნე სიმშეიდე, როდესაც 5 კილოგრამით იკლებ წონაში!“

შეგახსენებთ, თინა კანდელაკი გარეგნობას ძალიან დიდ ყურადღებას უთმობს. ცოტა ხნის წინ გამოტყვდა, რომ დალაქებთან დააბული ურთიერთობა აქვს. „ვერ მიტანენ მთელი მოსკოვის დალაქები. ყველ ჯერზე, როდესაც სტილისტი ჩემს მითითებებს ზუსტად ასრულებს, მზად ვარ, კოცნით ავავსო“, — წერს ტელეწამყვანი თავის ბლოგზე.

სცენაზე. იმდენას, ცხოვრების მეზურად ისეთი ადამიანი არ შემხვდება, ვისთვისაც ეს პრობლემა იქნება.

— ამბობთ, საქართველოში ჰაერსაც კი თავისი გემო აქვსო. უცხოეთიდან კარგი შემოთავაზების შემთხვევაში, არ დატოვებთ ქვეყანას?

— შემოთავაზება აქამდეც მქონდა, მაგრამ საქართველოდან წასვლა ვერ შეძებელი. ქვეყნებს შორის ურთიერთობის დაძაბვამდე შემოთავაზება რესეთიდან მივიღებ, მაგრამ ეს ნაბიჯი ვერ გადავდგი.

— იმიტომ, რომ რესეთი იყო?

— არა, ამის გამო არა. ყაზახეთშიც მიმიწვიეს, მაგრამ ვერც იქ წავედი.

— და ეს ერთხელაც არ გინანათ?

— კი, მინარია. ასეა თუ ისე, რესეთში შოუბიზნესა ყვავის და შემეძლო, ჩემი სიმღერით იქ მეტყველება, ვიდრე ამას ახლა ვახერხებ... იცით, მეჩვენება, რომ ადამიანები ხმირად, ზარმაცობენ. ბევრ-ჯერ გამიგონია წუწუნი, თითქოს სხვა ქვეყნებში ბევრად კარგი ცხოვრებაა. თუ იზარმაცებ, წარმატებას ლანგრით არც ერთ ქვეყანაში არავინ მოგართმევს. ბევრჯერ უთქვამთ, სიმღერა რატომ უნდა დავწერო, როცა კონცერტები არ არისო. პირადად მე, სიმღერებსაც ვწერ და კონცერტებიც მაქვს. დამქირავებელი იმ მომღერლით ინტერესდება, ვინც შრომობს, ასალს ქმნის. ღრმა ბავშვობაში ჩანერილი სიმღერით კონცერტზე არავინ დაგინახება.

— გვერდით ტიპურ ქართველ მამაკაცს აიტანდით?

— იცით, ნამდვილად მინდა, რომ ჩემს რჩეულს ქართული მანერები ჰქონდეს. თუმცა, ყანების ტრიალსა და მსგავს ქართულ წესებს ნამდვილად ვერ ავიტან... საუკეთესო ვარიანტი „შუალედური ტიპის“ ქართველი იქნებოდა.



წარმატებას ლანგრით არც ერთ ქვეყანაში არავინ მოგართმევს

# ქურდობისთვის დასტილირატი დურგლიშვილი

„დედისთვის მოვიპარე“



კონცერტებს პატარაობიდანვე მიჩვეული ვიყავი

ცხელ ზაფხულში, თბილისში მყოფ და სტუდიაში აქტიურად მომუშავე მომღერალ რატი დურგლიშვილს „პირველი“ ამბები გავახსენეთ. თურმე, ბავშვობაში ფულს ხშირად პოულობდა. პირველად 5 მანეთი უპოვია და დედისთვის საჩუქარი უყიდია...

## ეთო ყორდანაშვილი

— პირველი სასცენო გამოსვლა....

— საგარაუდოდ, 5 წლის ვიყავი, „აჩუ, აჩუ, ცხენი“ რომ ვიმღერე. სხვათა შორის, აუდიოჩანანერიც არსებობს. ძალიან სასაცილო ვარ — მანერულად ვმღერი (იცინი).

— სად იმღერე?

— საქართველოში არსებულ თითქმის ყველა საკონცერტო დარბაზში გამოვსულია. მაამა თავის ვოკალურ-ინსტრუმენტული ანსამბლის კონცერტებზე ბზე ხშირად მაღლერებდა. ფილარმონიაში ბევრჯერ ვყოფილვარ. დად სცენებს, კონცერტებს პატარაობიდანვე მიჩვეული ვიყავი. ეს კარგია — ბავშვობაში მიღებული გამოცდილება გამოგადგება, თუ, რა თქმა უნდა, მომღერლის კარიერას აირჩევ.

— პირველი სიგარეტი...

— ალბათ 17 წლის ვიყავი... საერთოდ, მოწევა გვიან დავიწყე. სკოლაში სწავლის პერიოდში არ ვეწეოდი... მე და ჩემი მეგობარი ეზოში ვსეირობდით. ის სიგარეტს ეწეოდა. ვთხოვე, მომეცი-მეთქი. თავიდან ნაფაზს არ ვურტყამდი, უბრალოდ, „ვმაიმუნობდი“; ვითომ ვერეოდი და „ვკაცობდი“. ნელ-ნელა მივეჩვიე, კვამლი ფილტვებ-

ში ჩავუშვი და რა ჩავუშვი (იცინი)?!

— ახლაც ეწევი?

— წელინად-ნახევარი თავი დანებებული მქონდა. ახლაც იმ აზრზე ვარ, რომ მოწევას უნდა შევეშვა, რადგან სიგარეტი ნაგავია. მისი მეშვეობით ჯანმრთელობას თავადვე ვისპობ.

— პირველი გრიმი...

— მგონი, ტელევიზია, „ერიკაში“. მამაჩემის სააუტილეო საღამო იყო... შემდეგ პროფესიონალური, თეატრალური გრიმი გიმანაზიაში სწავლის პერიოდში გამიკეთეს: ოპერეტა — „კონკია“ და-დგეს, რომელშიც პრინცის როლში გახლდით. მახსოვს, დუბლიორიც არ მყავდა. გრიმის გაკეთებისას ვკიოდი, ვერ ვსუნთქავ, მომაშორეთ-მეთქი.

— პირველი სიყვარული...

— საბავშვო ბალში ერთი ბავშვი — გვანცა იყო. რატომდაც ძალიან მიყვარდა. ყველაფერი მახსოვე... ბავშვური გრძნობა ყოველთვის მართალია.

— ახლა ერთმანეთს იცნობთ?

— არა... მისი გვარი არ მახსოვს, მაგრამ სახეზე თუ არ შეცვლილა, რომ შემხვდეს, ვიცნობ.

— საბავშვო ბალის მერე, ბუნებრივია, შეიცვლებოდა.

— მაგალითად, მე ისეთივე სახე მაქვს, როგორიც ბავშვობაში მქონდა. ვი-

საც ადრე ვუნახავეთ, ყველა აღნიშნავს, — უმ, საერთოდ არ შეცვლილხარო.

— პირველი არდადეგები ზღვაზე...

— სოხუმში იყო. ფოტოგებიც მაქს გადაღებული. ძალან ბედნიერი ვარ, რომ იქ ყოფნა მომიხდა. შადრევანი, ცხენი (რომელზე ამხედრებულმაც სურათი გადავიღე) და საერთოდ, ის ტეროტორია პუნდოვნად მახსოვეს.

— პირველი გასაუბრება-კასტინგი სამსახურის დასაწყებად...

— ბარში ბენდთან ერთად სიმღერა შეიძლება, ჩემს თფიცალურ სამსახურადჩაითვალოს. მუშაობის დაწყებამდე კასტინგი გავიარე. მიკროფონი ლამის, ხელიდან გამივარდა. მენეჯერი მეუბნებოდა, — კარგი ბიჭხარ, რა გინდა, რატომ ნერვიულობო? ვკასუხობდი, — არა, ჩემი ხმა მეზიზდება, ეს არ მომწონს, ის არ მომწონს-მეტე. სიმართლე გითხრა, დავტანჯე, მაგრამ მაინც ამიყანეს.

— კასტინგის შესახებ როგორ შეიტყვე?

— იმ ბარში ჩემი მეგობარი მუშაობდა, რომელიც მოსკოვში გაემგზავრა და სიმღერა იქ განაგრძო. მთხოვა, — შემცველე, ადგილიც შემენახება და შეცნ ხელფასი გექნებათ. ძალიან დიდან მირეკავდა. მისი მადლიერი ვარ, უმაგრესი ადამიანია. მან ნამდვილად, მეგობრული რჩევა მომცა. იქ მუშაობის პერიოდი, ჩემი ცხოვრების ერთ-ერთ საამაყოგზად მიმართა. ახლა მოზარდებს რომ ვუყურებ, რომელებიც მაგალითად, მიმტანებად მუშაობენ, სიგიურმდე მივდივარ — ეს ხალხი მიყვარს და მათ შრომას ვაფასებ.

— პირველი იმედგაცრუება...

— (ფიქრობს) დამიჯერებ, რომ იმუდგაცრუება არ მქონია?

— ბოლოს და ბოლოს, იქნებ ბავშვობაში ნაყინი გინდონდა და არ გიყიდებ?

— ბავშვობაში ჩემთვის ნაყინი რომ არ ეყიდათ, შენ არ იცი, რა მოხდებოდა (იცინის)... ასეთი საშინელი ჩვევა მქონდა: როდესაც მალაზიში შევდიოდით, საფრთხლეც რომ მომწონებოდა, უნდა ეყიდათ. გავიძახოდი, — მიყიდე, მიყიდე-მეტე! ჩემი კაპრიზებით ხალხი რომ შევანუხე, მამაჩემის ბენდის წევრმა „მიყიდე“ შემარქვა. ამან ჩემს თავმოყვარებობაზე იმოქმედა, შემრცხევა. მერე დედაჩემს უკვე ყურმი ვეუბნებოდი ხოლმე, — მიყიდე-მეტე! (იცინის)... ცხოვრებაში იმედგაცრუება ვერ მექნებოდა, რადგან მამა ჩემთვის ყველაფერს აკეთებს. მშობლების მადლიერი ვარ. მათ გამოუფალს ყოველთვის მადლიბას ვწირავ. ღმერთმა იმის ძალა მომცეს, რომ ამაგი ათმაგად გადავუხადო... საოცრად ყურადღებიანი მშობლები მყავს. რაც

მჭირდებოდა (ფუნჯი, ფანჯარი, მოლბერტი, ნიგნი...), ყველაფერი მქონდა.

— პირველი ინტერვიუ...

— 7 წლის ვიყავი. მაშინ ლექსებს ვწერდი. ჩემი ერთ-ერთი ლექსი გაზირ „კომუნისტში“ დაბჭებდეს. ის გაზირი ახლაც გვაქვს — „გადახუხულია“ (იცინის). ლექსი რომ წაიკითხო, სიცილით მოკედები.

— ზეპირად თუ გახსოვს, წაგვიყითხე...

— არა, არ მახსოვს. დედაჩემს სადაც შენახული აქვს. ხომ ხედავ, თავიდანვე ასეთ ვარსკვლავზე დავბადებულვარ, რომ ჩემგან ინტერვიუებს იღებდნენ... რა კარგ რაღაცებს მახსენებ (იცინის).

— ინტერვიუს დროს ღელავდი?

— მაშინაც ეს თვისება მქონდა: ძალიან თავმოყვარე და პასუხისმგებლობის გრძნობის მქონე ვარ. საერთოდ, ყველაფერი სარისხიანად უნდა ვაკეთო. იმ შემთხვევაში ვწერვიულობ, თუკი საკუთარ თავში დარწმუნებული არ ვარ. ალბათ, პირველი ინტერვიუს დროს ვწერვიულობდი. თუმცა, ფილოლოგი მამიდა მახლდა, რომელმაც ლექსში გრამატიკული შეცდომები შემისწორა. მაინც, მაშინვე ვკრძნობდი, რომ უკეთესად შემეცლო (იცინის).

— პირველი სიმთვრალე...

— აუთ, ზუსტად არ მახსოვს. ერთ-ერთ კლუბში დავთვერი. ალბათ, მეცხრე კლასის მოსწავლე ვიყვიო.

— „თავი ხომ არ დაგიკარგავს?“

— არასდროს! ჩემი მეგობრები ყოველთვის ამბობენ, — შენთან ერთად დალევაზე „ვაფრენთო“! კარგი სიმთვრალე მაქვს, მაგრამ ისეც ყოფილა, ვიღაცს ნერვები მოუშლია.


— პირველი კერძი, რომელიც მოაზიდე...

— მშობლები სოფელში იყვნენ. თბილისში დაბრუნებას რომ აპრებდნენ, გადაწყვეტის, მათთვის კერძი დამხევედრებინა. ხორცის ბურთულები გავაკეთე და „ჩიუიბიუში“ ჩავყარე. ძალიან გემრიელი გამოვიდა. საერთოდ, „ცუდი ხელი“ არ მაქვს, რაღაცების მომზადება შემიძლია...

— პირველი ტყუილი...

— კარგად მახსოვს. ამ ამბის მერე, ტყუილი ისე შემტულდა, რომ მეგობარმა თუ მომატყუა, მაშინვე ვკარგავ... მოკლედ გიამბობ, რა მოხდა: „დედის დღე“ ახლოვდებოდა. მოგეხსენება, პატარა ბავშვს ფული არ აქვს, რომ მაღაზიაში რამე იყიდე ფიცოდი. ყველაფერი ქვეცნიბიერად მოხდა. მაღაზიაში დედასთან ვიტყუები. დასჯასაც ხომ გააჩნია? ეტყუიბა, მშობლები ჩემს თავმოყვარებას ზუსტად შეეხნენ.

ველოდი. დღესასწაულზე დედას საჩუქარი მივართვი. მკითხეს, — ნივთები საიდან გაქვსო? თავიდან დავმალე, რომ მოვიპარე, მაგრამ საბოლოოდ, ვერ მოვატყუე და გამოვტყუდი. სასტი-



ისეთივე სახე მაქვს, როგორიც ბავშვობაში მქონდა

კად დამსაჯეს. ხელი მომკიდეს და იმ დღეს ვადაც მაღაზიაში „მიმიტანეს“; 1-2 მომცხეს კიდევ.

— მაღაზიაში გამყიდველმაც დაგ-საჯა?



მეგობრები ყოველთვის ამბობენ, — შენთან ერთად დალევაზე „ვაფრენთო“

— პირიქით, ამბობდა, ბავშვს შეეშვითო. ძალიან კარგია, რომ დავისაჯე-დღეს სამართლიანი ცხოვრების მოყვარული ადამიანი ვარ და ვერასოდეს ვიტყუები. დასჯასაც ხომ გააჩნია? ეტყუიბა, მშობლები ჩემს თავმოყვარებას ზუსტად შეეხნენ.



ცნობილი თურქი მსახიობი — მურატ ილდირიმისაქართველოს მეორედ ეწვია. ლეიკემიითა და სოლიდური სიმსივნით დაავადებული ბავშვების დასახმარებლად, მსახიობი ბათუმში, „დიმიტრი ცინცაძის ფონდის“ მიერ ორგანიზებულ საქველმოქმედო ვახშამში მონაწილეობდა. მალე საზოგადოება სოციალურ კლიპს იხილავს, რომელიც ბავშვების სიცოცხლის გადარჩენისეკენ მოგვიწოდებს. კლიპის რეჟისორი გიორგი ოვაშვილი გახლავთ. ვიდეორგოლში ლეიკემიისა და სოლიდური სიმსივნისგან განკურნებულ ბავშვებთან ერთად, მურატ ილდირიმიც მონაწილეობს... ცნობილ თურქ მსახიობს კლიპის გადაღების დასრულების შემდეგ, თბილისში შევხდით და ვესაუბრეთ.

## ეთო ყორდანაზოლი

### მურატ ილდირიმი:

— როგორც შემიძლია, ქველმოქმედებას მზარს ვუჭერ. ჩემთვის მთავარია, ამ ერთობლივ, კარგ საქმეში წვლილი შევიტანო. ამით ბედნიერი ვარ...

— სხვა საქველმოქმედო ღონისძიებები მონაწილეობა თუ მიგიღიათ?

— ყოველთვის ვეცდები, ასეთ ღონისძიებებში მივიღო მონაწილეობა. როცა მებატიუქებიან, უარს არ ვეუპნები და არც არადროს ვიტყვი. სამწუხაროდ, თავისუფალი დრო ცოტა მაქვს — მალე ახალ სერიალზე მომინევს მუშაობის დაწყება, მაგრამ ვეცდები, დრო ქველმოქმედებისთვისაც გამოვნახო. ადრე ვფიქრობდი, რომ ასეთი საქმე ჩუმად უნდა მეეთებინა, მაგრამ ახლა მივჩვდი, — ცნობილი ადამიანის მიერ გაკეთებული მცირეოდენი სიკეთეც კი სხვებისთვისაც მისაბაძია, რაც ძალიან მახარებს.

— ფონდის მხარდამჭერ კლიაში მონაწილეობას თავი როგორ გაართვით?

— გიორგი ოვაშვილს თურქეთშიც ვიწოდებთ. მას პირადად გაცნობამდეც დიდ პატივს ვცემდი, მისი გაცნობა მინდობა... მსურს, ქალბატონ ნინელი ფუტკარაძეს მადლობა გადავუხადო. მისი მსგავსი ადამიანების არსებობა ქვეყნისა და საერთოდ, მსოფლიოსთვის

# მურატ ილდირიმის ესკალუზიური ინტერვიუ

„ქართულ სიტყვებს ვსწავლობ...“




ლმერთმა საშუალება მომცა, რომ ჯერ ჩემი ქვეყნის ხალხს შევყვარებოდი და მერე — მსოფლიოს

უმნიშვნელოვანესია. ალბათ, კეთილი საქმის გაკეთება ყველას უნდა, მაგრამ მთავარი ამ იდეის განხორციელება. ღონისძიების ორგანიზაციონი სწორედ ქალბატონი ნინელი გახლდათ... კლიპში ქართულ ტექსტს ვამბობ. მეგონა, ადვილად ვიტყვი, მაგრამ როული იყო. ჩემ გამო, 5-6 დუბლი გადაიღეს, მაგრამ მერე მითხრეს, — ძალიან მოგვეწონა, კარგიაო. იმედია, მაყურებლებს მოვეწონები. ახლა ქართულად რაღაცებს ვსწავლობ: „დიდი მადლობა“, „ბაბა, რა“ (ქართულად ამბობს. —

ავტ)... გიორგი ოვაშვილის მხატვრულ ფილმში მონაწილეობა ძალიან მინდა. იმედია, თანამშრომლობის საშუალება გვექნება.

— გულშემატევივრებს თურქეთშიც ასე ძალიან უყვარხართ, როგორც — საქართველოში?

— ძალიან ვუყვარვარ და მადლიერების გამოსახატად სიტყვებს ვერ ვპოულობ. ლმერთმა საშუალება მომცა, რომ ჯერ ჩემი ქვეყნის ხალხს შევყვარებოდი და მერე — მსოფლიოს. ვეცდები, ღირსეული ადამიანი ვიყო და



მათ იმედი არ გავუცრუო.

— თქვენ მიერ განსახიერებული როლებიდან, ყველაზე მეტად რომელ პერსონაჟს ჰქონიართ?

— ფაქტობრივად, ყველა პერ-

მხარეს თუ დაინახავ, ყველაფერი კარგად იქნება... ამჟამად, მეგობარი ქალბატონი არ მყავს (იღიმის).

გიორგი რვაშვილი:

— კლიპის გადაღებისას მურატ

## პატარები თანამოღლების ტკიცილს უფრო მეტად აღიძვამენ, ვიდრე – უფროსი ასაჩის ადამიანები

სონაჟი „მე ვიყავი“, მაგრამ ზოგი გმირი უფრო მეტად მგავდა, ზოგი — ნაკლებად... კონკრეტულად რომელიმე მათგანზე საუბარი როტულია.

— საქმინი ვიზიტის გარდა, საქართველოში დასვენება, გართობა თუ მოახერხეთ?

— არ დავლლილვარ. ქართველი ხალხის თვალებში დანახულმა სითბომ და სიყვარულმა იმდენი ძალა მომცა, რომ დაღლა საერთოდ არ მიგრძნია. როცა დასაძინებლად ვწვებოდი, მხოლოდ მაშინ ვხვდებოდი, რომ დაღლილი ვიყავი.

— საერთოდ, ზაფხულს როგორ ატარებთ ხოლმე?

— საკუთარ თავს გრძელვადიან არდადეგებს ვერ ვუწყობ — სულ ვმუშაობ, „გადარბენება“ მაქვს. როცა თავისუფალი დრო გამომიჩნდება, ცოტა ხნით ვისვენებ.

— ცხოვრებაში თქვენთვის უმნიშვნელოვანები რა არის?

— ჩემთვის მთავარი მუშაობა და ჩემი ოჯახია, ასევე — ჯანმრთელობა. საქმის გადადება არ მჩვევია.

— საქართველოში უამრავი გოგონა გეტრუით. ამიტომ გეითხავთ — თქვენს პირად ცხოვრებაში რა ხდება?

— ვინმეს შეყვარება ჩემს გეგმებში არ შედის. ამჟამად, მუშაობით ვარ გატაცებულიდა ამსთვის არ მცალია. ამ ცხოვრებაში სიყვარული ყველგან არის. ამა თუ იმ მოვლენაში დადებით

ილდირიმს არაფერი გასჭირვებია — რამდენიმე დუბლის გადაღება ისედაც საჭიროა ხოლმე. ასე რომ, საქმეს ძალიან კარგად გაართვა თავი.

— კლიპის გადაღების იდეა როგორ გაგიჩნდა?

— ამ შემთხვევაში, მხოლოდ იმ იდეის შემსრულებელი ვიყავი, რომელიც ფონდის წარმომადგენლებს ჰქონდათ... გადაღება როტული იყო, მურატთან მუშაობა — იოლი, რადგან პროფესიონალია. ჩემთვის დიდი პატივია, რომ ასეთ კეთილშობილურ საქმეში ჩამრთეს.

— მურატმა აღნიშნა, რომ თქვენს ფილმში მონაწილეობას სიამოვნებით მიიღებს. შეგიძლიათ, გვითხრათ — რომელ ფილმზე ლაპარაკი?

— ჯერჯერობით დაკონკრეტულისგან თავს შევიკავებ. თუკი თანამშრომლობის საშუალება გვექნება, ვეცდებთ, ამ თემაზე უფრო კონკრეტულად ვისუბროთ...

კახა ჯანაშვილი, „დიმიტრი ცინცაძის ფონდის“ დამფუძნებელი და დირექტორი:

— ბატონი მურატ ილდირიმი საქართველოში პირველადაც ჩემი მეგობრების — ბატონი ერდალ ქუჩუკისა და ქალბატონი ნინელი ფუტკარაძის დახმარებით ჩამოვიყვანეთ. მურატ ილდირიმი ჩემი ფონდის საქმიანობას გაეცნო, „იაშვილის კლინიკაში“ ბავშვები მოინახულა და საქველმოქ-

მედო ვახშმის არსი ბოლომდე გაიგო. მოხარული იყო, რომ ასეთ აქციაში მონაწილეობდა. თურქეთში დაბრუნებულმა საქართველოში კიდევ ერთხელ ჩამოსვლისა და ბავშვების დახმარების სურვილი თავადვე გამოიქვა. ჩვენ



გიორგი რვაშვილის მხატვრულ ფილმში მონაწილეობა ძალიან მინდა



კახა ჯანაშვილი, ბავშვებს როგორმე, სიცოცხლე შევუნარჩუნოთ

## მურატ ილდირიმი

თურქული კინოს ვარსკვლავი და სექსისმბოლო მურატ ილდირიმი 1979 წლის 13 აპრილს, ანატოლიაში, ქალაქ კონიაში დაიბადა. პროფესიით ინჟინერ-მექანიკოსი გახლავთ — სტამბოლის ტექნიკურ უნივერსიტეტში სწავლობდა. მეცნიერების დაუინებული თხოვნით, მურატმა უნივერსიტეტის სცენაზე, სპექტაკლში ითამაშა და მსახიობობით ძალიან მოიხიბლა. თეატრში 3-წლიანი მუშაობის შემდეგ, სერიალისთვის — „უკვდავი სიყვარუ-

ლი“ კასტინგი წარმატებით გაიარა. იმ პერიოდშივე, მხატვრულ ფილმში — „ჯადოსნური მოგზაურობა ხალიჩაზე“ მთავარი როლი მიიღო. მურატ ილდირიმის სერიალ „არაფში“ შესრულებული როლისთვის მიღებული აქვს პრესტიული თურქული კინოპრემია „ოქროს ფორთხალი“. მისი მონაწილეობით გადაღებული სერიალი — „ასი“ მსოფლიოს 73 ქვეყანაში აჩვენეს და მონტე-კარლოს „საპნის ოპერების ფესტივალზე“ საუკეთესო სერიალად დაასახელეს.

მურატ ილდირიმის ყოფილი ცოდნი, მსახიობი ბურჩინ თერჯი ოდენულ გახლავთ. წყვილი ერთმანეთს 2006 წელს, სერიალ „ქარიშხლის“ გადაღებისას შეხვდა, 2 წლის შემდეგ კი დაქორნინდნენ... ნინათ მოსიყვარულე წყვილად მიჩნეული მსახიობები დაშორების მიზეზებზე არ საუბრობენ.

მურატ ილდირიმი ქართველმა ტელემაყურებულმა საცაშ ბალდირის როლით (სერიალიდან — „სიყვარული და სასჯელი“) გაიცნო და შეიყვარა.

უნდა მოგვეფიქრებინა, თუ რისი გაკეთება შეიძლებოდა. რადგან ბატონი მურატი სექტემბრიდან ახალი ტელესერიალის გადაღებებში მონაწილეობს, მან ისურვა, რომ საქართველოში სექტემბრამდე ჩამოსულიყო. ასეც მოხდა. აჭარის მთავრობას მადლობას უუხდი, რადგან კლიპის გადაღებაშიც ძალიან დაგვეხმარადა მურატ ილდირმის სასტუმროს ხარჯებთან დაკავშირებით, ფინანსურადაც მხარში ამოგვიდგა...

— კლიპის გადაღება რისთვის იყო საჭირო?

ალიქვამენ, ვიდრე — უფროსი ასაკის ადამიანები. ბათუმის საბალეტო სკოლის ბავშვებს მადლობას ვუხდი — ბავშვებმა ბავშვებისთვის მსხვერპლი გაიდეს: გადაღება ბაპანაქება სიცხეში, 5-10-წლიანი შესვენებებით უწევდათ. ზოგ ადამიანს „სხვისი ჭირი, ღობის ჩხირი“ ჰქონია. არადა, განკურნებული ბავშვები რამდენიმე წელინადში ზრდასრული ადამიანები იქნებიან, პროფესიას აირჩევენ და ბევრ სიკეთეს გააკეთებენ. ისინი ჩევნი მომავალი თაობის ნარმობადგენლები

**ადრე ვფიქრობდი, რომ ასეთი საქმე ჩუმად უნდა მეპეთებინა, მაგრამ ახლა მივსვდი, — ცნობილი ადამიანის მიერ გაპეთებული მცირეობით სიკეთესაც მისაბაბადი**

— ამ კლიპზე დიდ იმედს ვამყარებთ. მასში მურატ ილდირმი, ბათუმის საბალეტო სკოლისა და ლეიკემიისგან და სოლიდური სიმსივნისგან განკურნებული ბავშვები მონაწილეობენ. გადაღები 2 დღეს გაგრძელდა. სოციალური კლიპია და იმედია, ტელევიზიები ყურადღებას გამოიჩინენ. კლიპის მეშვეობით, მთელ საქართველოს მოვუწოდებთ, რომ პატარებს მხარში ამოვუდეთ და მათი სიცოცხლის გადასარჩენად ვიბრძოლოთ. სამწეულოდ, პატარები თანატოლების ტკივილს უფრო მეტად

არიან, რომლებმაც ქვეყანა უნდა გადაიბარონ.

— მურატ ილდირიმზე რას გვეტყვით?

— ამ ადამიანის კეთილშობილებითა და გულნრფელობით გაოცებული ვარ. ჯერ კიდევს საქართველოში მისი პირველი ვიზიტისას, „იაშვილის კლინიკაში“ ბავშვებთან მსახობის შეხეედრა ძალიან ამაღლებელი იყო. პატარებს ისე ეფერებოდა, როგორც საკუთარ შვილებს. ახლაც ასე მოხდა, როცა მას პატარა სოფი (რომლის გადასარჩენადაც დიდი თანხა დავხარჯეთ)

მიგუდგანეთ. ბატონი მურატი სოფის მამას ამხნევებდა, — ყოჩალ, რამენალა ტკივილი გადაიტანეთო... სხვა ბავშვებთან მისი შეხვედრაც ძალზე ემოციური იყო. არ მინახავს, რომ მსოფლიოში წარმატებული მსახიობი ასეთი თავმდაბალი იყოს. ძალიან კეთილი და კარგი ბიჭია. როცა კლიპის გადაღება პლაზმები მიმდინარეობდა, უამრავი ადამიანი მოთმინებით იჯდა და გადაღების დასრულებას ელოდა. დასრულდა თუ არა, მსახიობს ზღვა ხალხი მიაწყდა — მურატ ილდირიმთან სურათის გადაღება ყველას სურდა. დაცვის თანამშრომლებს თავად ბატონმა მურატმა სთხოვა, ხალხისთვის მასთან მისვლის საშუალება მოეცათ. ფოტოებს ყველასთან ბავშვებთან...

ფონდი მუშაობას განაგრძობს. მომავალში უამრავ აქციას, კონცერტებს დავგეგმავთ, რომ ფონდში თანხა შეგროვდეს, მაგრამ ეს აქციები ზღვაში წვეთია — დიდი თანხა არ შემოდის. ამიტომ ყველას (უბრალოდ, დასაქმებულსა თუ ბიზნესმენს) მოუწოდებ, რომ შეძლებისდაგვარად, ყოველთვიური ხელფასიდან იქნებ, ლარი მანც გადმორიცხონ, რომ ბავშვების დახმარება უფრო იოლად მოვახერხოთ. ყველა ასე რომ მოიქცეს, დიდი თანხა შეგროვდება... როგორც იცით, „მოაბის“ ოპერატორი გახლავართ. ამჟამად, შევებულებაში ვიმუშები, მაგრამ ეს შევებულებად არ მიიჩნევა: კვლავ ფონდის საქმებით ვარ დაკავებული, რადგან 4 ბავშვი საზღვარგარეთ სამურნალოდაა გასაშვები, ერთი — თურქეთში იმყოფება და ჩვენი დახმარება სტირდება, რასთან დაკავშირებითაც ჯანდაცვის სამინისტროსთან ერთად, ზომები უკვე მივიღეთ. სამინისტროს დიდ მადლობას ვუხდი, კერძოდ — ქალაცონ მარიამ ჯაშს. ვცილობთ, ბავშვებს როგორმე, სიცოცხლე შევუნარჩუნოთ. ჩვენს „შვილობილს“ — ჯულიეტა ბრეგვაძეს ძვლის ტვინის გადახრების ოპერაცია სამინისტრომ სრულად დაუფინანსა (იტალიაში, ვერონის კლინიკაში). ვიმედოვნებ, ასეთი კეთილი საქმე უფრო ფართო მასშტაბს მიიღებს. საქართველოში „სოლიდარობის ფონდი“ შეიქმნა. დარწმუნებული ვარ, ერთად ბევრი კარგი საქმის გაკეთებას შევძლებთ. კოლეგებთან, მეგობრებთან ერთად, „დიმიტრი ცინცაძის ფონდი“ ბრძოლას აგრძელებს, რომ იქნებ, ტრანსპლანტაციის ცენტრი საქართველოში გაისად მაინც გაიხსნას და მკურნალობა საქართველოშივე იყოს შესაძლებელი.



პატარებს ისე ეფერებოდა, როგორც საკუთარ შვილებს

# „კალიტრამედის“ უსრნალისტი ახალ ამპლუაში

„ერთ-ერთი როლი სპეციალურად ბოშა ლილიანასთვის დავწერე“



კაბარეს მომღერალს უყვარდება ბოშა გოგონა და თამაშდება მათი სასიყვარულო ამბავი

„გამიფერადე“ — რადიომსმენელებისთვის ნაცნობი სიმღერაა. მას გოგიტა გოგიძე და მაია ყარყარაშვილი ასრულებენ. ამ სიმღერაზე საკმაოდ საკონტერესო კლიპის პრემიერას მალე ვიზიტორები და საერთოდ, საქართველოს შოუბიზნესში შემოსვლით უცხოელი, სავარაუდოდ, საქმაოდ გავლენიანი პირია დაინტერესებული. კლიპისა და სიმღერის შესახებ კლიპის რეჟისორი, გიორგი ბერიძე და მომღერალი და პროდიუსერი, გოგიტა გოგიძე გვესაუბრებიან.

## ეკატერინე აბაშიძე

გიორგი ბერიძე, სცენარისა და მიმღებელი რეჟისორი:

— გოგიტა და სასაცენტრო გადასაცენტრო და დამდგმელი იყო. იქ სასტუმროებში გარკვეული კონკურსები ტარდება ხოლმე. გოგიტა ერთ-ერთ მათგანში გაიმარჯვა. წარმატება ვიღაც ებრაელმა მიულოცა, შემდეგ კი მისი შემოქმედებითაც დაინტერესდა. უთხრა, რომ დაეხმარებოდა, გზას გაუკვალავდა. გოგიტამ დახმარება მთხოვა და სასწავლა, მის სიმღერაზე კლიპი გადავიდეთ, შემდეგ ამ პიროვნებას უკვენეთ. მის სახელს ჯერჯერიბით ვასაიდუმლობ. მას უფრო სერიოზული სიმღერა სჭირდებოდა და სიმღერა — „გამიფერადე“, რომლის კომპოზიტორი და ტექსტის ავტორი არის ცირა ბზიშვილი, თავად შეარჩია. სხვათა შორის, რადიოში უკვე შეგიძლიათ მისი მოსმენა, გოგიტასა და მაია ყარყარაშვილის შესრულებით. გოგიტამ ეს სიმღერა მომასმენია და მითხრა, რომ სცენარის მონახვი უნდა გაგვეკეთებინა. რომ

სცენებს ქართულ შოუბიზნესში იშვიათად ნახვათ. მიხარია, რომ შევძელი, ყველაფრისთვის თავის გართმევა.

— გადაღება რამდენ ხანს გრძელდებოდა?

— ბოშების სცენები 20 საათში გადავილეთ, რადგან საჭირო იყო კადრები დღის ყველა მონაკვეთში. რეტროსცენები უკვე თბილისში გადავილეთ სამსახურას ადგილას, რასაც 10 საათი დასჭირდა.

— ბოშების სცენებზე რას იტყვით?

— ადრე უურნალ „გზაში“ დავწერე სტატიაბოსმ ქალზე, რომელმაც 70წელს გადაბიჯა. ეს ქალბატონი — ლილინა დარციმელია ქართულ ოჯახში გაზიარდა. სწორედ მაშინ, როცა სცენარში ბოშების მონაკვეთზე ემუშაობდი, როლი სპეციალურად ლილიანასთვის დავწერე, რადგან მას ოცნება ჰქონდა, ერთი ღამე მაინც გაეტარებინა ბოშათა ბანაჟში. ნამდვილი ბოშათა ბანაკი ვერ მოვუნახე, რადგან ისინი „ფურგონებით“ აღარ დადიანდა არ ბანაკდებიან... ჩვენ კი ველზე ბოშათა ბანაკი გავშალეთ, გვქონდა ფურგონები, გვყავდა ცხენები, დავანთეთ კოცონი. ეს სპეციალურად ლილიანასთვის გაკეთდა და საძენიეროდ, დიდ სიფათს გადავიწით: მან ცხენზე ჯირითი მოინდომა, ცხენმა კი გადმოაგდო. მადლობა დმერთს, სერიოზული ტრავმა არ მიუღია, ახლა თავს კარგად გრძნობს.

ვთქვა, სცენარზე მუშაობა და კლიპის გადაღება გამიჭირდა-მეტები, ტყუილი იქნება, მაგრამ წლებია, კლიპები არ გადამიღია, რადგან უურნალისტიკაში ვიყავი. პროფესიონალური ვარ: ჯერ სარეჟისორო დავამთავრე, მერე — უურნალისტიკა. სცენარის დაწერა ბოშების თემაზ მიკარნახა და გასული საუკუნის 30-იან წლებს ეხება. ჩვენს ებრაელს ეს ყველაფერი ძალიან მოწერნა და გვთხოვა, ტექნიკური საშუალება თუ გვექნებოდა, გადაგველო კლიპი, რომელიც გზას გაგვივალავდა უცხოეთში. სოციალურ ქსელში დადებულ ფოტოებს დადებითა რეზონანსი მოჰყვა. გვაქვს ძალიან კარგი ვიდეომასალა, ვიწყებთ დამონტაჟებას და ვნახოთ, რა მოხდება.

— კლიპზე მუშაობა როგორ მიმდინარეობდა?

— ის თანამედროვე ტექნიკითა და ტექსტის ავტორი არის ცირა ბზიშვილი, თავად შეარჩია. სხვათა შორის, რადიოში უკვე შეგიძლიათ მისი მოსმენა, გოგიტასა და მაია ყარყარაშვილის შესრულებით. გოგიტამ ეს სიმღერა მომასმენია და მითხრა, რომ სცენარის მონახვი უნდა გაგვეკეთებინა. რომ



**გიდეორგოლში მონაწილეობენ  
პროფესიონალი და  
არაპროფესიონალი მსახიობები**

მინდა აღვნიშნო, რომ ბოშებს სასცენო კი არა, ისეთი კოსტიუმები აცვიათ, რომელსაც ყოველდღიურ ცხოვრებაში იყენებენ ანუ ამ კლიპში ყველაფერი ბუნებრივადაა. ვიდეორგოლში, ბოშათა სცენებში მონაწილეობენ პროფესიონალი და არაპროფესიონალი მსახიობები.

**— კლიპში თავად მომღერლებიც მონაწილეობენ, არა?**

— გოგიტა გოგიძე ამ კლიპის პროდიუსერი და ტექნიკური საკითხების ხელმძღვანელიც გახლავთ. შინაარსზეც გეტყვით: კაბარეს მომღერალს უყვარდება ბოშა გოგონა და თამაშება მათი სასიყვარულო ამბავი. ეს შინაარსიანი კლიპია, ასე ვთქვათ, მუსიკალური ფილმი. ბოშა გოგონას — თამუნა პო-ბიშვილი, ვაჟს კი შაკო პობიაშვილი განასახიერებენ. ისინიდა-ქმარიან. ლა-მაზად გავაკეთოთ სცენები, უხერხული მომენტი რომ არ შექმნილიყო. სხვათა შორის, გოგიტას და მაია ყარყარაშვილსაც აქვთ გარკვეული რილები — კაბარეში სხედან და სიმღერას უსმენენ.

უურნალ „გზას“ ფაქტობრივად, სცენარი გავაცანი და ჩვენი საიდუმლო გავანდე.

**— როდის ექნება საზოგადოებას კლიპის ნახის საშუალება?**

— პრემიერა ახალ სატელევიზიო სეზონზე შედგება. შემორთავაზე ბები გვაქვს სხვადასხვა ტელევიზიის ტოქშოუდან და ალბათ, ყველაზე ოპტიმალურს ავარჩევ, კლიპი რომ ბეჭრბა მაყურებელმა ნახოს და შეაფასოს. მათ ვთხოვ, ძალიან კრიტიკულებიც ნუ იქნებიან, რადგან ეს ჩემი პირველი სერიოზული ნამუშევარია. მინდა, დიდი მაღლიანი გადავუხსადო სალონ „მარი-გოლდს“ და დიზანერ თინათინ მარალაშვილს, რომელმაც მამაკაცების რეტროტეანისამოსზე იზრუნა.

გოგიტა გოგიძი, მომღერალი და პროდიუსერი:

— სიმღერა „გამიფერადე“ მე და მაია ყარყარაშვილმა დუეტში ჩავწერეთ და „არ დაიდარდოზე“ პრემიერაც გვქონდა. ის მსმენელის სივისი უკვე ცონბილი იყო. კლიპის გადაღების იდეა ცოტა მოგვიანებით იმადებახოლმე. ესპანეთში ვიყავი, როცა ერთ-ერთი არაქართველი ნარმოშბის ემიგრანტი დაინტერესდა ჩემი შემოქმედებით და აღმოჩნდა, რომ ჩემი სიმღერა ბოშურ მოტივებზე მოსმენილი ჰქონდა. მას აინტერესებს „ბაზარზე“ ჩვენი შემოსვლა, მაგრამ სჭირდება პროექტი, რომელიც ამ ყველაფერს მისცემს ბიძგს. მოითხოვა, მაჩვენეთო, ამის შემდეგ თანამშრომბას დაგვპირდა და როგორ განვითარდება მოვლენები, ამაზე ჯერჯერობით ვერ ვისაუბრებ, საიდუმლოდ დაუტივებ... უნდა შეგვექმნა პროდუქტი, რომელშიც სულსა და გულს ჩავდებდით. გიორგი ბერიძეს დაუკავშირდი. ვიმსჯელეთ, თუ რა შეიძლებოდა გაეთებულიყო და შევთავაზე, რომ უკვე საკმაოდ ცნობილ სიმღერაზე გადავგელო კლიპი. გიორგიმ სცენარი ძალიან მაღლედნერა, ე.წ. „რასკადროვებაც“ გააკვთა. ვისაც ვაჩვენეთ სცენარი, ყველამ მოიწონა.

**— ადამიანმა, რომელმაც პროექტი**



**ბოშებს ისეთი კოსტიუმები აცვიათ, რომელსაც ყოველდღიურ ცხოვრებაში იყენებენ**

**შეგიცვეთათ, რა სახის დახმარება გაგინიათ?**

— ფინანსურა არაფერი ყოფილა, მხოლოდ ტექნიკური დახმარება გაგინიათ. დანარჩენზე ჯერვერ ვილაპარაკებ, ამის უფლება არ მაქვს.

— იმსაც ვერ მეტყვით, ამ კლიპს და სიმღერას მომავალში რა პერსპექტივა აქვს?

— ამისავალი წერტილი იყო, რომ სერიოზული ნამუშევარი გვეჩვენებინა იმ ადამიანებისთვის, რომელმაც ჩვენი ხვალინდელი ნარმატება უნდა ნახალისონ. არ არის გამორიცხული, რომ პრემიერა ერთ-ერთ სატელევიზიო შოუში შედგეს.

**— გადაღებით თავად კმაყოფილი თუ ხართ?**

— გადაღება ნორმალურად წარიმართა, კმაყოფილი ვარ მსახიობებითაც. ხომ ხვდებით, რა პირობებში გვინწვდება გადაღება ფინანსური შხარდაჭერის გარეშე. საბედნიერო, ეს თითქმის არ იგრძნობოდა.



**ბოშები საკუთარ თავს უზოდებენ „რომას“ და საუბრიობენ ნინჯურენაზე.** ისინი ერთიანდებოდნენ მომთაბარე ჯგუფებად, რომელთა წევრები შეიძლებოდა, ნათესავები სულაც არ ყოფილიყვნენ. ბანაკი 10-დან 25-მდე კარავს ითვლიდა. ნებისმიერ ოჯახს შეეძლო, ბანაკს ნებისმიერ დროს გამოჰყოფდა.

ოჯახის წყობა პატრიარქალური იყო. კაცები ხელშეუხებელი ავტორიტეტითა და უდიდესი პატივისცემით სარგებლობდნენ. გათხოვილი ახალგაზრდა ქალი უნმინდურად მიიჩნეო-

და, ამიტომ სხვებთან ურთიერთობაში უამრავი აკრძალვა უშლიდა ხელს. ბანაკს ბელადი, უფროსი თაობის ადამიანი ხელმძღვანელობდა. კაც ბოშებში ყველაზე გავრცელებული საქმიანობა ცხენებით ვაჭრობა გახდათ, ქალებში — მკითხაობა.

ბოშები სახელგანთქმულები არიან, როგორც კარგი მუსიკოსები, მომღერლები და მოცეკვავები. მათი ფოლკლორი ძალიან პოპულარულია სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში. ამჟამად ევროპაში 10-დან 12 მლნ-მდე ბოშა ცხოვრობს.

# რვარისმაგვარ ფილმები გაკრული, ნაწამები ბავშვის ამბავი

„ექიმებაშებმა დაღუპეს ჩემი თბახი...“

როცა შვილის პრობლემებზე, მის ტკივილზე ბავშვის დედა გიყვება, ემოციებით ივსები და სურვილი გიჩნდება, მას ყველანაირად მხარში ამოუდგე, შეძლებისდაგვარად დაეხმარო, მაგრამ სულ სხვა ყოფილა, როცა ამ ტკივილზე გესაუბრება მამა და თანაც, როცა ხედავ, შვილზე, მის სატკივარზე ლაპარაკისას როგორ უკნეალებს ხელის, გრძნობ, როგორ უშრება ყელი და გზადაგზა რაღაც აბებს იყრის პირში, ძალა რომ მოიკრიბოს, ძნელია, შვილის სატკივარით დაუძლურებული მამაკაცის მოსმენა... გია ახალბედაშვილი შვილზე მიყვებოდა, მე კი ვიცრემლებოდა და საკუთარი ემოციების დაფარვას ამაოდ ვცდილობდა.

## ლიცა ქახაიძე

ნოდარი პრობლემებით დაიტადა. ორივე მხარეს საზარდულის თავაქარი ჰქონდა და დაახლოებით 10 თვის იყო, როცა საოპერაციოდ გორიდან თბილისში ჩამორყენეს. ექიმებმა მშობლებს უთხრეს, — ბავშვს ყურადღება მიაქციეთ, ჩამორჩენილობა აღნიშნებათ. ოპერაციის ნარმატებით დასრულების შემდეგ, ჩვილი ნევროპათოლოგ ნანა გელაძეს უჩვეულს. თურმე, ექიმმა შეიცხადა: ეს რა დედეში ხართ, თქვე საცოდავებო, ცერებრალური დამბლაო. ეს იყო განაჩენი ახალბედაშვილების ოჯახისთვის!

### ბატონი გიგა:

— სტომატოლოგი ვარ და ასე თუ ისე, მედიცინაში ვერ კეთი, მაგრამ ჩემს შვილს ასე ძალიან თუ უჭირდა, ვერ ვიფიქრებდი... დავიწყეთ ბავშვის მკურნალობა. დაგვყავდა ახტალაში, თბილისში — მასაუბზე... 2000 წელს ალეკო ასლანიკაშვილმა, რომელიც გორმი ჯერ „გაის“ უფროსად მუშაობდა, მერე — საბაჟო დეპარტამენტში, ჩემი მდგომარეობა გულთან ახლოს მიიტანა და ბადრი პატარკაციშვილთან დამაკავშირო.

ბიზნესმენმა ავადმყოფი პატარა ბიჭის სამკურნალოდ მოსკოვში კლინიკაშეარჩია და გამოკვლევის პირველადი გადასახადიდა სხვა ხარჯებიც — დაახლოებით 8 ათასი დოლარი გადაიხადა.

— მოსკოვში მკურნალობის 4 კურსი ჩამდინარეს. სხვათა შორის, ძვირად ღირებული პროცედურები არ იყო და ამისთვის ბიზნესმენი აღარ შეგვინუხებია. 5 კურსი, წასვლა-წამოსვლაც და მთელი ხარჯებიც რომ დაგვეთვალა, მთლიანობაში 4.000 დოლარი ჯდებოდა. ექიმები ჩვენ მიმართ ძალიან გულისხმიერები იყვნენ. რუსები საოცრად ადამიანურად გვექცეოდნენ, რამდენიმე ქართველმა კი დასალუპავად განირა,

ჯვარზე გააკრა ჩემი ნალოლიავები, მეოცნებე შვილი...

ლინინის სახელობის კლინიკაში პირველად რომელი მივიდნენ, თურმე, ნოდიკოს თავის დაჭრაც არ შეეძლო. 4 კურსის გავლის შემდეგ, ბიჭი მოღონიერდა. ექიმებმა მის მშობლებს უთხრეს: მთელ ანუ 10 კურსს თუ გაივლის, რაღაც დონეზე დამოუკიდებლად გავლასაც შეძლებსო. მაგრამ მერე ორ ქვეყანას მორის დაძაბული ურთიერთობის გამო, ნოდარის მოსკოვში ჩამორჩენილობა მოხერხდა და ოჯახი იძულებული გახდა, ამ კლინიკაში მკურნალობაზე უარი ეთქვა.

### ბატონი გიგა:

— 2003 თუ 2004 წელს თბილისში პროფესორი კალორანი ჩამოვიდა, რომელიც ამერიკაში მუშაობს და სახელგანთქმული პიროვნებაა. მან ჩამორყენა ამერიკელი ექიმებიც. მათთან შეხვედრა როგორდაც, მოვახერხეთ და ნოდიკოს მორიგიოპერაცია ჩაუტარდა — მყესები დაუგრძელეს.

— ეს ოპერაცია რისთვის იყო საჭირო?

— მანამდე ქუსლს ვერ დგამდა, მყე-

სების დაგრძელების შემდეგ კი ფეხი დაუშვა, კონტრაქტორები ცოტა მოესხა. ასეთ ბავშვებს რამდენიმე მსგავსი ოპერაცია სჭირდებათ, მე კი მხოლოდ ერთის გაკეთება შევძლი... მოკლედ, ბავშვის მდგომარეობა კუს ნაბიჯებით, მაგრამ წინ მიიჩნევდა, მერე სარეაბილიტაციი ცენტრშიც დამყავდა. სხვათა შორის, რამდენიმე წელი თბილისში, სიძის ბინაში, მიკევეგიჩზე ვცხოვრობდით და ნოდიკო 161-ე სკოლაში, ცალი ხელის მოკიდებით დაგვყავდა. მას შეეძლო ცოტ-ცოტა, სხვების დახმარებით სიარული. მეოთხე სართულზეც ასე ადიოდა. ჩემი შვილი მთელ სკოლას უყვარდა და ისიც გიუდებოდა ამ სკოლაზე, მასწავლებლებზე, ბავშვებზე. როგორც შეეძლო, სწავლობდა კიდეც. განსაკუთრებულად, ლექსები მოსწონ-



თაგის დაჭერაც არ შეეძლო.  
4 კურსის გავლის შემდეგ, ბიჭი მოღონიერდა

და. მოკლედ, ყველაფერი კარგად აგვეწყო. ისიც მოვახერხეთ, რომ სიძის ბინაში მოვაწყვეთ ოთახი მსაჯისთვის და სპეციალისტი ჩვენთან მანამდე მოდიოდა, ვიდრე ნოდიკოს სკოლაში წასვლის დრო მოვიდოდა. მეოთხე-მეხუთე კლასამდე იქ სწავლობდა. ასეთი ცხოვრებით ბედნიერი იყო, მაგრამ მერე დაგვლუპეს თეთრ ხალათს ამოფარებულმა ადამიანებმა. ყველა იმედი მოგვისპეს და მწარედაც დაგვცინება...

ბატონმა გიაში საცხოვრებელ კორპუსში გაიცნო ადამიანი, რომელმაც უთხრა: და მყავს, ექიმია, ძალიან ძლიერი სპეციალისტი და შენი შვილის ნაირბავშებს რაღაც განსაკუთრებული მეთოდებით მკურნალობს; თუ ბავშვის მორჩენის იმედი არ ექნება, ხელს არ მოპეიდებს, მასთან ჩემი სახელით მიდითო. დაახლოებით ორი წელი იჭირდან ნოდიკოს მშობლებმა და ბოლოს, ცდუნებას მაინც ვერ გაუძლეს, — იქნებ სასწავლი მოხდეს, იმ ქალმა მართლა მოახერხოს და ჩვენს შვილს ფეხი აადგევინოს.

### ბატონი გიგა:

— მოსამართლემ ბოლო პროცესზე მითხრა: ძალით ხომ არ მიგაყვანინეს ბავშვი ამ დაწესებულებაში, იქ ხომ შენი ფეხით მიხვედიო? ვუპასუხე: თქვე



**ნოდიკო სკოლაში გამართულ  
ღონისძიებებშიც მონაწილეობდა**

დალოცვილებით, ღმერთმა და გიფარით და შვილი ისეთ მდგომარეობაში რომ გყავდეთ, როგორმიც ჩემია და ვიღაცამ გითხრათ, თქვენი შვილი გაივლის, თუ ამა და ამ ადგილას მიიყვანთ, რას იზამთ-მეთქი? დღე და დღამე ამაზე ვოცნებობდით და შანსი რომ გამიჩნდა, როგორ გვეთქვა უარი?.. თანაც, დილომში, რობაქიძის ქუჩაზე, „ლილი რატიანის კლინიკში“ თქვენც რომ

**ვიფიქრე:** რადგან ასე დარწმუნებით ამბობს, თუ ვერ ირშენს, დამოუკიდებლად გადაადგილებას მაინც ხომ შეძლებს-მეთქი. 72 ნლის ქალს ვენდე ბოლოს და ბოლოს", — ამბობს ბატონი გიადა გულიუშუყდება... სხვათა შორის, კლინიკის დირექტორი, სადაც ნოდარი სამურნალოდ მიიყვანეს, ლილი რატიანის ქალიშვილი — ირმა ზოუარაძე გახლავთ.

#### ბატონი გია:

— მითხრეს, დღეში 420 ლარი უნდა გადაისაღო; აյ 3 თვე დანვება, მერე კი რამდენიმე თვე მასაუბზე უნდა ატაროთ და გაივლისო. არ ვწუნუნებ, მაგრამ ნლების განმავლობაში, ჩემიშვილის სამურნალოდ თანხა არავისოთვის მითხოვიადა ამსაქმეს შეენირა ყველას ქონება, რაც კი გამამარინდა, გარდა სახლისა, რომელიც გორშიმაქვს. ჰოდა, როცა ამ კლინიკაში დამაიმდება: ნოდარი გაივლისო, ჩემი ერთადერთი საფიქრალი გახდა ის, თუ საიდან მეშოვა საჭირო თანხა. გადავწყვიტე, სახლი გამეყიდა. მაგრამ ქალიშვილებმა ამის უფლება არ მომცეს: რომც გამოჯამრთელდება, მერე ბავშვი სად უნდა აცხოვრო, ქუჩაშით? სიძეებიც გადაირივნენ და ჯერ ერთმა მისესხა 10.000 ლარი, მერე — მეორემ. როცა ეს თანხა შემომეხარჯა, ბანკიდანაც ავტო სესხი. ნარმოიდივინეთ, დღეში 420 ლარს მახდევინებდნენ

ამხელა თანხას თუ რა ხდება? ფული აღარ მაქვს და თუ ასეა, მაშინ ორივეს ნავიყვან-მეთქი (ნეტავ, ასე მოვქ-ცეულიყავი!). გამომეკადნენ, ბოდიში მომისადეს, სულ „კოლეგა“, „კოლეგა“ მეძახეს... გული კი ამიცრულვდა ამ კლინიკაზე და იქაურ ექიმებზეც, მაგრამ იმ იმედით, რომ შეიძლებოდა, ჩემი შვილი მენახა ბედნიერი, გავჩრმდი, წყენა გადავყლაპე... დროთა განმავლობაში ბავშვი საოცრად გახდა, ჩვარივით მოეშვა, ძალიან შეიცვალა, ჩამოდნა, სახე რალაცნარიად გაუშავდა. ვეუბნებოდი: შვილო, თუ ველარ უძლებ, შინ ნავიყვან-მეთქი. — არა, გავუძლებ! ოლონდ ფეხზე დავდგე და ყველაფერს ავიტან! ბევრი ინმა... ბოლოს, ვდლის გადასახდელიდამაკლდა, ფული ვერსად ვიშვე, ბანკიდანაც ველარ ავიდე სესხი. ვთხოვე, — ქალბატონო ლილი, თანხას ველარ ვშოულობ. ბავშვი უნდა გამოწეროთ, სხვა გზა არ არის-მეთქი. — რა? ამდენ ნაშრომს წყალში რატომ მიყრი? აქამდე დასარბილებელ ზეთში იყო, ახლა კუნთები უნდა გაუმაგრდეს, შენ კი 3 დღის ფულის გამო რას აკეთებო?.. გიურივით დავრბოდი ქუჩაში, ფულის სამოვნელად. ერთი ბიძაშვილი მყავს, ჩემიმოსახელე, რომელმაც ჩემი გასაჭირო გაიგო თუ არა, სადღაც იშვიათურმე ის თანხა, რომელიც მჭირდებოდა და ისე გადაიხადა, არც შემატყობინა. მერე მეულემ დამირეკა: უკვე გადახდილია, ნუ ნერვიულობ.

იმ დღეს, როცა ბავშვი საავადმყოფოდნ უნდა გამოეწერათ, დღი თოვლი მოვიდა. მეულლემ დამირეკა, — 12 საათამდე მოდიონ. — ამდენი ხანი მანდხარ და რა მოხდება, ცოტა რომ შემაგვანდეს-მეთქი? პირველ საათამდე თუ არ მოხვალ, დამატებით, 60 ლარს გადაგვადევინებენ ანუ კიდევ უნდოდათ ჩვენთვის ფულის ნართმევა, იმდენად უსინდილობა არიან...

#### — მკურნალობას რა შედეგი მოჰყვა?

— კლინიკაში ცალი ხელის მოკადებით შევიდა, იქიდან რომ უნდა გამოგვეყვანა, რომ კაცმა ავიყვანეთ და ისე ჩავანვინეთ მანქანაში. შინ მიყვანიდან მესამე დღეს სისხლი მოშარდა. ლამის გული გამისიდა, — დავლუპე ბავშვი, შეიღს ვკარგავ-მეთქი. დავრეკე კლინიკაში. რაც მართალია, მართალია, ძალიან შენუხდნენ, თანაც შეშინდნენ. სასწრაფოდ, თბილისში ჩამოვიყვანე (ოლონდ, ცხადია, არა „ლილი რატიანის კლინიკაში“). ეტყობა, შარდის ბუშტი დაუზიანა გირებმა. კომპეტენტურმა ექიმებმა უმკურნალეს და მადლობა ლერთს, ეს პრობლემა მოგვარდა. მერე ნოდარი ლილი რატიანთან, მასაუბზეც დამყავდა. მაშვიდებდა, შედეგის მიღ-

## გეთიან ქსოვილში გახელული მოგარისებრივი დღე და ღამე იყო გაპრული, მხოლოდ თავის მოძრაობაში შეეძლო. თან, მძიმე გირებს პილებდნენ ფეხებზე

შესულიყავით, ვერც იფიქრებდით, თუ იქ ექიმები კი არა, ექიმბაშები მუშაობდნენ. კეთილმოწყობილი კლინიკაა, თეთრი ხალათები აცვიათ, ყველან ლიცენზია გაკარული და ნერია: „გემ-სახურებიან პროფესიონალი ექიმები“. ექიმთან რომ შევედი, ასაკოვანი ქალი და მახვდა, რომელმაც ბავშვი გასინჯა, მერე ტომოგრაფია მოითხოვა და მისი ნაკითხვაც შეძლო. ჰოდა, რა მეთქვა: ქალბატონო, ექიმს კი ჰავახართ, მაგრამ თქვენი დიპლომი მიჩვენეთ, ნამდვილად ექიმი ხართ თუ არა-მეთქი? ასე რომელი პაციენტი იქცევა?

ლილი რატიანი ავადმყოფი ბავშვის მამას დაპირდა: ბავშვის ძვლებს თავიდან გამოვდერნავ. აქამდე სად იყავით, რატომ ტანჯავდით შვილს? ახლა დაგვიანებულია, მაგრამ მაინც დაგაყენებ ფეხზე ჩემი მეთოდებით. „ეჭვიკი შემეპარა მის ნათქვამში, მაგრამ

და სამურნალოდ (როგორც თვითონ ამბობდნენ) საჭირო ქსოვილები, ბამბა, ბინტი მე მიმქონდა...


გაგივირდათ, არა? დიახ, მეურნალობისას იყენებდნენ ზეთს, ქსოვილებს და ა.შ. როგორც ამბობენ, ეს არატრადიციული მეთოდი გახლდათ: ზეთიან ქსოვილში გახვეული მოზარდი ჯვრისმაგვარფიცარზეგაურეს. მთელი დღე და ღამე იყო გაკარული, მხოლოდ თავის მოძრაობაში შეეძლო. თან, მძიმე გირებს კიდევბდნენ ფეხებზე (დიახ, თურმე ასე იტანჯებოდა მთელი სამი თვე!). ვინაიდან გამუდმებით დედას ითხოვდა, ნოდი კიდევ მას უთხრეს, — თუ გინდა, შენი ცოლი ბავშვთან დარჩეს, დამატებით 5.000 ლარი უნდა გადაიხადონ.

#### ბატონი გია:

— გადავირიე: ჰაერში მართმევთ

ბას დრო უნდაო. არადა, ბავშვის მდგომარეობა თანდათან გაუარესდა, ახლა ცალი ხელის მოყიდვითაც ვეღარ დაგვყავს. ჩამოდნა, ფსიქოლოგიურადაც მოიშალა; ფეხზე დადგომის იმედი რომ დაკარგა, სულ ტირის. ღამით ეღვიძება და მოთქამს. მართლა თვითმკვლელობის ზღვრამდე ვარ მისული და მინდა, მთელი ქეყანამ გაიგოს, რომ ექიმბაშება დამდუშეს.

როცა მასაუებსაც მორჩნენ და იმის ნაცვლად, რომ ნოდარს ფეხზე გაევლო, მდგომარეობა გაუუარესდა, გაი ახალბედაშვილი „ლილი რატიანის კლინიკას“ მიადგა თხოვნით, პროცედურებში გადახდილი თანხის ნაწილი მაინც დაუბრუნებინათ: „სასამართლო სად არის, ისიც არ ვიცი. თანხის ნაწილი მაინც მო-



კლინიკაში ცალი ხელის მოკიდებით შევიდა

მეცით, რომ შვილს ვუმეურნალო, ისევ იმ მდგომარეობამდე მაინც მივიყანო, ვიდრე აქ მოსვლამდე იყო; ხომ იცით, რა დღეშიც ჩამაგდეთ-მეთქი? იცით, რა მივიღე პასუხად? — გზის ფულიც ხომ არ



ახლა ფეხზე დგომაც არ შეუძლია

დაგეხარჯაო? — დამცინეს. რალას ვიზამდი, ვიჩივლე სასამართლოში...“

**პატონი გიძ:**

— სასამართლო პროცესზე ლილი რატიანიმა აღიარო: ამ ბავშვის მშობლება და მან პროკურატურას წერილი გაუგზავნა. პროკურატურაში დამიბარეს:

## ჩამოდნა, ფსიქოლოგიურადაც მოიშალა; ფეხზე დადგომის იმედი რომ დაბარებ, სულ ტირის

რომ ტუალეტში მაინც შევიდეს თავის ფეხით და მე დავპირდი, რომ ამას მოვახერხებდი. მაგრამ მოსამართლე რატომდაც, ასეთ ალიარებებს ყურადღებას არ აქცევს... მეუბნება, ბავშვი რატომ მიიყანეონ და ექიმს არავინ ეკითხება: თუ ვერ მოარჩენდით, რატომ მიიღეთ? ეს არის სამართალი?

**ბევრჯერ ახსენეთ სიტყვა „ექიმ ბაში“...**

— საქმე სასამართლომდე რომ მივიდა, ჯანმრთელობის მინისტრს მივწერე ჩემისატერივარის შესახებ. სამინისტრომ გამოყო კომისია და შეამოწმეს ეს დანესტება, მე კი ცოტე სანში მომივიდა ასეთი პასუხი: ჩვენ შევამოწმეთ „ლილი რატიანის კლინიკა“. აღმოჩნდა, რომ მათ სტაციონარული მკურნალობის უფლება არ აქვთ, ამიტომაც დაუკეტეს პალატები და სასამართლოს გზით დაავარიმეს 4.000 ლარით... მოვინვიერ სპეციალისტები, რომლებმაც იმსჯელეს და ვერ დადგინეს, რა მეთოდით მეურნალობდა ლილი რატიანი ამ ბავშვს. ეს არის არატრადიციული მეთოდი, ისინი არიან ექიმბაშები, არ აქვთ სამედიცინო განათლება, ამით მათ ვერ შევეხებითო. მიუხედავად ველაფრისა, სასამართლო პროცესი მაინც ნავაგე. ვფიქრობ, რომ მათ ენ. „კრიშა“ აქვთ. პირველ სასამართლო პროცესზე გორელი კაცი მყავდა ადვოკატად, რომლისთვისაც თეთრიც არ გადამიხდია. ცდილობდა ჩემი ინტერესების დაცვას, მაგრამ მიზანს ვერ მიაღწია. მერე სააპელაციოში გადავინაცვლეთ, სადაც არასამთავრობო ორგანიზაცია „ანიკას“ ადვოკატები მეხმარებოდნენ, ახლა კი „42-ე მუხლის“ ადვოკატები მუშაობენ ამ საქმეზე. იმდენა, ოდესმე მაინც იზეიმებს სამართალი.

**მაგრამ როცა ექიმებს უჩივლეთ,** თქვენი მიზანი მარტო თანხის დაბრუნება ხომ არ იყო?

— შურისძიებაზე ნამდვილად არ მიფიქრია. სხვათა შორის, თავიდანვე მითხრეს, პროკურატურას მიმართე, ბავშვის ნამება სისხლის სამართლის დანაშაულია, მაგრამ ამისგან თავი

შევიკავე. ახლა კი ვფიქრობ, რომ შევცდი. სხვათა შორის, ამერიკის ელჩმა ჩემი შვილი გაიცნო, გულთან ახლოს მიიტანა მისა ამბავი. მერე მივწერე ჩვენ შესახებ და მან პროკურატურას წერილი გაუგზავნა. პროკურატურაში დამიბარეს:

მიუხედავად ველაფრისა, ვერ განვიხილავთ ამ საქმესო... თუ სამართალს საქართველოში ვერ ვიპოვი, ევროპის ყველა ორგანიზაციას შევაწყებ, სადაც კი ხელი მიმინვდება, თუ არა და, უკვე გითხარით, როგორც დავასრულებ სიცოცხლეს. მინდა, ყველაზე გაიგოს, რომ არსებობენ ადამიანები, რომლებიც ავადმყოფი ბავშვების მდგომარეობით სარგებლობენ და მათ ოჯახებს ფულს ართმევნ; ბავშვს, რომელსაც სკოლაში განათლება უნდა მიეღო, წყალში ჩაუყარეს კველა იმედი და ოცნება. თანხის ნაწილი მაინც რომ დაებრუნებინათ, ხმაურს ალბათ ვერ ავტეხდი. ეს ვალი მძიმედ დამანვა მხრებზე და შვილსაც კი ვეღარ ვაქცევ ყურადღებას. როგორია, ავადმყოფ ბავშვს ელემენტარულ სურვილს რომიველარულება, რადგან ჯიბეში ლარიანიც ალარ ვიდევს. ეს რა ცხოვრებაა, ხალხო? აქმდე ისე მოვედი, არავისთვის არაფერი მითხოვია და უნამუსო ადამიანებმა საშინელ დღეში ჩამაგდეს; შვილი, ოჯახი გამიუბედურეს, თვითონ კი ჩვენი და ჩვენნაირი გულუბრყივლოების ხარჯზე ცხოვრებას იწყობენ. სასამართლოც მათი ყოფილა და ეს ცხოვრებაც... თუმცა, რას უზიდა ელოდო ადამიანისგან, რომელიც საკუთარ დასა და შვილს განირავს; შეეცდება, მას ჩირქი მოსცხოს და საქმე ნაართვას. ვგულისხმობ ინგა ნიუარაძეს — ირმა ნიუარაძის დასა და ლილი რატიანის შვილს. მათი დავის ამბავი პრესითაც არაერთხელ გავრცელებულა და ალბათ თქვენთვისაც ცნობილია... ისე, მეთუ მეთხავთ, ლილი უფრო პატიონანია. სასამართლოზე აღიარა: მე დავპირდი მშობლებს, რომ ბავშვს მოვარჩენდიო. პოდა, სწორედ ამის მერე, ის სასამართლო დარბაზში ალარ მინახავს. მისი ქალიშვილი ამბობს, რომ ძალიან ცუდადაა, არადა, ერთ-ერთ სოციალურ ქსელში ყოველდღიურად ტვირთავენ ქეიფის ამსახველ ფოტოებს, სადაც ლილი მშვენივრად გამოიყურება.

# კლინიკა, რომელსაც ფულის გამოძალვაში ადანაშაულებენ

„საქართველოს ადანაშაულების მინიჭება“

შპს „ლილი რატიანის კლინიკას“ დაზარალებული ახალბედაშვილების ოჯახი დიდი ხანია უჩივის. კლინიკასა და მის დირექტორის ოჯახი თაღლითობაში ადანაშაულებს. გიორგი ახალბედაშვილის თქმით, კლინიკის დირექტორი, ლილი რატიანი მას ცერტიფილური დამბლით დაავადებული შვილის მკურნალობას დაპირდა, რატიანისგან მიიღო პირობა, რომ ბავშვი ფეხზე წამოდგომასა და გავლას შეძლებდა, მაგრამ როგორც ახალბედაშვილები ამბობენ, სამთვიანი მკურნალობის შემდეგ პაციენტის ფიზიკურიდა ფსიქოლოგიური მდგომარეობა უკიდურესად გაუარესდა.

## თემა ხურცილება

ახალბედაშვილების ოჯახის უფლებებს თავიდან ადვიკატი გიორგი ტურაშვილი იცავდა, რომელიც მოვითხოვდა:

— მოატყუეს ახალბედაშვილები. უთხრეს, რომ პროფესიონალი ექიმების და ტრადიციული მედიცინის ურთიერთშერწყმითუ მკურნალებდნენ ბავშვს და გამოავანმრთელებდნენ. კლინიკში მისულმა ნახა, რომ ეცვათ თეთრი ხალათები, კედელზე გაერული იყო ლიცენზიები და იფიქრა, სამკურნალო დანესებულებაში მოხვდა. აქ თაღლითობა ცალსახა. მხარეთა შორის ურთიერთშეტეანხმება მოხდა, ვალდებულება აიღო კლინიკამ, რომ ბავშვი შეძლებდა დამოუკიდებლად გავლას. კოლოსალური თანხა გადაახდევინეს: ისინი დღეში 420 ლარს იხდიდნენ და საერთო ჯამში, 27.000

ლარი გადაუხადეს კლინიკას. ფაქტობრივად, რატიანის კლინიკამ ოჯახს ფული გამოსალა. ექიმები თავადაც დარწმუნებულები იყვნენ, რომ სასურველ შედეგს ვერ მიაღწევდნენ, მაგრამ ფულის გამო აკეთებდნენ ამას. სამწუხაროდ, პროკურატურამ, დანაშაულის ნიშნების არარსებობის გამო, საქმე შეწყვიტა, რის შემდეგაც სამოქალაქო წესით ვიზივლეთ და ვითხოვდით მორალური და მატერიალური ზარალის ანაზღაურებას. სწორედ ამის შემდეგ ჩაერთო საქმეში არასამთავრობო ორგანიზაცია „ანიკა“, რომელიც დაავადებულ ბავშვებს უწევს იურიდიულ დახმარებას. საქმეში აშენადი იკვეთება ბავშვის წამება და არაადმინისტრი მოპყრობა. ბავშვი ჯვარზე გააკრეს და ასე ჰყავდათ 3 თვე, არადა, კლინიკის ხელმძღვანელმა კარგად იკოდა, რომ შედეგი არ იქნებოდა. ის ატყუებდა მშობლებს და შესაძლოა, ასე ატყუებდეს სხვა გატირვებულ ადამიანებსაც.

არასამთავრობო ორგანიზაცია „ანიკას“ იურისტი, თეა ყაულაშვილი შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სამართლებრივ დაცვას ახორციელებს და პროექტის ფარგლებში იცავდა ახალბედაშვილების ინტერესებს. ვინაიდან მათი პროექტი დასრულდა, ეს საქმე ბოლომდე ვერ მიიყვანეს, ამიტომ საქმეში „კონსტიტუციის 42-ე მუხლის“ იურისტი ჩაერთო. ისინი სტასტურგისთვის ამზადებენ საჩივარს და დაწმუნებულები არიან, რომ სამართლას იქ მაინც იპოვიან. თუმცა, საქართველოში სამართლებრივი ბრძოლა ვერ დასრულებული არ არის, ახალბედაშვილები საკასაციო საჩივრის განხილვის მოლოდინში არიან.

### იურისტი თეა ყაულაშვილი:

— ჩვენ მტკიცებულებების კვლევის ეტაპზე ჩავერთეთ საქმეში. ვითხოვდით, კლინიკას ოჯახისთვის დაებრუ-

ნებინა წართმეული თანხა, მაგრამ სასამართლოში ამას ვერ მივაღწიეთ. მიგვაჩინა, რომ სარჩელის დაქმაყოფილების საფუძველი ნამდვილად იყო. ყოველდღიურ სამკურნალო თანხას, დღეში 420 ლარს რომ იხდიდა ოჯახი, ეს სადაც არ არის. თანხის მთლიანი ოდენობაც დადასტურდა პროცესზე და არც მეორე მხარე ხდის ამას სადაც ვიდ. დავა მხარეთა შორის შეთანხმების საგანზე მიდის. ახალბედაშვილები ამტკიცებენ, რომ კლინიკა ბავშვის დამოუკიდებლად გავლას დაპირდა, მეორე მხარე ირწყებება, რომ უბრალოდ მკურნალობაზე შეთანხმდნენ. ბუნებრივია, შეთანხმება სიტყვიერი იყო. ჩვენ ვამბობთ, შეუძლებელია, დღეში 420 ლარი გადაიხადის ადამიანმა უაზროდ, მით უფრო, ბავშვს ოპერაციაც ჰქონდა გაკეთებული. ოჯახისთვის ცნობილი იყო ყველა ხელმისაწვდომი საშუალება ქვეყანაში, იკოდა — არსებობს კლინიკები, სადაც ბევრად უმტკიცენეულოდ, ბევრად უფრო სწრაფი მეთოდითა და ნაკლები დანახარჯით შეიძლებოდა მკურნალობა, მაგრამ ამ კლინიკისგან მათ მიიღეს პირობა, რომ ბავშვი გაივლიდა, და მოტყუდნენ. ამას სახელმწიფომ უნდა მიაჟიროს ყურადღება. ბავშვი 3 თვე, 24 საათის განმავლობაში დაბმული ჰყავდათ და ეს არ უარყოფია მეორე მხარეს. ჩათვალეს, რომ ეს მათი მკურნალობის მეთოდია. ისმის კითხვა: რატომ გადაიხდიდა ოჯახი 27.000 ლარს ასეთი მძიმე მკურნალობისთვის, თუკი მას კარგი შედეგის საფუძველი არ ჰქონდა? ვთვლი, რომ სასამართლოს სწორედ ამ კუთხით უნდა ემსჯელა... მნიშვნელოვანია მეორე საკითხიც: რამდენად მიზანშენონილია, ბავშვი და საერთოდ, ნებისმიერი ადამიანი ამდენი თვის განმავლობაში იყოს მიჯაჭვული?! სახელმწიფომ უნდა გააკონტროლოს ასეთი დანესებულებები. უდავოა, ეს ბავშვი ცერებრალური დამბლის დიაგნოზით შევიდა იქ და არ მისულა როგორც ფეხმოტებილი ადამიანი. ვფიქრობ, ამ ფორმით მკურნალობისთვისაც კლინიკამ პასუხი უნდა აღოს.

ბუნებრივია, „ლილი რატიანის კლინიკასაც“ მივაკითხეთ, რათა ახალბედაშვილების პრეტენზიებზე მის მესვეურთა პასუხებიც მოგვესმინა. როცა ჩვენი მისვლის მიზეზი შეიტყო,



დედაჩემი – ლილი რატიანი 76 წლის ქალია და 20 წლიდან ამას აკეთებს



**დედას ნაშრომებს ვიცავ ახლა და  
მასთან ერთად, მის დაწყებულ  
საქმეს ვაკეთებ**

ქალბატონი ლილის ქალიშვილმა — ირმა ნიუარაძემ პირდაპირ მომახალა, — უზრნალისტებს მეტი საქმე არ გაქვთ, სკანდალებს ექცითო.

— ყველაფერი უკვე განიხილა სასა-მართლომ და პასუხი მიიღეს, მაგრამ ეს ხალხი სისტემატურად ჩივის და შვილით სპეცუალირებს.

— ქალბატონი ირმა, ახალბედაშვილების მტკიცებით, თქვენ მათ დაპირ-დით, რომ ცერებრალური დამბლით დაავადებული მათი შვილი გავლას შეძლებდა, მაგრამ მოტყუფდნენ. ახლა ფულის გამოძალვაში გადააშაულებდნენ.

— გარანტიას არც ერთი ექიმი არ აძლევს პაციენტს და ვერც ჩვენ მივ-ცემთ. ჩვენ ცერებრალურ დამბლას კი არა, სახსრებს ვმკურნალობთ. ისინი ცდილობენ, ყალბი მიზეზით ფული „გააკეთონ“.

— რას გულისხმობთ? ფაქტია, ფულს ოჯახი თქვენს კლინიკას უზიდა, მათ რა ფული უნდა „გააკეთონ“?

— ისინი სპეციულირებენ.

— თუ ვერ განკურნავდით ამ დაავა-დებისგან, რატომ გყავდათ ეს ბავშვი კლინიკაში ამდენ ხანს და დღეში 420 დღას რისთვის ახდევინებდით ოჯახს?

— ჩვენ ვმკურნალობდით სახსრებს, ძვალ-სახსარს. ეს არაერთხელ ვთქ-ვით. XXI საუკუნეში უნდა გაარჩიოთ, ძვალ-სახსრის დაავადება რა არის და ცერებრალური დამბლა რას ნიშნავს. ჩვენ ტრავმატოლოგია-ორთოპედიას ვემსახურებით და არა სხვა პროფესიას.

— პოდი, გევითხებით, მაშ, რატომ მიიღეთ კლინიკაში ცერებრალური დამბლით დაავადებული ბავშვი?

— შეიძლება, ასეთი დაავადების

მქონე ბავშვს ჰქონდეს სიყვითლე ან სხვა დაავადება. ის ჩვენთან შემოვიდა ძვალ-სახსრის დაავადებით. ეს ბევრ-ჯერ ავსტენით, მაგრამ უურნალისტები ექცით სკანდალს...

— სკანდალს რატომ ვეძებთ? კონკრეტულ კითხვებზე გთხოვთ პა-სუხს. ასე რატომ ლელავთ?

— სკანდალს ექცით!

— ახალბედაშვილები ამბობენ, რომ მათი შევილი სამი თვე გაკრული გყავ-დათ ჯვრის ფორმის ფიცარზე, ბავშვს განძრევის საშუალებას არ აძლევდით, რამაც მის ფსიქიკაზე უარყოფითად იმოქმედა. იქნებ განგვიმარტით, რა მეთოდით მეურნალობთ პაციენტებს?

— ტრადიციული მეთოდით ვმკურ-ნალობთ და არ ვაპირებ ახლა, ჩვენს საიდუმლოებაზე თქვენ გესუაბროთ. რაც შეეხება ჯვარზე გაკვრას, ეს არის ზღაპრი და ვისაც გჯერათ ამ ზღაპრე-ბის, დაიჯერეთ. ჩვენ ჩაკეტილი სახს-რების ამუშავებაზე ვმუშაობთ. ბავშვი ვერ მოძრაობდა, ვერ იჯდა, დღეს კი გადაადგილება ჩინჩიალით შეუძლია. ეს არის შედეგი.

— რჯახი კი ამბობს, რომ მდგომა-რება პირიქით, უფრო დამძიმდა.

— ისინი ტყუიან, ჩვენ მართლება ვართ.

— პო, ვითომ ექიმია.

— რატომ ამბობთ ასე? თქვენ გაქვთ სამედიცინო განათლება?

— ვერ იგებს ვერაფერს და ამიტომ ვუწოდებ ვითომ ექიმს.

— როგორც ვიცით, თქვენს სტაციო-ნარს ლიცენზია ჯანდაცვის სამინის-ტრომ შეუტერა. რატომ?

— ლიცენზია ჩემი სურვილით შე-გვიჩერდა, მე ჩავაბარე უკან, რადგან ეს არის პატარა საოჯახო კლინიკა. ბევრი ხარჯი ჰქონდა და ფიზიკურად ვერ გავრცელდა. ვნახეთ, არ იყო მომ-გებიანი, ამიტომ ახლა მარტო ამბუ-ლატორიულად ვიღებთ პაციენტებს. ტრადიციული მედიცინით ვმკურნა-ლობთ. ჩვენი მეთოდი მთელმა თბი-ლისმა იცის.

— იქნებ მითხვათ, გაუნძრევლად რატომ გყავდათ ბავშვი ვ თვე?

— მე ახლა მკურნალობის მეთოდი აგიხსნათ? ეს ჩემი უფლებებია და ასე საჯაროდ არ ვაპირებ ჩემს მეთოდებზე, მით უმეტეს, უურნალის ფურცლებზე საუბარს. ისინი ტყუიან! შედეგი იყო ზღაპრული და მე ეს სასამართლოზეც დავამტკიცე, ამიტომაც გამამართ-ლეს. ჩივლონ, სადაც უნდათ, ეს მათი უფლებაა. დედაჩემი — ლილი რატიანი 76 წლის ქალია და 20 წლიდან ამას

## ჩვენთან შემოვიდა ძვალ-სახსრის დაბავადებით. ეს ბევრპერ აპხესენით, მაგრამ უურნალისტები ეძებთ სკანდალს

— 27.000 ლარი რაში გადაგიხადათ ამ ოჯახმა?

— სამთვიან მკურნალობაში. ამას გარდა, 7 თვე დიდი შედავათი გავუნიტებ და უანგაროდ უუტარებდით რეაბი-ლიტაციას. ამას იმიტომ ვაკეთებდით, რომ სისტემატურად სპეციალირებდნენ თავიანთი შვილით. ჩვენ შეგვეცოდა და წლამდე ვმკურნალობდით ფაქ-ტორივად, მაგრამ არ დაასრულეს მკურნალობა და დაიწყეს ჩივილი. 7-8 თვე რეაბილიტაციას რომელიმე დანე-სებულება ჩაუტარებს უანგაროდ? ეს საკმაოდ შრომატევადი საქმეა. წამლე-ბი, საფეხბი ძირირად ღირებულია. თუ თანხა არ ჰქონდათ, მაშინ არ უნდა დაეწყოთ მკურნალობა. საერთოდ არ ესმით მედიცინა. ყველაფერი ზღაპა-რია, რასაც ამბობენ. ჯერჯერობით, არაფერი გამოუვიდათ და ალბათ არც ანი გამოუვათ. ეს ბავშვი ცოდნა ასეთი მშობლების ხელში.

— ბავშვის მამა ექიმი-სტომატო-ლოგია და ბუნებრივია, ის გარკვეული იქნება ამ საკოთხებშიც.

აკეთებს. მე დედას ნაშრომებს ვიცავ ახლა და მასთან ერთად, მის დაწყებულ საქმეს ვაკეთებ.

P.S. მართალია, ირმა ნიუარაძე გიორგი ახალბედაშვილს, როგორც სტომატოლოგს აკნინებს, მაგრამ ბატონბა გიაზ ჩვენს უურნალისტთან საუბრისას ალნიშნა: „ბევრ რამები მო-მატყუადა გამომიყენა ეიდეც რატიან-მა. თქვენ წარმოიდგინეთ, გორიდან იარაღები ჩამომატანნა, რათა მისთ-ვის კბილები გამეკეთებინა. ცხადია, ამისთვის ფული არ ამიღია და ამის გამო არც არანაირი შეღავათით არ მისარგებლია“.

იმედია, შესაბამისი სტრუქტურები, პროექტურადაც ჯანდაცვის სამინის-ტრო უფრო მეტად დაინტერესდებიან „ლილი რატიანის კლინიკისა“ და ახალ-ბედაშვილების დავით. ფაქტია, ახალბე-დაშვილები დანებებას არ აპირებენ და ამბობენ, თუ სამართალს ამ ქვეყანაში ვერ მივაღწევთ, სტრასბურგის ადამი-ანის უფლებათა დაცვის სასამართლოს მივმართავთო.

არსებობენ ადამიანები, რომლებიც დიდ სატანჯველსაც მხნედ ეგებებიან და უიმედობის გრძნობა არასოდეს იპყრობთ. სწორედ ასეთ ადამიანთა რიგს მიეკუთვნება ნანა ბრეჩვაძე, რომელიც საქართველოს უსინათლოთა კავშირის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის მენეჯერია. ქალბატონი ნანას თავგადასავალი ერთდროულად, სევდიანიც არის და იმედიანიც...

## ხათუნა ჩიმომიძიება

— სრულიად ჯანმრთელი დავიბადე, შემდეგ კი თვალის ანთება დამემართა და არასწორი მკურნალობის გამო, მხედველობა დავკარგე. სამტრედიაში ვცხოვრობდით და დედას ბაღში ჩემს მიღებაზეც კიუარს უუბნებოდნენ, მერე ხელნერილი დაანერინეს, რომ ჩემგან პრობლემა არავის შეექმნებოდა. მართლაც, არავის ვუქმნიდი პრობლემას. ბავშვობაშიც ვცდილობდი, სხვაზე დამოკიდებული არ ვყოფილიყავი. ბალის მასნავლებლებს უკვირდათ, რომ სხვა ბავშვებს ტოლს არაფერში ვუდებდ. ჩემი მოვლა არც ისე ძნელი აღმოჩნდა, როგორიც ეგონათ. მასხოვს, მაშინ ვფიქრობდი, რომ ბავშვობაში ვერავინ ხედავდა და სამყაროს დანახვა მხოლოდ მოზრდილ ასაკში შეძლებოდა. მარტოხელა დედა მყავს, რომელმაც ყველაფერი გააკეთა, რათა ჩემი ყველაზე სანუკარი სურვილი ასრულებულიყო. საქართველოში თითქმის ყველა თვალის ექიმი და საავადმყოფო შემომატარა, ხოლო მოსაკოვშირვაჯერ ვიყავი. თუმცა, ის მკურნალობა, რაც ახლა მიტარდება, ჩემთვის ბავშვობაში რომ ჩაეტარებინათ, უფრო კარგი შედეგი მექნებოდა. უსინათლოთა სკოლა-პანსიონი დავამათავრე. მახსოვს, თბილისში რომ მოვდიოდი, დედასა და ოჯახთან განშორება ძალან მიჭირდა. ყოველთვის მატარებლით მოვდიოდით და მატარებელი დღესაც არ მიყვარს, მასთან ცუდი მოგონებები მაკავშირებს. შეიძინ წლიდან შევერციე დამოუკიდებელ ცხოვრებას. თავიდანვე მიზანდასახული ვიყავი და ვცდილობდი, ჩემი პრობლემებით სხვები ზედმეტად არ შემეწუხებინა. შემდეგ ილიას სახელობის უნივერსიტეტში ჩავაბარე, ინგლისური ენისა და ლიტერატურის სპეციალობაზე, ბაქალავრიატი დავამთავრე, მერე კი იუ. ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტშიც მოვეწყვე — საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტზე.

— ეს როგორ შეძელი?

— (იღიმის) ყველას უკვირდა, რო-

## უსინათლო გოგონას საოცარი თავგადასავალი

„დაუვიწყერი ემოცია ჩემში გეცისა და ლოშბლების დანახვამ გამოიწვია“



თუ კარი დაკეტილი დამხვდა, შემიძლია, კედელი გავანგრით

გორ ვსწავლობდი, როგორ ვახერხებდი ამდენს. ჩემი ნატვრაც ეს იყო: ყველასთვის დამეტყუცებინა, რომ შეზღუდული შესაძლებლობები არ არსებობს. მანუხებდა, როდესაც ისე მიყურებდნენ, როგორც განსხვავებულ ადამიანს და სულ ვცდილობდი, ეს სტერეოტიპი დამეტსხვრია. საბოლოო ჯამში, თუ რაიმეს მივაღწიე, მაინც დედაწერის დამსახურებაა, რომელიც დღესა და ღამეს ასწორებდა, რომ წარმატებისათვის მიმეტნია.

— გამოდის, რომ ჩემს საზოგადოებას არასწორი მიღებომა აქეს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მიმართ?

— ჩემს საზოგადოებაში ცნობიერების დონე დაბალია და მეც, მთელი ცხოვრების მანძილზე ვცდილობ დავამტკიცო, რომ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანებს




ბევრი რამის გაკეთება შეუძლიათ. ყველაფრის მიღწევა დიდი ბრძოლის შედეგად მიხდებოდა და მიხდება, მაგრამ ვიცი: თუ ერთხელ ფარ-ხმალს დაყრი, აუცილებლად დამარცხდები და მერე ცხოვრება უფრო მეტად გაგიჭირდება. უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ მივიღე მონანილეობა თბილისის მერიის მიერ გამოცხადებულ კონკურსში, მასნავლებელი გავხდი და უკვე ოთხი წელია, უსინათლოებს ინგლისურ ენას ვასწავლი. 2011 წლიდან კი საქართველოს უსინათლოთა კავშირშიც ვმუშაობ: ჯერ სოციალური სამსახურის მთავარი სპეციალისტი ვიყავი, ხოლო იანვრიდან საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის მენეჯერი ვარ. მრავალი პროექტი გამიყეთებისა, მაგრამ განსაკუთრებული სიყვარულით ვმუშაობ უსინათლოთა პრობლემებზე. ამ ორგანიზაციაში

საქართველოში მცხოვრები ე.წ. უნარშეზღუდულები (და არა მარტო ისინი) გამუდმებით ჩივიან, რომ მათნაირი პრობლემების მქონე ადამიანების მიმართ საზღვარგარეთ რადიკალურად განსხვავებულ დამკიდებულებას იჩენენ. იქ ყველა ერთი და იმავე საზოგადოების წევრია და ბრძანარ, ყრუ-მუნჯით თუ ეტლს მივაჭვული, საზოგადოებისგან გარიყულად ვერ იგრძნობ თავს და არც ზედმეტი ყურადღებით გაგანამებენ, შენს მდგომარეობას ყოველ წამს არ შეგახსენებენ...

თავს ისე ვგრძნობ, როგორც საკუთარ იჯახში, ყველა უსინათლო ჩემი ოჯახის წევრად მიმართა. ვცდილობ, ისეთი პროექტი გავაკეთოთ, რომელიც უსინათლო ადამიანებს ცხოვრების სტიმულს მისცემს და საზოგადოებასთან ინტეგრირებაში დაეხმარება.

— **ალბათ იმიტომ, რომ შენც როთული**



უგვე მარტო დავდივარ ქუჩაში და ეს ძალიან მახარეებს

**გზის გავლა მოგიხდა, ვიდრე დასახულ მიზანს მიაღწევდი.**

— დიახ, ეს გზა საკმაოდ რთული და მტკიცებული იყო. ჯერ ერთი, საქართველოში სადაც მივედი, ყველა ექიმმა იმედი გადამინურა. რამდენიმეშ მოურიდებლად მითხრა: შენ არაფერი გეშველება, რა ოპერაციაზეა ლაპარაკიო?.. ასეთმა უხეშმა დამოკიდებულებამ უფრო გამაძლიერა და გადავწყვიტე, ყველაფერი გამეცეთებინა ჩემი მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. ამის შემდეგ გამომიმუშავდა თვისება: თუ კარი დაკეტილი დამხვდა, შემიძლია, კედელი გაგანგრიო. ოლონდ — სხვის ხარჯზე არასოდეს არაფერს ვაკეთებ, ყველაფერს ჩემით უნდა მივაღწიო. ამ თვისების წყალობით, თვითონ დავიწყე ინტერნეტით მიკლინიკების მოძიება, სადაც ჩემთვის საჭირო ოპერაციას აკეთებდნენ და

ამ კლინიკებში ჩემი მონაცემების გაგზვნა. გამოხმაურება ისრაელიდანც მომიღვიდა და გერმანიდანც, მაგრამ მე მაინც, ისრაელი ვარჩიე, რადგან ეს წმინდა მიწა, იქ ქრისტეს საფლავი მეგულებოდა და ვფიქრობდი, — ამ ქვეყანაში უფრო მეტი შემწეობა მექნება-მეტე. დავუკავშირდი კლინიკას და აღმოჩნდა, რომ ოპერაციისთვის 47 ათასი დოლარი მჭირდებოდა, რაც არც ისე ადვილი საშორენი იყო.

— **და მაინც, ამ თანხის შოვნა შეძელი, არა?**

— დახმარებისთვის მივმართე ტელევიზიებს. არ მრცხვენოდა იმიტომ, რომ ეს ფული ჯანმრთელობისთვის მინდოდა. თხოვნით მივმართე მერას, ჯანდაცვის სისტემას, ყველა დაბალ ინსტანციასაც, მაგრამ ყველა უარით მისტურებდა. რამდენჯერმე იმდიც გადამტებურა, მაგრამ ხელი მაინც არ ჩავიქნიე: ეს უარის ფურცლები შევაგროვე და ყველაფერი მაშინდელ პრეზიდენტს, მიხეილ სააკაშვილს მივწერე. დიდი ბრძოლის, ენერგიისა და ტანკვის ფასად მივაღწიე იმას, რომ პრეზიდენტის ჩარევით, ოპერაცია დამიფინანსეს. ისრაელში, სამხრეთ ბა-

ქუჩაში და ეს ძალიან მახარებს; ყოველთვის კოცნებობდი, რომ სხვაზე დამოკიდებული არ ვყოფილიყავი და ბედნიერი ვარ, რომ ეს ოცნება ამისრულდა. ჯანდაცვის სამინისტრომ დაფინანსება გამიგრძელა და ისრაელში მკურნალობას დღემდე ვაგრძელებ. სამხრეთ გალილის ჰოსპიტალში ვმეურნალობ და ყოველი ჩასვლისას ვცდილობ, იერუსალიმში წავიდე, მაცხოვრის საფლავი მოვილოცო. ეს ძალიან დიდი ისისარული და იმედია ჩემთვის.

— ნანა, როგორც ვიცი, უსინათლოთა ეკაშირში სხვებიც არიან, ვინც თავს დატეხილ განსაცდელს არ შეუშინდა და მხნეობა არ დაკარგა.

— დიახ. ასეთია მაგალითად, ნეკა თვაური, რომელიც მრავალგზის ჩემპიონია ცურვაში. ის არაერთი ჯილდოსა და მედლის მფლობელია. 16 წლისამ დაკარგა მხედველობა და მოუხედავად იმისა, რომ რამდენიმე ოპერაცია გაიკეთა, დღეს უსინათლოა. მან სწორედ მხედველობის დაკარგვის შემდეგ გადაწყიტა, ნარმატებისთვის მიედნია და საკუთარი მაგალითით დაამტკიცა, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს ბევრი რამის გაკეთება შეუ-

ვცდილობ, ისეთი პროექტები გამოიყენებოდენ, რომელიც უსინათლო ადამიანებს შეზღუდულ გამოიყენებოდენ, მისი გადამტკიცა და სამართლებრივი მისა, რომ პრეზიდენტის ჩარევით, ოპერაცია დამიფინანსება. ისრაელში, სამხრეთ ბა-

ცენტრების სტიმულს მისცემს

ბილონში არსებულ კლინიკაში თვალის რქოვანა გადამინერგეს და მხედველობა ნანილობრივ დამიბრუნებს.

— **თუ გახსოვს, პირველად ვინ ან რა დაინახე?**

— ყველაზე დაუკინარები ემოცია ჩემში ზეცისა და ღრუბლების დანახვამ გამოიწვია. 2012 წელს მეორე ოპერაციაც გამიკეთეს და საბედნიეროდ, მხედველობა უკვე აღდგენის პროცესშია. მაღლობელი ვარ ყველასი, ვინც ამ კეთილ საქმეში დამემარა, ვინც ჩემზე ზრუნავდა! უკვე მარტო დავდივარ

შეიცვალოს. უცხოეთში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მმართ სულ სხვაგვარი მიღვიმაა: იქ ამბობენ — „ადამიანი, რომელიც ვერ ხდაგა“; „ადამიანი, რომელიც ვერ დადის“ ანუ გაცილებით ტაქტიანი და მსუბუქი დამოკიდებულება მათმიმართ, ხოლო საქართველოში შემ პირებს ძალიან დიდი ბარიერები და დაბრკოლებები ხვდებათ. უჭირთ დაქორწინება, ვერ წარმოუდგენიათ, თუ ეს ადამიანები რამეს ახერხებენ...

შეენ გვექმნება უამრავი პრობლემა. ნანა ბრეგვაძე: — ახლახან ამერიკაში ვიყავი და გამიკვირდა, იქ იმდენად განსახვებული დამოკიდებულებაა შემ პირების მიმართ. ამერიკაში საზოგადოების სრულფასოვან წევრად გრძნობ თავს. სწორედ იქ დავრწმუნდი, რომ შეზღუდული არის გარემო და არა — ადამიანი. ვნუხვარ, რომ ქართულ პრესაშიც შემ პირებზე ისე წერენ, თითქოს ისინი საბრალოები არიან და არ ცდილობენ, მათი ნიჭი და შესაძლებლობები გამოავლინონ, გაახმაურონ. სწორედ ეს მიდგომა უნდა

შეიცვალოს უცხოეთში შეზღუდული

დედაქალაქშიც კი არ არის შესაბამისი პირობები შემ პირებისათვის. მაგალითად: არ გვაქს ხმოვანი ტაბლოები; პარკინგი მოუწესრიგებულია, რათა უსინათლო ან სავარელში მჯდომადამიანს მანქანა არ დაეჯახოს, არ არის პანდუსები... შემ პირი დამოკიდებლად მაღაზიაშიც კი ვერ შევა, ყველანაირად სხვაზეა დამოკიდებული ანუ საქართველოში ამ ადამიანებს დამოუკიდებლობის განცდას უკლავნენ, ეს კი მერწმუნეთ, ყველაზე მძიმე ასატანია.

# ქუჩის ბაზრობების კლიენტები...

ინა ჰაყელი

მიუხედავად გაფრთხილებისა, რომ ქუჩაში გასაყიდად გამოტანილი კვების პროდუქტები მხოლოდ ჯანმრთელობისთვის კი არა, სიცოცხლისთვისაც საშიშროებას წარმოადგენს, გარე მოვაჭრებს კლიენტი არ აკლიათ. ამ მასალის მომზადება მას შემდეგ გადავწყიტე, რაც სამარმრუტო ტაქსის ღოფინისას, პირდაპირ ასფალტზე დალაგებული ბოსტნეული დავინახე: კიტრი, პომიდორი, ხავი, ბადრიჯანი... პროდუქტი ტროტუარზე განეთავსებინა გამყიდველს. გზის სავალ ნაწილზე კი ბინძური წყალი მიედინებოდა. ისეთი სუნი ჰქონდა, აძჟარად, კანალიზაციის მილი იყო სადღაც გახეთქილი...

დალლილი ადამიანები რიგში იდგნენ ჩემდა გასაკვირად და სულაც არ უშინდებოდნენ ასეთ დაბინძურებულ ადგილს საკვები პროდუქტის ყიდვას. ჩემი მოთმინების ფიალა მაშინ აივსო, როცა ახალგაზრდა ქალმა ოთხილე წლის ბიჭუნას, რომელიც ცრემლიანი თვალებით ეხვევნებოდა დედას, ნაყინი მყიდვე, იმ წუთმან ნაყიდი, გაურეცხავი კიტრი შეაჩერა ხელში: ეს ჭამე და ნუ შემანეხე ღანავილით...

არ ვიცი, შექმადა თუ არა პატარა კიტრს, აღშფოთს უშლი რომაზვნებომოდი ხელში. დედამისის ცუსაცვედურე:

— როგორ შეიძლება, ქალბატონო, აქედან აღბული კიტრი გაურეცხავად აჭმო პატარა? ეჭვიც არ შეეპაროთ, რომ სულ მცირე, მოინამლება!

— გამოჩნდა არა მკითხე-მოამბე, გააწყალეს გული... ხალხს საჭმელი ჰქონდეს და მონამვლაზე ფიქრის დროა?! — ყველას დაასწრო პასუხი გამყიდველმა, როცა შეამჩნია, რომ მისი კლიენტების ყურადღება მივიყენი...

მისთვის პასუხის გაცემას აზრი არ ჰქონდა. ამიტომ დიქტოფონი ამოვიდე ჩანთიდან და სახელდახელოდ მოფიქრებული კითხვა დავსვი: როგორ შეგიძლიათ ქუჩის ჭუჭუში და ასეთ დაბინძურებულ გარემოში ნაყიდი საკვები პროდუქტი შესთავაზოთ ახლობლებს? არ გეშინიათ?

ვაჟა გელაშვილი, 71 წლის, პენსიონერი:

— ბაზართან შედარებით, სიიაფეა



ქუჩაში ვგხოვობ და მის შეამსაც შეეჩვია ალბათ ჩემი ორგანიზი

და ჩემი ჯიბის სისქე მაიძულებს ასე მოქცევას. გავრცელავთ და გასუფთავდება, აბა, რა ჯანდაბა მოუვა?!

— ქუჩის ჭუჭუში გარდა, ამდენი მანქანის გამონაბოლექიც რომ შეამად ემატება საკვებს, ამაზე არ გიფიქრიათ!?

— რა ვიცი, ამდენი ხანია, ვჭამთ და ცოცხლები ვართ...

ლია კოპალიანი, 32 წლის, დიასახლისი:

— ნამიკითხავს ასეთი პროდუქტის მავნებლობაზე, მაგრამ ბაზარში ორჯერ ძვრია ხილი და ბოსტნეული. ჰოდა, არჩევანის საშუალებაც არ აქვთ ჩემნაირებს. ოჯახში მხოლოდ ჩემი მეუღლე მუშაობს და ძალიან დაბალი ხელფასი აქვს. სულ ასე ვყიდულობ პროდუქტს. რა ვიცი, დღემდე ცოცხლები ვართ და იმედია, მომავალშიც არ დავიხოცებით.

თინებო მესები, 42 წლის, პრესის გამაცრცელებელი:

— მეც მთელი დღე ქუჩაში ვარ, კლიენტის მოლოდინში და რადგან კაფეში შესვლის უფლებას ვერვაძლევ თვეს, ხმირად აქვე მიჭამა ხილიც და ბოსტნეულიც. წყალი მაქვს ბოთლით და გადავალებ ხოლმე. ქუჩაში ვცხოვობობ და მის შეამსაც შეეჩვია ალბათ ჩემი ირგანიზმი...

ელისო ეარდავა, 52 წლის, მზარეული:

— ხახვი ვიყიდე მხოლოდ და რა თქმა უნდა, სიიაფის გამო. აქვე ვმუშაობ, კაფეში და ბოსტნეულსაც ვყიდულობთ ხოლმე...

— ასეთი პროდუქტის კაფეს კლიენტისთვის შეთავაზება მისი უფლებების დარღვევად არ მიგარინიათ?

— ჯერ არ გამიგია, რომ ჩვენს

კაფეში ადამიანი მონამლულიყოს! — გამეცალა აშკარად გალიზიანებული.

ნინო დევიდი, 41 წლის, დიასახლისი:

— ვიცი, რომ არ ვიქცევი სწორად, მაგრამ არ მცალია ბაზარში წასასვლელად და პირველსავე გამყიდველთან შეეჩირდი...

— ამით ჯანმრთელობას ინგრევთ...

— (არ დამამთავრებინა სიტყვა) მაგნაირებისთვის გაგვიძლია ქართველებს?! ასე მგონა, შეამიც რომ დავლიოთ, მოვინელებთ! — აღარ გამიჩერდა სალაპარაკოდ...

არ გაჭრა ჩემმა კატეგორიულობამ და შეგონებებმა. მაინც ყველა იყიდა დაბინძურებული ბოსტნეული...

შორიახლოს საპატრულო პოლიციის ეკიადა შეგნიშნება და მათაც დაუსეი ერთი კითხეა:

— რატომ აძლევთ ასეთ პირბებში ვაჭრობის ნებას?

— გამოძახება გვაქეს! — ჩასხდნენ მანქანამი. მგონი, უბრალოდ თავი ამარიდეს...

აღარ ვიცი, როგორ დავასრულო ეს მასალა. ათასჯერ დაწერილა, რომ არ უნდა ვიყიდოთ ქუჩაში საკვები პროდუქტი და იმაზეც, რა საშინელ დღეში ვიგდებთ ამით საკუთარ თუ ახლობლების ჯანმრთელობას, — გამეორებას აზრი არა აქვს ალბათ და მაინც: ნუ გვგონია, რომ უბედურება მხოლოდ სხვას დაემართება და თუ ერთხელ გადავრჩით, სულ გაგვიღიმებს ფორტუნა... ყველა ერთად ვიბრძოლოთ ისეთი დანამაულის აღსაკვეთად, როგორიც ქუჩაში ვაჭრობა. დამიჯერეთ, შერყეული ჯანმრთელობის აღდგენა ბევრად მეტი დაგიჯდებათ...

# ისტორიკოსი ქალგათონის ხანმოკლე ცხოვრება და უცნობი ფურცლები

რას სწერდა ამერიკაში მცხოვრები პროფესორი ქართველ ახალგაზრდას

ისტორიკოსი დოდო ლომიძე XVIII საუკუნის საქართველოს ისტორიის საკუთხებზე მუშაობდა და როგორც ამბობენ, ბევრი ყურადსალები ამბავიც აღმოაჩინა. რედაქტორი მისი და — ქალბატონი ნაზი ლომიძე გვესტუმრა და გვთხოვა, რომ ისტორიკოსების წრეში ძალიან ცნობილი ქალბატონის შესახებ რაიმე დაგვეწრია, მით უმეტეს, რომ ის ამას იმსახურებდა. ქალბატონმა ნაზიმ მოგვაწოდა დოდო ლომიძის ნაშრომები და წიგნები, ასევე, იმ წერილების ასლები, რომელსაც ისტორიკოსი იმ დროს ძალიან ცნობილ ადამიანს, ლოს-ანჯელესის უნივერსიტეტის ხელოვნების დეპარტამენტის თავმჯდომარეს, პროფესორ ვახტანგ ჯობაძეს სწერდა. ამ მიმოწერაში ახალგაზრდა ქალბატონი და ასაკოვანი პროფესორი ერთმანეთს გატაცებით ესაუბრებიან ტაო-კლარჯეთის შესახებ, სადაც ვახტანგ ჯობაძე ხშირად ჩადიოდა, ის თავის აღმოჩენებს უზიარებდა ახალგაზრდა გოგონას და ამერიკიდან აქეზებდა: აბა, თქვენ იცით, თქვენი იმედი მაქვს. ვიცი, ამ საქმეს ხელს მოჰკიდებთ, რათა ყველაფერი სწორად წარიმართოს...

## დიპა ქართველი

გიამბობთ ქალბატონის ცხოვრებაზე, რომელმაც თავი შესწირა XVIII საუკუნის საქართველოს ისტორიის კვლევას და პირადი ცხოვრებისთვის ვერ მოიცალა, მერე კი სამნუხაროდ, ტრაგიულად გარდაიცვალა.

### ნაზი ლომიძე:

— ბედნიერი ბავშვობა გვქონდა, მაგრამ მერე ტრაგედია დაგვატყდა თავს: დოდო 15 წლის იყო, როცა დედა ავთვისებიანი სიმსივნით გარდავგვეცვალა. დოდო ძალიან გულტევილი, დედაზე მიჯაჭვული ბავშვი იყო. ცხადია, გაუჭირდა მის გარეშე ყოფნა... ის სკოლიდან რომ მოდიოდა, მე ლექციებზე მიწევდა წასვლა. ერთ დღეს, ინსტიტუტიდან რომ დავბრუნდა, ტირილის-გან თვალებდასივებული დამხვდა. რა გჭირს-მეთქი? — ვკითხე. — დედა მენატრებაო. ვიფიქრე, გაუვლის-მეთქი, მაგრამ მეორე და მესამე დღესაც იგივე რომ გამეორდა, შევშფოთდი,

ძალიან შემეშინდა. სხვა გზა არ მქონდა და სკოლიდან დაპრუნებულს რომ ვასადილებდი, მერე უნივერსიტეტში მიმყავდა ხოლმე. ის ბოლო მერხთან იჯდა და ან მეცადინეობდა, ან ხატავდა. მადლობა უფალს, ლექტორებმა ნება დამრთეს, დოდო ლექციაზე შემეყვანა. ის ძალიან ლამაზი იყო და მალე ყველა ლექტორს შეავყარა თავი; ჩემი ამხანაგებიც დიდ პატივს სცემდნენ.

### — ასე რამდენ ხანს გაგრძელდა?

— რაღაც პერიოდის შემდეგ უკეთე-სი გამოსავალი ვიპოვე: დეიდა მყავდა, რომელსაც თავისი ოჯახი, შეიღები, მეუღლე ჰყავდა და ცხადია, ჩვენთან ყოველდღე ვერ მოდიოდა. პოდა, გოხოვე: დოდოს ძალიან უჭირს, სახლში ვერ ვტოვებ, სულ ტირის და ამიტომაც, უნივერსიტეტში მიმყავს ხოლმე. მიშველურა სკოლის მერე შენთან მოვიყვან და შენს შვილზე უფრო მეტად მიეფერე-მეთქი. გამოსავალს ვეძებდი დოდოს დასამშვიდებლად. მასზე 9 წლით



ის საქართველოს ისტორიით ცხოვრობდა, ამით სუნთქმავდა

უფროსი გახლდით. კარგი, მომიუვანეო,

— მითხრა დეიდამ. სკოლის შემდეგ დოდო მასთან მიმყავდა, ის კი ეუბნებოდა: უი, მოხვედი, ჩემო ლამაზო? შენ ხმი იცი, რომ დეიდას დედის სუნი ასდის? მე ისეთივე საყვარელი ვიქნები შენთვის, როგორიც დედა იყოო. მართლაც, დედის სიყვარული და მონატრება დეიდაზე გადაიტანა. სკოლის მერე, იმეცადინებდა თუ არა, დეიდასთან გარბოდა. დეიდა რუსთაველზე, ჩვენ ვაკეში ვცხოვრობდით და დამოუკიდებლადაც შეეძლო იქ წასვლა.

— ისტორიით ასე რატომ დაინტერესდა?



ქაშვეთი — ტაძარი აგებულია 1904-1910 წნ. ძევლი ეკლესიის ადგილზე. ადრე აქ იდგა დავით გარეჯელის სახელთან დაკავშირებული უძველესი ტაძარი, რომელიც XVIII საუკუნეში ამილახვების აგებულმა აგურის ეკლესიამ შეცვალა.

XIX საუკუნის მიწურულს ისიც დაზიანდა. ქაშვეთის მაშინდელმა წინამძღვარმა, მარკოზ ტყემალაძემ და ტაძრის მესვეურებმა ახალი შენობის აგება გადაწყვიტეს. პროექტი შეადგინა არქიტექტორმა ლ. ბილფელდმა,

რომელმაც ნიმუშად სამთავისის ტაძარი გამოიყენა. ფასადის მდიდრული ჩუქურთმა ნეოფიტე აგლაძეს ეკუთვნის. თუმცა, ტაძარში უხვადა დევლი ქართული ხელოვნებისათვის უცხო ეკლესტიკური ხასიათის ელემენტები, მაგრამ მას ბევრი ლირსებაც აქვს. ქაშვეთი კარგად არის შეხამებული ადგილმდებარეობასთან და თავისი სილუეტით მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ქალაქის ცენტრის ანსამბლში. 1947 წელს ქაშვეთის ტაძარი ლადო გუდიაშვილმა მოხატა.

— არ ვიცი, რატომ, მაგრამ ისტორია ყოველთვის განსაკუთრებულად უყვარდა. საშუალო სკოლა ნარჩინებით დაამთავრა და მერე უნივერსიტეტში, ისტორიულზე მოეწყო. მეორე კურსიდან მეორად ფაკულტეტზე, ხელვენებათმცოდნებაზეც ჩააბარა. სხვათაშორის, გაცვლითი პროგრამით უნივერსიტეტიდან ჩეხისლოვაკიასა და პოლონეთშიც გაგზავნეს. ახლა საზღვარგარეთ ყველა დადის, მაშინ კი მსგავსი რაღაცები ძალიან ჭირდა, მაგრამ დოდო იმდენად ნარჩატებული სტუდენტი იყო, რომ გაუშვეს. ასევე მოიარა საბჭოთა კავშირში შემავალი თითქმის ყველა ქვეყანა. ზაფხულში უშვებდნენ საველე სამუშაოებზე ჩრდილოეთ კავკასიაში, სომხეთში, აზერბაიჯანში... უნივერსიტეტის რჩეულმა სტუდენტებმა სასწავლებელი რომ დაამთავრა, ხელნაწერთა ინსტიტუტში დაინტყო მუშაობა — ჯერ სტაუიორად, შემდეგ დაანინაურეს, დაანინაურეს და ბოლოს გახლდათ ნიკო ბერძენიშვილის კაბინეტის გამგე. როცა ბერძენიშვილი გარდაიცვალა, მისი არქივი მთლიანად დოდომ დაამუშავა.

— როგორც მითხარით, ის ხშირად უკავშირდებოდა ამერიკაში მცხოვრებ პროფესორს — ვახტანგ ჯობაძეს?

— დიას და მათი წერილები ჩვენს ოჯახს დღემდე შემორჩა. სულ საქართველოს ისტორიაზე, ტაო-კლარჯეთზე ლაპარაკობდნენ. ძალიან სანტერესოა მათი მიმოწერა. ამ კაცს შეიღია არ ჰყავდა. მისი მეულე მატერიალურად ძალიან ძლიერი გახლდათ და ვინაიდან მის ქმარს საქართველო საოცრად უყვარდა, ყველანარიად ეხმარებოდა. ხშირად იყო ტაოში, იქ ფრესკები ნადგურდებაო, და ცდილობდა, როგორმე შეესწავლა. ამ ფრესკების ფოტოებს უგზავნიდა დოდოს.

— ერთმანეთი სად გაიცნეს?

— დოდო ხშირად მონაწილეობდა სიმპოზიუმებში, საერთაშორისო და

საინსტიტუტო სესიებსა და კონფერენციებში; უნევდა ლექციების ნაკითხვა და ა.შ. თურმე, ერთ-ერთ სიმპოზიუმზე შეხვდნენ ერთმანეთს და ამ პროფესორს დოდოს ნერილი მოსწონებია. უთქვამს, ეს ნერილი კულტურის უმაღლესი მწვერვალია. აქვე გეტყვით, რომ დოდო გახლდათ ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი, კორნელი კეკელიძის ხელნაწერთა ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი. გამოქვეყნებული აქვთ 27 ნაშრომი. 1998 წელს მიენიჭა ნიკო ბერძენიშვილის სახელობის პრემია. ჰოდა, ამ ყველაფრის გამო იყო ალბათ, რომ პირადი ცხოვრებისთვის ვერ მოიცალა. მერე გადაწყვიტა, დისტვილი აღეზარდა და მასზე მართლაც, საკუთარი შვილივით ზრუნავდა.


— როგორც ვიცი, ტრაგიკულად გარდაიცვალა...

— მთელი ცხოვრება სწავლას, კვლევებს, დისერტაციის დაცვას შეალია, ბოლოს კი სიმსივნით გარდაიცვალა. 7 წელი ძალიან იტანჯებოდა, მერე კი, 57 წლის ასაში წავიდა იმ ქვეყნად... 10 წელი გავიდა მას მერე, რაც სიკვდილმა გამომაცალა ხელიდან. ის იყო ადამიანი, რომელმაც თავი მიუძღვნა ისტორიის შეუსწავლელი და გამოუქვეყნებელი საკითხების შესწავლას. მიხარია, რომ მისი გარდაცვალების შემდეგ მაინც მოხერხდა მისი ნაშრომების წიგნად გამოცემა. ამბობენ, დრო ყველაფრის მუზრნალიაო, მაგრამ ვერანაირი დრო ვერ ვანკურნავს იმ ტკივილს, რაც დოდოს სიკვდილმა მოგვაყენა მის ახლობლებს. ზუსტად ვიცი, ასე ნაადრევად რომ არ ნასულიყო ჩვენგან, კიდევ ბევრი რამის გამოკვლევას შეძლებდა და ნარსულიდან კიდევ ბევრ ფურცელს გააცოცხლებდა. მას სხვანაირად არ შეეძლო, ამით ცხოვრობდა, ამით სუნთქვავდა...

წერილები, რომლებიც ამერიკა-საქართველოს შორის იგზავნებოდა (სტილი დაცულია):

თემა, რომელიც დღეს მოქცეულია სახალხო დიპლომატიის წიგნში, გივი ანდუყაფარის ძე ამილახორის შესახებ, დოდო ლომიძემ გამოიკვლია, ამ უცნობ ფაქტს მან მიაკვლია. მის ნაშრომში, რომელიც ქალბატონმა ნაზიმ მოგანოდა, ვკითხულობთ (სტილი დაცულია):

„XVIII საუკუნის მეორე მეოთხედის ერისკაცთა შორის განსაკუთრებული ადგილი უკავია გივი ანდუყაფარის ძე ამილახორს (1683-1754/57). იგი იყო გამოჩენილი საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწე, ზემო ქართლის სადროშოს სარდალი, საამილახოროს უფროსი, გორის (1723-1735) და თბილისის მოურავი, ქართლის კექილი და შაჰის ყულარადასი (ოსმალობა-ყიზილბაშის ხანაში). გმირულად იბრძოდა ქართველი ხალხის თავისუფლებისა და ერთიანი ქრისტიანული სახელმწიფოს აღდგენისთვის.



სულ საქართველოს ისტორიაზე, ტაო-კლარჯეთზე ლაპარაკობდნენ

„1983 წლის, 24 თებერვალი. დიდად პატივცემულ ქალბატონ დოდო.

ეს-ეს არის, გამახარა თქვენმა წერილმა და დღესვე ვასრულებ თქვენს თხოვნას: გიგზავნით 19 თუ 20



ხელოვნების ისტორიკოსი, არქეოლოგი, კალიფორნიის სტატისტის უნივერსიტეტის პროფესორი ვახტანგ ჯობაძე დაიბადა 1917 წლის 18 მარტს, თბილისში. 1940 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი და სანაურა საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის ასპირანტურაში, ხელოვნების ისტორიის განხრით განაგრძო. მეორე მსოფლიო ომის დროს ჯარში გაიწიეს. მოგვიანებით, ტყვედ ჩავარდა, საიდანაც

ქართველმა ემიგრანტებმა გაიყვანეს და დარჩა გერმანიაში.

მოგვიანებით, გეტინგენის, ფრაიბურგისა და ერლანგენის უნივერსიტეტებში იღრმავებს ცოდნას კლასიკურ არქეოლოგიასა და ხელოვნების ისტორიაში. შემდეგ მიემგზავრება ესპანეთში და აქვე ქორნინდება გერმანელი ირენე (ირინე) ბიბერზე. 1953 წელს ოჯახთან ერთად საცხოვრებლად გადადის ამერიკის შეერთებულ შტატებში.

შტატებში ვახტანგ ჯობაძე თანამშრომლობდა „ამერიკის ხმასთან“,

გივი ამილახორის ცხოვრება და მოღვაწეობა დღემდე არ ყოფილა სპეციალური შესწავლის საგანი. მისი, როგორც პოლიტიკური მოღვაწის შესახებ შეფასება, არის შეფასება სამეცნიერო ლიტერატურაში და აღნიშნულია მისი დამსახურება საეკლესიო მოღვაწეობის სფეროში.

საისტორიო წყაროები გივი ამილახორის წარმოგვიდების, როგორც ჭეშმარიტი მართლმადიდებელს, ღვთისმოყვარესა და სჯულისთვის თავდადებულს.

ოსმალობა ყიზილბაშობის ხანაში, ქართველი ერის ყოფნა-არყოფნის საკითხი იდგა. იმ დროს, როცა მაჲმადინი დამპყრობლები უბირველეს ყოვლისა, სარწმუნობრივ სინმინდებებს, ეროვნული კულტურის კერძებს, ეკლესია-მონასტრებს ანადგურებდნენ და მეჩეთებად აქცევდნენ, გივი ამილახორი ზრუნავდა ქართულ ეკლესია-მონასტრებზე. მან გადაარჩინა თბილისის სიონი მეჩეთად

გადაკეთებას, სვეტიცხოველს დაუბრუნა ყიზილბაშებისგან წართმეული ქონება, განაახლა ბეთლემის, შიომღვიმისა და სვეტიცხოვლის ტაძრები, გორიჯვრის წმინდა გიორგის ეკლესიას სოფელი გორისა შესწირა. მისი მზრუნველი ხელი სწვდებოდა წმინდა იოანე ნათლისმცემლის უდაბნოსადა ნინოწმინდის ეკლესიებს და ბოლოს, მან ააშენა თბილისი ქაშვეთის წმინდა გიორგის ეკლესია. ამავე დროს, მისი დაკვეთით იქნა შესრულებული მარხვანი-ხატიკი, მეტაფრასი და მარხვანი.

მამაცმა და ნიკიფორმა სარდალმა პატიმრობში ყოფნის დროს ქ. ქელათის ადგისისას, ადილ-შაჰისადმი განეული დახმარებისთვის და მაზანდერანში ციხე-ქალაქის აშენებისათვის წყალობად მიიღო დიდაბილი ქონება და ყულარალასობა (სახელად შაჰ-ყულიხანი). დაგროვილი სიმდიდრე და სოლიდური თანხა მოწყალების სახით გამოგზავნა

**სურათს, რომლებიც გამოსახავენ უცხოეთში გადმოკარგული მცირე ხელოვნების ზოგიერთ ნიმუშს ქართული წარწერებით:** ტრიპტიხი მინანქრის ხატი, მინანქრის ნიგნის ბუდე, ჯვრები და დაფარანები. ზოგიერთი წარწერა მართლაც, საინტერესოა. ასახავს ზოგიერთი ჩვენი დიდებული წინაპრის ამაო ბრძოლას მიუსავალში, ისტორია მეორედება. გრიგორ ფერაძის მიერ იერუსალიმში გადაღებული „კვარცხლბეკი“ სამწუხაროდ, უაღრესად მცირე ზომისაა, თანაც, გაურკვეველი, მაგრამ მგონია, ოდნავ უკვეთესი სურათი გამოქვეყნებული აქვს თამარას, სამშობლოს მიერ დავიწყებულს და თუ არ ვცდები, მიხეილ თარხნიშვილსაც, „ბედი ქართლისას“ მეოთხე თუ მეექვს ხომერში.

იმედია, მასალა გამოგადგებათ. თქვენ მტკიცე ხასიათის ქალბატონი უნდა ბრძანდებოდეთ. XVIII საუკუნე გოდებისა და ქვითონის ხანა ჩვენთვის, მე ამ ხანის შესახებ წერა კი

ოჯახის გამოსაკვებად მუშაობდა ქარხანაში. ჰარვარდისა და იუტას უნივერსიტეტებში თანამშრომლობის შემდეგ, საბოლოოდ დამკიდრდა ლოს-ანჯელესში, კალიფორნიის შტატის უნივერსიტეტში და ხელმძღვანელობდა ხელოვნების ისტორიის დეპარტამენტს.

ვახტანგ ჯობაძემ დიდი წელილი შეიტანა უცხოეთში არსებულ ძეველი ქართული კულტურის კერძების გამომზეურებასა და შესავლაში. 1962-1967 წწ. ანარმობდა არქეოლოგიურ გათხრებს ძეველი სირიის, ანტიოქიის

**არა, კითხვაც არ ძალმიძს. მაკვირვებს, როგორ გადაიტანეს ჩვენმა წინაპრებმა?**

კიდევ ერთხელ გთხოვთ გაიზიაროთ ჩემი საუკეთესო სურვილები და თქვენდამი პატივისცემა.

თქვენი ვახტანგ ჯობაძე“.

„დიდად პატივცემულობა ბატონოვ ვახტანგ:

ჩემი ყურადღება მიიქცია ბატონ გრ. ფერაძესთან ერთად, იერუსალიმში გადაღებულმა „კვარცხლბეკი“. წარწერაში მოხსენიებული ერევლების ასული ელენე, იესე მეფის თანამეცხედრე და ანტონ კათალიკოსის დედა ბრძანდებოდა. როგორც საბუთებიდან ირკვევა, მისი მონაზონიბის სახელი ელისაბედი ყოფილა. ის 1738 წელს ყიზილბაშებისგან შევიწროებული, მიემგზავრება რუსეთს. ელისაბედის ამალის სიაში, სხვა პირებთან ერთად დასახელებულია აზნაური შიო ჯობაძე.

მიდამოებში. გამოიკვლია სამი ცნობილი ნამონასტრალი: ბარლაამის მონასტერი კასიუსის მთაზე, სვიმეონ მესვეტე (უმცროსი) საკვირველმოქმედის სავანე, შავი მთის ქართული მონასტრი. ამ არქეოლოგიური მონაპოვრების შესწავლით დადასტურდა ქართველ ხუროთმოძღვართა და ქვის მჭრელთა მოღვაწეობა ანტიოქიის მიდამოებში.

ვახტანგ ჯობაძე იკვლევდა ქართველთა კოლონიების საკითხს კუნძულ კვიპროსზე. ვატიკანში დაცულ ერთ დოკუმენტში მოხსენიებულ ია-

სამშობლოში, დანგრეული ქვეყნის ასაშენებლად უდაბნოს, იმერეთის, ახალციხისა და კათოლიკების (ფრანგების) ეკლესიების აღსაღენად ქველმოქმედების გარეშე არ დაუტოვებია არც თემურაზ მეფე, ანტონ კათალიკოსი და თავისი მსახურ-აზნაურები.

1750 წელს გივი ამილახორმა ირანის ტყვეობაში მყოფი, უკიდურესად გაჭირვებული ქართველების გადასარჩენად გაიღო მოწყალება, შემოიკრიბა ისინი და დაბრუნა სამშობლოში.

ასეთია გივი ამილახორის — ერისკაციის, ჭეშმარიტი ქრისტიანის (რომელსაც „სჯული ვერ დადებინეს და ეგრევე ქრისტიანობით მოვიდა ქართლში“) მოღვაწეობა ქართული სულისა და ეროვნული თვითშეგნების გადარჩენის საქმეში. ვფიქრობთ, ეს საინტერესო პოლიტიკური მოღვაწე და ერისკაციი იმ-სახურებს მონოგრაფიულ შესწავლას“.

**თქვენ მიერ მოწყობებულ მასალასთან ერთად, დედოფალ ელენეს შესახებ მოვიძიე სხვა საბუთებიც, რის შესახებაც წავიკითხავ მოხსენება ინსტიტუტში. მიიღეთ ჩვენგან გულთბილი მოკითხვა და საუკეთესო სურვილები. დიდი პატივისცემითა და მოკრძალებით, დოლო ლომიძე, 1983 წლის 4 აპრილი“.**

P.S. „გზა“ გაძლევთ შანსს, თქვენც გახდეთ ჩვენი რესპონდენტი თუ ფიქრობთ, რომ სხვებისგან რაიმეთი გამოირჩევით ან საკუთარი საინტერესო თავ-გადასაცლის მოყოლა გსურთ, თუ სურვილი გაქვთ ვინმეს სიუყარულში გამოუტყიფეთ ან სულაც, სოციალურ პრობლემებზე საკუთარი აზრი დააფიქსიროთ, მაშინ მოგვწერეთ ტელეფონის ნომერზე: 5(58) 25.60.81 ან მეილზე: lika.qajaja@gmail.com ■

ლაის მონასტრალი გააგივა უალიას (ლალიას) მონასტრალი და დაადასტურა მისი ქართული წარმოშობა.

ექვთიმე თაყაიშვილის შემდეგ ვახტანგ ჯობაძე იყო ერთადერთი ქართველი კვიპრებარი, რომელსაც საშუალება ჰქონდა ემოცია ზაურა და შესწავლა ტაო-კულტობრივი მეცნიერების შესწავლით და დასტურდა ქართველ ხუროთმოძღვართა და ქვის მჭრელთა მოღვაწეობა ანტიოქიის მიდამოებში.

ვახტანგ ჯობაძე გარდაიცვალა კარლსბადში, 2007 წელს. მისი ფირფლი თბილისში ჩამოასვენეს.

ვახტანგ ჯობაძის ბიბლიოთეკა ვა-დეცანტურ ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრს.



## ბიბლიუსი

ნაწარმოებზე თქვენი შეაბეჭდილეთ  
შეგიძლიათ გაგიზიაროთ  
ელფოსტით

<http://svetnov.wordpress.com/>  
[gza.fantazia@gmail.com](mailto:gza.fantazia@gmail.com)

სვეტია კვარაცხელია

დასახლისი იხ. „მზა №28-32

შვიდის თხუთმეტი წუთი იყო და მიეცხდი, როგორ შემიპყრო პანიკამ. სარკეში ვიყურებოდი და ჩემს თავს ვერ ვცნობდი. გორებაში შარლოტას სიტყვები მიტრიალებდა, გამომშვიდობებისას რომ მითხრა:

— საყარელო, განუმეორებლად ლამაზი ხარ. ყველას ალაფრთოვანებ ამ სალამოს. ამისთვის მზად იყავი, ეს მთავარია! ერთხელ ჯანი ვერსაჩემ თქვა: „როცა საზოგადოებაში არავინ გიყურებს, სასწრაფოდ უკანა კარიდან გადიდა შენთვის ახალი კაბა იშოვე“. ჩემოძირიფასო, შენ ახალი კაბის შოვნა არ მოგიწევა. ამ კაბის გარეშეც თვალისმომჭრელი ხარ.

კაბა მართლაც საოცრება იყო. თითქოს ზუსტად ჩემს სხეულზე შეკერესო, ისე ნათლად აჩენდა თითოეულ ნაკვთს. არადა, ცუდი აღნაგობა ნამდვილად არ მაქს. ჩემი ტან-ფეხი ნებისმიერ მოდელს შეშურდება. არ მიყვარს საკუთარ გარეგნობაზე საუბარი, მაგრამ სიტყვამ მოიტანა და გვერდს ვერ ავუკლი. ერთადერთი, რაც ამ სხეულს აკლია, მამაკაცის შეხებაა, რათა უფრო სექსუალური გახადოს, რათა ვნებით აიგსოს და დაიცალოს. სხვა მხრივ, ბედს სწორედ რომ არ ვემდური.

როცა შარლოტამ კაბა გამომიტანა, იმდენად ძირიფასი მეჩევენა, ჩატანაზე უარი ვთქვი, იქნებ სხვა გვენახა-მეთქი? ძალზე გამომწვევი ჩანდა, მარჯვენა გვერდზე გრძელი ჭრილით, მაგრამ ქალმა დაისინა, გინდა თუ არა, ეს უნდა მოიზომოო. არ შემცდარა. სამოსი ზედ მაკვდებოდა. მერე სხვებიც მოვსინჯე, მაგრამ ასე არც ერთი არ მომიხდა.

— ზესტად ისაა, რაც გვჭირდება!  
— აღტაცებულმა წამოიძახა შარლოტამ. — ქალმერთს ჰგავსარ.

კაბა კი შევარჩიეთ, მაგრამ მაინც არ გამომიშვა. დამსვა და ჯერ ვარ-



## სახიფათო სურვილები

ცხნილობა გააკეთებინა მის დასთან მომუშავე სტილისტ გოგონას, მერე — მაკიაჟი. ისეთი გრძნობა მქონდა, თითქოს საპატარძლოდ ვემზადებოდი.

მამიდას დაქალმა მგონი, ცოტა გადააჭარბა, მაგრამ თავადაც სასიამოვნოდ ვიყავი გაოცებული. თუმცა, ყველაზე მეტად მაინც კაბის საფასური მაღლელვებდა. ყველა ლამაზ კაბას მხოლოდ ერთი ნაკლი აქვს — ძალიან ძირია. ამიტომაც არ მიყვარს ბუტიკებში სიარული, თვალს წყალს კი დავალევინებ, მაგრამ გულსაც ვიტკენ, ამ უკანასკნელს კი მოფრთხილება სჭირდება.

როცა შარლოტას კაბის ფასი ვკითხე, კოპები შეიკრა, — ეს მამიდა აშენდა გაჩეუქა და ფასს ვერ გავამხელ, შენი მოვალეობაა, ნახვიდე და კარგად გაერთოო.

კიდევ ერთ პრობლემას ფეხსაცმელი წარმოადგენდა, რომლის გადაჭრაშიც მამიდა დამეხმარა. ჯულის და მე ერთი ზომის ფეხი გვაქვს, მას კი ამქვეწნად ყველაზე მეტად ფეხსაცმლის ყიდვა უყყარს. ნამდვილი მანიაკია. ალბათ 50 წყვილი მაინც ექნება, თან ყველა კარგი და ყველა სახელით ბუტიკში ნაყიდი. ასე რომ, მისი არჩევა არ გამჭირვებია.

სარკეში კიდევ ერთხელ შევაფასე ჩემი გარეგნობა და ამოიზოხრე — რაც შემეძლო, ყველაფერი გავაკეთო. მხოლოდ ერთი საკითხი მრჩებოდა — როგორ უნდა დამჭირა თავი წვეულებაზე?

— მორჩი წუნუნს, რა! — შევუძახე ჩემს თავს. — ბოლოს და ბოლოს, რესტორანში მიდიხარ! იქ ისეთივე ადამიანები იქნებიან, როგორიც შენ ხარ და როგორიც ის არის. ისიც ხომ ადამიანია, მერე რა, რომ მდიდარია?

გაბმულმა ზარმა მონოლოგი გამანყვეტინა. სანამ კარს მივუახლოვდებოდი, ვცდილობდი, დავწყინარებულიყავი და აღელვება არ შემტყობოდა.

— ვინ არის? — ხმაც კი შემცვლოდა, მიკროფონში რომ დავილაპარაკე.

— რიკ ნელსონი ვარ.

— ახლავე გამოვალ, მისტერ რიჩარდ! შეგიძლიათ ჰოლში მოიცადოთ? — ჩეარ-ჩეარა ვუპასუხე, კარის ავტომატურად გასაღებად ლილაკს დავაწერე და სირბილით უკანვე შევვარდო სააბაზანოში. თუ მინდა, ამ სალამოს ცოცხალი დავრჩე, უნდა დავმშვიდე, არავითარი პანიკა!

სულ რამდენიმე წამს ვიდეექი სარკესთან და ღრმად ვსუნთქავდი. როგორც იქნა, თავი ხელში ავიყვანე და ჩანთას დავავლე ხელი, რომელშიც პომიდა, ორი ოცირიკანქიანი (ყოველი შემთხვევისთვის, თუკი რიკი არ მოისურვებდა ჩემს გამოცილებას), პატარა სარკე და ქაღალდის ხელსახოცის შეკვრა მედო. მერე მამიდას ოთახში შევიხედე, თვალი ჩაუკარი და განიშნე, გავდივარ-მეთქი. ჯულიმ თითებით ჰაერში პირჯვარი გადამსახა და კეთილი გზა მისურვა.

როგორც იქნა, ჰოლისკენ ჩამავალ კიბეს ჩაუყევევი.

მამიდა ჯული ვიქტორიული სტილის სამსართულიან სახლში ცხოვრობს. თითო სართული თითო მობინადრეს უჭირავს. ჩვენ მეორე სართულზე ვართ.

დაბლა ჩასვლას იმაზე მეტხანს მოვუნდი, ვიდრე სხვა დროს. ისეთი მაღალქუსლიანი ფეხსაცმელი მეცვა და იმდენად ვიყავი მიუჩეველი, ძლიერ დავაბიჯვებდი. ვდგამდი საფეხურიდან საფეხურამდე ნაბიჯს თავ-დახრილი, სანამ კიბე არ ჩავათავე.

აღტაცების გამომისტველი სტენა და დესერტები გაგიგონიათ? სწორედ ასეთმა სტენამ მაიძულა, თავი ამენია. რიკ ნელსონს ხელები ჯიბებში ჩაეწყო და კედელს მიყრდნობოდა ჩემს მოლოდინში. ალბათ ნებისმიერი ქალი მოისურვებდა, ასეთი მამაკაცი თავის საძინებელში აღმოეჩინა. ღმერთო ჩემო, ისევ ის მზერა, ისევ ის ლურჯი თვალები, რომლებშიც შეიძლება ჩაიძიროთ! რა მაგარი პიჯაკი აცვია! განუმეორებელ ფორმაშია. იცის, როგორ ჩაიცვას, როგორ მოიცეს და მოექცეს სხვას, იცის, როგორ მიანოდოს თავისი თავი ქალს. წუნს ვერ დაუდებ. მშვენივრად იცის, როგორ

შთაბეჭდილებასაც ახდენს ქალებზე. როცა კრაიტული ლიმილით ჩემ-კენ გამოემართა, სუნთქვა შემიჩერდა, მხოლოდ ბოლო წუთს შევძელო ამომელერდა:

— საღამო მშვიდობისა!

— თავზარდა მცემად ლამაზი ხართ, კეიტ! — დაუფარავი ალფროთოვანებით მითხრა და როცა შევხედე, მის თვალებში სიხარულით აცეკვებული ნაპერწელები გაკრთა.

— მართლა? — წმინდა ქართული ჟესტი გამომივიდა! რა სულელი ვარ, ინგლისელს ასე როგორ უნდა უბასუხო? მთლად გადამავინცდა აქაური ეტიკეტი. უნდა მეთქვა, თქვენ აჭარბებთ, ან — გმადლობთ კომპლიმენტისთვის, ან — რამე ამდაგვარი. სად გაქრა ჩემი თავმოყვარეობა, ჩემი სიამაყე?! მიდი, კატო, დაუმტკიცე ამ ჯერტლების, რომ თავის დაჭრა შეგიძლია და ნებისმიერი ქათინაურის მოსმენისა არ წითლდები გადამწიფებული პამიდორივით.

— დიდი მადლობა, თავადაც ძალიან კარგად გამოიყურებით.

ასე არ ჯობია? ყოჩად, კატერინა! — მოვეფერე ჩემს თავს და ჩემს სახელს.

ესეც ასე, საქმაოდ გულგრილად გამომივიდა. მშვენიერი დასაწყისია!

რიკის მზერა მოუთმენლად დასრიალებდა ჩემს მბზინავ ყავისფერ თმაზე, აკურატურად შეღებილ წითელ ტუჩებზე და ბოლოს — მთელ სხეულზე. მის ყოველ ნათქვამში გაოცება იკითხებოდა.

— მდააა... თქვენ დღეს ფურირს მოახდენთ. დარწმუნებული ვარ, ყველას მოესურვება გაიგოს, სად გიპოვეთ. არ დავიწყებ მოყოლას, როგორ აღმოგაჩინეთ პარკში, სადაც თქვენი ძალი მეცა და წამაქცია. ამ ყველაფერს გამოცანად დავტოვებ, მეტი ინტრიგისთვის. რას იტყვით?

ეს ყველაფერი ისე გაისმა, თითქოს ძვირად ლირებული შენაძენი ვიყავი და ფიქრობდა, ეთქვა თუ არა მეგობრებისთვის იმ მაღაზიის მისამართი, სადაც მე „დამითრია“. თავმოყვარეობა შემელახა, მაგრამ გაღიმება მაინც შევძელი.

— მე კი მეგონა, ყველაფერი პირიქით იყო.

— ანუ თქვენ აღმომაჩინეთ? — დამასწრო.

უარესად გავიწოდდი.

— არა, მე კი არა, ჩემმა ძალიმა, — არ დავიბენი და მეტი დამაჯერებლობისთვის დავამატე: — ალბათ მართლაც არ ლირს იმის მოყოლა, როგორ გორაობდით მინაზე ჩემს ფეხებთან გაშოტილი.

ესეც შენ! გაჯობე თუ არა? — გულში გავმხიარულდი.

ჩემმა შენიშვნამ აშეარად შეუცვალა ხასიათი. წამით შეცბა, მაგრამ მალევე გაიღმა, ამჯერად — სასტიკად.

— თანახმა ვარ, — მითხრა და ხელი გამომიწოდა, — წავიდეთ, მანქანა გველოდება.

როგორც ჩანს, მოვახერხე მიმებვედრებინა, რომ ჩემთან ურთიერთობისას ჩარჩოებს არ უნდა გასცდეს. და მიუხედავად იმისა, რომ წვეულებაზე თანხლებას დავთანხმდი, ყველაფერზე ვერ დამითანხმდებდა.

როცა ქუჩაში გამოვედი, ველოდებოდი, რომ ტროტუართან ტაქსი დამხვდებოდა, მაგრამ მის ნაცვლად დავინახე, „მერსედესი“, რომლის უკანა კარი უკვე გამოელო მძღოლს და გველოდებოდა. რიკის დახმარებით უკანა სავარძელში მოვთავსდი, მერე თვითონაც გვერდით მომიჯდა და მძღოლს მიუბრუნდა:

— „სქვაირში“, ბობ!

რიკი ისე ახლოს აღმოჩნდა ჩემთან, რომ მისი ფეხები ჩემსას ეხებოდა. მიუხედავად ამისა, გვერდზე განევა არ მიცდია. მეტი საქმე არ მაქვს, ახლა ამას ვაფიქრებინო, რომ ასეთ წვრილმანებს ყურადღებას ვაქცევ და რომ ეს წვრილმანები დისკომფორტს მიქნის. არავითარ შემთხვევაში!

ჯანდაბას! რატომ დავთანხმდი ამ კაბის ჩაცმას? ეს გრძივი ჭრილი, თანაც ზუსტად იმ მხარეს, საითაც რიჩარდი ზის, ფეხს ზედმეტად აჩენს. სამარცხვინო ფეხები რომ არ მაქვს, ვიცი, მაგრამ იმის გაფიქრებაც კი, რომ რიკი თავის შემფასებლურ მზერას ჩემი შიშველი ფეხისკენ გააპარებს, საშინლად მაფორიაქებს. ამწუთას სხვა რამეზე ფიქრი არ გამომდიოდა.

უცებ მივხვდი, რომ რაღაც მკითხა და პასუხს ელოდა.

— მაპატიეთ, რა მითხარით? — თავგზიანად ვკითხე, თან გულში ჩემს თავს ვუჯავრდებოდი უყურადღებობისთვის.

— შეგვეითხეთ, „სქვაირში“ ადრე თუ ხართ ნამყოფი-მეტქი? — გამიმეორა.

მის ტონში უცნაური ნოტები იკითხებოდა — თითქოს რაღაცით უკმაყოფილო, უფრო მეტიც, ნაწყენი იყო. იქნებ სხვა დროს არ დასჭირვებია ქალისთვის შეეკითხვის გამეორება? ალბათ ისინი უფრო ყურადღებიანები იყვნენ, ვიდრე მე.

— არა, არასდროს ვყოფილვარ, მაგრამ, რა თქმა უნდა, გამიგონია.

იქ იმისთვის დადიან, რომ საკუთარი თავი გამოაჩინონ და სხვებსაც შეხედონ, — ვიფილოსოფოსე.

— სავსეპით შესაძლებელია, ზოგიერთი მართლა იქცეოდეს ასე, მაგრამ ჩემთვის „სქვაირი“, პირველი რიგში, ხარისხიან კერძებთან ასოცირდება. მათი შეფ-მზარეული თავისი საქმის დიდოსტატია, — პირდაპირ თვალებში მიყურებდა და მზერას წამითაც არ მაცილებდა, — და ბარმენებიც შესანიშნავად მუშაობენ. იქაური კოქტეილები ნამდვილი ხელოვნების ნიმუშებია, თუმცა, მათი დალევისას სიფრთხილეა საჭირო. იქ სასმელებს ერთმანეთში ურევენ და თუ ზედმეტი მოგივიდა, მეორე დილით შეიძლება თავი გაგისცდეს.

— გმადლობთ, რომ გამაფრთხილეთ, — ჩუმად წარმოვთქვი.

როგორც უკვე ვთქვი, რიკი ძალიან ახლოს იჯდა ჩემთან, გარდა ამისა, მანქანაში საოცრად ინტიმური ატმოსფერო სუფევდა, ჩემი კაბა



კი ზედმეტად „გულმოღებული“ და „გვერდმოშველებული“ იყო. აფორიაქებულმა გვერდზე გავიხედე, ვითომ ფანჯარაში ვიყურებოდი.

ხანგრძლივი პაუზა ჩამოვარდა, რომელიც რიკმა დაარღვია:

— კეიტ, მოეშვით!

ამ წინადაღებამ უარესად დამძაბა.

— მოვეშვა? არ მესმის, რაზე სა-

უბრობთ? ძალიან მშვიდად ვარ.

— ჰო-ო? — ირონიულად შემე-კითხა და ჩემს ერთმანეთში გადახ-ლართულ თითებს მრავალმნიშვნე-ლოვანი მზერა დასას. მეც მხოლოდ ახლა შევამჩნიე, რომ ჩემი თითები თავგანწირვით „ჩახუტებოდნენ“ ერთმანეთს. — მომისმინეთ. დღეს არაფრის გაკეთება არ მოგიწევთ. უბ-რალოდ, დატყბით ვახშმით, შევთანხ-მდით? არავითარი ვალდებულება არ გაკისრიათ და არც დაგევაისრებათ, თუ ეს ასე განუხებთ.

სინამდვილეში არც ვიცოდი, ამ მომენტში რა მანუხებდა. რა თქმა უნდა, მაღალი საზოგადოების წინა-შე მასპინძელი დიასახლისის როლის თამაში ადვილი არ იყო, მაგრამ სა-ნერვიულოდ სხვა მიზეზებიც მქონ-და, თანაც — ერთობ „ნონიანი“.

ძლივს შესამჩნევად დავაქინიე თა-ვი, რითაც ვაგრძნობინე, რომ ჩემთ-ვის ყველაფერი გასაგები იყო. ნახე-ვარი წუთის შემდეგ კი ჩემს ტუჩებს უნებური შეკითხვა მოსწყდა:

— და თქვენი მეგობრი გოგონა... უკმაყოფილო არ დარჩება, საღამოზე მერომ დამბატიულე? არ იეჭვიანებს?

— გოგონა? — რიკი მოიღუშა, შემდეგ კი მთელი ხიბლი ჩააქსოვა ღიმილში. — ა! მერილინზე მეკითხე-ბით? ფოტომოდელზე? ის გამიგებს. ეს მან მიმატოვა დღეს და არა მე ის. ჩვენ მხოლოდ მეგობრები ვართ.

ვერ გავარჩიე, რა გრძნობები გამი-ჩინა მისმა ნათქვამა — ამაფორიაქა თუ დამამშვიდა. აშკარად — ერთიც და მეორეც. მხოლოდ ერთი დასკვნის გამოტანა შეიძლებოდა ამ ყველაფ-რიდან — არცთუ მსუბუქი საღამო მელოდა.

— და კიდევ... რადგან დღეს ჩემი თანმხლები ხართ, ცოტა რამ მაინც უნდა ვიცოდე თქვენზე, — ჩემს შე-შიძუნებულ მზერაზე გულუბრყვილოდ გაელიმა, — ხომ უნდა ნარგადინოთ ჩემს სტუმრებთან. ყველაზე ჩვეუ-ლებრივი რამეები, მაგალითად: სად მუშაობთ, რა გიყვართ, რით ხართ გატაცებული...

ჭკვიანური სურვილია! არა, მის გვერდით სხვა მამაკაცი რომ ყოფი-ლიყო, მაგალითად, ანდრო, არაფე-რი საშინელება ამაში არ იქნებოდა. მაგრამ ის ინგლისელი ჯენტლმენია, მდიდარი, ელიტის ნარმომადგენე-ლი, მე კი... ამასთან, არ გამოდის სა-მართლიანი მისი სურვილი. მეც ხომ არაფერი ვიცი მასზე, გარდა იმისა, რომ ახალ შენაძენს აღნიშნავს. რას ვიცინებ, ამ ქედმაღალი მომხიბვლე-ლი ბიზნესმენის ნიღბის მიღმა ერთი უბრალო, კეთილი და მხიარული კაცი

რომ იმალებოდეს? გამორიცხული არაფერი. კაცებს უყვირთ ტრაპაზი და ბაქიაობა, ოღონდ კი ქალი დაით-რიონ. ეს მხოლოდ საქართველოში არ სჩვევიათ ძლიერი სქესის ნარმო-მადგენლებს, ყველა ქვეყანაში ერთი და იმავე სკენარს იყენებენ. რომელი იღბლიანი მე ვარ, რომ რიკის სახით გამონაკლისს გადავყორდი?

— სოციალურ სამსახურში ვმუ-შაობ, გაჭირვებულ ოჯახებს ვეხმა-რები. მაგრამ გარკვეული დროით ინგლისში არ ვიმყოფებოდი, ახლახან დაგბრუნდი... — შევყოყმანდი, არ მინდოდა მეთქვა, ქართველი რომ ვიყავი, ვაითუ, საერთოდ არც იცო-და საქართველოს არსებობა. — ასე რომ, თავისუფალ დროს ჩვეულებ-რივი მოკვდავივით ვატარებ — ან ვჭამ, ან მძინავს, ან პეპის ვასეირნებ. საქმარისია?

მან არაფერი მითხრა, უხმოდ გა-აგრძელა ჩემი ნაკვთების შესწავლა. იმდენად მალიზიანებდა მისი მზერა, თავი კვლავ მივაპრუნე. რატომღაც, სულაც არ მინდოდა მისთვის ჩემზე სიმართლე მომყოლა.

რიკის მომდევნონ შეკითხვა რამდე-ნიმე წუთის შემდევ გაისმა:

— ესე იგი, გართობისთვის დრო არ გრჩებათ?

— მრჩება, მაგრამ... — კვლავ შევ-ყოყმანდი, საჭირო მიზეზებს ვეძებ-დი. — ძალიან ცოტა. მამიდამ ფეხი მოიტეხა და ახლა მისი მოვლით ვარ დაკავებული, — მაინც გავუმჟღავნე მცირე სიმართლე.

— სამწუხაროა.

— სულაც არ ვეკიქობ ასე, — ახ-ლა უკვე მისი ტონიც მალიზიანებდა, როგორ შემიცოდა! ერთი ამას დამი-ხედეთ! — მე მომწონს ჩემი სამსახუ-რი, მიყვარს ჩემი პროფესია.

— მეც მომწონს ჩემი, მაგრამ დასკვენებისთვის მაინც გამოვნახავ ხოლმე დროს.

— როგორც დღეს საღამოს? — სარკასტულად გამომივიდა.

— არა, დღეს საჭიროსა და სასარ-გებლოს ერთმანეთში „ვაზავებ“, — ნიშნის მოგებით გამიღიმა.

შემრცხვა იმის გამო, რომ მის ყო-ველ სიტყვას ხიშტებივით ვიღებდი, თითქოს თავს მესხმოდა. დაბნეულმა ლამის ტუჩი მოვიკვითე.

მოულოდნებულად რიკმა ხელი ხელ-ზე დამადოდ და ხმადაბლ ნარმოთქვა:

— ყოველთვის ასეთი გულგრილი ხართ თუ მხოლოდ ჩემთან იქცევით ასე? იქნებ რამე განკუნინეთ? მიპა-სუხეთ, კეიიტ!

სიამოგნებით ვუპასუხებდი, მაგ-რამ პირი ისე გამიშრა, ენა ვერ მო-

ვატრიალე. რამდენჯერაც ჩემს სა-ხელს წარმოთქვამდა (საოცარი ვნებიანობით), იმდენჯერ ძალუმად ამიგერდებოდა ვული.

ჩავახველე და ენა ტუჩებზე მოვის-ვი, რაც იმნამსვე ვინანე, რადგან მისი მზერა ახლა სწორედ ჩემი ტუჩების-კენ იყო მომართული.

— უბრალოდ, ცოტას ვნერვიუ-ლობ, — ჩავიბუტბუტე, — ყველა-ფერი ისე მოულოდნელად მოხდა... საერთოდ არ ვიცნობ თქვენს სტუმ-რებს, — უმისამართოდ გავიქნიე ხელი.

კიდევ კარგი, არ იცის, რომ ჩემი მთავარი პრობლემა — ის და მისი ლურჯი თვალებია.

— ადვილად შეეყობით მათ, ასე ნუ განიცდით. იცით, რა?.. თქვენ ძალიან გახსნილი სახე გაქვთ, ბევრი რამის წაკითხვა შეიძლება მასზე და კიდევ უფრო მეტის გაგება. ეს, აღ-ბათ, მუშაობაში ძალიან გეხმარებათ.

— როცა საჭიროა, შემიძლია გაუხსნელაც ვიყო, — ამაყად გამო-ვუცხადე.

ეს კი ვთქვი, მაგრამ აი, მასთან არაფრით გამომდიოდ ჩემი აზრები-სა და გრძნობების დამალვა, თუმცა, ამ სისუსტის გამუღლავნებას სულაც არ ვაპირებდი.

რიკი საგარძლიას საზურგებზე გა-დაწვა და სვებით ამოვისუნთქე — ჩენ შორის ასე საჭირო დისტანცია გაჩნდა.

— ის ფაქტი, რომ მეგობარი მა-მაკაცი არ გყავთ, თქვენს სამუშაოს უკავშირდება? — მოულოდნელად მკითხა.

— ცდებით! სამსახურისადმი ავადყოფული მიღრეკილება არ მაქვს! — პირდაპირი პასუხი ვერ მი-იღო შეკითხვაზე.

— აბა, როგორ ამიხსნით იმას, რომ ასეთი ლამაზი, მიმზიდველი გოგონა მხოლოდ მუშაობს, ჭამს, სძინავს და ძალას ასეირნებს? მეგობრებიც კი არ ჰყავს...

— შეკავშირდები, — გავაპრო-ტესტე.

— და არც პაემანზე დადის, — ისე გააგრძელა რიკმა, თითქოს ჩემი ნათ-ქვამი არც გაუგონია.

— მომისმინეთ, მისტერ ნელსონ! — პირველად მივმართე გვარით, რადგან ინგლისში ახალგაციონილ-თან ასე უფრო მიღებული, ვიდრე სახელით მიმართვა.

— რიკ... მერიკი მქევია და რიკი და-მიძახეთ, თუ შეიძლება, თორემ ჩემი სტუმრები იფიქრებენ, რომ მხოლოდ წვეულებისთვის დაგიქირვეთ.

არა, ავდგები და ახლავე პირში

მივახლი ყველაფერს, რასაც მასზე ვფიქრობ!

— მაპატიეთ, მაგრამ არ მესმის, რატომ გადელვებთ ასე ჩემი ცხოვრების წესი. ეს თქვენ არ გეხებათ, არ არის თქვენი საქმე! ის, რომ აშ წინადადებაზე დაგთანხმდით, არ გაძლევთ უფლებას...

— ის ჩემი მეგობარი გოგონა არ არის. მეგონა, რომ ეს საკითხი უკვე გავარკვიეთ, — კვლავ შემანყვეტინა ფრაზა.

— თუნდაც ასე იყოს, — უფრო გავრინმატდი, — თქვენ მთხოვთ, თან გხლებოდით ამ საღამოს და მეც დაგთანხმდით. მიუხედავად ამისა, ეს არ გაძლევთ უფლებას, ჩემს პირად ცხოვრებაში იქექოთ.

მან თვალებში შემომხედა და... გაიცინა.

— მე მხოლოდ თქვენი უფრო ახლოს გაცნობა მინდოდა. განა ეს დანაშაულია? სულ უფრო მაოცებთ, მის კეიტ. უნდა ვაღიარო, ძნელად წარმომედგინა, ასეთ ნაც და სუსტ არსებას როგორ უნდა გეზრუნათ შეჭირვებული ოჯახების უფლებების მოსაპოვებლად. ახლა კი ვხედავ, რომ ამის უდიდესი ნიჭი გქონიათ.

ხასიათი გამიფუჭდა.

— როგორი უცნაური სტერეოტიპები გაქვთ! გაჭირვებული ადამიანების დახმარება ყველაზე სასიამოვნო საქმეა, რაც კი ოდესმე გამიკეთებია. მათთან ურთიერთობისას პრობლემები არასადროს ძეგლმნია. ყველა თქვენ-სავით უზრუნველყოფილი ვერ იქნება! — თვითონაც არ ვიცოდი, რატომ ვცრუობდი, არადა, სულ რამდენიმე თვე ვიმუშავე სოციალურ განყოფილებაში და ისიც — სტაჟიორად. რაში მჭირდებოდა ეს ტყუილები?

„აჯობებს, აღარ გავაგრძელო“, — ვურჩიე ჩემს თავს და მართლაც, დავდუძლი.

არ მინდოდა საღამოს ჩაშხამება. არადა, რომ მეთქვა რიკისთვის, რა-საც ვფიქრობდი მასზე და მის მეგობრებზე, მართლაც ჩამშხამდებოდა წვეულება. უფრო მეტიც, შეიძლებოდა, საერთოდ ვეღარ აღმოვჩენილიყავი იქ. არა, ასე არ ივარებს! რადგან მამიდამ კაბა მაჩუქა, ხოლო მთელი დღე გამოპრანჭვაში გავატარე, აუცილებლად უნდა მოვხვდე „სქვაირში“.

მანქანაში სიჩუმე ჩამოვარდა. არც ერთი ვიღებდით ხმას. ბოლოს რიკი ალაპარაკდა:

— ჩანს, არ მოგწონვართ, — ეს შეკითხვაზე მეტად, მტკიცება იყო. ვარჩიე, კომენტარისგან თავი შემე-კავებინა, მაგრამ მან ჩემი სიჩუმე

თანხმობად ჩათვალა, — და რატომ? მინდოდა, გამეგო, — შეფიქრიანებულმა წარმოტევა.

— საიდან მოიტანეთ, რომ არ მომ-წონხართ? უფრო სწორად, საერთოდ არ გიცნობთ, ამიტომ არც მოწონებს უფლება მაქვს და არც დაწუნების, — მივხვდი, რომ საკუთარ აზრებში გავიხლართ.

— არ შეგეძლოთ, ცოტა სითბო დაგემატებინათ თქვენი ნათქვა-მისთვის? იქნებ მაშინ მაინც დამე-ჯერებინა, რომ ანტიპათიურად არ ხართ განწყობილი ჩემ მიმართ, — ცივად მომიგო, — ეს თქვენი ქცევის სტილია? თუ ამ საღამოსთვის სპე-ციალურად შეარჩიეთ? ვშიობ, თუ ასეა, ჩემს სტუმრებს ბევრი შეკითხვა გაუჩინდებათ საღამოს დასასრულს.

— შიშის საფუძველი არ გაქვთ, — მიგახალე, — ვაპირებ, თავაზიანი და ყურადღებიანი ვიყო თქვენს სტუმ-

ხმაში გამოსჭვიოდა, სურვილი აღ-მიძრა, ერთი გემრიელი სილა გამეტნა მისთვის, მაგრამ ცხრამდე დავითვა-ლე და „გავგრილდი“.

— არ იღელვოთ! არაფერს გავაკე-თებ და ვიტყვი ისეთს, რაც უხერხულ მდგომარეობაში ჩაგაგდებთ ან მათ გააოგნებს.


— მათ ისეთი შთაბეჭდილება უნ-და შეექმნათ, თითქოს მე და თქვენ იდეალური წყვილი ვართ. შემიძლია, თქვენი იმედი ვიქონიო?

— საესებით, — სამინელი სარკაზ-მით მივუგე.

— და გიუური სიყვარულის გამო-ხატვის იმედი?

მომაკვდინებელი მზერა ვესროლე და მისი სახის გამომეტყველებით მივხვდი, რომ გაიხუმრა, რათა ჩემი რეაქცია დაენახა. „აუტანელი კაცი!“

— გავიფიქრე, მაგრამ ღიმილი მაინც ვერ შევიტავე.



რებთან, — შეურაცხყოფილი დავრჩი მისი უნდობლობით.

— რას მელაპარაკებით! ამაში ეჭვიც არ მეპარება! იმედია, ვერას-დროს გაიგებენ, როგორ მოახერ-ხეთ ამნუთას მათი ახალი უფრო-სის „შეჯორვა“. და მაინც, ყოველი შემთხვევისთვის, გთხოვთ, ვახშმის განმავლობაში ჩემ მიმართ ინდიფე-რენტულობა არ გამოიჩინოთ.

მსუბუქმა ირონიამ, რომელიც მის

— აი, ასე უკეთესია, — ჩაიცინა, — ახლა კი — ცოტა რამ ჩემს სტუმ-რებზე. ისინი კარგი ხალხია, მაგრამ ზოგიერთები უკეთესია არიან, კომპანია რომ შევისყიდე, ამიტომაც ვაწყობ ვახშამს. მინდა, შემხვედრი ნაბიჯი გადავდგა და ისინი შევირიგო.

მისმა საქმიანმა ტონმა სიტუაცია განმუხტა, რამაც ხასიათი გამომი-კეთა...

**გაგრძელება შემდეგ ნომერში**

## ალექსანდერ რარი



# ვლადიმირ პუტინი: „მერმანები“ კრიმიში

ნაწყვეტები წიგნიდან  
გამოცემება.  
დასაცემის იხ. „გზა №19-32“

პროფესორი დმიტრი ლენკოვი, რომელიც თავის დროზე სანქტ-პეტერბურგის საკანონმდებლო ორგანოში ფრაქცია „დემოკრატიული რუსეთის“ კოორდინატორი იყო, დაწმუნებულია, რომ ხასიათითა და აზროვნების ყაიდით პუტინი სობჩავზე უფრო ევროპელია. მისი თქმით, სანქტ-პეტერბურგის ყოფილი მერი ზრდილობის ელემენტარულ ნორმებსაც კი ხშირად არღვევდა. ძალზე ფიცხი ხასიათი ჰქონდა, წერილი გამოიცია სამინისტროს მინისტრის მიერ გამოყოფილი მინის ნაკვეთის გაფართოება და პოპულარული სასმლის წარმოების გაზრდა, „რუსი გერმანელების“ წარმომადგენები კი ქალაქში დასახლების ნებართვას ითხოვდნენ.

ჯერ ერთი შეხედვით სრულიად განუხორციელებულ დავალებასაც კი თამამად აძლევდა: პუტინისგან ხან ქალაქის სათამაშო ბიზნესში წერიგის დამყარებას, ხან პულკოვოს აეროპორტის რეკონსტრუქციის საქმის მიხედვას, ხანაც ლიტვის სავაჭრო ცენტრის გახსნის ორგანიზებას ითხოვდა. მის კაბინეტში დილიდან საღამოდე თითქმის მთელი მსოფლიოდან ჩასული ბიზნესმენები ირეოდნენ. იაპონელებს სანქტ-პეტერბურგში სატელეკომუნიკაციო მოწყობილობების მწარმოებელი ერთობლივი სანარმოს შექმნა სურდათ, „კოკა-კოლას“ წარგზავნილ ამერიკელებს — ქალაქის მიერ გამოყოფილი მინის ნაკვეთის გაფართოება და პოპულარული სასმლის წარმოების გაზრდა, „რუსი გერმანელების“ წარმომადგენები კი ქალაქში დასახლების ნებართვას ითხოვდნენ.

პუტინისგან განსხვავებით, სობჩავს კონკრეტულ პროექტზე მუშაობა არ უყავრდა, სამაგიეროდ, პოპულისტურ აქციებს სიამოვნებით ხელმძღვანელობდა. მაგალითად, ცნობილია, რომ, სანქტ-პეტერბურგის მეტროპოლიტენის მოდერნიზების ნაცვლად, ქალაქის ბიუჯეტიდან გამოყოფილი მილიონები მან „კეთილი ნების თამაშების“ ჩატარებას მოახმარა. მერის ნინდაუხედაობის გარდა, მისი კიდევ ერთი სერიოზული პრობლემა ისიც იყო, რომ ხალხისთვის შეპირებული ეკონომიკური აღმასვლის დაწყების ნიშანყალიც კი არ შეინიშნებოდა.

არადა, პუტინი და სობჩავი თავიანთ გამოსვლებში მოსახლეობას კარგა ხანს არწმუნებდნენ, რომ სანქტ-პეტერბურგში თავისუფალი

ეკონომიკური ზონის შექმნისა და უცხოური ინვესტიციების მოზიდვის შემთხვევაში, წინ ბედნიერი წლები ელოდათ. უფრო მეტიც — მათი თქმით, სანქტ-პეტერბურგი მთელ რუსეთში კეთილდღეობის სიმბოლოდაც კი უნდა ქცეულიყო. მაგრამ წარმოების დაცემა და უმუშევრობის ზრდა ასეთი წაოცლი პროგნოზის გაკეთებისთვის სულ უფრო ნაკლებ საფუძველს იძლეოდა. მეტიც, ოთხმოცდაათიანი წლების შუახანებში უცხოელი ინვესტორებისთვის სანქტ-პეტერბურგზე ბევრად უფრო მიმზიდველ ქალაქად მოსკოვი იქცა. რუსეთის დედაქალაქის მერის, იური ლუკურვის ეკონომიკური პოლიტიკა კი სობჩავის ყველა პროექტსა და წამოწყებაზე ეფექტური აღმოჩნდა.

1995 წლის მაისში სანქტ-პეტერბურგის მერმა პუტინს საფუძვლიანი საუბრისთვის უხმო. მოახლოებული ახალი საპარლამენტო არჩევნებისთვის დემოკრატების ერთიანობა თითქმის უკვალოდ იყო გამჭრალი. პირველი მოწვევის სახელმწიფო სათათბიროში ამინდს უკვე უირინოვსკის მეთაურობით გააქტიურებული ნაციონალისტები და კომუნისტები ქმნიდნენ. დემოკრატებს კი გამარჯვების ძალზე ნაკლები შანსი ჰქონდათ, რადგან ახლაც, ისევე როგორც ორი წლის წინ, უამრავ წვრილ და ერთმანეთთან მოპაექრე პარტიად და მოძრაობად იყვნენ დანანევრებული. მოსკოვში ეგორ გაიდარის „რუსეთის არჩევანის“ ადგილო კრემლთან დაახლოებული რამდენიმე ფინანსური მაგნატის ფულით შექმნილმა საზოგადოებრივ-პოლიტიკურმა მოძრაობამ „რუსეთი ჩვენი სახლია“ დაიკავა, რომლის ლიდერიც პრემი-



მას საჭირო მომენტში ძალაუფლების მოყვარული შეფის დამშვიდებაც შეეძლო და წინდაუხედავ საქციილზეც ხშირად აღებინებდა ხელს.

ლენკოვისავე თქმით, პუტინი რომ არა, სობჩავი, ადრე თუ გვიან, უეჭველად გაეხვეოდა სერიოზულ უსიამოვნებაში. ასე რომ, პუტინმა სობჩავის რეპუტაცია პირველ რიგში იმით გადაარჩინა, რომ ბევრი ცდუნებისთვის გვერდის ავლაში დაეხმარა. სანქტ-პეტერბურგის მერი სწორედ მისი წყალობით არ გახვეულა არც ერთ ხმაურიან კორუფციულ სკანდალში. ამიტომაც იყო, რომ თავის მოადგილეს სულ სხვადასხვა, ზოგ-

ერ-მინისტრი ჩერნომირდინი გახდა. თავისი წინამორბედის მსგავსად, ახალმა „სახელისუფლო პარტიამაც“ დახმარებისთვის გავლენინ გუბერნატორებსა და საქართველო ადმინისტრაციის მეთაურებს ყოველგვარი მიკიბ-მოკიბების გარეშე უხმო. უფრო მეტიც: გაურჩებულ რეგიონულ ლიდერებს კრემლი ეკონომიკური საწყიერით თითქმის ღიად დაემუქრა.

პუტინი მიხვდა, რომ სხვა გზა აღარ იყო და შეფის კიდევ ერთხელ გადარჩენაზე ზრუნვა უნდა დაეწყო. თავად სობჩაემა კი ამჯერად ტაქტიკა შეცვალა, საკუთარი მოძრაობა გვერდზე გასწია და, კრემლის საამებლად, ვიცე-მერს სანქტ-პეტერბურგში ახალი სახელისუფლებო პარტიის საარჩევნო კამპანიის ჩატარება დაავალა. სობჩაკის დაუინებული მოთხოვნით, პუტინი „რუსეთი ჩვენი სახლიას“ რეგიონული ორგანიზაციის ხელმძღვანელობასაც კი დათანხმდა.

ჩერნომირდინისთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო, რომ მის მოძრაობას სწორედ რუსეთის ჩრდილოეთ დედაქალაქში გაემყარებინა პოზიციები. ამიტომაც პუტინი მოძრაობის პოლიტიკაში (კულუარებში რომ მხოლოდ „პოლიტიკიუროდ“ მოიხსენიებდნენ) შემადგენლობაშიც კი შეიყვანა. მაგრამ პუტინის საარჩევნო კამპანიის ჩატარების გამოცდილება არ ჰქონდა და ამიტომაც, ყველა ის შეცდომა დაუშვა, რომელსაც ვერც ერთი დილეტანტი ვერ აარიდებდა თავს. ისევე, როგორც ძველ, საჭიროა დროში, მან ახლაც ყველა ცენტრალურ ქუჩაზე ჩერნომირდინისგამოსახულებიანი, ერთნაირნარჩერიანი პლაკატების გაცერის განკარგულება გასცა, ხოლო როცა მოგვიანებით ამ სრულიად წარუმატებელი სვლის ახსნა მოსთხოვეს, მოკლე პასუხით — ის პლაკატები მოსკოვიდან გამომიგზავნეს და ხომ ვერ გადავყიდოთ?! — შემოიფარგლა. როგორც შემდგომში გაირკვა, არა მარტო პლაკატების გაცერა, არამედ „სახელისუფლებო პარტიის“ მთელი სანქტ-პეტერბურგული საარჩევნო სტრატეგიაც პრინციპულად არასწორი იყო.

შედეგად „სახელისუფლებო პარტია“ სანქტ-პეტერბურგში მხოლოდ მესამე ადგილზე („იაბლოკოსა“ და „რუსეთის არჩევანის“ შემდეგ) გავიდა. ინტრიგებითა და ურთიერთბრალდებით გაჯერებული ხანგრძლივი და მომქანცველი მოლაპარაკებების შემდეგ, სხვადასხვა დემოკრატიული პარტია, როგორც იქნა, შეთანხმდა, რომ სახელმწიფო სათათბიროს ქვედა პალატაში სანქტ-

პეტერბურგიდან პარტიული სიით გასული სახელისუფლებო პარტიის ორი დეპუტატი შევიდოდა. თანაც, ერთი მანდატი სობჩაკის ცოლს, ლუდმილა ნარუვას უნდა რგებოდა.

პუტინის აღარა ეგონა, რომ არჩევნების შემდეგ კვლავ ჩვეულ საქმიანობას დაუბრუნდებოდა, მაგრამ მწარე დეპუტატიც განაახლა. საარჩევნო კამპანიის დაწყების შემდეგ მან პუტინი და სობჩაკი ინგლისში მიღიონი დოლარის არალეგალურად გატანასა



ჩერნომირდინისთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო, რომ მის მოძრაობას სწორედ რუსეთის ჩრდილოეთ დედაქალაქში გაემყარებინა პოზიციები

მიიღო. ოლქის გუბერნატორის მოახლებულ არჩევნებზე უკვე სობჩაკის პოლიტიკური მომავლის საკითხი უნდა გადაწყვეტილიყო და ამიტომაც, პუტინი ამჯერად უკვე მისი საარჩევნო მტაბის ხელმძღვანელად დაინიშნა და მაშინვე ჭეშმარიტად „გენიალური“ აზრიც მოუვიდა თავში. კერძოდ, გადაწყვიტა, რომ არჩევნების დათვემულ ვადაზე რამდენიმე კვირით ადრე ჩატარებისთვის მიეღწია და ამ გზით მეტოქებისთვის წარმატებული კამპანიის გამართვის შესაძლებლობა მოესპო. თუმცა, ასეთი ნაბიჯის გადადგინდების აუცილებლობაში, პრეზიდენტზე მეტად, სათათბიროს წევრების დარწმუნება გაუჭირდა. სახალხო რჩეულები დაბაზნ ამბობდნენ უარს სანქტ-პეტერბურგის ვიცე-მერის წინადადებაზე, მაგრამ პუტინმა ბოლოს და ბოლოს, მაინც თავისი გაიტანა. თუმცა სამისოდ ლამის თითოეულ დეპუტატთან ცალკე მოლაპარაკება დასჭირდა.

არჩევნების ვადის შეცვლისთანავე პუტინი მისთვის ჩვეული ენერგიით შეუდგა საქმეს. თუმცა ჩანაფიქრიდან ბევრი რამის განხორციელება მაინც ვერ მოახერხა. ამას ორი მიზეზი ჰქონდა: ჯერ ერთი, გამოკვეთილად პატივმოყვარე ლუდმილა ნარუსოვა გამუდმებით ერეოდა საარჩევნო შტაბის მუშაობაში, და მეორე — გუბერნატორის სავარდლის დაკავების მსურველი სობჩაკის მოწინააღმდეგებიც მეტისმეტად

გააქტიურდნენ. მერის წინააღმდეგ სულ სხვადასხვა ორიენტაციის მქონე ბევრმა ცნობილმა პოლიტიკოსმა გაილაშქრა. სობჩაკზე თავდასხმები მისმა დაუძინებელმა მტკერმა, სათათბიროს დეპუტატი აღექსანდრ ბელიავემაც განაახლა. საარჩევნო კამპანიის დაწყების შემდეგ მან პუტინი და სობჩაკი ინგლისში მიღიონი დოლარის არალეგალურად გატანასა

და საფრანგეთის ატლანტის სანაპიროზე ყალბი პირების დახმარებით მდიდრული ვილების შეძენაში დაადანაშაულა. იმ დროისთვის ე.წ. „ახალი რუსები“ საფრანგეთში, ესპანეთსა და შვეიცარიაში უძრავ ქონებას უკვე საემაოდ აქტიურად ყიდულობდნენ. და რადგანაც იმ ზაფხულს პუტინმა ოჯახით ბენიდორში დაისვენა, კოსტა-ბლანკში მდიდრული აპარტამენტის შეძენაც მაშინვე დააბრალეს.

პასუხად პუტინმა ბელიავი ცილისნამებაში დაადანაშაულა და სასამართლოში უჩივლა. თუმცა შეცდომა დაუშვა და სასამართლო განცხადება მოპასუხეს არასწორ მისამართზე გაუზიანდა, რაზეც ერთმა სანქტ-პეტერბურგულმა გაზრდითა ირონიულად შენიშნა, — სპეცსამსახურის ყოფილ თანამშრომელს, სხვა თუ არაფერი, ის მაინც უნდა სცოდნოდა, თუ სადცხოვობს ადამიანი, ვისაც უჩივისო. სასამართლომ არც პუტინის მეორე განცხადება მიიღო, უარი კი იმით დაასაბუთა, რომ არასწორად იყო შედეგილი. მართალია, ვიცე-მერის სარჩელი საბოლოოდ მაინც დააკმაყოფილეს, მაგრამ მორალური ზიანის არაპირდებოდა.

არჩევნების ვადის შეცვლისთანავე პუტინი მისთვის ჩვეული ენერგიით შეუდგა საქმეს. თუმცა ჩანაფიქრიდან ბევრი რამის განხორციელება მაინც ვერ მოახერხა. ამას ორი მიზეზი ჰქონდა: ჯერ ერთი, გამოკვეთილად პატივმოყვარე ლუდმილა ნარუსოვა გამუდმებით ერეოდა საარჩევნო შტაბის მუშაობაში, და მეორე — გუბერნატორის სავარდლის დაკავების მსურველი სობჩაკის მოწინააღმდეგებიც მეტისმეტად

გაგრძელება შემდეგ ნომერში



სამყარო

## მოდაში შემოსული ავტორები და წიგნები

მსახიობი ზუზუ გეზაშვილი შევედრაზე იმ პირობით დამთანხმდა, თუ „საშინელებებს“ არ ვკითხავდი. ამბობს, რომ წიგნების კითხვა და შემეცნებითი გადაცემები ძალიან უყვარს. ეს უპრალიდ, დროის გაყვანა არ არის. წიგნებიდან ბევრ რამეს სწავლობს, რაც ცხოვრებაშია ამა თუ იმ სიძნელის დაძლევაში ეხმარება.

## „ჩემი ნაღვლიანი მექავები“ წაიკითხეთ“

თამაში კვირისადას

### პრეზენტაციის მაგისტრი

— ხშირად ვკითხულობ, მაგრამ არა იმ ავტორებს, რომლებსაც „აბრახუნებებს“. გაუგონიათ, მოდაშიაოდა მის სახელსა და გვარს ისე გაჰყეირიან, დარწმუნებული ვარ, ბევრს მისი წიგნი ხელშიც კი არ აქვს აღებული. მოდას მაგ ამბავშიც ხომ არ ჩამორჩებიან?

— ავტორების მოდაში შემოსულაზე რა აზრის ხარ?

— კიდევ კარგი, ავტორიც შემოდის მოდაში და არა მარტო — უილეტი. — კოელიო, კოელიო, კოელიო, გაიძახიან. კარგია, გასაგებია, მაგრამ სხვა ავტორებისკენაც უნდა გავიხედოთ.

— ახლა რას კითხულობ?

— სხვადასხვა ავტორის რუსულ პიესებს. საერთოდ, რუსული ლიტერატურა მიყვარს. ბაჟებობაში „ოსტატი და მარგარიტა“ სამჯერ დავიწყე და მივატოვე, ვერაფერი გავიგე. რომ ნამოვიზარდე და ნავიკითხე, გავიგე კი არა, უსაზღვროდ შემიყვარდა. დოსტოევსკის შემოქმედებაც მომწონს, ძალიან „ჩემია“. ზოგჯერ წიგნი იმდენად მომწონებია, კითხვაში დამთენებია. მარკესის „მარტობის ასი წელიწადი“ ბევრს აქვს ამოჩემებული და საყვარელ ნაწარმოებად ასახელებენ.

— შენ არ მოგწონს?

— მომწონს, მაგრამ მარკესს სხვა, უკეთესიც აქვს დაწერილი.

— მაგალითად?

— პატარა მოთხოვთაა — „ჩემი ნაღვლიანი მექავები“. ძალიან საინტერესოა, შემძრა, ვისაც წაეკითხული არ აქვს, ვურჩევ, წაიკითხოს. პატარა ტექსტია, ვიზოგავდი, მინდოდა, ეს სიამოვნება როგორმე გამხანგრძლივებინა.

— შენ წარუშლელი შთაბეჭდილება კიდევ რომელმა ნაწარმოებმა მოახდინა?

— ბაგშვილიდან დღემდე „სამი მუშკეტერის“ შთაბეჭდილება მომყვაბა. რომ წავიკითხე, დავიშოკე. ამ ნაწარმოების მიხედვით გადაღებული ფილმი მომწონდა და მისით შთაგონებულმა წავიკითხე. ახლასან ახალი გადაღებული ფილმი ვნახე და დიდი ინტერესით ჩავუჯექი. ეს ნაწარმოები იმდენად დიდია, არ ილევა.

— რომელ პერსონაჟს განასახიერებდი?

— უარყოფითი გმირის თამაში ძალიან საინტერესოა. მილედის როლს სქესის გამო ვერ ვითამაშებდი. წებისმიერი მსახიობის სამუშაოდ ძალიან საინტერესო პერსონაჟია. 15 წლის იყო, როცა პროსტიტუციის დაღი დაასვეს და მერე რაღა მოეკითხებოდა? ზოგიერთ შემთხვევაში აღიარებული დადებითი გმირი ჩემთვის უარყოფითია. სელინჯერი მანამდე არ მქონდა წაკითხული, სანამ მისი ნაწარმოების მიხედვით შექმნილი სცენარით არ ვითამაშე. ლის როლი შევასრულე. მერე „თამაში ჭვავის ყანაში“ წავიკითხე, მაგრამ არ გადავრეულვარ.



ანთიმოზ ივერიელს ბავშვობაში ანდრიას ეძახდნენ. 16 წლის იყო, როცა თურქებმა მოიტაცეს და სტამბოლში, მონათა ბაზარზე გაყიდეს. იმ პერიოდში ჩევენი ქვეყნიდან ათასობით ადამიანი გაჰყავდათ გასაყიდად. შეიძლება ითქვას, რომ ამ მხრივ ანდრიას ბედმა გაულიმა. იგი იერუსალიმის პატრიარქმა, დოსითეოსმა წაიყვანა. მაშინ საპატრიარქო სტამბოლში იყო. პატრიარქთან ანდრიამ 23 წელი გაატარა და აქვე ეწოდა ახალი სახელი — ანთიმოზი. ის ყველან ხაზს უსვამდა ქართულ ნარმომავლობას და აღნიშნავდა, რომ „ძირით ქართველი“ იყო. მან შეძლო, მართლმადიდებლობის ცენტრად გადაექცია ვლახეთი, რომელიც მთელ ქრისტიანულ აღმოსავლეთს წიგნებით ამარაგებდა.

1708 წელს ანთიმოზ ივერიელი გახდა ვლახეთ-რუმინეთის ეკლესიის უმაღლესი სასულიერო პირი და ხელმძღვანელი, მაგრამ მოშურნები გამოუწნდნენ. საბოლოოდ ისე მოხდა, რომ სინას მთაზე, წმინდა ეკატერინეს მონასტერში გააძევეს. ქალაქიდან შუალამისას გაიყვანეს, რადგან მოსახლეობის მღელვარების შეეშინდათ. ბორკილები დაადეს, საბარგულზე ნივთივით დააგდეს და მცველებით გარშემორტყმული სამხრეთში გაგზავნეს. ანთიმოზს სინას მთამდე არც მიუღწევია. გალიბოლის მახლობლად, ადრიანოპოლიზე გმავალი მდინარის, დუღჩიას ნაპირზე თურქმა იანიჩრებმა ხმლებით აჩეს, ასო-ასო აკუნეს და მისი წმინდა ნაწილები მდინარეში გადაყარეს. ეს მოხდა 1716 წლის 14 სექტემბერს.

— „წელს გადავწყვიტე, მეცხვარეობა დამეწყო და ამ ხელიბის შემწეობით მომეცლო მთა და ბარი. გამეცნო ხალი და გამომეცადა ის შიშითა და სიამოვნებით სავსე ცხოვრება, რომელიც მწყემსს განუშორებლივ თან სდევს. რასაკვირველია, მირველი ჩემი ნაბიჯი, განურჩევლად ყველამ, მასწავლი აიგდო, რადგანაც აბბობდნენ, რომ მებატონეს და მასთან სახელიანი კაცის შეილს მეცხვარეობა არ ეკადრება“. ალექსანდრე ყაზბეგის რომელ ნაწარმოებში ვკითხულობთ ამ სიტყვებს?

— „ნამწყემსარის მოგონებანში“.

— ვინ უწოდა შავ ზღვას „შავი“?

— არ ვიცი, პასუხი მაინტერესებს.

— სტრაბონიმას მოიხსენიებდა კოლხიდის ზღვად. ბერძენი ზღვაოსნები კი „პონტოს აქსიონს“ უწოდებდნენ. რაც არასტუმართმოყვარე ზღვას ნიშნავს. ბერძენი კოლონიზატორების შავი ზღვის სანაპიროზე დასახლების შემდეგ, მას „პონტოს ევესიონისი“ (სტუმართმოყვარე) უწოდეს. XV საუკუნიდან კი თურქებმა „ყარადენიზი“ ანუ „შავი ზღვა“ დაარქვეს და მერე ეს სახელი დამკვიდრდა ყველა ენაში.

— რ საინტერესო „თავგადასავალი“ ჰქონია.

— თუ იცი, ადამიანის რომელ ორგანოს აქვს ყველაზე მეტი კუნთი?

— გამიგონია, ენას აქვსო. სამაგიეროდ, ძვალი არა აქვს.

— ახლა კი იტალიური ანდაზა უნდა დაასრულო: „არ გაეყიდო არც ქალს და არც ტრამვაის. აუცილებლად...“

— ვერ დავასრულებ.

— ...მოვა შემდეგი“.

— ვაა!!! ეს რა მაგარი რალაც მასწავლე, დავიმახსოვრებ. ჭეშმარიტებაა, აბა, რაა!

— დემეტრე I, ალექსანდრე I (დიდი), თეიმურაზ I, ერეკლე II...

— ... (მაწყვეტინებს) არ მკითხო, რომელ წლებში მეფობდნენ, ვერ გიპასუხებ.

— ჩამოთვლილთაგან, რომელი ქართველი მეფე არ ალკეცილა ბერად?

— (ფიქრობს) ერეკლე II ალიკვეცა? როგორც მახსოვს, არა.

— რომელ ქვეყანაში მოღვაწეობდა ანთიმოზ ივერიელი?

— რუმინეთში.

— სადაური იყო დავითგარეჯის სამონასტრო კომპლექსის დამაარსებელი, დავით გარეჯელი?

— ასურელი, არა?

— დიას. რომელი ოკეანე დააკავშირა ატლანტის ოკეანესთან პანმის არხმა?

— არ ვიცი.

— წყნარი. რას ვეძახით ნატრიუმის ქლორიდს?

— არ ვიცი.

— მარილს.

— ახლა გამახსენდა. მინიშნება რომ გეთქვა, გამოვიცნობდი.

— სიცოცხლის ბოლო წლებში, რომელ ქვეყანაში ცხოვრობდა ჩარლი ჩაპლინი?

— შევიცარიაში.

— რომელი ქართველი მნერალი მოღვაწეობდა გერმანიაში?

— ვერ ვიხსენებ.

— გრიგოლ რობაქიძე. ვისკი გიყვარს?

— ძალიან.

— რას ნიშნავს სიტყვა „ვისკი“?

— არ ვიცი.

— სიცოცხლის წყალს. რომელ ყვავილად გადაიქცა ჭაბუკის გარდაცვლილი სხეული, რომელმაც უარყო ფე-

რია ექოს სიყვარული, რის გამოც ღმერთებმა დასაჯეს და საეუთარი თავი შეაყვარეს?

— ნარცისად. საკუთარ თავზე შეყვარებულ ადამიანებს ნარცისებს ამიტომ ეძახიან.

— ვინ ასრულებს პაატა სააკაძის როლს ბავშვობაში?

— მერაბ კოკიჩაშვილი. ეს ადამიანი ძალიან მიყვარს.

— 1919 წელს, კიევში, სოლოვცევის თეატრში კოტე მარჯანიშვილის მიერ დადგმული ლოპე დე ვეგას დრამა „ცხვრის წყარო“ საბჭოთა თეატრის ისტორიაში შევიდა და განსაუთრებული ადგილი დაიკავა. რატომ?

— „ცხვრის წყარო“ პირველი საბჭოთა სპექტაკლი იყო. სხვა მიზეზიც არსებობდა?

— სწორად მიპასუხე. სად მდებარეობს ბასიანი, სადაც თამარის მეფობის დროს ბრძოლა მოხდა?

— ახლანდელი თურქეთის ტერიტორიაზე არ იყო?

— დიახ. X საუკუნეში ბიზანტიის იმპერატორმა დახმა-



რებისთვის დავით კურაპალატა მიმართა. ვინ მეთაურობდა ბიზანტიის გაგზავნილ ჯარს?

— არ ვიცი.

— თო...

— ... (მაწყვეტინებს) თორნიკე ერისთავი, დავიბენი.

— სპარსული ანდაზა გვარწმუნებს, რომ თუ ადამიანი სიბრძნეს ეძებს, ის ჭკვიანია. ამ ანდაზის მიხედვით, როდის არის ადამიანი სულელი?

— როცა დარწმუნდება, ბრძენი ვარო. არა?

— როცა ჰეგინია, რომ სიბრძნე იპოვა.

— ნახევრად გამოვიცანი.

— ეტლმა, რომელშიც 2 ცხენი იყო შებმული, 10 კილომეტრი გაიარა. რამდენი კილომეტრი გაიარა თითოეულმა ცხენის.

— მათემატიკაში ცხენზე იდიოტი ვარ (იცინის).

— ამ კითხვაზე პასუხის გაცემას მათემატიკის ცოდნა არ სჭირდება.

— აბა, რა უნდა? რა გაცინებს, ჩემზე ღადაობ?

— ზუზუ, აბა, კარგად დაფიქრდი.

— დიდ პატივს გცემ, ეს შენც იცი, მაგრამ მეორედ ამ რუბრიკაში აღარ ჩამნერო. არ იცი, ახლა როგორ ვნერვიულობ.

— აშკარად დაიბენი (კითხვას კუმეორებ).

— (პაუზის შემდეგ) თუ ერთად იყვნენ შებმულები, 10-ს არ გაივლიდნენ? რას მეკითხები?

— სწორი პასუხია.

— იმდენად მარტივი კითხვა იყო, რომელად მომეჩენა.

— დაბოლოს, დაასრულე მაპათმა განდის ცნობილი გამონათქვამი: „იყავი ცვლილება, რომლის დანახვაც გსურს...“

— შენში.

— „...გსურს სამყაროში“.

# რატომ ინაბა უფალმა ადამიანთა წინაშე ლვთაებრივი დიდების წარმოჩენა

## რას მოგვითხოვთ ახალი აღთქმა მაცხოვრის ფერისცვალების შესახებ

19 აგვისტოს მაცხოვრის ფერისცვალების დღესასწაულს მივეგბებით, რომელიც უფალმა ჯვარცმამდე რამდენიმე წნით ადრე აღასრულა. ფერისცვალებით იესო ქრისტემ თავისი დღოთაებრივი დიდება და ბრწყინვალება აჩვენა. ამჯერად სწორედ ამ მოვლენასთან დაკავშირებით ვისაუბრებთ...

### შორის მერკვილაპე

#### არძიშანდრიტი მაკარი (პატესაძე):

— წაიყვანა იესომ პეტრე, იაკობი და იოანე და მაღლა მთაზე ავიდა სალოცავად. ლოცვის დროს ფერი იცვალა: გაბრწყინდა მისი სახე მზესა-

არ ჰქონდა, რომ ნათელმა ღრუბელმა დაჩრდილა ისინი და მოისმა ხმა ზეცით: „ესე არს ძე ჩემი საყვარელი, რომელი მე სათხო-ვიყავ; მაგისი ისმინეთ!“ როდესაც მონაფეხს ეს სიტყვები ესმათ, პირქვე დაემხენენ და ძალიან შეეშინდათ. იესო მიუახლოვდა მათ, შეახო ხელი და უთხრა:

უქმნელი, ღვთაებრივი წათელი, — წათელში გამოცხადებული თავად უფალი. მოციქულებმა იხილეს სწორედ ღვთაებრივი წათელი, მაგრამ არა — სრული სისაცსით, არამედ იმ დოზით, რა დოზითაც მოციქულებს შეეძლოთ ამის დატევნა. ამ დროს მათ ერვენათ მოსე და ილია წინასწარმეტყველები.

— ქველ აღთქმაში არ არსებობდა წინასწარმეტყველთა გამოსახულებები და მოციქულებმა არ იცოდნენ მათი სახეები. მაშინ საიდან გაიგეს,



ვით, ხოლო მისი სამოსი წათელივით განსპეტაკდა. და აპა, გამოჩენდნენ მოსე და ილია დიდებით და იესოსთან საუბრობდნენ მის წასვლაზე, რომელიც იერუსალიმში უნდა აღესრულებინა. პეტრე და მასთან მყოფნი დამძიმებული იყვნენ დიდობით; როცა გაიღვიძეს, იხილეს მაცხოვრის დიდება და მასთან მდგომი ორი კაცი. პეტრემ უთხრა იესოს: უფალო, რა კარგია ჩემთვის აქ ყოფნა. თუ გნებავთ, გავაკეთებ აქ სამ კარავს: ერთი შენ, ერთი — მოსეს და ერთიც — ილიას, რადგან არ იცოდა, რას ლაპარაკობდა. საუბარი დასრულებული

აქედან დასკვნეს, რომ მათი მოძღვარი იყო არა უბრალო ადამიანი ან წინასწარმეტყველი, ან თუნდაც მესია, მხსნელი, რომელსაც ებრაელები მოძღვაროდნენ, არამედ — განკაცებული ღმერთი

„წამოდექით, ნუ გეშინიათ“. როდესაც თვალი აახილეს, იესოს გარდა ველარავინ დაინახეს. როდესაც ისინი მთიდან ჩამოდიოდნენ, იესომ უთხრა: „არავის არაფერი უთხრათ ამ ხილვის შესახებ, ვიდრე ძე კაცისა მკვდრეთით არ აღდგება“. მოციქულებმა გულში ჩაიდეს ეს სიტყვები და ერთმანეთს ეკითხებოდნენ, — რას წინავს მკვდრეთით აღდგომაო? მაცხოვარს კი ჰქითხეს: — რატომ ამბობენ მნიგნობრები, პირველად ილია უნდა მოვიდეს? იესომ მიუგო: — მართალია, პირველად ილია უნდა მოვიდეს და აღადგინოს ყოველივე, მაგრამ თქვენ გეუბნებით, რომ ილია უკვე მოვიდა, მაგრამ ვერ იცნეს იგი და ისე მოექცნენ, როგორც უნდოდათ; კაცის ძესაც ასე მოელის მათგან ტანჯვა. მაშინ მიხვდნენ მონაფეხები, რომ იესო იოანე წათლისმცემელზე ესაუბრებოდა.

მაცხოვარმა მოციქულებიდან გამოარჩია პეტრე, იაკობი და იოანე, მათთან ერთად სალოცავად ავიდათაბორის მთაზე, სადაც იცვალა ფერი, — მისი პირი მზეზე უფრო მეტად გაბრწყინებული იყო, ხოლო მისი სამოსელი წათელივით განსპეტაკებული, ეს იყო ღვთაებრივი წათლის გამოხატულება, უფლის წათება, შე-

რომ წინასწარმეტყველები იხილეს?

— ამ დროს მოციქულები მიყოფებოდნენ საღვთო მადლში. სწორედ ამ საღმრთო მადლის მიერ უუწყათ და იცნეს, რომ მათ წინაშე იყვნენ მოსე და ილია, რომლებიც მაცხოვართან საუბრობდნენ მისი ჯვარცმის, ვნებისა და აღდგომის შესახებ.

— რატომ სწორედ მოსე და ილია წინასწარმეტყველების მოვლინება ინება ღვთის განგებულებაში?

— მოსე გამოჩინდა, როგორც მამამთავარი წინასწარმეტყველთა, პირველი, რომელმაც სჯული მისცა ერს, გამოისხნა ისრაელის ერი, ხოლო ილია, — როგორც ყველაზე ცნობილი, წინასწარმეტყველთა შორის, რომელსაც ხორციელი სიკვდილი არ განუცდია, — ცოცხლად, ხორციელად იქნა ატაცებული ზეცად. მოსე უდაბნოში აღსრულა, მან ხორციელი სიკვდილი განიცადა, მაგრამ ღვთის წინაშე სიკვდილსა და სიცოცხლეს შორის საზღვარი არ გადის, უფლის წინაშე ყველა ცოცხალია, როგორც თავად ბრძანებს სახარებაში: „არ არის ღმერთი მკვდართა და ღმერთი ცოცხალთა, არამედ — ღმერთი ცოცხალთა“.

მოსე — მხსნელი და სჯულისმდებელი ისრაელის ერისა და ილია —

უდიდესი წინასწარმეტყველთა შორის, — ეს ორი უდიდესი პიროვნება მოვიდა და თაყვანს სცემდა იქსოს, ქრისტედ წოდებულს. ამასთან, მოციქულებმა იხილეს, როგორ გაბრძყინდა მაცხოვარი. აქედან დასკვნეს, რომ მათი მოძღვარი იყო არა უბრალო ადამიანი ან წინასწარმეტყველი, ან თუნდაც მესია, მხსნელი, რომელსაც ეპრაელები მოელოდნენ, არამედ — განკაცებული ღმერთი.

— როგორც სახარება გვეუბნება, ვიდრე მაცხოვარი ლოცულობდა, მოციქულებს ჩაეძინათ. რამ მოჰვარდათ ძილი?

— თაბორის მთა საკმაოდ მაღალი და კლდოვანია. ვიდრე იქამდე მიხვალ, კარგა მანძილი უნდა გაიარო. ამჟამად მთაზე მსუბუქი ავტომობილით ასვლაც ხერხდება, მაგრამ იმ პერიოდში ამისთვის საკმაოდ დიდი დრო იყო საჭირო. თაბორზე ასვლა დიდ ჯაფას მოითხოვდა და მონაფეები ფიზიურადაც დაღლილები იყვნენ და სწორედ ამან მოჰვარა ძილი. თუმცა, ეს სალვთო განგებულებითაც მოხდა. ადვილად რომ გადაეტანათ ეს ღვთაებრივი გამოცხადება, შემაძრნუნებელი რომ არ ყოფილიყო მოციქულებისთვის ფერისცვალების — ამ უდიდესი სასწაულის ხილვა,

უფალმა ძილი მოჰვარა, რათა მათი გონება შემზადებულიყო სასწაულის სახილველად.

— როდესაც მთიდან მოდიოდენ, უფალმა გააფრთხილა მოციქულები, რომ არავისთან ეთქვათ იმის შესახებ რაც იხილეს, ვიდრე მკვდრეთით აღდგომა არ მოხდებოდა. რატომ უნდა ყოფილიყო იმ პერიოდში დაფარული ადამიანებისთვის მაცხოვრის ფერის-ცვალება?

— იმის გამო, რომ იმ პერიოდში ადამიანებისთვის ეს იქნებოდა სრულიად დაუჯერებელი, ხოლო როდესაც მაცხოვარი ჯვარს ეცვა და აღდგა, ამის შემდეგ, რა თქმა უნდა, მოციქულები ამ ამბავსაც გაიხსენებ-დნენ და სხვებსაც მოუთხრობდნენ, რაც კიდევ უფრო მეტად განუმტკიცებდა მათ რწმენას, მაცხოვრის შესახებ.

— საერთოდ, რატომ ინება მაცხოვარმა ფერისცვალება, ღვთაებრივი დიდებისა და ნათლის ადამიანთა წინაშე გამოვლინება?

— ამის მიზეზი ის იყო, რომ მოციქულებისთვის თავისი ღვთაებრიობა ეჩვენებინა. უკვე დამდგარიყო დრო, როცა მათ უფრო მეტი უნდა გაეგოთ იესო ქრისტეს შესახებ, თავისი ფერისცვალებით კი უფალმა არა



სიტყვით, არამედ საქმით აჩვენა თავისი ღვთაებრიობა. თანაც წაიყვანა მხოლოდ სამი მოციქული იმის გამო, რომ ხალხი მარტო არ დაეტოვებინა, დანარჩენი მოციქულები ხალხთან დატოვა, რათა ღვთის სიტყვის ქადაგება განეგრძოთ ხალხში.

# enel საზოგადოებრივი გადასაცემი

## 50% მდე ფასებისას

### გიგანტი Books

#### ქართველი და ევროპული განვითარების სამსახური

უნიკალური გადასაცემი? გათვალისწინებული!  
წარადგინებული, გამორჩეული, უცნობისად უნიკალური!

# ავლანეთში დაჭრილი ჰარისკაცის მსოფლიო რეპორტი

„რეკორდის დამყარების დღე აფეთქების თარიღს დავამოხვდეთ“...

„ରୋଧେସାପ୍ତ ଗାୟାକ୍ଷବ୍ରନ୍ଦିକୀର୍ଣ୍ଣ, ରୋମ ଶ୍ଵେତାର ଗାୟାଗିଲ୍ଲିଡି, ଏଲ୍ଲାଦା ମେତା... ଶୈମଦ୍ଦେଶ, ରୋଧେସାପ୍ତ ତୌରୁଗେଲମା ଶମ୍ଭବିତାମ ଗାଇରା, ବିଭୂତିକୀର୍ଣ୍ଣ, — ଏ ଅର୍ଥିବାନୀ ତାଙ୍କାପାଦ ଗାଗା-  
କ୍ଷେତ୍ର, ହିମୀ ମହାନ୍ଦଲ୍ଲାବିସ ନିନାଳାଲମ୍ବଦେଖିଗବିଦିଶ ମିଶ୍ରବ୍ୟଦାଵାପାଦ, ଶାମ୍ଭେଦିରା ପରାଜ୍ୟେଶିବା  
ଶବ୍ଦିରିହିୟ, ଆମ ଥିଏ କେବଳ ମେଳନିର୍ଦ୍ଦା ନାଭ୍ୟାକ୍ଷରି-ମେତକ୍ଷେତ୍ର? ତାନନ୍ଦାତାନ ଶାଶ୍ଵତ ଦାଲା, ରୋମ  
କ୍ଷେତ୍ରରେବା ଗାମ୍ଭେରକ୍ଷେତ୍ରଦିନିନା, ଆମାଶି ଦାଲାନିର ଫାମିଲୀର ଆମ୍ବରିକାଶି ପ୍ରମତ୍ତନା, —  
ପାଲିଭ୍ୟାନରନ୍ଦିନିର ଶ୍ରୀତଥିଶ, ଶ୍ରୀମରାଜୁ ହିମନ୍ଦାନିରି ଫା ହିମଥିଶ ଶ୍ରୀର୍ଦ୍ଵେଶ ମଦ୍ଗମାର୍ଯ୍ୟବିନିର  
ମେଳନ୍ତ ଅଧାମିନାନି ଶ୍ରୀର୍ଦ୍ଵେଶିତି ମନ୍ଦିରମହେବିତ ପାର୍ଵତୀଶବ୍ଦିରା, ରୋମ ଗାୟାଗିଲ୍ଲିକୀର୍ଣ୍ଣ, — ଏ କେବଳ  
ମେତ୍ର ଶେମିଦିଲୋଇ-ମେତକ୍ଷେତ୍ରି!“ — ଆୟ ଗାଇଶ୍ବେନା ମେଲାନ୍ତିର ର୍କ୍ଷାନିରଦଶିନ୍ଦମା, ପିପିଲ  
ଦାଇଦିନାମି ବିଶ୍ଵାମିତ୍ର ମଦିମେ ଫଲ୍ଗୁନୀବି, ଶାନାମ କ୍ଷେତ୍ରରେବିଦିଶ ଗାଗରକ୍ଷେତ୍ରଦିନିର  
ଶେଷିଲାନ ଦା ରାଗୁନାରାତ୍ର ତାଙ୍କାପାଦ ଅମଦିନି, ପିରିଗ୍ରେଲ ରିକାଶି, ଶାକ୍ଷୁତାର ତାଙ୍କା ଫାଉମିତ୍ରିକିପା,  
ରୋମ କ୍ଷେତ୍ରରେବା ଶ୍ରୀଗ୍ରେତ୍ରୀଶ ଶ୍ରୀକୃତ୍ତିଶ ଶ୍ରୀକୃତ୍ତିଶ ଶ୍ରୀକୃତ୍ତିଶ ଶ୍ରୀକୃତ୍ତିଶ ଶ୍ରୀକୃତ୍ତିଶ

ლეპაში საეჭვო სახლი უნდა შეგვე-  
მონმებინა. თოთქმის ყველა მშვიდო-  
ბიანად მოვიარეთ და ის იყო, ბოლო  
სახლს ვამონმებდით, ხელნაკეთი  
ნაღმი აფეთქდა, რომელიც კარში  
ყოფილა დამაგრებული. აფეთქებამ  
სადღაც მომისროლა. გონება არ  
დამიკარგავს, მაგრამ მივხვდი, რომ  
სერიოზული დაზიანება მივიღე. ყვე-  
ლაფერი მასხვევს...

— თქვენთან ერთად სხვებიც და-ზიანდნენ?

— დიახ, ერთმა საშუალო სიმძინე  
მის, ორმა — მსუბუქი დაზიანებები  
მიიღეს. თავდაპირველად, ადგილზე  
გამინიეს სამედიცინო დახმარება,  
შემდეგ ავღანეთის ბაზაზე, იქიდან  
კი გერმანიაში გადამიყენეს, სადაც  
თითქმის ორი თვე მომინია დარჩენამ.  
შემდეგ კი საქართველოში დავბრუნ-  
და და ერთი თვე გორის სამხედრო  
ჰოსტიტულში დავრჩი. შემდეგ ნახევა-  
რი წლით სახლში გამისვეს. ყველაზე  
მეტად მშობლებზე ვდარდობდი.  
საკუთარ თავზე მეტად დედის ამბა-  
ვი მანუქებდა. ვიცოდი, ეს მისთვის  
დიდი დარტყმა იქნიბოდა. რა თქმა



წინააღმდეგობის მეორე ტალღა  
გადავლახე, როდესაც ავლანეთში  
წასვლის გადაწყვეტილება მივიღე...

დაადასტურა საქართველოს რეკორდების მსაჯთა ფედერაციამ.

ତେବୁରମ୍ବା „ଗନ୍ଧେସିଲେ“ ମେତକୋବନ୍ଦେଶୀଳ  
ଶେଶାବାମିଲାଏ, ଫେରିଛୁଯୁରି ପାରଜୀଶିଲେ,  
ଏ.ବ୍. „ଅମ୍ବୁତ୍ତିର୍ଗେବୁଲି ଆଠିଦେଶୀଳ“  
ଶେଶରୂପ୍ଲାଙ୍କିଟ, ମେନ୍ଦରଲୋହ ର୍ଯ୍ୟାନ୍ତରିଦୀ  
ଦାମ୍ପାରା, ରମଳୀଳ ଫର୍ମନ୍ଦାଚ ଲେ ମେତ-  
ଲୋହ ଶେଷ୍ଟାଶ ଯୁରଦନ୍ତଦୀର୍ଘା, ଲେଖୁଣୀଳୀ  
ଦାନାରିଥିନ ନାନୀଲେ, ଯା ପୁରାଜୀବନାରି

დამხმარე საშუალებების გარეშე, ჰორიზონტალურ მდგომარეობაში ინარჩუნებდა. ეს მოძრაობა ტანგვარჯიშის ერთ-ერთი ცნობილი ელემენტის, ე.ნ. „ფლენბის“ (*Planche*) სახეს-ხვაობაა. მსოფლიოში ცნობილია ამ ელემენტის შესრულების რამდენიმე შემთხვევა, თუმცა, განსაკუთრებული სირთულის გამო, მსგავსი რეკორდი აქამდე არასდროს დამყარებულა.

თემოს სპორტის მიმართ სიყვარული მხოლოდ ამ სახეობით არ შემოიფარგლება — მას საკმაო ნარმატებები აქვს ფარიკაობასა და ველორბოლაში. სამომავლოდ, საერთაშორისო ასპარეზობას სპორტის ამ სახეობებში გაემავს.

— ნარმოშობით პაშიდან, სოფელ  
სუჯუნიდან ვარ. სკოლის დამთავრე-  
ბის შემდეგ, თავდაცვის სამინისტროს  
საკონტრაქტო სამსახურში წასვლა  
გადავწყიტებ. როდესაც ჩემს პროფე-  
სიულ არჩევანზე მმობლებს ვუთხარი,  
როგორც მოსალოდნელი იყო, გადა-  
ირივნენ, განსაკუთრებით დედა ნერ-  
ვიულობდა. თუმცა, ამის მიუხედავად,  
ხელშეკრულება მაინც გავაფორმე და  
მხოლოდ შემდეგ ვუთხარი ოჯახს. წი-  
ნააღმდეგობის მეორე ტალღა გადაც-  
ლახე, როდესაც ავღანეთში წასვლის  
გადაწყვეტილება მივიღე... ქუთაისის  
III ქვეითი ბრიგადის 33-ე ბატალიონში  
ვმსახურობდი. 2011 წლის 18 აპრილს  
ავლანეთში, ჰილმენდის პროვინციაში  
წავიდა. თავიდან როგორც ყველას,

მეც გამიჭირდა. ამერიკული საზღვაო  
ქვეითების დაქვემდებარებაში ვიყა-  
ვით, ეს ნაწილი პროფესიონალიზმით  
გამოირჩეულა. მხოლოდ რამდენიმე  
თვე ვიმსახურე, შემდეგ — სხეულის  
მძიმე დაზიანება მივიღე.

— ნაღმზე აფეთქდით?

— დიახ, 3 აგვისტოს შემოვიდა  
ინფორმაცია, რომ ერთ-ერთ დასახ-



თუ ადამიანი მოინდომებს,  
შეუძლებელი არაფერია

უნდა, ძალიან ინერციულებს. მათ რომ  
ვუყურებდი, ორმაგად განვიყდიდი.  
ამასობაში, პროთეზის გაკეთების  
დრომ მომიწია და ამერიკაში, კა-  
ლიფორნიის შტატში გადამიყვანეს.  
ჩემი ძმაც თან მახლდა. იქ, როგორც  
გითხარით, უამრავი ჩემნაირი და  
ჩემზე უარეს მდგომარეობაში მყოფი  
ბიჭი იყო. მათ ძალიან კარგი ფსიქი-

კურიომზადება აქვთ გავლილი, ამიტომაც უფრო ადვილად აგრძელებები ცხოვრებას. იყენენ ისეთებიც, ვისუც ზედა კიდურიც არ ჰქონდა ანუ ნალმზე აფეთქებისას ხელი დაკარგეს, მაგრამ ამის მიუხედავად, ძალიან ლალები, გახსნილები და შხიარულები არიან. იქ ყოფნის დროს გადაწყვიტე, აზიდვები გამეეცებინა და აქტიური ვარჯიში დავიწყე. იქაური ბიჭები ძალიან მგულშემატკიცირობდნენ. ბევრ მათგანთან დღემდე ვმეგობრობ. საერთოდ, ერთი წელი ვიყავი ამერიკაში და ეს დრო ძალიან პროდუქტიულად გამოვიყენ.

— ამერიკაში ალბათ ყველანაირი პირობა იყო ამისთვის შექმნილი...

— დიახ, რა თქმა უნდა... როდესაც პროთეზი გამიკეთეს, ჩემებს დავურეკე და ვუთხარი, — შეგიძლიათ, ალარ ინერვიულოთ, უკვე დამოუკიდებლად დავდივარ-მეთქ. დედაჩემა, — სანამ ჩემი თვალით არ ვნახავ, რომ გაიარე, ვერ დავიჯერებო... მერე ჩემმა ძმამაც უთხრა, დადის და ვარჯიშობს კიდეცო.

#### — ძმაც სამხედროა?

— არა, ძმა უმუშევარია... ამერიკიდან დაბრუნების შემდეგ, დავით ალმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიაში დავიწყე მუშაობა და აკადემიის დარბაზში ვარჯიშობდი. ოღონდ, აზიდვების რაოდენობა გავზარდე. გარკვეული დროის შემდეგ, ისევ გამგზავნეს ამერიკაში, უკეთესი ხარისხის პროთეზის დასაყენებლად. ამ დროის განმავლობაში ვარჯიში არ შემიწყვეტია და თანდათან რეკორდის დამყარების სურვილიც გამიჩნდა. მით უფრო, რომ ამერიკელი ბიჭები სულ მეუბნებოდნენ, — კარგი მონაცემები გაქვს და მოყვარულის დონეზე ნუ შეჩერდებიო.

— რამდენი ხანი ემზადებოდით რეკორდისთვის?

— ორი წლის განმავლობაში თავდაუზოგავად ვარჯიშობდი და რეკორდის დამყარების დღე სპეციალურად დავამთხვიე აფეთქების თარიღს, საბედისნერო ვაგისტოს, იმის დასამტკიცებლად, რომ მას შემდეგ ჩემს ცხოვრებაში უარესობისკენ არაფერი შეცვლილა. პირიქით — ჩემი ცხოვრება გრძელდება ძალიან კარგი სიახლეებით... ერთი სიტყვით, გინესის მოთხოვნის შესაბამისად, ერთ წუთში ათი აზიდვაა, მე 38,25 წამში 37 აზიდვა გავაკეთე. მართალი გითხრათ, არ ველოდი, ვფიქრობდი, რომ 30 აზიდვას მაინც გავაკეთებდი, მაგრამ გამომივიდა. ძალიან დიდი როლი ითამაშა ჩემი

მეგობრების გულშემატკიცირობამ. ჩემ მიერ რეკორდის დამყარების პროცესს საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსი, გენერალ-მაიორი ვახტანგ კაპანაძეც ესწრებოდა, რაც ძალიან დიდი სტიმული იყო ჩემთვის...

— ვიცი, რომ სპორტით ადრეც იყავი დაინტერესებული...

— დიახ, სპორტი ჩემი ცხოვრების განუყოფელი ნაწილია. 5 წლიდან აქტიურად ვვარჯიშობ. ჯერ სახლში, შემდეგ კი ადგილობრივ დარბაზშიც

მეომრებთან ერთად ვვარჯიშობდი დარბაზშიდა 2013 წელს, ლოს-ანჯელესის მარათონშიც ვმონაწილეობდი. 24 ათას მონაწილეს შორის მე-6 ადგილი დავიკავე. ეს არის ხელის ველოსიპედი ანუ პედლებს ხელით ატრიალებ. ახლა ჩემი ველოსიპედი მყავს, რომელიც ჯერჯერობით გორგია და უნდა ჩამოვიყვანო.

— თემო, მეგობრებთან ერთად ცხოვრობთ, ხომ?

— დიახ, მარტო არასდროს ვარ. მეგობრები სულ ჩემ გვერდით არი-



ჩემპიონობაზე არასდროს მიფიქრია

დავდიოდი ჭიდაობის წრეზე. სხვადასხვა სპორტულ ონისისძიებაში აქტიურად ვიყავი ჩართული, მაგრამ ჩემპიონობაზე არასდროს მიფიქრია. ასე რომ, ჩემი მდგომარეობის მიუხედავად, სპორტი და ვარჯიში ჩემთვის უცხო არ ყოფილა. ჩემი მიზნების მისაღწევად ყოველდღე ვიპრძვი.

— ფარიკაობაც კარგად გამოგდით და კარგი შედეგებიც გაქვთ, ხომ?

— დიახ, ფარიკაობაც ამერიკაში, კალიფორნიაში ყოფნის დროს დავიწყე, ოღონდ მოყვარულის დონეზე. შემდეგ ძალიან მომენტი შეიცვლი. თუ ადამიანი მოინდომებს, შეუძლებელი არაფერია. ჩემი ამერიკელი მწვრთნელი აქტურფედერაციას დაუკავშირდა და აუხსა, რომ კარგი მონაცემები მქონდა და სასურველი იყო, ვარჯიში გამეგრძელებინა. არაერთ ტურნირში ვმონაწილეობდი. სექტემბერში ვარჯავაში მივდივარ და ვემზადები. ვნახოთ, რა გამომივა.

— მითხარით, რომ ველორბოლით თაც ხართ გატაცებული...

— დიახ, ამ სპორტითაც ამერიკაში „მოვინამლე“. იქაურ დაჭრილ

ან. თავიდან, როდესაც ბინა არ მქონდა, გორში, აკადემიის ბაზაზე ცხოვრობდი. შემდეგ, სახელმწიფომ გადმოგვცა ბინები, სადაც ახლა მეგობრებთან ერთად ცხოვრობდა ისინი, რა თქმა უნდა, ყველაფერში მეხმარებიან... ჩვეულებრივად ვაგრძელებ ცხოვრებას. ამჟამად, ეროვნული თავდაცვის აკადემიაში ვმსახურობ და სპორტული მიღწევების გარდა, სხვა ინტერესებიც მაქვს, — წელს ერთიანი ეროვნული გამოცდებიც ჩავაბარე, საერთაშორისო დიპლომატიის ფაულტეტზე. ქულების მიხედვით მივხვდი, რომ ბარიერი გადალახული მაქვს, თუმცა, ჯერჯერობით არ ვიცი, რომელ უნივერსიტეტში მოვხვდები. რაც მეტად ვიქნები დატვირთული, უკეთესია ჩემთვის, ყველაფერს მოვასნებ — სწავლასაც, მუშაობასაც და სპორტსაც.

— მშობლები აბაში ცხოვრობენ?

— დიახ, დედ-მამა და მამა იქ არიან. არც ერთი არ მუშაობს. სოფლის მეურნეობას მისდევენ.

— ჯაგახი არ გყავთ?

— ჯერჯერობით, არა...

# ფსიქოთრონული იარაღი, „გამძაფრებული სიცარიელე“ და ადამიანის ფსიქიკაზე გემოქმედების სხვადასხვა

უპირველესად, გავერკვეთ ტერმინოლოგიაში — რა არის ფსიქოტრონული იარაღი? ეს მოწინააღმდეგის ფსიქიკური ზემოქმედების საშუალებაა და ის ორგვარი სახის გვერცხება: პირადი — ფსიქოლოგთა და პარაფსიქოლოგთა, ასევე ექსტრასენსთა გამოყენებით და აპარატურული — ტექნიკური საშუალებებით. მიზანი — ადამიანის ქცევის ისეთი კორექტირებაა, როგორც ეს მოცემული იარაღის მომხმარებელს სჭირდება. არსებობს კი ასეთი იარაღი სინამდვილეში? — დიახ, არსებობს.

## ირინა ჰანდიერი

### „სრულიად საიდუმლოდ“

შესაბამისი აპარატების წარმოებით (ე.ნ. ფსიქოგენერატორები) დაკავებულნი იყვნენ საბჭოთა კავშირის, სპეციალური უწყებები. მათ შორის, ცნობილი გახდა იმსანად გასაიდუმლოებული „საჯარისო დანაყოფი 10003“ (გენერალური შტაბის საექსპერტო-ანალიტიკური სამმართველო).

რაც შეეხება აშშ-ს, დღემდე ნაკლებად ცნობილია ის გარემოება, რომ გამოჩენილი ოკეანისგაღმელი ჯაშუში, ჯოზედ მაკ-მონიგლი თავის დროზე საპატიო ლეგიონის ორდენით სწორედ ფსიქოტრონული სპეციაშუალებების გამოყენებით შესრულებული „200-ზე მეტი საბრძოლო დავალებისა და 150 არსებული ინფორმაციის ელემენტის მოპოვებაში მიღწეული წარმატებისათვის“ დააჯილდოეს.

აქვე შეგვიძლია „რადიოსაზრის“ ფსიქოტრონულ მოწყობილობაზეც ვისაუბროთ, რომლის სქემაშიც გამოიყენებოდა ხსნებული ფსიქოგენერატორები. შესაძლოა, იმის უწყებითაც გაგავირცოთ, რომ საბჭოთა კავშირში საომარი კოსმოსური პლატფორმებიც გამოიგონეს, რომლებიც განსაკუთრებული სიხშირით ზემოქმედებს „სავარაუდო მოწინააღმდეგობის“ არეალზე — ქალაქებსა და დასახლებულ პუნქტებზე. ისინი მოსახლეობას პანიკურ მდგომარეობას უვითარებს (პროსტრაციის მდგომარეობა, ძილიანობა, აპათია).

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ 1980-იანი წლების ბოლოს მიღწეული შედეგების ანალიზის მიხედვით, აშშ-სა და საბჭოთა კავშირში ფსიქოტრონული იარაღის წარმოადგინება, ფინანსური დანახარჯების მიმართებით არარენტაბელურად აღიარეს. მარტივად რომ ვთქვათ, ათიდან ცხრა გამოკვლევა „გაყინული“ აღმოჩნდა.

1980-იანი წლების ბოლოსვე, ფსიქოლოგებმა, რომლებიც მანამდე ფსიქოტრონული იარაღის შემქმნელებთან თანამშრომლობდნენ, გადაუტარებელად მნიშვნელოვანი „აღმოჩენა“ გააკეთეს: იმისათვის, რომ ინდივიდუალური ან კოლექტიური ქვეცნობიერი მდგომარეობის ცვლილების ეფექტს მიაღწიო, სულაც არ არის საჭირო მოცემული იარაღის გამოყენება. საკმარისია აზრის გავრცელება, რომ ის გამოიყენეს.

სპეციალური კვლევითი ცენტრების მონაცემებით, დედამინის მოსახლეობის 20% ამა თუ იმ ფსიქიური დაავადებითა შეპყრობილი. ამავე ორგანიზაციის მონაცემებით, დაახლოებით 400 მილიონ ადამიანს ლაბილური (არამდგრადი) ფსიქიკა აქვს და ყველა ეს ადამიანი „გამძაფრებული ისცარიელის კლიენტურას“ წარმოადგენს.

სპეციალისტთა ვიწრო წრეში, ფსიქოტრონული იარაღით „სარგებლობას“, მისი რეალური გამოყენების გარეშე, „გამპირთა ტექნიკა“ ეწოდება. რაღაც მსგავსს, იაპონელი მეომარი ნინძებიც მიმართავდნენ. თუ მათ

რომელიმე დასახლებული პუნქტის აღება სჭირდებოდათ, მსტორები მოსახლეობაში ავრცელებდნენ ხმას, თითქოს შემოგარენში ვამპირები გაჩნდნენ, რომლებიც ადამიანებს იტაცებდნენ და კლავდნენ. მეტი დამაჯერებლობისთვის, ნინძები მართლაც იტაცებდნენ ადამიანებს, კლავდნენ და სხეულზე ვამპირის-თვის დამახასიათებელ ნაკილარს უტოვებდნენ. ღამით გვამებს ისეთ ადგილებში ყრიდნენ, სადაც დღისით ხალხმრავლობა იყო. ამგვარად, შედეგი მიღწეული იყო — ყველა ისე ფიქრობდა, როგორც ეს თავდამსხმელებს ჰქონდათ ჩაფიქრებული. როცა „ჩრდილთა საუფლოს მეომარი“ ვამპირთა სამოსითა და გრიმით დასახლებულ პუნქტს თავს ესხმოდნენ, გარნიზონი — რაოდენ მრავალრიცხვანიც უნდა ყოფილოყო — თავზეარდაცემული იფანტებოდა. აღარაფერი ითქმის მშვიდობიან მოსახლეობაზე.

სპეცსამსახურთა პრაქტიკიკაში ფსიქოგენერატორებით სარგებლობა სხვა დანიშნულებითაც განიხილებოდა. კერძოდ, აპარატურა მოწინააღმდეგებ სახელმწიფოთა ლიდერების ფსიქიკას საჭირო მიმართულებით წარმოადგენს.



ყველა ეს ადამიანი „გამძაფრებული ისცარიელის კლიენტურას“ წარმოადგენს

როვებას და სხვა. თუმცა, ის ფაქტი, რომ სახელმწიფო ბირთვული ამგვარი იარაღის წარმოებასა და სამომავლო გაფართოებაზე უარი თქვეს, სულაც არ ნიშნავს, რომ უკვე გამოგონილი ტექნიკური საშუალებები ცალკეულ კერძო ლაბორატორიებში სრულყოფას არ გადის ან კერძო პირებისა თუ კრიმინალური წრეებისთვის მიუწვდომელია.

### კონტროლი აზროვნებაზე

აზრობრივი ზემოქმედების ახალი თაობის იარაღის კრიმინალურ წრეებში გამოყენების შესახებ, 1990-იანი წლების პრესაც ალაპარაკდა. პირველად განგაში ამერიკელებმა ატეხეს. მოხსენიებული იყო ე.ნ. ტორსინული გენერატორები, იგივე ფსიქოტრონული დასხივების რადიოლოგიური იარაღი, რომლის საშუალებით ზემოქმედებაც ნებისმიერ ცოცხალ არსებაზე შეიძლება მოხდეს.

ცნობილია, რომ ადამიანს 16-დან 20 ათას ჰერცამდე სიხშირის ბერა ესმის. 16-ზე დაბალი სიხშირის ინფრაგვერები არასენს სორულია და ყურით არ ისმინება, მაგრამ ნერვულ სისტემაზე მოქმედებს. ხშირად ადამიანები ვერც კი აცნობიერებენ, რატომ ალმოჩნდნენ ამა თუ იმ მდგომარეობაში.

ამ მიმართულებით საბჭოთა კავშირში ინტენსიურად მომუშავე სპეციალური ინსტიტუტებიდან ერთ-ერთი, რადიოტექნიკისა და ელექტრონიკის ინსტიტუტი გახდათ, რომლის 25-ე ლაბორატორია ამგვარ ექსპერიმენტებს ატარებდა (ხელმძღვანელი — აკადემიკოსი ი. გულიევი). ყველა შრომა გასაიდუმლებული იყო.

იმ ქვეყნებში, სადაც მსგავსი

გამოშვება დაიწყეს (ათასი ცალი წელიწადში). იმ დროს გამოშვებული გენერატორები ადვილად ხელმისაწვდომი გახდა ბევრისთვის.

ამერიკელმა უურნალისტმა, უოლტერ ბოუარდმა წიგნზე — „კონტროლი აზროვნებაზე“ მუშაობას რამდენიმე წელი შეაძლია, რომელშიც ამტკიცებდა, რომ 35 წლის მანძილზე ცენტრალურ სადაზვერვო სამართველოში ადამიანის ტვინზე, მეხსიერებასა და ნებისყოფაზე კონტროლის მისაღწევად გასაიდუმლობული კვლევები ტარდებოდა.

შესაძლი ფაქტების ამოტივტივება პერიოდულად ყოფილი საბჭოთა კავშირის სუკ-ის ისტორიიდანაც ხდებოდა. ცნობილია, რომ ამგვარი ცდები კიევის ერთ-ერთ ინსტიტუტშიც ტარდებოდა, ხოლო მის ე.ნ. „ქვეგანყოფილებად“ დნეპროპეტროვსკის სპეციალური ფსიქიატრიული კლინიკა ითვლებოდა, მთავარ „დაკვეთად“ კი კრემლს ასახელებდნენ. მიზან — ადამიანის აზროვნებაზე ზემოქმედება გახლდათ.

### გიოვანერგეტიული შეფეხა

იმის უცოდინარობა, რომ ადამიანზე ენერგეტიკული ზემოქმედებაა შესაძლებელი, დიდხანს იცავდა კაცობრიობას. „მცოდნე“ ადამიანები ამ საფრთხის შესახებ კარგად უწყიდნენ და ამიტომ, ბიოენერგეტიკის შესწავლისთვის ჰერმეტულად დაასურულ სკოლებს ქმნიდნენ. კარგი დაცვის სისტემა რელიგიურ-ეთნიკური სწავლებაც იყო, რომელიც საყოველთაო სიკეთეს ქადაგებდა არა მხოლოდ ქმედებებში, არამედ ემოციებსა და აზრებშიც. თავის მხრივ, მეცნიერებაც კატეგორიულად უარყოფდა ადამიანზე ნებისმიერი ენერგეტიკული

## აპარატურა მოწინააღმდეგი სახელმწიფოთა ლიდერების ფსიქიკის საქმიო მიმართულებით წარმართვისთვის უნდა გამოეყენებინათ

ტიპის სამუშაო ტარდებოდა, მილიონობით დოლარი იხარჯებოდა საიდუმლო ლაბორატორიებსა და მის ე.ნ. „ქვეგანყოფილებებზე“: ფსიქიატრიულ კლინიკებზე, ციხეებსა და ინსტიტუტებზე. ათასობით მოქალაქე, რომელიც არაფერს ეჭვობდა, საცდელ „ზღვის გოჭად“ აქციებს (სავარაუდო, არანაკლები რაოდენობის დაზარალებული ახლაც მრავლად დადის სამყაროში).

საბჭოთა კავშირის დაშლასთან ერთად, გენერატორების სერიული

წიგნის — „კარმული დიაგნოსტიკის“ ავტორს, სერგეი ლაზარევს ეკუთვნის. ის სანგრძლივოდ ახორციელებდა ადამიანის ბიოენერგეტიკულ კვლე-



მოხდა უხეში შეჭრა ადამიანის ველის სტრუქტურაში

ვებს. მის ნაშრომში ვკითხულობთ: „XX ს-ის ბოლოს მომრავლებულმა ფსიქონალიტიკოსებმა ქვეცნობიერის შტურმი დაიწყეს და პროცესებმაც არნახულ მასშტაბებს მიაღწია. მოხდა უხეში შეჭრა ადამიანის ველის სტრუქტურაში. როგორც წესი, მეცნიერებისთვის და პარაფსიქოლოგებისთვის ნაკლებად საინტერესოა შორეული შედეგები. ამ ფონზე, დღვევანდელი მსოფლიოს მთავარი პრობლემა ნაკლები სულიერებაა. ვებრძივით და ველავთ ერთმანეთს ისე, რომ ხშირად ვერც ვხვდებით ამას. ნებისმიერი ნეგატიური აზრი — ენერგეტიკული შეტევაა, რომელიც ორივე მხარეს აყენებს ზიანს. ამ მხრივ, საკუთარ თავზე მუშაობა მოეთხოვებათ უპირველესად პოლიტიკოსებს. მხოლოდ პროფესიონალიზმი და განათლება დღეს საკმარისი არ არის. თუ პოლიტიკოსს ქვეცნობიერი აგრესია აქვთ, ნებისყოფა და ინტელექტი აქუვე მეორეხარისხოვანია“.

ჩვენს შვილებს უფრო მეტი ენერგეტიკული შესაძლებლობები აქვთ და — უფრო ნაკლები ძალა მათი სწორად გამოყენებისთვის. მოვლენები კი კონტროლს აღარ ექვემდებარება და უბრალო გადაწყვეტილება: „ხვალ კეთილი გახდები“ — მას ვერ შეცვლის“.

# ერთი სუფთა ლექსისა და მტვრიანი რემონტის ამბავი

ამ ლაბაზი ბინის დიასახლისა ლელა ცუცქირიდება. მწერალი, არაგროტლი-ტერატურულ კონკურსში გამარჯვებული, საბავშვო პოეტი, ლიზიკოს დედა. რა უცნოურია: ზაფხული დასვენების დროა თითქს, ადამიანების უმეტესობა კი სწორებ ზაფხულს იჩინებს რემონტის დასაწყებად. ლელას სახლი კი, რომელმაც გამსაკუთრებულად თბილი, გემოვნებიანი ინტერიერით მომზიბლა, უკვე დასრულებულია. ამიტომაც, მტერისა და ბუღლის, სამშენებლო მსასალებისა და ხელოსნების გარეშე ესხედვართ და რემონტზე ვსაუბრობთ. ქალური საუბარია. ამას მამაკაცების გასაგონად ვამბობ, უურნალი სხვა გვერდზე რომ გადაფურცლონ, თუკი ქალური საუბრის მოსმენა არ სურთ. ოლონდ, მეეჭვება ეს ვინმეტ ჩაიდინოს...

## დეა ცუცქირიძე

— ლელა, ვინც უნდა მიმტკიცოს, რომ მწერალი სხვას წერს და სხვას ფიქრობს, არ დავუჯერებ. ვზივარ შენს სამზარეულოში, რომელიც შენი დიზაინით არის გაფორმებული, და შენი სტრიქონები მახსენდება:

„ამ ბალში მშობლებს შვილი ანგელოზები დაჲყავთ,

ძალიან ლამაზი ბალია, კოშკურებიანი.

შიგნით რომ შეხვალო, ისე მოგენონებათ, დარჩენა მოგინდებათ.

ბალში მზე პირდაპირ ჭერზე ამოდის, იატაკზე ნამდვილყვავილებიანი ფარდაგები აფენია, პატარა სოკო-შადრევანიდან წყაროს წყალი მოჩუბეჩუბებს.

ოთახებში მაგიდების, სკამების და სათამაშოებით სავსე ყუთების

გარდა, ხეებიც დგას. ამ ხეებზე საქანელები და ჰამაკები კიდია.

ხეებს ფულუროები აქვს.

ერთ ფულუროები სამზარეულოა, მეორები პიანინო დგას, მესამეში პირსაბანი და ღამის ქოთნები...

მოკლედ, ლამაზი ბალია და ისე მომზონს იქაურობა, ამას ნინათ ბალის დირექტორს შევეხვეწე:

მეც მმიღეთ თქვენს ბალში, რა. გეფიცებით, კარაჭიან პურსაც შევჭამ, ფაფასაც და ნენიანსაც სიამოვნებით შევხრიპავ.

ბალის დირექტორმა სათვალე გაიკეთა, ამხედა, დამხედა და მეაცრად მკითხა: — შენ პატარა ხარ?..“ პო, შენ არ ხარ პატარა, ამიტომაც შეძელი ამხელა რემონტის მორევა მარტო ქალმა. სტრიქონებს შორის კი აუცილებლად გვეპარება ჩვენი სურვილები. არ გეტყვი, ფულუროებიან

სახლზე ოცნებობდი-მეთქი, მაგრამ ალბათ რაღაც განსაკუთრებული კი გინდოდა.

— არა, მარტოს არაფერი გამიკეთებია. რემონტის დამოუკიდებლად მორევა იმსასაც ნიშავს, რომ ეს ფინანსურად თავად შეძლო, მე კი ეს სახლი მეუბლემ, მხატვარმა ნუკრი ფირცხალავამ დამიტოვა, ხოლო რემონტი, მამაჩემის, ვასიკო ცუცქირიძის ნაანდერძალი სახლი გავიყდე და იმ თანხით გავაკეთე. ისე გამოვიდა, რომ ბინა, რომელშიც მე და ღიზიკო ვცხოვრობთ, ჩემისაყვარელი მამაკაცების დამსახურებით აშენდა და დამშვენდა კიდეც. რა თქმა უნდა, ფულუროებიან სახლზე არ ვოცნებობდი, სივრცე, ლამაზი გარემო, კომფორტი კინამდვილად მსურდა. ჩემი ყველაზე დიდი სურვილი კი მეუბლის ნახატების დაბინავება გახლდათ. მისი გარდაცვალებიდან უკვე 3 წელი გავიდა. ის საოცრად ხელგაშლილი ადამიანი იყო, ამიტომ ბევრი მისი ნამუშევარი მის ერთადერთ ქალიშვილს აღარ დარჩა. მე კი ვერასდროს მოვახერხე, რომ ის სურათები, რომლებიც გაჩუქებას გადაურჩა, კარგად დამებინავებინა და გამომეფინა. მოკლედ, რემონტს ფიზიკურად მართლაც მარტო ვაკეთებდი, მაგრამ მყავდა უამრავი მრჩეველი, დამხმარე, ჩემი დისა და დედის სახით, რომლებიც ლიზიკო უვლიდნენ მთელი ხუთი თვის მანძილზე, სანამ რემონტი დასრულდებოდა.

— ხელოსნებთან, სამშენებლო მასალების მაღაზიებში, ელიავას ბაზრობაზე — ყველგან, სადაც კი ქვიშა, ცემენტი, ჭანჭიკი თუ კერამიკული ფილა იყიდება, მარტომ იარე?

— ეგ ყველაზე რთული სახმე იყო, მაგრამ ახლა მელიმება: მე ხომ ძალიან ბევრი ახალი ნაცნობი შევიძინე იმ სფეროდან, რომელთანაც არასდროს მქონია საერთო ინტერესი. გავიცანი და ურთიერთობა მქონდა სამშენებლო მაღაზიების მეპატრონებთან, გამყიდველებთან, მძღოლებთან, მუშებთან, რომლებსაც საკმაოდ მძიმე მასალები ამოქენობდათ აქ.

— ახალაშენებულ სახლში — ამის თქმა არ უნდა დაგვავინუდეს. მითხარი, სახლი თეთრი კარკასი იყო?

— არა, შავი. უფრო სწორად, რაღაც კიდევ იმაზე უარესი. ამ ბინაში, სადაც ახლა ყველაფერი უმტვრეროდ და უღრუბლოდაა, ფაქტობრივად, მხოლოდ ერთი დიდი შავი რკინის კარი იყო და კედლები, რომელიც თავდაპირველი პროექტით გაკეთდა, მაგრამ ჩემთვის უფრო მისალები პროექტიც მქონდა, ამიტომაც ხე-



ყველაზე დიდი სურვილი კი მეუბლის ნახატების დაბინავება გახლდათ

ლოსნებმა და მუშებმა ყველაფერი ჯერ მინასთან გაასწორეს და მერე ჩემი ახალი პროექტის მიხედვით თავიდან ააშენეს.

— ორი ქალის საცხოვრებელი ბინა — შენი და ლიზიკოსი. მითხარი, შეიცვლებოდა რამე ინტერიერში, ამ სახლის ბინადარი მამაკაციც რომ ყოფილიყო?

— ერთადერთი, რაზეც ეჭვი მაქვსა, რომ გასაპროტესტებელი გახდებოდა მამაკაცის მხრიდან, ჩემი ფორთოხლისფერი სააბაზანო გახლავთ. ფორთოხლისფერი, თოვლივით თეთრი ყვავილებით მოხატული კედლები. ამ ფერების, ჩემს ნარმოდგენაში ნაოცნებარი მასალის საპოვნელად ბევრი დრო და ენერგია დავხარჯეს სხვაგან კი ყველაფერი მშვიდია და მინიმალისტური... მერეჭვება, ჩემს მეუღლეს რაიმე გაეპროტესტებინა. აი, მასა კი სრული თავისუფლება ჰქონდა ჩემთვის მონიჭებული. სრულიად ახალგაზრდა, თანაც გაუთხოვარი გახლდით, როდესაც სახლი მიყიდა და მარტი ცხოვრების უფლებაც მომცა. მაშინ ეს ძალიან უცნაურად მოჩანდა, თანაც ეს ოჯახში განხეთქილების კი არა, დიდი სიყვარულის „სახელით“ მოხდა. მე კი იმ ჩემს პირველ სახლს ათასგვარი რამერუმეთი ვალამაზებდი. ხელსაქმე მიყვარს, ეს კარგად იციან ჩემმა მეგობრებმა, ჰოდა, ჩემისაუთარი დიზაინით უამრავ აქსესუარს ვემნიდი, ვაგვირისტებდი, ვაფერადებდი ჩემს გარემოს... თუმცა... ნეტაცა, მყავდნენ ისინი და ამ სააბაზანოს ფერსაც სიხარულით შევცვლიდი...

— ლელა, შენ წერ, თარგმნი, წიგნების რედაქტორებას აკეთებ, ხატავ. გარდა ამისა, შენი ხელები უამრავ ლამაზ ნივთს ქმნის. რემონტის დროს გაითვალისწინე ეს შენი გატაცებები, საქმიანობის სფერო?

— რა თქმა უნდა, ეს ყველაფერი გავითვალისწინე. ოთახი, სადაც ახლა ვმუშაობ, ვწერ, ხელსაქმით ვარ გართული, ვხატავ, წიგნების თავშესაფარიცაა, პროექტით სამზარეულოსთვის იყო გათვალისწინებული. ამისთვის მისაღები ითახი შევავიწროვე, აქ კი სამუშაო კაბინეტი მოვაწყვე. მაქსიმალურად ვცდილობ, მხოლოდ აქ ვისაქმიანო. როდესაც სამუშაო ითახი არ გაქვს და მთელ სახლში გაქვს მიმობნეული ფურცლები, საღებავები, მაკატები და მოვარეობა სამუშაოსთვის იყო გათვალისწინებული. ადამიანმა უნდა იშრომო და უნდა დაისვენო

კიდეც. შეუძლებელია, მხოლოდ იმუშაოან მხოლოდ დაისვენო. ეს გაყოფა განწყობასაც ქმნის. აი, შევედა ჩემს სამუშაო ოთახში, ჩემი საყვარელი წიგნების გარემოცვაში და მზად ვარ, პროდუქტიული ვიყო. საძინებელში კი ემოციებისგან დაფერთხილი შევდივარ და ვიძინებ. სამზარეულოში მხოლოდ საკვებზე ვფიქრობ და გემრიელ რაღაცებს ვქმნი... ჰო, ყველაფერს თავისი ადგილი აქვს.

— ამ ოთახში გაქვს წიგნებიც, მაგრამ ეს ძალიან დიდი ბიბლიოთეკა არ არის.

— გახსოვს თაობების ოცნება — დიდი და ფართო ბიბლიოთეკა, სადაც წიგნები ერთ რიგად იქნება ჩამწკრივებული? მაგრამ, სამწუხაროდ, ბავშვები ძველ წიგნებს არ კითხულობენ; ახალი, პრიალა, საღებავის სუნით გაჟღენთილი წიგნები ურჩევნიათ. ამიტომ ჩემს ბიბლიოთეკამი მხოლოდ ის წიგნები დარჩა, რომელთა გარეშეც არსებობა არ შემიძლია. წიგნები, რომლებიც ჩემი გაგრძელებაა ან — დასაწყისი. მოკლედ, რასაც ვერ შეველიე, ყველაფერი აქ მაქვს, რასაც შეველიე, ბიბლიოთეკებს დავურიგე. ოლონდ, ჩემი ბიბლიოთეკა მაინც საოცარი ტემპით იზრდება. XXI საუკუნის დასაწყისის საქართველოში უამრავი ახალი, კარგი წიგნი გამოდის. ახალი ქართული ლიტერატურაც იწერება და უცხოურიც ითარგმნება... სიახლით სუნთქვა კი, როდესაც ტრადიცია გიმაგრებს ზურგს, დიდი ბედნიერებაა. ჰოდა, აი, ჩემი წიგნები, რომლებიც გამუდმებით ჩემთან „არიან“.

— შენი ბინის რემონტი 5 თვეს გაგრძელდა. გაუძელი მტვერსა და ბულს, პროფესიონალურად შეისწავლე სამშენებლო მასალები, შენი დიზაინით დაამზადებინე ავეჯიც, საკუთარი ნაკეთობებით გააფორმე კედლები სამზარეულოს კუთხის წინ; ამავე დროს, ლიტერატურულ კონკურსში გაიმარჯვე — ძალიან ლამაზი ლექსით... მინდა, ისიც წავუკითხო ჩვენს მკითხველს და თან, ერთ კითხვაზეც მიპასუხო: რა იყო ეს ლექსი — შენი დაღლა თუ — მადლიერება?

— დანაშაულის შეგრძნება. ყოველთვის იმაზე მეტს ვავალდებულები დედებს, ვიდრე შეუძლიათ... და, რა თქმა უნდა, მადლიერება.

— ისეთი სურათი დაიხატა ჩვენი საუბრიდან, რომ მკითხველი შესაძლოა, შეცდომაში შევიყვანოთ და ვაფიქრებინოთ, რომ დღეს ქართული მწერლობა სიმდიდრისა და ფუფუნების მორევში ნეტარებს. შეგიძლია მითხრა, სად მუშაობ და რითი ცხოვ-



მარტოს არაფერი გამიგეთებია

რობ? არ მავინდება შენი სტატუსიც

— მარტოხელა დედა.

— ამჟამად მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის ბიბლიოთეკაში ვმუშაობ, სადაც ჩემი ხელფასი საარსებო მინიმუმზე ნაკლებია. ხანდახან სხვადასხვა პროექტსაც



ჩემს პირველ სახლს ათასგვარი რამერუმეთი ვალამაზებდი

ვაკეთებ. სამწუხაროდ, ეს სტაბილურად არ ხდება.

— მაპატიე, რომ ეს გეითხე, თან, სულაც არ მინდოდა, მკითხველი ცუდ ხასიათზე დამეყენებინა, მაგრამ რეალობა ასეთია: XXI საუკუნის ქართული მწერლობა ისტორიაში ლარიბ-ლატაციას სახელით შევა. რას მეტყვი?

— რა უნდა ვთქვა? გავიღიმოთ და გადასარევია-თქო ვიძახოთ...

— ბოლოს, თემას რომ არ გავცდეთ, ისევ რემონტს მივუბრუნდეთ: „სარემონტო“ რჩევები ლელა ცუცქირიძისაგან.

— „რჩევები“ ძალიან ხმაურიანად ჟღერს, ერთი კი შემიძლია ვთქვა — რემონტი მოთმინებით აღჭურვილმა უნდა გააკეთოთ და თან გახსოვდეთ:



ის წიგნები დარჩა, რომელთა გარეშეც არსებობა არ შემიძლია

ყველაფერი, რაც კარგია, ძვირია. ან პირიქით — ძვირია ყველაფერი კარგი...

ლელას რემონტის დროს დაწერილი და ლიტერატურულ კონკურსში — „ლექსების გამოფენა“ გამარჯვებული ლექსი:

#### კექსი

გუშინ დედაჩემის წერილი მივიღე. ყველაზე მნერდა: მამაჩემზე, ჩემს დაზე, ჩემზე...

თავისი თავი კი წერილშიც არ გახსენებია.

#### შვილი

შევჭამეთ დედა. თავდაპირველად დავანაწევრეთ და დავიტაცეთ.

ენის წვერით, როგორც ნემსით, ამოვურდვიეთ შაქრის პუდრის (გი-პიურის)

თეთრი საყელო.

ტკბილ ქიშმიშად ქცეული გული ამოვუჩიჩქნეთ.

დავუშალეთ შოკოლადის მინანქრის პლისეს.

ნუშის თვალები გაუმაძლარი ჩიტებივით ამოვუკენეთ.

არც ფორთოხლის ცუკატები — ქარვის მძივები დაგვინიშებია

არც ლიმონის წვრილად დაჭრილი ქერქი — ფერმინავლული ოქროს ბეჭედი...

სულ ეკეთა, მოუშორებლად.

ჩვენც ხომ გვინდოდა ეს ბეჭედი, ეს ცუკატები?!

ჩვენც ხომ გვინდოდა?! ხომ გვჭირდებოდა გამოხედვა — კვალად ჩარგული, მარციპანის ვარდის ბუჩქები

გზებზე — სახლიდან სკოლისაკენ, სამსახურისკენ?!

ძირფესვიანად ვთხრიდით და ვგლეჯდით

მე საჩემოდ, ოჯახის წევრები — სათავისოდ...

ვჭამდით და ვჭამდით, ერთმანეთს ლუკმას ვაყვედრი-დით:

შენ უფრო მეტი,

მე უფრო ცოტა!

მე უფრო ცოტა,

შენ უფრო მეტი!

ვის შეხვდება უკეთესი,

ვის ჩაუდნება,

ან ვის გაჰყება

ვანილის თეთრი პუდრივით მისი სურნელი

ყველაგან, ყოველთვის, ყველაზე დიდხან...

ვერ გავიყავით!

ჩვენი შვილებიც შევუსიერ,

გამგელებულნი ვჭამდით და ვჭამ-დით!

...ის კი, ისეთი გემრიელი, ისეთი ტკბილი,

როგორც სადლეობო კექსი,

წელიწადში ერთხელ რომ ცხვება და ამიტომ არასდროს გყიფნის.

და ისეთი ფაფუკი, რომ ყელზე არასდროს დაგადგება.

მხოლოდ ერთხელ ჩაგვიქავდა მოულოდნელად სასულები მისი ნამ-ცეცი

ბოლო, ყველაზე ჰაეროვანი ამო-სუნთქვა.

შევჭამეთ ჩვენი ლამაზი დედა, მოვკალით.

და საზრდელის წინა ლოცვის ნაცვლად

საზრდელის ბოლოს, შელოცვას ვამბობთ:

მიწას ვზელთ და მიწას ვჩიჩქინთ, მიწას ვზელთ და მიწას ვჩიჩქინთ. მიწა მწარე დიუნები,

კარდამონის დარიჩინის.

სული სული სურნელება,

გამჭვირვალე მოსარკლული,

დნება, წვეთავს ხეში დგება.

ჩვენ გვსურს დედა შენი სული,

გვცივა, დედა, დეე-ნანა!

დედა, დედა, დეე-ნანა, ამოდი!

დედა, დედა, დეე-ნანა, გამოცხვი!

კიდევ ერთხელ, დედა!

კიდევ ერთხელ...

კიდევ...

## ქართულ სიტყვათა კონკი

შედგენილია არნოლდ ჩიქობავას რედაქტორობით

1982 წლის გამოცემული

ერთობლივ ენის

განვითარებითი დეპარტამენტის

ერთობლივ მიხედვით

შეაღეთებული თემაზე ივანიძე



დასაწყისი იხ. „გზა“,

№2-52, 2010; №1-52, 2011; №1-50, 2012;

№1-52, 2013; №1-21, 2014

ქანდა (ძვ.) — ოქროს ვარაყი.

ქანდაქარი (სპ.) — იგივეა, რაც მოქანდავე.

ქანობი — დაღმართი.

ქანობი — ქანის ნაშალი.

ქანქანა (სპ.; ძვ.) — ხვრელი, გვირაბი.

ქანჩი (თურქ.) — ხრახნიანი ღრუს მქონე მსხვილწახნაგვანი ღრიონის ნაჭერი ჭანჭიკის მოსაჭერად.

ქანჩახი — ბუჩქებით ან ტყით დაფარული კლდიანი, ძნელად სავალი ადგილი.

ქარაგმა — ძველ ხელნანერებში, ნარჩერებში — შემოკლებული სიტყვის თავზე დასმული ნიშანი.

ქარაგოზი — ფოთლოვანი მღიერი; ქვის ხავსი.

ქარაოცი (საუბ.) — პირი, რომელიც უბრალო რამეს გაიოცებს; აჩერაებული ადამიანი.

ქარასხა — ფშავში — სტვირის მთავარი ნაწილი რქისა.

ქარაფი — დიდი, ფრიალო კლდე.

ქარაჭუცა — იგივეა, რაც ქარაფ-შუტა.

ქარაქნი — დაბალი ბალახეული მცენარე ტურინსანთა თავახისა.

ქარგა (სპ.) — 1. მოწყობილობა მოსაქარგვი ქსოვილის გადასაჭიმავად; 2. გადატ. (წიგნ). — ჩინჩხი, ამბავი (მხატვრული ნაწარმოებისა).

ქარგალი (სპ.; ისტ.) — ხელისანი, რომელმაც შეგირდება დაამთავრა, მაგრამ ჯერ ისტატად არ იყო დალოცვილი და დაქირავებულ შრომას ეწეოდა.

ქარგოლი (სპ.; ისტ.) — ფიცრებით გაკეთებული რკალი, რომლის მიხედვითაც კეთდება ქვის (ან ბეტონის) თაღი.

ქარგასლა — 1. (სპ.; ძვ.) ქარავნის, ვაჭრების გასაჩირებელი, დამის გასათევთი ადგილი, — ფუნდუკი; 2. სავაჭრო სახლი, სადაც გამართული იყო საქონლის საწყობები და მაღაზიები.

ქართა (აუთ.). — იგივეა, რაც ბაკი (საქონლის დასამწყვდოვევი ადგილი).

# თბილისში ისტორიული მნიშვნელობის ლინის ქარხანა განახლდება

**„ქარხნის შენობა და 30 სარაპიშვილის დაფინანსებით აიგო“**

ახლახან თბილისს ახალი კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრი, „ლეინის ქარხანა № 1“ შეემატა. ახალმა მფლობელებმა წლების მანძილზე უფრო ციონიდ დარჩენილი ისტორიული სივრცე გააცოცხლეს და მისი კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრად გადაქცევა განიზრახეს. ყოფილი ღვინის ქარხანა № 1 თბილისის ცენტრში, ვერაზე მდებარეობს. შენობა 1896 წელს, დავით სარაჯიშვილის დაფინანსებით თბილისელი არქიტექტორის, ალექსანდრე ოზეროვის პროექტით აიგო. ნაგებობა კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსით სარგებლობს.

## შორის ლაბაში

**არჩილ ივარდავა, ქარხანა № 1-ის გენერალური დირექტორი:**

ლეინის კომპანიები და მხატვრები მონანილეობდნენ. ღონისძიების ფარგლებში ქართული საგანმურის სამგანზომილებიანი ფოტოგამო-



ეს იქნება ვინოპოლისი, ღვინის ქალაქი

— ქარხანა წლების მანძილზე დაკეტილი იყო. ბოლოს, კომუნისტების დროს უფრო ციონისტურებდა. ამჟამად აქ ღვინის ჩამოსხმისთვის საჭირო მანქანა-დანადგარები არ არის. მინის ქვეშ ორ სართულზე სარდაფი, ე.წ. „საძველე“ გახლავთ, სადაც ღვინოს აძველებდნენ. თითოეული საძველის ფართობი 2 600 კვმ-ია. აქ ორ საუკუნეზე მეტი დაძველების 40 ათასი საკოლექციო ბოლო ინახება. შემონახულია სასმელები ნაპოლეონ ბონაპარტისა და სხვა ცნობილი მოლვანების პირადი კოლექციებიდან. ამჟამად ღვინის ტერასა, სანაყინე და ფრანგული ღვინის ბარი გავაქვს. ვგეგმავთ ქართული ვაზისა და ღვინის მუზეუმის გაკეთებას. ეს იქნება ვინოპოლისი, ღვინის ქალაქი, სადაც საუკეთესი ქართული კომპანიები საკუთარ პროდუქციას წარმოადგენენ. კაფეებისა და რესტორნების გარდა, ამ ტერიტორიაზე სასტუმროსა და ღვინის ბიბლიოთეკის განთავსება-საც ვგეგმავთ. სივრცეს გამოვყოფთ ასევე, კინოთეატრისა და თეატრალური დადგმებისთვის. მოეწყობა თემატური სემინარები, გამოფენები. პირველი გამოფენა ერთი თვის ნინ ჩატარდა, რომელიც ბრინჯაოსგან იყო დამზადებული.

ფენა, ღვინისა და ქართული ყველის დეგუსტაცია მოეწყო. გამოიფინა თანამედროვე ქართული კერამიკის ნიმუშები, ორიგინალური ღვინის ჭურჭელი. სტუმრებმა ქარხნის რესტავრირებული შენობა-ნაგებობები და ტერიტორია დაათვალიერეს. ჩვენი მიზანი ქალაქთან ამ დახურული სივრცის ინტეგრაცია და მისი კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრად გადაქცევა გახლავთ.

თბილისის ღვინის ქარხანა № 1-ის ენოთეკა XIX საუკუნის 80-იან წლებში

შეიქმნა. აქ თავმოყრილია 135 ათასი ბოლო, 1700 დასახელების სუფრის, მაგარი და სადესერტო ღვინოები, არაყი, ლიქიორი, შამპანური და კონიაკი. აქვეა 1790 წელს ჩამოსხმული პოლონური ლიქიორი, 1806 წლის უნგრული ღვინო, 1811 წელს ჩამოსხმული ნაპოლეონის სარდაფის კონიაკი, ძველი აფრიკული ღვინოები — 1747 წლის და არაყი — 1717 წლის. გარდა ამისა, 320 უცხოური დასახელების ღვინო: „შატო-ლაფიტი“ (1775), „შატო-ლატური“ (1878, 1905, 1907), „შატო-იკემი“ (1851) და სხვ.

მეცნიერთა აზრით, სიტყვა „ღვინო“ ქართული ნარმოშობისაა და მევენახეობა-მელვინეობის ქართული წარმართული ღვთაების სახელი, ბადაგნონსა და თამადას უკავშირდება. მსოფლიოში ცნობილი ყურძნის ჯიშებიდან 590 ენდემურად ქართულია, რაც მსოფლიო მევენახეობის თითქმის მეოთხედს შეადგენს.

საქართველო მევენახეობის ერთ-ერთი უძველესი კერაა. აქ ვაზის გაშენება-მოვლის წესები ძვ.წ. 3 200-3 300 წლის წინ იყო ცნობილი. ადგილობრივი მევენახეობის სიძველეს არქეოლოგიური და ეთნოგრაფიული მასალები, წერილობითი წყაროები და მდიდარი ხალხური ტერმინოლოგია მონმობს. არქეოლოგიური მასალის მიხედვით, მეორე ათასწლეულის ბოლოს მევენახეობა საქართველოში უკვე საქმაოდ დაწინაურებული იყო. ამას კახეთში აღმოჩენილი ვაზის ნამგლისებური სასხლავი მონმობს, რომელიც ბრინჯაოსგან იყო დამზადებული.



აქვეა 1790 წელს ჩამოსხმული პოლონური ლიქიორი

# ეპროტულის გამარჯვების რწმენა ათენის ოლიმპიადაში დაუბრუნა

ზუსტად ათი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც ათენის ოლიმპიურ თამაშებზე მედლების პირველი კომპლექტები გათამაშდა და დამოუკიდებელი საქართველოს სპორტსმენებმა ათვლის ახალი ერა დაიწყეს. ეს თამაშები ჩვენი ქვეყნის ათლეტებისთვის თავისუფლების მოპოვების შემდეგ, მესამე იყო, თუმცა 1992 წლის ბარსელონის ოლიმპიადიდან მოყოლებული, მთელი 12 წელი ისე მიიღო, ქართველი სპორტსმენები ოქრო-ვერცხლს ვერ შესწევდნენ და მხოლოდ ბრინჯაოს მედლებს სჯერდებოდნენ. გახსოვთ ალბათ, იმ პერიოდში ქართველი უურნალისტები ხუმრობდნენ — „ბრინჯაოს ხანაში“ დავბრუნდითო. მართლაც ასე იყო. გასული და ამჟამინდელი საუკუნის მიჯნაზე, არა მხოლოდ სპორტსმენები, არამედ მთელი საქართველო იყო, „ბრინჯაოს ხანაში“. ათენში კი, როგორც იქნა, ნავსი გატყდა. შეჯიბრებების პირველივე დღეს, 2004 წლის 14 აგვისტოს, ვერცხლის მედალი ძიუდოსტმა ნესტორ ხერგიანმა მოიპოვა, შემდეგ კი ზურაბ ზვიადაურისა და გიორგი ასანიძის ტრიუმფის ჯერიც დადგა.

## მოგი ფრანგიშვილი

XXVIII თამაშებში 202 ქვეყნის 11 ათასზე მეტმა ათლეტმა მიიღო მონაწილეობა. მათ შორის 33 — საქართველოდან იყო. ქართველთა დელეგაციაში არაერთი სახელმოვანი თუ ტიტულოვანი სპორტსმენი გამოიდიოდა, თუმცა საზემო გახსნის ცერემონიაზე ახალი ქართული ხუთჯვრიანი დროშა ზურაბ ზვიადაურს მოჰკონდა, მაგრამ პირველად სწორედ ზვიადაურის გამარჯვების აღსანიშნავად გაიბრნებინა ჩვენმა დროშამ და ასევე ახალმა ეროვნულმა პიმნმა. ულამაზეს გახსნის ცერემონიაზე ოლიმპიური ჩირალდნით ხელში კახი კახიაშვილმაც ირჩინა. ამით ბერძნებმა მისდამი დიდი პატივისცემა გამოხატეს.

გახსნის ცერემონია გვიანობამდე გაგრძელდა, დილით ადრე კი ძიუდოისტთა ტურნირი იწყებოდა. ამიტომაც ზემოში მონაწილეობა არ მიუღია ნესტორ ხერგიანს. ქართველთაგან

ის პირველი გამოიდიოდა ტატამზე. ჯერ კიდევ თბილისში ნესტორს დასიზმრებია, რომ უშპაზე ადიოდა და მწვერვალზე მხოლოდ ერთმა კაცმა აასწრო. უფიქრია, — ოლიმპიურ თამაშებზე აუცილებლად მედალს ავიღებო.

ათენის ოლიმპიადისთვის ნესტორი დიდანს ემზადებოდა და იმედიანადაც იყო. არ ნერვიულობდა, მხოლოდ ჭიდაობაზე ფიქრობდა. ჩვენი ვეტერანი ქართველი ძიუდოსტაგან ყველაზე გამოცდილი იყო. სწორედ გამოცდილებითა და უინით დაამარცხა ყველა მეტოქე და ფინალში ორგზის ოლიმპიურ ჩემპიონს, იაპონელ ტადაპირო ნომურას შეხვდა. გამარჯვების შემთხვევაში ნომურა მსოფლიოში პირველი სამგზის ოლიმპიური ჩემპიონი ხდებოდა ძიუდოში. არ არის გასაკეირი, რომ მსაჯებიც ადამიინურად თანაუგრძნიბლენ მას. გულშემატკივრებს ალბათ კარგად ახსოვთ ეს შეხვედრა. ნომურას მთელი ორთაბრძოლის განმავლო-

ბაში ნესტორი ხელით უქირა დისტანციაზე, ახლოს არ მიუშვა. ფინალი ისე მიიღო, ვერც ერთმა მეტოქემ ფანდი ვერ გააკეთა, მსაჯებმა კი გამარჯვება მას შიაკუთხნეს. თავად ხერგიანი ათენის ფინალს ასე იხსენებს:

— ნომურამ ტაქტიკურად მოიგო. მეორე მხრიდან ამიღო ჩავლება და ახლოს არ მიმიშვა. ერთი ილეთიც არ გაუკეთებია. არც თვითონ მოვიდა ახლოს. პრაქტიკულად, გამარტინა. რაღაც გდებაზე რომ ნამოსულიყო, აუცილებლად დავიჭრდი ფეხში. რა თქმაუნდა, დასანანია, მაგრამ ალბათ იმან უფრო დაიმსახურა ოლიმპიური ჩემპიონობა. გამარჯვება ძალიან მინდონდა, რომ ჩვენი პიმზი მომესმინა, მაგრამ რას იზამ?! ისიც კარგია, რომ ათენში პირველი მედალი მე მოვიპოვე და კვარცხლბეჭევე ვიდეოქ.

ნესტორ ხერგიანის შემდეგ ქართველი გულშემატკივრები კიდევ რამდენიმე დღე ამაოდ დადიოდზე „ანოლიოსის“ ძიუდოს დარბაზში, ვიდრე ზურაბ ზვიადაური გამოვიდოდა ტატამზე. თუმცა მანამდე ერთი-ორი დღით ადრე, 17 აგვისტოს ბერძნების გამარჯვებას ჩვენებურებიც ზეიმობდნენ. მასპინძლები „ძირძველი“ ელინელის, ილიას ილიადისის ჩემპიონობას ხარიბდნენ, ქართველები კი ზურაბ ზვიადაურის ალალი ბიძაშვილის — ჯარჯი ზვიადაურისას. ჯარჯიამეტაში დაბადებული, ქართული ჭიდაობის ილეთებზე გაზრდილი, თბილისში, გურამ მოდებაძესთან დასტატებული ახმეტელი ბიჭია. ასევე „ქართველმა ბერძნება“, ნიკოლაოს ილიადის ილეთებულ და შვილადა როცა საბერძნეთის ნაკრების მწვრთნელი გახდა, ბიჭი ათენში ნაიყვანა. ასე გახდა ჯარჯი ზვიადაური ილიას ილიადისი. და ძიუდოს ისტორიაში ყველაზე ახალგაზრდამ — 18 წლისამ მოიპოვა ოლიმპიური ჩემპიონის ტიტული. კახი კახიაშვილის შემდეგ ის მეორე ქართველია, ვინც ბერძნებისთვის ოლიმპიური იქრო მოიპოვა.

მოვლენებს ცოტათი წინ გავუსწრებ და აქვე ვიტყვი, რომ ათენში სხვადასხვა ქვეყნის დროშით 20-ზე მეტი ქართველი ლეგიონერი გამოდიოდა, რომლებმაც 3 ოქროს, 1 ვერცხლისა და 2-იც ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს. ოლიმპიადის მონაწილე 202 ქვეყნას შორის ეს 26-ე შედეგია,



ათენის ოლიმპიადისთვის ნესტორი დიდანს ემზადებოდა და იმედიანადაც იყო. არ ნერვიულობდა, მხოლოდ ჭიდაობაზე ფიქრობდა

საქართველოს დელეგაციამ კი, 2 ოქროსა და 2 ვერცხლის მედლით, 32-ე ადგილი დაიკავა. რა თქმა უნდა, ეს ათლეტები დალხინებული ცხოვრების გამო არ გადახვეწილან სამშობლოდან. მათ მსგავსად, ხელმოკლე ოჯახიდან იყო ზურაბ ზვიადაურიც. ახმეტიდან თბილისში რომ ჩამოვიდა, ძიუდოს დარბაზში, საერთო საცხოვრებელში ცხოვრობდა და ხშირად, პურის ფული არ ჰქონდა. ეს რომ ნაკრების უფროსმა მწვრთნელმა, შოთა ხაბარელმა გაიკო, თავის რესტორანში სამჯერადი კვება დაუწიმნა. ათენის ოლიმპიადისთვის ზვიადაური უკვე მსოფლიოს ორგზის ვიცე-ჩემპიონი და საქართველოს ნაკრების ყველაზე ნიჭიერი ძიუდოისტი იყო. ხაბარელ-საც მისი დიდი იმედი ჰქონდა.

მაგრამ თამაშების დაწყებამდე რამდენიმე თვით ადრე ჩსუბში მოჰყვა და ფეხში დაჭრეს. ბევრი დრო გაუცდა. ხეირიანად მხოლოდ ბოლო თვე ივარჯიშა. შოთა ხაბარელს და თავადაც მაინც გამარჯვების სკეროდათ. ჯარჯი რომ ლომიპიური ჩემპიონი გახდა, გახარებულმა ზურაბ წამოიძახა: ხვალ მეც უნდა გავხდე ჩემპიონი!

ათენის „ანოლიოსის“ ძიუდოს დარბაზში ზურაბ ზვიადაური 18 აგვისტოს გამოვიდა და პირველი მეტოქე იტალიელი ფრანჩესკო ლეპრე — იმ ნლის ევროპის ჩემპიონი

— 46-ე წამზე წამოიღო კისრულით და იპონით გაიმარჯვა: მეორე წრეში — რუს სასანში ტაოვთან ისევ იპონით, ოღონდ მოგვერდით, და ისევ 46-ე წამზე, ოღონდ ამჯერად — ორთაბრძოლის დამთავრებამდე. მესამე წრეში უკვე ძალიან ძლიერი მოწინააღმდეგე ჰყავდა — ფრანგი ფრედრიკ დემონფონი, ვისთანაც მიუნხენის მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალი ჰქონდა ნაგებული. ასე რომ, ეს შეხვედრაც პრაქტიკულად, ფინალური იყო, ამიტომაც ფრთხილობდა. თანაც მსაჯათ კომიტეტის ხელმძღვანელიც ფრანგი იყო. მეორე წუთის ბოლოს ქართველი გააფრთხილეს კიდეც. ახლა უკვე სიტუაცია შეიცვალა, ზვიადაური გააფთრებით უტევდა, ფრანგი თავს იცავდა, პასიურობდა. მაგრამ მსაჯები ვერ ბედავდნენ მის გაფრთხილებას. ბოლოს ინამუსეს, ორთაბრძოლის დამთავრებამდა 4 წამით ადრე ისიც გააფრთხილეს, დამატებით დროში კი ზურაბმა იუკოთი გაიმარჯვა.

გამარჯვებით კი გაიმარჯვა, მაგრამ ნაჭრილობევ ფეხში რუსმა და ფრანგმა იმდენი ურთყეს, გაუსივდა, რუმბივით გაუხდა და ველარ დადიოდა. ნახევარფინალში ინგლისელ ვინსტონ გორდონს შეხვდა, ფიზიკურად ძალიან ძლიერს, მაგრამ ზვიადაურის შეტევებს ვერც მან გაუძლო. ერთავად უკან იხევდა, პასიურობდა

და მეოთხე გაფრთხილების შემდეგ მსაჯებმა მოხსნეს კიდეც. ზურაბი ფინალში გავიდა, სადაც იაპონელ ხიროში იზუმის შეხვდა.



ზურაბ ზვიადაური დამოუკიდებელი საქართველოს პირველი ოლიმპიური ჩემპიონი გახდა!

ვერ გეტყვით, რომ იზუმი ტიტულებით ზურაბს სჯობნიდა, მაგრამ იაპონელები ყველა ტურნირზე ფავორიტები არიან. ფინალის ნახევარი ისე მილია, მნიშვნელოვანი არაფერი მომხდარა, მაგრამ ზვიადაურის უპირატესობა გამოიკვეთა. იზუმი პასი-

**საოცარი შესაძლებლობა მათთვის,  
ვისაც უყვარს და აინტერესებს სხვოვები!**

**ANIMAL PLANET-ის სხვოველთა  
ილუსტრირებული ენციკლოპედია**

სხვოველთა მიმრაპირი, ველური სამყარო,  
ზოოლოგიური ათლასი

კვირაში ერთხედ ყოველ ოთხშაბათს დიდ წიგნის თოთო ნაწილი!  
წიგნი-ენციკლოპედიის აკინძვას შეძლება სპეციალურად შექმნილ ბანინფრში, რისელიც პირველ ნაწილს მოჰყვება საჩუქრად.

შეაგროვეთ დიდი ზოოათლასის ყველა ნაწილი (რომელიც პრესის გამარცელებლებთან იყოდება) და ექვს თვეში თქვენ გექნებათ სრულფასოვანი, 368-გვერდიანი წიგნი ცხოველებზე, რისლებაც, თუ სურვილი გვექნებათ, სხვა, თქვენთვის საინტერესო ილუსტრაციებსა და ინფორმაციასაც დაუზიატებთ. სპეციალური ყდა ამის საშუალებასაც მოგცემთ.

**თითოეული ნაწილი (16 გვერდი)  
2 ლარი ელიტური.**

13-დან  
20 აგვისტომედე  
ნაწილი გერვი

**შეამანი დიდი წიგნი საკუთარი ხელით!**



21 წლის ათლეტისთვის  
ოლიმპიური ვერცხლიდ არ იყო  
ურიგო შედეგი

ურობდა და მსაჯებმა გააფრთხილეს კიდეც. იძულებული იყო, შეტევაზე გადასულიყო. ილეთიც წამოინყო. ამ მომენტს დადარაჯებულმა ზვიადაურმა კი კონტრილეთით ტატამზე დაანარცა. იპონი! ზურაბ ზვიადაური დამოუკიდებელი საქართველოს პირველი ოლიმპიური ჩემპიონი გახდა! მოვინანებით ჩენი ჩემპიონი იტყვის:

— იაპონელთან შეხვედრაში ყველაზე ნაკლებად ვინერვიულე. დარწმუნებული ვიყავი, რომ მოვუგებდი, თანაც — გდებით. მას ისეთი სტილი აქვს, მოდის ჭიდაობაზე; რომელ ილეთსაც აკეთებს, მე იმის კონტრილეთს ვაკეთებ. ამიტომ სუფთა მოვებაზე ვფიქრობდი. როცა გაფრთხილება მიიღო, უფრო წამოვიდა ჭიდაობაზე. შემომიტია და ზუსტად



ათენში ჩემი ცხოვრების ოცნება  
ავისრულე და ოლიმპიური  
ჩემპიონი გაგხდი

ის გააკეთა, რასაც ველოდი. ფინალი რომ დამთავრდა, ისეთი შეგრძნება მქონდა, თითქოს ჩვეულებრივ შეჯიბრებაზე ვიყავი, მაგრამ ქართული დროშა რომ აღიმართა და ჩენი პიმინ დაუკრეს, ეს ენით აუზრელი სისარული იყო. კი არ ვიდეტი კვარცხლბეჭე, უბრალიდ, რამდენიმე სანტიმეტრით მაღლა ვიყავი ანეული. სიტყვებით ამის გადმოცემა შეუძლებელია.

21 აგვისტოს ძალოსანთა ფიცარნაზე გიორგი ასანიძე გამოვიდა. მისი მთავარი მეტოქე ბერძენთა სიამაყე, სამგზის ოლიმპიური ჩემპიონი პიროს დიმასი იყო. გამარჯვების შემთხვევაში ის ერთადეთი 4-გზის ოლიმპიური ჩემპიონი ხდებოდა ძალოსნობაში. ადვილი წარმოსადგენია, როგორ გულშემატკივრობდნენ მას. ოთხი წლით ადრე, სიდწის ოლიმპიადაზე პიროს დიმასმა, გერმანელმა მარკ ჰუსტერმა და გიორგი ასანიძე — სამივემ ირწიდის ჯამში 390, კგ მოაგროვა და მხოლოდ პირადი წონით საპრიზო ადგილები ამავე თანამიმდევრობით განანილდა. ახლა მედლებისთვის ბრძოლა ასანიძის სასარგებლოდ დაიწყო. ატაცში იგი 177,5 კგ-ით დანინაურდა. დიმასმა მხოლოდ 175 კგ დასძლია, ხოლო აკვრის დროს ორივემ 202,5 კგ შეუკვეთა, მაგრამ ქართველმა 205 კგ ასწია, ბერძენმა კი — ვერა. იძულებული იყო, 207,5 კგ დაეკვეთა, თუმცა ვერც ამ წონას მოერია და ორჭიდში 377,5 კგ-ით დაასრულა ოლიმპიადა. ეს შედეგი ბრინჯაოს მედლისთვის აღმოჩნდა საკმარისი. 207,5 კგ ვერც ასანიძემ დასძლია, მაგრამ 382,5 კგ-ით პრატიკულად გაინალდა ოქროს მედალი. პრატიკულად გადგან თუჩინედი აიჯუნ იუნა 215 კგ ასწევდა, ჩემპიონი აზიელი ხდებოდა.

#### გიორგი ასანიძე:

— 207,5 კგ არ უნდა გამეფუჭებინა. მაშინ სათურ აღარაფერი იქნებოდა. ვალდებული ვიყავი, ამენია. არ შეპატიება, რადგან ასე ბევრჯერ დავკარგე მედალი ევროპისა თუ მსოფლიოს ჩემპიონატებზე. შტანგა უკვე მეკრდზე მედონ და ცოტადა მრჩებოდა მოძრაობის დასამთავრებლად. ვიდრე ჩინელი თავის ბოლო ცდას გამოიყენებდა, ოქროს მედლის ბედი ბენვზე ეკიდა. თუმცა დარწმუნებული ვიყავი, იუანი ამ წონას ვერ აიღებდა. ასეც მოხდა. ათენში ჩემი ცხოვრების ოცნება ავისრულე და ოლიმპიური ჩემპიონი გავხდი.

XXVIII თამაშებზე ჩენის მოჭიდავებს ხელი მოეცარათ. ქართველი

ფალავნების პრესტიულის გადარჩენა ერთადერთს, ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავე რამაზ ნოზაძეს შეეძლო. 25 აგვისტოს ის ჩება ტურნირში. ფინალამდე რამაზს ისევ თანამებულებთან მოუხდა ურთიერთობის გარკვევა — უკრაინის დროშით მოასპარეზე დავით სალდაძესთან და რუსეთის გუნდის წევრ გიორგი კოლუაშვილთან. ორივე ძმიერი ბიჭი იყო, გიორგი კი სულაც, მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონი, მაგრამ ნოზაძემ თრივეს აჯობა და ფინალში ფიზიკურად საოცრად ძლიერ ეგვიპტელს, ქარიმ იბრაჰიმს შეხვდა. ჯანი არც ქართველს აელდა. არც ტექნიკას უჩიოდა და თავიდანვე შეუტია. მაგრამ ხელში რომ აიტაცა და ის-ის იყო, ხალიჩაზე უნდა დაენარცხებინა, იბრაჰიმიმა იქით შემოუტრიალა ილეთი და ქვევით რამაზი აღმოჩნდა. შემდეგ კი ეგვიპტელს უკვე არ გასჭირებია გამარჯვების ქულების მოპოვება.

#### რამაზ ნოზაძე:

— ისეთი განწყობილება მქონდა, მოსაგებად გავედი. ნამდვილად, არანაირი შიში მეტოქისა არ მქონია. უბრალოდ, ძალიან მინდოდა მოგება. მნერთნელის დავალება იყო ხელებზე მუშაობა. ვფიქრობ, არ შევასრულე. ისეთ ემოციაში ვიყავი, უცაბად მოგება მინდოდა. ეგვიპტელს სხვა ტაქტიკაც რომ მემორეაზებინა, მაინც არ უნდა შემეცვალა ჩემი ამოცანა. ვიჩერედ არ გაამართლა. მნერთნელისთვის უნდა დამეჯერებინა. ხელში რომ ავიტაცე, იმან მოასწრო გდების დახურვა. სხირედ ეს გდება იყო ჩემთვის საბედისნერო. ძალიან დიდი დანაცლის იყო ეს მარცხი ჩემთვის. ადამიანმა ალბათ თავად უნდა გამოცადოს, რომ მიხვდეს, რამდენად მძიმეა ფინალში მარცხი. თითქოს რაღაც მომწყდა ჩემი ცხოვრებიდან!

რამაზ ნოზაძისთვის ფინალში დამარცხება მართლაც, დიდი იმედგაცურება იყო, თუმცა 21 წლის ათლეტისთვის ოლიმპიური ვერცხლიც არ იყო ურიგი შედეგი.

ათენის ოლიმპიური თამაშები 29 აგვისტოს დასრულდა. საერთო გუნდურ ჩათვლაში კვლავ ამერიკელებმა იმარჯვეს. 30 აგვისტოს ქართველთა დელეგაციისა საშობლოში დაბრუნდა. იმ სალამოს ოლიმპიურ ჩემპიონებსა და პრიზონერებს თავისუფლების მოედანზე გრანდიოზული დაბვედრა მოუწყვეს. ბარსელონის ოლიმპიადის შემდეგ ქართველებს სპორტშიც და ცხოვრებაშიც გამარჯვების რწმენა დაუბრუნდათ.

## შეხვედრა რიჩარდ გირთან

ჯიფონის კინოფესტივალი წელს ორმოცდამეოთხედ ჩატარდა. მასში, უზრის წევრების რანგში, საქართველოდან 7 ბავშვი მონაწილეობდა, ისინი ეროვნულმა კინოცენტრმა შეარჩია: 4 — თბილისიდან, 3 — რეგიონებიდან (ბათუმი, ქუთაისი, თელავი).

### შიფონის ბავშვთა პინთესტივალის ზოგის შართვები წევრები



ფესტივალის განმავლობაში „საქართველოს დღე“ მოეწყო; დამსწრე საზოგადოებას 4 მოკლემეტრაჟიანი ქართული ფილმი უჩვენეს

### ეთო ყორდანაშვილი

ჯიფონის ფესტივალი იტალიის პატარა ქალაქ ჯიფონი-ვალე-პიანაში ყოველწლიურად ტარდება. მასში მონაწილე უიურის წევრ ბავშვებს ნანახი ფილმების შესახებ საკუთარი აზრის დაფიქსირების საშუალება აქვთ, ხვდებიან მსოფლიო დონის ვარსკვლავებს... წარმოდგენილი ფილმები მოზარდებისთვის მნიშვნელოვან პროდლემებს ეხება.

ჯიფონის წლევანდელ ფესტივალზე +13 ასაკობრივ კატეგორიაში ფილმმა Behavior (რეჟისორი — Ernesto Daranas Serrano) გაიმარჯვა, +16 კატეგორიაში კი — EXIT MARRAKECH-მა (რეჟისორი — Caroline Link).

ფესტივალის განმავლობაში „საქართველოს დღე“ მოეწყო; დამსწრე საზოგადოებას 4 მოკლემეტრაჟიანი ქართული ფილმი უჩვენეს. გაიმართა მიღება, რომელზეც სტუმრებს ქართული სამზარეულოსა და ლინის დაგემოვნებისა საშუალება ჰქონდათ.

წლევანდელ ფესტივალს ესტუმრნენ: ალან რიკმანი, ლეა მიშელი, დილან ა' ბრაიენი, მეთ ბომერი, რიჩარდ გირი. ფესტივალის დახურვის ცერემონიალს ორნელა მუტიც დაესწრო...

**ციხო მარჯალავილი, ჯიფო-**

მაგრამ მიმაჩნია, რომ თავი კარგად გავართვით. როცა იგებდნენ, რომ საქართველოდან ვიყავით, ძალიან უხაროდათ, თბილად გვეპყრობოდნენ. გამიკვირდა, რადგან მხოლოდ მეორე წელია, რაც ჩვენი ქვეყანა ამ ფესტივალი მონაწილეობს.

— ფილმები რა პრობლემებს ეხებოდა?

— სულ 7 სრულმეტრაჟიანი ფილმი გვიჩვენეს და ძირითადად, იმ პრობლემების შესახებ იყო, რაც ჩვენს თაობას აწუხებს. ყოველი ფილმის განხილვისას, კინოსურათის რეჟისორი და ერთ-ერთი მსახიობი (ძირითადად — მთავარი როლის შემსრულებელი) ჩვენთან ერთად იყვნენ. ამიტომ განხილვის პროცესი უფრო დასაიქრებელი და სასიამოვნო იყო. პრობლემატიკა ძირითადად, ასეთი გახლდათ: ბავშვი რამდენად დამოუკიდებელია, მშობლებთან როგორი ურთიერთობა აქვს და ა.შ. გამარჯვებული ფილმიც სწორედ ამ პრობლემას ეხებოდა. რეჟისორმა სათქმელი ნამდვილად კარგად გადმოსცა და ბევრი ბავშვი დაფიქსირდა.

— როგორც ვიცი, რიჩარდ გირთან შეხვედრის პატივი გევდა წილად...

— ყოველ მსახიობთან შესახვედრად დაახლოებით 5 ბავშვს არჩევდნენ. ჩემთვის ნამდვილად მოულოდნელი იყო, როცა 3500 ბავშვიდან მათ შორის დამასახელეს, ვინც რიჩარდ გირს შეხვდებოდა. ზუსტად არც ვიცი, რის მიხედვით შეგვარჩის, ალბათ — აქტიურობის... რიჩარდ გირი მართლაც ლეგენდაა! მან საქართველოსა და ქართველი რეჟისორების შესახებ ბევრი რამ იცოდა. ძალიან გამიხარდა. პირადად მე მეოთხა, როგორ მოვხვდი ფესტივალზე, იტალიაში გამგზავრებამდე რა ეტაპები გავიარე?.. თითოეული ჩვენების მიმართ დიდი ყურადღება გამოიჩინა. ჩვენი შეხვედრა ზუსტად ნახევარ საათს გაგრძელდა. დაინტერესებინა: თელავიდან მე შემარჩის. შემდეგ საქართველოს კინემატოგრაფის ეროვნულ ცენტრში 2 მოკლემეტრაჟიანი ფილმი გვაჩვენეს. განვიხილეთ, დებატები მოვაწყვეთ, მერე კი შევიტყვე, რომ ჯიფონის კინოფესტივალისთვის შემარჩის.

— გვიამბე, ფესტივალზე უიურის წევრობას როგორ გაართვითავი?

— ეს ფესტივალი ჩემს ცხოველებაში უმნიშვნელოვანესია! ალბათ, „ჯიფონიზე“ მოხვედრა ყველა ბავშვის ოცნებაა. ეს ფესტივალი ჯადოსნური სამყაროა, სადაც ყველაფერი ნათელ ფერებშია წარმოდგენილი. გვინდონდა, საქართველო ლირსეულად წარგვედგინა, ჩვენი ქვეყანა გვესახელებინა. ეს რთული იყო,

ჩემს ცხოვრებაში ბევრი რამ შეიცვალა. უკვე თითქმის დარწმუნებული ვარ, რომ რეჟისორის პროფესიას ავირჩევ... იტალიაში ზუსტად 12 დღე ვიყავი. ეს ფესტივალი მხოლოდ ფილმების ყურებას, მათ განხილვასა და ცნობილ მსახიობებთან შეხვედრას არ გულისხმობს. მსოფლიოს ბავშვები გავიცანი, დაუმეტობლივ. ფესტივალის დასრულების შემდეგ მათთან განშორება რთული იყო, ცრემლები მოვდიოდა... „ჯიფონის“ ერთ-ერთი პლუსი ის არის, რომ სხვადასხვა ქვეყანას, კულტურას აახლოებს. ჩვენი გუნდის „ლიდერ“ გოგონასთან „სკაპით“ ახლაც ვურთიერთობ. საქართველო ისე შევაყვარეთ, რომ ჩვენს ქვეყანაში ჩამოსვლა ძალიან უნდა. ასევე, ძალიან კმაყოფილი ვარ იმ ოჯახით, რომელმაც იტალიაში მიმაპინძლა. უზომოდ თბილი და

შემფასებელი ვიყავი, რეჟისორებსა და მსახიობებს მცაცრ შეკითხვებს ვუსვამდი და შენიშვნებსაც ვაძლევდი. ფესტივალის განმავლობაში კინოთი ვცხოვრობდით. ყველაზე მეტად ის ხუთი ცნობილი სახე დამამახსოვრდა, რომელიც ჰოლივუდიდან გვეწვია.

— შენ რომელ ვარსკვლავს შეხვდი?

— ლეა მიშელს. მასთან სურათები გადავიღეთ, ავტოგრაფები დაგვირიგა და ა.შ. მისთვის შეკითხვის სავაროდ დასმის უფლება მომცეს. 2 რამ ვკითხე: სერიალ „კლუბის“ ხარისხი ხომ არ ფუქდება-მეთქი? პასუხი არ გამცა, რამაც საზოგადოების აქიოტაჟი გამოიწვია: რატომ არ გიასუხაო? ლეა მიშელმა მითხრა, — შენი მეორე შეკითხვა უფრო მომწონს და ამაზე გიპასუხებო.

ვაქცევ გადაღების ხერხებს, ფილმებში ფერებს.

— ამ მხრივ, თავი ვინ დაგამახსოვრა? ყველაზე მეტად ვინ არ მოგწონა?

— ბრაზილიურ ფილმში მთავარი როლის შემსრულებელი მსახიობის თამში არ მომენტონა. იმ ბიჭს ჩემი აზრი პირდაპირ განვუცხადე.

— შენს შენიშვნებზე როგორი რეაცია ჰქონდათ?

— უბრალოდ მეუბნებოდნენ, — ძალიან ბევრს ლაპარაკობო, — და სიტყვას უკვე იშვიათად მაძლევდნენ.

— უურის ყველაზე მკაცრ წევრად ხომ არ შეგაფასეს?

— არა. ყველას მიმართ მკაცრი არ ვყოფილვარ. თუ კარგი ფილმი იყო, ქათინაურსაც ვამბობდი.

— გამარჯვებული ფილმები მოგწონა?



რიჩარდ გირი მართლაც ლეგენდაა! მან საქართველოსა და ქართველი რეჟისორების შესახებ ბევრი რამ იცოდა

ყურადღებიანი ადამიანები არიან. მხოლოდ იმაზე ფიქრობდნენ, რომ თავი კარგად მეგრძნო...

**დავით ლოლიშვილი, ჯიფონის კინოფესტივალის მონაწილე, 17 წლის:**

— ფესტივალის შესახებ მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლეში შევიტყვე, როცა პროექტის ხელმძღვანელი — ქალბატონი ირმა მოვიდა და სიტუაცია გაგვაცნო. საკმაოდ ძლიერი კონკურენცია იყო. გამიკვირდა, რომ შემარჩიეს და 7 ბავშვის შორის მოვხვდი...

შესრულის წევრობა განსაკუთრებული შეგრძნებაა. პირადად მე, მკაცრი

### — რა ჰქონდება?

— დავითტერესდი — კასტინგზე რამე ხომ არ შემთხვევია? მითხრა — როცა „კლუბის“ კასტინგზე მიდიოდა, ავტოგავრარია მოუხდა; გასაუბრებაზე, თმაგანენილი, ცუდ მდგომარეობაში მყოფი მისულა, მაგრამ იქვე აღნიშნა: როცა რაღაც ცუდად გამოგდის, სხვა პერსპექტივას ხედავო. კასტინგზე მაინც გაუმართლა.

— რეჟისორებსა თუ მსახიობებს ძირითადად, რა შენიშვნებს აძლევდი?

— ყველაზე მეტად გართულება მაქვს, როცა მსახიობი კარგად ვერ თამაშობს. ასევე დიდ ყურადღებას

— არა. შესაძლოა, საუკეთესო იყო, მაგრამ მე მასში ის ვერ დავინახე, რაც — სხვებმა. ფილმი, რომელმაც მეორე ადგილი დაიკავა, ჩემი ფავორიტი გახლდათ.

### — მაშინ რა დაინახება?

— სამხრეთკორეული ფილმი იყო. გამიკვირდა, რომ ხარისხიანი ფილმის გადაღება იქაც შესაძლებელი ყოფილა. თან, რთულად აღსაქმელი, ფსიქოლოგიურია — ადამიანის ცხოვრებას ასახავს. გამარჯვებული ფილმი კი მსოფლიო სტანდარტისაა, რომელსაც აღბათ, ყველა გაიგებს.

— გვითხარი — ფესტივალში მონაწილებამდე კინემატოგრაფთან

## რა გაკავშირებდა და რას გეგმავ?

— კინო ბავშვობიდან მიყვარს. 3 წელია, რაც მსახიობობა გადავწყვიტე. სწავლის გაგრძელებას უცხოეთში ვაპირებ. შარშან „პიონერიზმი“ მოვხვდი, შემდეგ კი — „ჯიფონიზე“, რამაც უფრო მეტად დამარწმუნა, რომ შესაძლოა, მომავალშიც რაღაც გამომიყიდეს...

**ირჩა ჯანჯლავა, პროექტის ხელმძღვანელი:**

— ჯიფონის ფესტივალში მონაწილეობდნენ ბავშვები 54 ქვეყნიდან. უიურის წევრები, ფილმებს უყურებდნენ, განიხილავდნენ, აფასებდნენ. დღეში ორჯერ მსოფლიო ვარსკვლავებს ხედებოდნენ. ფილმების ნახვისა და გართობის შემდეგ, ბავშვებს გართობის საშუალებაც ჰქონდათ.

**— ფესტივალის მიზანი რა არის?**

— სხვადასხვა ერის ნარმომადგენელი ბავშვების შეკრება და ფილმების საფუძველზე, რეალურ პრობლემებზე საუბარი. თითოეულ ასაკობრივ კატეგორიას თავისი ფილმი აქვს, რომელსაც სელექციონერები წინასწარ არჩევენ. ფილმი ბავშვების პრობლემასთან უნდა იყოს დაკავშირებული. მას სპეციალისტები სერიოზული კინოფესტივალებიდან ირჩევენ. ყველა ბავშვს საერთო პრობლემა აქვს, მიუხედავად იმისა, თუ რომელ ქვეყანაში ცხოვრობს. თემები, რაზეც ფესტივალზე საუბრობენ, უმნიშვნელოვანესია, რადგან მოზარდებს მშობლებთან ამაზე საუბარი უჭირთ...

**ნებო ქავთარაძე, პროექტის ნარმომადგენელი:**


— „ჯიფონისთვის“ ქართველი ბავშვები 2 მთავარი კრიტერიუმით შევარჩიეთ: ინგლისური ენის ცოდნა და კინოსადმი გარკვეული ინტერესი. წელს ფესტივალზე, ქართველ ბავშვებზე განსაკუთრებულ აქცენტს აკეთებდნენ, „საქართველოს დღეც“ გვქონდა... ჯიფონი სამხრეთ იტალიაში არსებული დაბა გახლავთ, სადაც 46 წლის წინ არაფერი იყო. კლაუდიო გუბიტოსმა (ჯიფონის კინოფესტივალის დამფუძნებელი) მოახერხა, რომ რობერტ დე ნირო, ნიკოლას კეიჯი, მერილ სტრიპი და მსოფლიოს სხვა ვარსკვლავები ფესტივალზე ჩამოეყვანა... შემოდგომაზე საქართველოში One Day Giffoni-ს ჩავატარებთ, რომელიც 2015 წლისთვის დაგეგმილი ფესტივალის ერთგვარი პრეტესტი იქნება. 2 ასაკობრივა კატეგორია (+13 და +16) გვეყოლება.

**ლევან დვალი, პროექტის ნარმომადგენელი:**

— One Day Giffoni იმ ფესტივალის


ანალოგი იქნება, რომელიც იტალიაში ტარდება. უიურის 250 წევრია განსაზღვრული: მთელი საქართველოს მასშტაბით, 250 ნიჭიერ მოზარდს ვარჩევთ, რომელსაც ინგლისურ ენაზე კომუნიკაცია შეუძლია და კინო უყვარს. შერჩეული მოზარდები „ჯიფონის“ მიერ მოწოდებულ 2 ფილმს შეაფასებენ (თითოეული ასაკობრივი კატეგორია — თითო ფილმს). წლის განმავლობაში, „ჯიფონის“ იტალიური მხარე ფილმების სელექციაში ასიათასობით ევროს ხარჯავს, რადგან ყველა ფილმი, რომელსაც უიურის წევრებს უჩვენებენ, მაქსიმალურად შესწავლილი უნდა იყოს კინომცოდნების, ფსიქოლოგებისა და ფსიქიატრების მიერაც კი. მთავარი აზრი ის არის, რომ თუკი უიურის წევრი +13 დიდ მადლობას გადავუხდ. მან საქართველოს დელეგაციას დიდი დახმარება გაუწია.

ისეთივე პრობლემა ანუხებს, როგორც — ამ ასაკის მოზარდებს, მაგალითად: მეგობრებთან გაუცხოება, თავის დამკვიდრებისთვის ბრძოლა, პრობლემები სკოლაში, მშობლებთან... ერთდღიან ფესტივალში მონაწილეობის მსურველებს სააპლიკაციო ფორმის შევსება ჯერ კიდევ შეუძლიათ. მარტივ მონაცემებს ვითხოვთ: სახელი, გვარი, დაბადების თარიღი, საცხოვრებელი ადგილი. ყველაზე მთავარი — მოტივაციის გრაფა გახლავთ ანუ — მოზარდს პროექტში მონაწილეობა რატომ უნდა? უიურის წევრების შერჩევა სწორედ ამ სამოტივაციო გრაფის საფუძველზე მოხდება... შემთხვევით ვისარგებლებ და საქართველოს საელჩოს იტალიაში დიდ მადლობას გადავუხდ. მან საქართველოს დელეგაციას დიდი დახმარება გაუწია.



N1 საბაზომობილო შურნალი

# „უნდა გიხართდეთ, თუ თქვენი შვილი ცაციაა“



**ლეილი ფაცია**

ახლა გთავაზობთ მსოფლიოში ცნობილი ცაციების ჩამონათვალს: არისტოტელე, ფრიდრიხ ნიკე, ალექსანდრე მაკედონელი, ნაპოლე-

**კედლებზე ახლაც ვეუშაობ და, რა თქმა  
უნდა, მარცხენა ხელით. კედლებზე ხატვის  
გამო მარცხენა მხრის ნერვიც დამიტიანდა**

ონ პონაპარტი, ლეონარდო და ვინ-  
ჩი, მიქელაჯელო, პაბლო პიკასო,  
რაფაელი, რუბენსი, კამილ პისარო,  
ალბერტ აინშტაინი, ისააკ ნიუტონი,  
ივან პავლოვი, მოცარტი, ლუდვიგ  
ვან ბეთჰოვენი, სერგეი რახმანინოვი,  
სერგეი პროფიევი, პანს ქრისტი-  
ან ანდერსენი, პუშკინი, ტოლსტიო,



გინდ დაიჯერეთ, გინდ — არა, მაგრამ ცაციების საერთაშორისო დღეც არ-  
სებობს და ის 13 აგვისტოს აღინიშნება. ამ ადამიანების ზოგადი დაბასიათება  
ასეთია: ცაციებში მამაკაცები ჭარბობენ. ხშირად, ტყუპიდან ერთი ცაციაა. მათ  
ძლიერი სიყვარული შეუძლიათ და მალე უყვარდებათ. საყვარელი საკვები —  
ხორცეულია. წყნარები არიან, ცდილობენ, კარგად გამოიყურებოდნენ და გან-  
საკუთრებული ჩატანის სტილი აქვთ. არიან შორმისმოყვარები და გონიერები.  
უყვართ ცხოველები. საუკეთესოები არიან სპორტსა და ხატვაში. ჩოგბურთის  
ვარსკვლავების 40% ცაციაა; მხატვრობაში კი ყველა ცნობილი და მსოფლიოში  
სახელგანთქმული მხატვარი რომ ცაციაა, ეს ცნობილი ფაქტია... პოპულარობას  
ისინი ნაკლებად ესწრაფვიან.

## ცნობილი ცაციები და მათი ცხოვრების სტილი

მარკ ტენი, კაფა, ჩერჩილი, ჩაპლი-  
ნი, მერილინ მონრო, რობერტ დე ნი-  
რო, პოლ მაკარტნი, მარადონა, გარი  
კასპაროვი, მარტინა ნავრატილოვა,  
მარია ბლისუცაია, ჯულია რობერტსი,  
ანჯელინა ჯოლი, ბრიუს უილისი, ოპ-  
რა უინფრი, ბილ გეიტსი, ბარაკ ობამა  
და კიდევ ბევრი.

თანამედროვეების ორ ცნობილ  
ქართველ მხატვარს — გია ბუღაძესა  
და ზალიკო სულაკაურს ვესაუბრე,  
რომლებიც ცაციები არიან.

— ბატონობ გია, საბჭოთა კავშირის  
დროს სკოლებში ცაციები დაჩაგ-  
რულები იყვნენ, მარცხენა ხელის  
აქტიურ გამოყენებას (წერა-ხატვა)  
უკრძალავდნენ. თქვენც გიზღუდავ-  
დნენ ამას?

— ბატონობ გია, საბჭოთა კავშირის  
დროს სკოლებში ცაციები დაჩაგ-  
რულები იყვნენ, მარცხენა ხელის  
აქტიურ გამოყენებას (წერა-ხატვა)  
უკრძალავდნენ. თქვენც გიზღუდავ-  
დნენ ამას?

### გია ბუღაძე:

— მშობლებისგან ასეთი აკრძალ-  
ვა არასდროს მქონია, სკოლაში კი  
მაიძულებდნენ, მარჯვენა ხელით  
მენერა. ჩემი პედაგოგი (არაჩეუ-  
ლებრივი ქალბატონი იყო) მარცხენა  
ხელს ზურგსუკან მადებინებდა და მა-  
იძულებდა, მარჯვებით მენერა. მაშინ

XIX საუკუნიდან მოყოლებული,  
ცაციობაზე სხვადასხვა მოსაზრება  
არსებობს: გენეტიკურ თეორიებს  
თანახმად, ხელის უპირატესობა და-  
კავშირებულია მემკვიდრეობით ფაქ-  
ტორთან. ბავშვების 50% გვევლინება  
ცაციად, თუ ორივე შშობელი ცაციაა,  
ხოლო — 16,7%, თუ ერთი შშობელი  
მაინც არის ცაცია, 6,3% იმშემთხვევა-  
ში, თუ ოჯახში ცაციობა არ გვხვდება.

გასულ საუკუნეში გავრცელებული  
თეორიის მიხედვით, თავის ტეინის  
განვითარების პროცესში მარჯვენა და

იყო ასეთი საგანი — „სუფთა წერა“. იმ  
გავეთილზე უფლება არ მქონდა, მარ-  
ცხენით მენერა... მერე დედაჩემსაც  
დაავერეს, რომ ასე უნდა ემოქმედა;  
წერასა და ხატვას მარჯვენა ხელით  
მაიძულებდნენ. დღეს კი, ამის შედე-  
გად, ორივე ხელს ვიყენება. ფაქტობრი-  
ვად, ორივე ხელით ვწერ, მაგრამ იმის  
კეთებისას, რაც ჩემთვის ინტიმურია,  
რაც ჩემს სულში ხდება ანუ ხატვისას,  
მარცხენა ხელით ვმუშაობ.

— ის ნამუშევრები, რაც შექმნილი  
გაქვთ, ცაციოთაა შესრულებული?

— დაას. ფაქტია, რაც ხატვისას  
ფაქტი ჩარევას ითხოვს, მარცხე-  
ნით არის შესრულებული... მოკლედ,  
დროთა განმავლობაში ჩამოყალიბდა,  
რომ მთელი ჩემი ინტიმური პროცესი  
მარცხენა მხარით მიღის. მარცხენა-  
ში ღონისებული მეტი მაგალითი  
აღმოჩენის ბიჭები რომ ვძიგილა-  
ობდით, რატომდაც, მარცხენა ხელს  
ვზიგავდი ხოლმე.

— ალბათ იმიტომ, რომ ვინმესთ-  
ვის გამეტებით არ დაგერტყათ, არა?

— არ ვიცი, ასეთი დახვერილი  
ბავშვი ვიყავი თუ არა, მაგრამ ეს  
ინტიმური ხელით და ასე მეტი მაგალითი  
აღმოჩენის ბიჭები რომ ვძიგილა-  
ობდით, რატომდაც, მარცხენა ხელს  
ვზიგავდი ხოლმე...

მარცხენა ნახევარსფეროებს შორის  
ხდება ფუნქციების გადანაზილება: მარჯვები პემისფერო პასუხისმგებე-  
ლია მხედველობით აღქმაზე, აზროვ-  
ნებაზე, ხოლო მარცხენა პემისფერო  
განაგებს მეტყველებით ფუნქციებს,  
კითხვის, წერისა და მათემატიკურ  
უნარებს, ანალიზს, ლოგიკურ აზ-  
როვნებას. მიიჩნეოდა, რომ მარჯვენა  
პემისფერო იღებს ინფორმაციას და  
მართავს სხეულის მარცხენა მხარეს,  
ხოლო მარცხენა პემისფერო ემსა-  
ხურება სხეულის მარჯვენა მხარეს.

— კედლებზე მუშაობისას რა ხდებოდა?

— კედლებზე ახლაც ვმუშაობ და, რა თქმა უნდა, მარცხენა ხელით. კედლებზე ხატვის გამო მარცხენა მხრის ნერვიც დამიზინდა. პროფესიული დაავადება მივიღდა. ბოლოს ერთი დიდი ჭერი მოვხატე, მეშინოდა, მუშაობისას ტკივილი არ ყოფილიყო აუტანები, მაგრამ რაღაც ისე მოხდა, რომ არ შევუწუხებივარ. ამასთან, მეგობრებმა სადგარი, ხელის ჩამოსაყრდნობი მომიწვევს და პრაქტიკულად ნამოწვდილი ვებატავდი. ხელზე ნაკლები დატვირთვა მოდიოდა. სხვათა შორის, კაცობრიობის ყველაზე დიდი ხელოვანი, მიქელანჯელო ორივე ხელს იყენებდა ქვის თლისას ან ფრესკაზე მუშაობისას. ბავშვობის პერიოდის ნახატები ჩანს, რომ შტრიხი მარცხენა ხელით არის გაკეთებული.

#### — ამას როგორ ხვდებით?

— შტრიხის მიმართულებით: საით მიმართავს თავს, როდესაც პროფილს აკეთებს. მუდმივი მცდელობაა, რომ თავი იყურებოდეს ქალალდზე მარცხნიდან — მარჯვნივ, რაც იმას ნიშნავს, რომ ამას ცაცია ხატავს. გარდა ამისა, თუ მის გრაფიკას ვუყურებთ, ყველა შტრიხი ჩარტყმული აქვს მარცხენა მხრიდან დახროლს. ეს მხოლოდ ჩემი დაკვირვება არ არის, სერიოზული დაკვირვების შედეგია.

#### — ამერიკის პრეზიდენტი, ობამა ცაცია...

— ობამას რომ ვუყურებ, კალამი ცოტა უცნაურად უჭირავს, როცა რაღაცას ხელს აწერს ანუ მისი ხელი ფურცლის ზემოდან მუშაობს, დიაგნონალი რომ დაიცვას. ისე, საერთოდ, მოურჩებელია მარცხენით წერა. საპირისპირ მიმართულებით უნდა იმუშაო ფურცელზე, დისკომფორტს ქმნის... ერთ პერიოდ ვარჯიშობდი, რომ ერთდროულად ორივე ხელით მეხატა. ამ შემთხვევაში თვალის

დევნება შეუძლებელი აღმოჩნდა, თვალი აქეთ-იქით „დახტოდა“ და თავის აქეთ-იქით ტრიალმა დამრალა.

— ზალიკო, სამყაროს მარცხენა ხელით რომ ხატავ, რა არის ეს შენთვის?

#### ზალიკო სულაკაური:

— არაფერიც. თქვენი ტელევიზორები უკულმა აჩვენებს... ჩემთვის მარცხენა ხელით მუშაობა ჩვეულებრივი ამბავია. უბრალოდ, ეს არის ხალხში გამჯდარი აზრი, რომ ცაცია ვიყავი და გადამაჩვიერ, სახაზავი

ამით ყველაფერია ნათქვამი. პირი-ქით, უნდა გიხაროდეთ, თუ შვილი ცაცია გყავთ...

— შენს შემთხვევაში ამას არავინ ცდილა?

— იყო შემთხვევა, ხელი ჯიბეში ჩამაყოფინეს და, — დაფაზე მარჯვენით დაწერეო, — სკოლაში მასნავლებელმა მითხრა. გავრეკე. მერე მამაჩემი მასწავლებელთან მივიდა და მკაცრად უთხრა, — ამ ბავშვზე არ იყოს ძალადობა! — და ყველამ უკან დაიხია. ჩემი მშობლებისთვის პირი-

ცნობილ ადამიანებში უამრავი ცაცია არ-სებობს, რომელიც თავის საქმეს შესანიშნავიდ უძღვება. ლეონარდო და ვინჩი იყო ცაცია და ამით ყველაფერია ნათქვამი



მირტყეს. მინდა, ყველას მივმართო და ვურჩიო, ცაციას არ გადააჩვიოს; მიეცით შანსი, იყოს ცაცია და არ დაუმასინჯოთ ცხოვრება. შენ რომ გადაგარვიოს ვინმემ მარჯვენით წერას, როგორი იქნება?! რეპინს დამბლა დაეცა და მარცხენით მოუნია ხატვა და ისეთი აღარ იყო მისი ტილოები, როგორიც მანამდე. უხეში „მაზოკება“ გამოუვიდა. ცნობილ ადამიანებში უამრავი ცაცია არსებობს, რომელიც იშვიათი, მაგრამ ბუნებრივი მოვლენაა. ამიტომ ბავშვისთვის მარცხენა ხელის მშარების აკრძალვა დაუშვებელია.

ქით, სასიამოვნო იყო, რომ ტყუპიდან (მე ხომ ტყუპისცალი ვარ), ერთი ცაცია ვიყავი. თუნდაც ერთმანეთისგან ჩვენს გარჩევაშიც ეხმარებოდათ.

— მარჯვენა ხელს კარიკატურების ხატვისას ვერ იყენებ?

— მარჯვენა ხელს ვიყენებ მხოლოდ ჭიქის აწევის დროს, პირჯვრის გადაწერისას და ხელის ჩამორთმევისას. ეს გამოვიმუშავე ერთხელ მარცხენა ხელი მოვიტეხე და მარჯვენით რაღაცები დაგხატე, მაგრამ დავიტანჯვე.



თუმცა, ეს დომინანტობა არ არის აბსოლუტური. ბოლო ათწლეულების განმავლობაში ჩატრებული კვლევების თანახმად, როგორც მარჯვენა, ასევე მარცხენა ხელის მოძრაობაში ორივე ნახევრისფერო მონაწილეობს.

დღეს ცაციებსადმი განსხვავებული დამოკიდებულება აღარ შეიმჩნევა, რადგან ფსიქოლოგები და პედაგოგები ერთხმად აღიარებენ, რომ ცაციობა იშვიათი, მაგრამ ბუნებრივი მოვლენაა. ამიტომ ბავშვისთვის მარცხენა ხელის მშარების აკრძალვა დაუშვებელია.



## გზავნილები

გამარჯობა. მივესალმები მკითხველს. დამეთანებებით ალბათ, რომ ხანდახან უგუნურ საქციელს შეგ-

# „კუბიკებიანი“ პერანგი ანუ დაუნდობელი მამაკაცები

ნებულად ჩავდივართ. რატომ? — ვერ ამისხნია, მაგრამ ის კი ვიცი, უმტესწილად მისი გამოსწორება შეუძლებელია და მთელი ცხოვრება სინაული გტანჯავს დაუფიქრებლად გადადგმული ნაბიჯის გამო. მეგო-

ნა, მარტო მე ვიყავი ასე და ჩვენი მკითხველების მესიჯებმა დამარნ-მუნა, რომ ბევრი ადამიანი (ალბათ — ყველა) სიცოცხლეში ერთეულ მაინც ცდება. ჰოდა, ვნახოთ, ვინ რას აშა-ვებს და ვინ რაში ცდება.

## გონიერი და სახიფათო

„ახალი წლის შემდგომი დღეებია და ერთ-ერთ უცხოურ სათამაშო საიტზე ვარ შესული — ნარდი, „კარტი“, ყველაფერია. ვიღაც ტიპს გრძელი ნარდის მაგიდა გაუშლია, 10-ევროი-ანი და 6-6 წუთი უყენო. თუ დროზე არ ითამაშე, ან დენი წავიდა, მარსად წააგებ, ორმაგად... მივუჯექი პატივ-ცემულს. თან ისეთი ეგზოტიკური სახელი ჰქვია, რავა ვუთხრა უარი? „არარატ-1“. ეს „1“ მომენტია განსაკუთრებით. დავიწყეთ თამაში. რუსულად მომწერა — „სწოვიმ გოდომ“. გადაამოწმა, ყოფილი საბჭოელი ვარ თუ არა. არც მე დავაყოვნე, მივულოცე და იქვე კითხვა მივაყოლე — „ვი ტურკ?“

აუჭე, აღწევოთდა „არარატ-1“, — ეგ რავა მაყადრე, თურქების დედაც! მე ჭეშმარიტი სომები ვარო. მოვუბოდ-დიშე... — რავარც მახსოვს, არარატი თურქეთშია-მეთქი. აქ დაიწყო, რაც დაიწყო... „ველიკია არმენია“ რუკა სულ კოორდინატებში აღმინერა (საქართველოც შიგ მოაყოლე). ვუსმენ და ვტკები, როგორ იწურება მისი სათამაშო დრო. წკაპ! და მარსად წააგო. დრო გაუვიდა. ვაა, ბოლოში მივაწერე, — „კაკი ინტერესნო, ია ნე ზნალ, რო ტაკო მაგრები ხართ-მეთქი“. ესიამოვნა. დავიწყეთ მეორე ხელი. დაწინაურდა. რალაცაა კიდევ მოსაზიქრებელი. — ჩვენ, ქრისტიანები, 7

რიცხვში შობას ვზეიმობთ და თქვენ მუსლიმანები რას შვრებით-მეთქი? — მივწერე. კინალამ გამოძვრა მონიტორში... — ჩვენამ... ქრისტის დაბადებამდე უკვე ქრისტიანები ვიყვით, პირველი ქრისტიანული სახელმწიფო ვართ, ნახევარი იერუსალიმი ჩვენიაო. გაუვიდა სათამაშო დრო, მივყოლე მეორე მარსიც. გადმომიჯდა პატივ-ცემულის 40 ევრო ანგარიშზე. ალარ იწყებს ახალს. — შენ საიდნ ხარო? — შემომიჩდა. — „პარტი“ ძმები ვართ, ქართველი ვარ-მეთქი, — გაულიმე, — თანაც, ცოტა მეგრული „უკლონებით“-მეთქი. გაგრძელებას ველარ დავწერ. 1 საათი გული ვიჯერეთ ეროვნულ-ფოლკლორული გინებებით და ტკბილად გავეყარენით“.

„ვწერ ამ წერილს და გულით მინდა გთხოვთ, რომ დამიშეჭდოთ. ამჟამად ევროპაში ვმუშაობ, აქ ყოველ-კვირა ვყიდულობ პრესას და გულის ტკივილით ვკითხულობ ხოლმე, ტკივილიან ისტორიებს. მეც ამიტომ მომინდა მონერა. მინდა, ყველა ქალბატონს ვთხოვთ, რომ ჩემინარი შეცდო-

მა არ დაუშვან. დავიწყებ იმით, რომ ძალიან ვატარა, 17 წლის გავთხოვდი. არ მესმოდა, რას ნიშნავდა იჯახის შექმნა. ბუნებით ძალიან ბავშვური და მეოცნებე ვიყავი, რაც დღემდე მომყვება. ძალიან მიყვარდა ჩემი

## დაუნდობელი მამაკაცები

